გამომცემლობისაგან

ვარლამ დავითის ძე ძიძიგური დაიბადა 1889 წლის 15 მაისს ქუთაისის მაზრის სოფ. მათხოჯში. პირველდაწყებითი სწავლა მიიღო სოფ. ნახახულევში, საშუალო — ხონში (სამასწავლებლო სემინარია), უმაღლესი კი—თბილისში (უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი).

ვ. ძიძიგური 1909 წლიდან 1918 წლამდე მუშაობდა იმერეთის, სამეგრელოს, აჭარის, ლეჩხუმის და ზემო სვანეთის სკოლებში, ხოლო 1918 წლიდან—თბილისის საშუალო სკოლებში, მუშფაკებში, პედაგოგიურ ტექნიკუმებსა და მუშათა უნივერსიტეტში; აგრეთვე „სახალხო განათლების“ რედაქციაში, ცენტრალურ სალექციო ბიუროსა და საქ. სსრ განათლების სამინისტროში. პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ვ. ძიძიგური ეწეოდა საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობასაც.

ვარლამ ძიძიგური სისტემატურად ბეჭდავდა ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში სტატიებს, სარკვევებსა და რეცენზიებს უმთავრესად სწავლა-აღზრდის საკითხებზე.

1926 გამოქვეყნდა ვ. ძიძიგურისა და ა. გვახარიას „პირველი წიგნი“ ორ ნაწილად, „ანბანი“ და „დედა ენა“; ეს სახელმძღვანელოები ოცი წლის მანძილზე ემსახურებოდნენ საბჭოთა სკოლას.

1947 წელს დაიბეჭდა ვ. ძიძიგურის „ქართული ენა“ — სახელმძღვანელო წიგნი სოფლის ახალგაზრდობისა და მუშა ახალგაზრდობის სკოლებისათვის.

ვ. ძიძიგურის კალამს ეკუთვნის მეთოდური ხასიათის წიგნები: „ქართული ენის სწავლების მეთოდიკა დაწყებით სკოლაში“, რამდენიმე კლასთან ერთდროულად მუშაობის პედაგოგიური პრინციპები“, „კლასკომპლექტში მუშაობის ორგანიზაცია და მეთოდები“ და „ქართული ენის სწავლების საკითხები“.

საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასა სახელოვანი მასწავლებლის მოღვაწეობა: ვარლამ ძიძიგურს მიანიჭეს საქართველოს სსრ სკოლის დაძსახურებული მასწავლებლის წოდება, დააჯილდოვეს ლენინის ორდენითა და რამდენიმე მედლით, აგრეთვე საპატიო ნიშნით „სასალსო განათლების წარჩინებული".

ვ. დ. ძიძიგური ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 1957 წ 6 მაისს.

წინამდებარე წიგნის სახით „საბლიტგაში" ბეჭდავს ვარლამ ძიძიგურის ვრცელი მოგონებებიდან იმ ნაწილს, რომელიც სკოლის (როგორც ძველი, ისე საბჭოთა) ცხოვრებასთანაა დაკავშირებული და საინტერესო იქნება მოსწავლე ახალგაზრდებისათვის.

I

გავშვოგის წლეგი. ნახახულევის ორკლასიანი სკოლა. მასწავლეგლეგი. ხონის სასწავლეგლეგი

II

„ჯოხის ცხენზე“ ვიჯექი და „ცხენობანას“ ვთამაშობდი სოფლის ფართო ეზოში, როცა ზედიზედ გავარდა თოფები ჩვენი სახლის აივნიდან და თან რაღაცნაირი ყიჟინა ატყდა. მოულოდნელობით შეშინებულმა უცებ „ცხენს“ ხელი გავუშვი და ავტირდი. დიდები მომვარდნენ და დამშვიდება დამიწყეს. ერთმა მითხრა: „ნუ ტირი, გენაცვალე, შენი პატარა ძამია დაიბადა, წამო, გაჩვენო, რა ბიჭიაო“. ჩანს, სამი წლის ვიყავი მაშინ, რადგან ამ ხნით უფროსი ვარ ჩემს მომყოლ ძმაზე, რომელიც იმ დღეს დაიბადა.

ამ შემთხვევაზე ადრინდელი არაფერი მახსოვს. მეტიც: ამის შემდგომი ამბებიც კი, ვიდრე სასკოლო ასაკისა გავხდებოდი, არ შერჩენია ჩემს მეხსიერებას, გარდა რამდენიმე სასიამოვნო მომენტისა, როცა ჩავუცუცქდებოდი ხოლმე ფეხებშუა ჩემს საყვარელ, ახოვან, წვერებიან სვიმონ ბაბუას, რომელიც ხშირად ეზოში დიდი ხის ქვეშ, ჩრდილში, დაბალ სკამზე იჯდა, და ვთხოვდი: „რამე-რამეები“ მიამბე-მეთქი. გატაცებით ვისმენდი მოხუცის პათოსით ნაამბობ მისსა და სხვათა თავგადასავლებს, ზღაპრებს, შაირებს.

ჩემს საყვარელ ბაბუას ყველაზე დიდ და ყველაფრის შემძლე კაცად ვთვლიდი; ცაში რომ ღრუბლებს დავინახავდი, ისიც კი მისი ყალიონიდან გამოსული და მაღლა, ცაში ასული კვამლი მეგონა.

ექვსი წლის ვიყავი, ბაბუა რომ მოკვდა. მახსოვს, რა დიდძალი საზოგადოება დაესწრო მის დასაფლავებას, რამდენი ხალხი ირეოდა იმ დღეს ჩვენს ეზოში.

2

რვა წლის ვიყავი, სკოლაში რომ მიმაბარეს. დიდად გამახარეს მშობლებმა სკოლაში წაყვანის წინ. დედამ ახალი ტანისამოსი და ჭრელი ჩანთა შემიკერა. მამამ ვარდისფერი „დედაენა“, რვეულები და ნაირნაირი ფანქრები მომიტანა...

ჩემს სოფელ მათხოჯში სკოლა არ იყო. ყოველდღიურად ვხედავდი ჩვენი ჭიშკრის წინ გამვლელ-გამომვლელ ჩანთებიან გოგო-ბიჭებს; ვიცოდი, რომ ისინი მეზობელ სოფელში, ნახახულევში დადიოდნენ; ისიც ვიცოდი, რომ იმ ბედნიერ სოფელში სკოლა იყო, მაგრამ მე თვითონ სკოლა არასოდეს მენახა, წარმოდგენა არ მქონდა, რა არის სკოლა. გაგონებით კი ვიცოდი, რომ სკოლა კარგი რამ არის. ალბათ ამიტომ იყო, რომ გულმა ბაგაბუგი დაიწყო, რაღაც გამოუთქმელი სიამოვნებით აძგერდა, როცა გამომიცხადეს, სკოლაში უნდა წაგიყვანოთო. ვაჩქარებდი დედას ჩანთის შეკერვას. გამომაწყვეს და სკოლაში მიმიყვანეს...

სოფ. ნახახულევში ორკლასიანი სასწავლებელი იყო. სკოლის ხუთ განყოფილებას ორი მასწავლებელი ასწავლიდა. ბესარიონ მიხეილის ძე დოჭვირი პირველ, მეორე და მესამე განყოფილებებს ასწავლიდა ერთდროულად, ხოლო ლავრენტი ანტონის ძე ჩიმაკაძე — მეოთხე და მეხუთე განყოფილებებს. ორივე მასწავლებელი მათხოჯელი იყო. ბესარიონ დოჭვირს ექვსკლასიანი საქალაქო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებუ-

ლი, ლავრენტი ჩიმაკაძეს — ქუთაისის სამასწავლებლო სემინარია (დ. ხონში). ორივე კარგი მასწავლებელი იყო, განსაკუთრებით ლავრენტი ჩიმაკაძე — ნამდვილი ხელოვანი გახლდათ.

3

წერა-კითხვა ბესარიონ დოჭვირმა მასწავლა. მახსოვს, ერთხელ „ნუცას სკოლა“ წამაკითხა; გზადაგზა მეშლებოდა, ის კი მისწორებდა. მიკვირდა დიდად: მე წიგნი ხელში მიჭირავს, შიგ ვიცქირები, ასოებს ვხედავ და მაინც მეშლება, მას წიგნი ხელში არა აქვს, ასოებს ვერ ხედავს და მაინც მისწორებს. ნეტავ ვიცოდე, როგორ ახერხებს ამას? უთუოდ, შორიდან იცქირება ჩემს წიგნში-მეთქი. ამის შემდეგ დავიწყე დაკვირვება: აბა, ვნახო, სხვებს რომ გაუსწორებს, იქნებ შევამჩნიო, რა მანქანებით ჩაიხედავს სხვის წიგნში! ვხედავ, ხან კედელს მისჩერებია, ხან მაღლა იხედება, ჭერს უცქერის, ხან დაბლა იატაკისკენ დაუხრია თვალები და... მაინც უსწორებს ჩემს ამხანაგებს კითხვის დროს დაშვებულ შეცდომებს!.. დავრწმუნდი, რომ მასწავლებელს რაღაც ჯადო თვალები ჰქონდა, ის ჩვეულებრივი ადამიანი კი არა, ზეკაცი იყო.

ერთხელ გაკვეთილზე შემოსვლა დაგვიანდა, იქვე ქუჩაში ვიღაცამ ეტლი შეაჩერა და იმას ელაპარაკებოდა. კლასში რომ შემოვიდა, გვითხრა: ჩემი ყოფილი მასწავლებელი ვნახე და გამიხარდაო. ჩვენ ყველანი გავოცდით, ერთხმად ვკითხეთ: მასწავლებელო, შენი მასწავლებელი ცოცხალია?! გაიცინა: აი, ის არის, ახლა რომ ველაპარაკებოდიო. გული დაგვწყდა, რომ არ დავუკვირდით იმ კაცს: მასწავლებელი ხომ დიდი კაცია და მასწავლებლის მასწავლებელი ვინღა უნდა ყოფილიყო?!

ერთ დღეს გაკვეთილი არ ვიცოდით. ბესარიონმა შემოწმების შემდეგ გვითხრა: „თქვენ არც ერთი არ ივარგებთ, გარდა ამ ერთისაო“ (მიგვითითა ერთ-ერთ ამხანაგზე). ყველანი შევშინდით: გვეგონა, ეს მართლაც ასე იქნებოდა. სკოლაში სიარული განვაგრძე, თუმცა ვიცოდი, რომ მე არ ვივარგებდი. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, ამხანაგები დაკაცდნენ და ყველამ

დავინახეთ, რომ ჩვენი საყვარელი მასწავლებლის „წინასწარმეტყველება“ არათუ არ გამართლდა, პირიქით, თითქმის ყველა დაწუნებულმა გოგო-ბიჭმა ივარგა: ზოგი მეცნიერია, ზოგი ექიმი, ზოგი ინჟინერი, ზოგი მასწავლებელი... უეჭველია, აჯობებდა ჩვენს მასწავლებელს ესარგებლა ბრძენის დარიგებით: «მოწყალება სწრაფი უნდა, რისხვა — დაგვიანებული“...

პირადად განცდილიდან და საერთოდ ზემოთ ნათქვამიდან დასკვნა გამოვიტანე და მთელი ჩემი მასწავლებლობის ხანგრძლივ პერიოდში ვცდილობდი, ჩემი აღსაზრდელ-მოსწავლეების წინაშე რაიმე აზრის გამოთქმისა და დასკვნების გაკეთებაში არასოდეს არ ავჩქარებულიყავ. არაფერი მეთქვა და არც ჩამედინა ისეთი, რაც არასწორი და უმართებულო იქნებოდა, რათა ამით არ შემელახა მასწავლებლის პრესტიჟი, სახელი, ავტორიტეტი. თუ მასწავლებელს ავტორიტეტი არა აქვს, ისე თავის მაღალ დანიშნულებას ვერ შეასრულებს.

კეთილშობილურია და სიმპათიური სახალხო მასწავლებლის სამუშაო, დიდია და განუზომელი მისი როლი ახალი თაობის აღზრდისა და გათვითცნობიერების საქმეში, უსაზღვროა სიამოვნება პედაგოგიურ საიდუმლოებას დაუფლებული მასწავლებლისა, როცა ის „ადამიანობის სამკვედლოში“ მუშაობს.

ბესარიონ მისეილის ძე დოკვირიც ერთი ასეთი მასწავლებელთაგანია. სამოცი წელი იმუშავა ბესარიონმა დიდი ენთუზიაზმითა და თავგამოდებით მოზარდი თაობის დაკაცებისა და გაადამიანებისათვის. რამდენი სასარგებლო ადამიანი გამოუზრდია მას ჩვენი სამშობლოსათვის. მანვე აღუზარდა საზოგადოებას ათი სასარგებლო შვილი.

ბესარიონ დოჭვირი 1873 წელს დაიბადა სოფ. მათხოჯში (ქუთაისის მაზრა). პირველდაწყებითი სწავლა ქალაქ ქუთაისში — ვასილ პეტრიაშვილის დაწყებით სკოლაში მიიღო. 1893 წელს დაამთავრა ქუთაისის საქალაქო სასწავლებლის კურსი და მას შემდეგ განუწყვეტლივ მუშაობს სკოლაში: სოფ. ჭაგანსა, წყალტუბოსა და ნახახულევში 13 წელი იმსახურა, ხოლო სოფ. მათხოჯის სკოლაში კი თითქმის ნახევარი საუკუნე. ხუთ სოფელში მისი აქტიური მონაწილეობით დაარსდა დაწყებითი სკოლები. ნახახულევში ორკლასიანი სკოლის შენობა ორი ოთახით გააფართოვა. 1908 წელს, დიდი გვალვების პერიოდში, ბესარიონის თაოსნობით და მშრომელი მოსახლეობის ფართო დახმარებით გამოყვანილ იქნა დროებითი სარწყავი არხი მდინარე ცხენისწყლიდან. მთელი რიგი წლების მანძილზე იგი ენერგიულად მუშაობდა მათხოჯის უძველეს კოოპერატივსა და ნახახულევის სასოფლო ბანკში. დიდი მუშაობა გასწია მათხოჯის სახალხო სახლის მშენებლობისათვის. დღეს ამ შენობაში საშუალო სკოლაა, სადაც ვალმოხდილი ბესარიონი დიდხანს ხალისიანად და ნაყოფიერად მუშაობდა რუსული ენის მასწავლებლად. მხოლოდ სამიოდე წელია, რაც არ მუშაობს ღრმა მოხუცებულობის გამო (84 წლისაა).

ხანგრძლივი, ნაყოფიერი და უმწიკვლო მუშაობისათვის მასწავლებელი ბესარიონ დოჭვირი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, აგრეთვე მედლებითა და სამკერდე ნიშნით: „სახალხო განათლების წარჩინებული“.

4

მეორე ჩემი მასწავლებელი ნახახულევის ორკლასიან სკოლაში, აწ განსვენებული ლავრენტი ანტონის ძე ჩიმაკაძე, საკმაოდ დიდი ერუდიციისა და დიაპაზონის კაცი იყო.

მათხოვჯელ ინტელიგენტთა შორის ლავრენტი ჩიმაკაძე (1868—1937) ყველაზე უხუცესი და, იმავე დროს, ყველასათვის მისაბაძი, მაგალითის მიმცემი იყო: დინჯი, აუჩქარებელი, იშვიათი ტაქტის მქონე, მომზადებული, შინაარსიანი ადამიანი, გემრიელი სალამის მიმცემი, კარგი მოსაუბრე, ძვირფასი დამრიგებელი.

ეს შრომისმოყვარე და ნიჭიერი ადამიანი ისე გაწვრთნილიყო და დახელოვნებულიყო ხონის სამასწავლებლო სემინარიაში, რომ მას თავის პროფესიაში ბადალი არა ჰყავდა. ის იყო ნამდვილი ხელოვანი, იშვიათი ოსტატი, რომელსაც თავისი საქმის „არტისტს“ ეძახდნენ. შესასწავლი თემით ისე დაინტერესებდა მოსწავლეებს, ისე ოსტატურად გამოჰყოფდა თემიდან ჯერ მთავარს, შემდეგ კი ირგვლივ ჩამოქნიდა და ჩამოასამდა დეტალებსაც და გაკვეთილს ისე ყველასათვის გასაგებს, მიმზიდველს, შინაარსიანსა და სურათოვანს გახდიდა, მთელ მასალას ისე თვალსაჩინოდ გადმოშლიდა მოწაფეების თვალწინ, რომ მის კლასში „უვიცი“, „ზარმაცი“ და „უნიჭო“ არავინ იყო.

ლავრენტი ჩიმაკაძე გაკვეთილის გადაცემის ან გამოკითხვის დროს არასოდეს დატოვებდა რაიმე ხარვეზს იმ იმედით, რომ ოდესმე გაიმეორებდნენ ამ გაკვეთილს და მაშინ ამოავსებდნენ მას.

ამიტომ იყო, რომ რომელიმე თემის განმეორება ძირითადად ამ თემის შესწავლას და ხელმეორედ „ღეჭვას“ კი არ წარმოადგენდა, არამედ მის გაფართოებასა და გაშლას.

ყოველ მოწაფეს უნარი აქვს შენიშნოს თავისი მასწავლებლის როგორც საგნის ცოდნისა და გადაცემის ოსტატობის, ისე

როგორც ადამიანის რაიმე ნაკლი; ხოლო მე ამ მასწავლებელ ადამიანში არასოდეს დამინახავს და შემიმჩნევია მცირეოდენი სუსტი მხარეც კი. კარგა ხანი იმუშავა ლავრენტი ჩიმაკაძემ ნახახულევის ორკლასიან სასწავლებელში. ის საზოგადო მოღვაწე იყო. ნახახულევში შემნახველ-გამსესხებელი ბანკი დააარსა, რომლის თავმჯდომარედაც დიდხანს იყო. მათხოჯში მისი თაოსნობით ჯერ კიდევ 1897 წელს გაიხსნა კოოპერატივი, რომელსაც ხალხი „ობჩი“ დუქანს ეძახდა და რომლის გამგეობის შეუცვლელი თავმჯდომარეც ის იყო, ვიდრე მათხოჯში ცხოვრობდა. წამიკითხავს ილია ჭავჭავაძის „ივერიაშიც“ მისი მოწოდება, თუ როგორ უნდა იმუშაოს ქვეყნის გულშემატკივარმა მასწავლებელმა ხალხური საუნჯის (ზეპირსიტყვაობის) შეკრებისა და აღნუსხვისათვის.

1906 წელს გამოჩენილმა პედაგოგმა, ხონის სემინარიის დირექტორმა ალექსი ჭიჭინაძემ ლავრენტი ჩიმაკაძე, როგორც სამაგალითო მასწავლებელი, ხონის სამასწავლებლო სემინარიასთან არსებულ სანიმუშო ორკლასიან სკოლაში მიიწვია მასწავლებლად; შემდეგ, როცა ჭიჭინაძე ხონიდან თბილისში გადმოიყვანეს ქართული გიმნაზიის დირექტორად, მან ლავრენტიც გადმოიყვანა თავის გიმნაზიაში მასწავლებლად. სიცოცხლის უკანასკნელ სანებში ლავრენტი ჩიმაკაძე ბათუმს გადავიდა საცხოვრებლად და სამუშაოდ; ასწავლიდა ბათუმის პედაგოგიურ სასწავლებელსა და პედაგოგიურ ინსტიტუტში; დაწერა რამდენიმე სახელმძღვანელო წიგნი, მათ შორის „ანბანის“ სახელმძღვანელო აჭარის სკოლებისათვის. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატმა ერთხელ მე გამომიგზავნა ჩემი ყოფილი მასწავლებლის „ანბანი“ სარეცენზიოდ. მახსოვს, რა მონდომებით ვმუშაობდი მის გარჩევაზე, რამდენი „მეთოდიკა“ წავიკითხე. რარიგ არ დავიშურე ჩემი გამოცდილება — პრაქტიკა და ანბანის შედგენის ჩემი „საიდუმლოებანი“, რათა ყველაფერი გულწრფელად და მოკრძალებით გადამეშალა ჩემს რეცენზიაში იმ მიზნით, რომ მის წიგნში ნაკლი არ ყოფილიყო. მახსოვს ისიც, თუ რა მადლობელი იყო იგი ჩემი რეცენზიისა და როგორ გამოიყენა ის.

ლავრენტი ჩიმაკაძე ბათუმში, ისე როგორც ყველგან, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მთავრობამ სათანადოდ დააფასა ლ. ჩიმაკაძის ღვაწლი და „შრომის გმირის“ საპატიო წოდება მიანიჭა მას. სამწუხაროდ, ოპერაციის შედეგად არცთუ ისე მოხუცი გარდაიცვალა. თბილისიდან წავედი ბათუმში მის დასაფლავებაზე დასასწრებლად. დაკრძალვას დიდძალი საზოგადოება დაესწრო. გული მტკივა, რომ მისმა ცოლ-შვილმა, ძმებმა და ნათესავ-მეგობრებმა, მრავალი დაბრკოლების გამო, ვერ შევუსრულეთ ლავრენტის სურვილი — წაგვესვენებინა და დაგვესაფლავებინა მისსა და ჩემს საყვარელ მშობლიურ სოფ. მათხოჯში.

5

სოფლის შუა გულში, დიდი შარაგზის პირად, ამაყად დგას 1921—1930 წლებში აგებული ერთი პატარა აგურის შენობა და მეორე დიდი, სამკორპუსიანი, ორსართულიანი სახალხო სახლი, რომლებშიც დღეს მოთავსებულია საშუალო სკოლა, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, წიგნის მაღაზია, კლუბი, ფოსტა-ტელეგრაფი, აფთიაქი, საექიმო პუნქტი, კოოპერატივი, სოფლის საბჭო. იქვე ახლოს აბრეშუმის საშრობი ფარდული და ხე-ტყის სახერხი პატარა ქარხანაა. გზის მარჯვნივ და მარცხნივ სასოფლო-სამეურნეო იარაღების რამდენიმე სამჭედლოა, მუშა-მოსამსახურეთა სასადილო, საპარიკმახერო და დუქნები: ბოსტნეულისა, ხილისა და ღვინის.

სამეგრელოს სოფლებთან მათხოჯელებს მიმოსვლა აქვთ, ერთი მხრივ, ორი ათასი წლის წინათ რომაელი სარდლის მიერ აგებული „ბუმბუას“ ხიდით (პომპეის ხიდით), მეორე მხრიკ, ბორნით.

მათხოჯი პირველი სოფელია ხეობაში, სადაც ცხენისწყალი დაივაკებს და სადაც შეიძლება ლეჩხუმ-სვანეთიდან დაცურებული მორების დაჭერა-ამოღება; ამიტომ ხე-ტყის დაცურებისა და ექსპლოატაციის კანტორაც მათხოჯშია.

მათხოჯის საშუალო სკოლა და რიგი სხვა ორგანიზაციებ-დაწესებულებები მომსახურებას უწევენ არა მარტო მათხოჯს, არამედ სხვა მეზობელ სოფლებსაც.

მათხოჯი საკმაოდ დიდი სოფელია, შიგ შვიდასამდე ოჯახია სამი-ოთხი ათასი მცხოვრებით. დროთა ვითარებაში ცსენის-წყალმა წალეკა და წაართვა მათხოჯს რამდენიმე ასეული ჰექტარი სახნავ-სათესი ნოყიერი მიწა. სათანადო დამბების უქონლობა, ყოველწლიურად დაცურებული 20-30 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყის დაჭერა და ამოღება ზიანს აყენებს სოფლის სახნავ-სათეს მიწებს. ყოველივე ამის გამო სოფელს სიმინდის› და პურის საკუთარი მოსავალი არ ჰყოფნის. მევენახეობა, მებაღეობა და მებოსტნეობა კი საკმაოდაა განვითარებული; საპატიო ადგილი უჭირავს ჩაის პლანტაციებს, ტუნგოს, ნაირ-ნაირ ხილსა და ციტრუსებს.

მათხოჯელები წიგნის მოყვარულნი არიან, ბევრს გამოწერილი აქვს ჟურნალ-გაზეთები, ზოგმა მოხუცმა „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცის. ხშირად იმართება წარმოდგენები, საღამოები, კინო. ყველა ცდილობს შვილი ნასწავლი ჰყავდეს.

ბევრი მათხოჯელი მასწავლებელი, ექიმი, ინჟინერი, აგრონომი, მწერალი მუშაობს როგორც საქართველოს, ისე დიდი რუსეთის ამა თუ იმ კუთხეში.

სიამოვნებით ვიარე ოთხი წელიწადი ნახახულევის სკოლაში. იქ მყავდნენ კარგი ამხანაგები და კარგი მასწავლებლები. დიდად მახალისებდა და მიზიდავდა სკოლისაკენ ისიც, რომ ვიცოდი: ყოველდღე, სწორედ დიდი შესვენების დროს, ხონიდან ჩვენს სკოლაში მოვა კაცი, რომელსაც თავზე რგოლი აქვს, რგოლზე გობი უდგას, და დაიძახებს: „ცხელ-ცხელი, ცხელ-ცხელი. აბა, კარგი ცხელ-ცხელი პურები. კაპიკიანი, ორკაპიკიანი, სამკაპიკიანი “... კოხტად ჩამოიღებს მეპურე ორივე ხელით თავიდან ვეებერთელა გობს და დადგამს სკოლის ეზოში. ჩვენც ყველანი მას შემოვესევით, ვყიდულობთ და ვჭამთ ჯერ კიდევ თბილ-თბილ, თეთრ-თეთრ ლავაშებს, შოთებს, გომიჯებს...

ჯანსა და ხალისს გვმატებდა ჩვენ ეს და მეტი ხალისით მივდიოდით შემდეგ გაკვეთილზე...

ახლა რომ შევდივარ ჩვენს სკოლებში და ვხედავ სასკოლო ბუფეტს, რომელთან შედარებით ნახსენები გობი პრიმიტივი იყო და მეტი არაფერი, ჩემი ბავშვობა გამახსენდება და მესმის საპიროება და სარგებლიანობა, ვგრძნობ ძალას კარგად ორგანიზებულ სასკოლო ბუფეტისა.

6

ხონს სკოლების ბუდეს ეძახდნენ. თითქმის ყველა სასწავლებლის დამაარსებელი, შეფი და დაუღალავი მეხრუნველი ივანე შარაშიძე (1860 — 1912) იყო, — კაცი უცოლშვილო, ლამაზი, თეთრწვერა, ჩოხოსანი. არა მგონია იმ დროს საქართველოში ყოფილიყო მეორე პიროვნება, რომელიც მეცენატობაში ივანეს შეედრებოდა. ივანე შარაშიძემ ხონის კეთილმოწყობისათვის ზრუნვაში (ნიკო ნიკოლაძესთან ერთად ცხენისწყლიდან სარწყავი არხის გამოყვანა, დამბების გაკეთება, გზებისა და ბაღის გამშვენიერება და სხვა) ბევრი შრომა და ენერგია დახარჯა. მაგრამ მთავარი და ივანე შარაშიძის დამახასიათებელი ის არის, რომ ხონში სასწავლებლების დაარსებასა და მათს შეფობას შეალია მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე და არა მცირედი საკუთარი ქონებაც. რა ტიპის სკოლა გნებავთ, რომ ამ ერთ ციცქნა ვაჭართა დაბაში არ ყოფილიყო: საოსტატო ანუ სამასწავლებლო სემინარია, სახელოსნო სასწავლებელი,

ქალთა და ვაჟთა გიმნაზიები, მარინეს სახელობის ოთხკლასიანი სასწავლებელი, საქალაქო სასწავლებელი, ჭრა-კერვის სასწავლებელი, ორკლასიანი და ერთკლასიანი სასწავლებლები, საკვირაო სკოლა და სხვა. ყოველ ამ სასწავლებელთან დაკავშირებული იყო შარაშიძის ნათელი სახელი. ყველა სასწავლებელს საკუთარი შენობა ჰქონდა და სხვადასხვა დროს ფრიად განათლებული მასწავლებლებიც ჰყავდა: სტრელეცკი, მოხირი, პავლოვი, პეტროვი, პროკოფიევი, ბარაჩი, დამაშევსკი, იანოვიჩი, ჭიჭინაძე, უთურგაული, ჩხიკვიშვილი, ქუთათელაძე, აბდუშელიშვილი, ბურჭულაძე, თაბუკაშვილი, გაგუა, ნუცუბიძე და სხვა მრავალი ათეული. მათში იყო ბევრი სასარგებლო საზოგადო მოღვაწე (ჭიჭინაძე, უთურგაული, ქუთათელაძე, სტრელეცკი...), ხოლო ზოგი, როგორც იტყვიან, „არც წყალი და არც ღვინო". იყვნენ რეაქციონერებიც. მასწავლებელთა შორის იყო ბრძოლა და ჭიდილი, აშკარა და ფარული...

7

ნახახულევის ორკლასიანი სკოლის სრული კურსის დამთავრებამდე გადამიყვანეს ხონში და საქალაქო ექვსკლასიან სასწავლებელში მიმაბარეს. ხონში ჩვენ ყველანი (ძმები და ბიძაშვილები) ოქროპირ სანოძის ოჯახში ვცხოვრობდით; არ გვაკლდა სასმელი და საჭმელი. ოღონდ, რადგან მე ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, მამამ ხაჭაპურებიც დამინიშნა დესერტად; მიმიყვანა ხონის ერთ-ერთ ფურნეში და უთხრა მეფურნეს: ამან თუ ხაჭაპურები მოგთხოვოს, აძლიე რამდენიც უნდოდეს; ჩაიწერე დავთარში და, როცა აფხაზეთიდან დავბრუნდები, გაგისტუმრებო (მამაჩემი სოხუმში მსახურობდა და დროგამოშვებით ჩამოდიოდა მათხოჯში). სკოლასთან ახლო იყო ის ფურნე, სადაც მამამ ხაჭაპურების კრედიტი გამიხსნა. დღეში ორ-სამჯერ შევდიოდი ფურნეში და გამომქონდა ხაჭაპურები. ხშირად სკოლის ამხანაგებიც მომყვებოდნენ და იმათაც ვუმასპინძლდებოდი. ფურნემდე გამცილებელი ამხანაგების რიცხვი თანდათან იზ-

რდებოდა. ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ ხშირად მთელი კლასი (25-30 ამხანაგი) მიმყვებოდა დიდ შესვენებაზე ფურნეში. ყველას ვაძლევდი თითო ხაჭაპურს. გვიან ვიფიქრე, მამა გამიწყრება-მეთქი, და გადავწყვიტე: რამდენი ამხანაგიც უნდა მიმყოლოდა ფურნეში, ათზე მეტი ხაჭაპური არ მეყიდა დღეში. როცა ხაჭაპურის ჭამის მსურველი ათზე მეტი აღმოჩნდებოდა, ავაგდებდი მაღლა ხაჭაპურებს და ვინც დაიჭერდა, მისი იყო, ოღონდ ყურს ავუწევდით ხელმარდობით „გამარჯვებულ“ ამხანაგს. ამას ჩვენ მაშინ „ყურწიწიობას“ ვეძახდით. ასეთი „ყურწიწიობა“ ბევრჯერ მომიწყვია სკოლის ეზოშიაც კი. ახლა მიკვირს, რატომ მაძლევდნენ ასე განუკითხავად იმდენ ხაჭაპურს? საქმე ისაა, რომ ფურნის პატრონი იშვიათად იყო ფურნეში. ის სხვა საქმეებითაც იყო დატვირთული და ნაბრძანები ჰქონდა თავისი ნოქრებისათვის: ძიძიგურს ხაჭაპურები აძლიეთ, როცა მოგთხოვოთ, და დავთარში ჩაწერეთო. იმათაც უნდოდათ უთუოდ „ყურწიწიობის“ ცქერა, სიცილი და ხარხარი!.. ორი თვე გავიდა და მამა ჩამოვიდა აფხაზეთიდან. ანგარიშის გასასწორებლად რომ წამიყვანა ფურნეში, დავთარი გადაუშალეს და, როცა გაიგო, რომ ნისიად წაღებული ხაჭაპურები 52 მანეთისაა, ძალიან გაოცდა: ეს ერთი ციცქნა ბიჭი ყოველდღე ოცოც ხაჭაპურს როგორ შეჭამდაო?!. ნოქრებმა აუხსნეს, როგორც „შევჭამე“... გაჯავრდა მამა! (მე ის გაჯავრებული მანამდე არ მენახა). მისცა მეფურნეს 52 მანეთი და უთხრა: „ამიერიდან არც ერთი ხაჭაპური არ მისცეთ!!!“ მე ტირილი დავიწყე. ჩანს, შეეცოდე, მამა მოლბა და თქვა: ხაჭაპურები არ მისცეთ, მაგრამ, თუ პური მოგთხოვოთ, რამდენიც უნდოდეს, მიეცითო. რად მინდოდა მე პური? ოქროპირ სანოძის „ოჯახში საქმელსასმელი, მათ შორის თეთრი პურიც, განა მაკლდა?!

წავიდა მამა აფხაზეთში. დავრჩი დაღონებული. მალე თვითონ ნოქრებმა მონახეს „გამოსავალი“: შენ ხაჭაპურს მოგცემთ, ჩვენ კი დავთარში პურს ჩავწერთო. მომცემდნენ ხან ერთ, ხან ორ ხაჭაპურს და დავთარში ოყა პურს ჩაწერდნენ. მალე იმატა ხაჭაპურების რიცხვმა, გადიდდა ოყა პურების რაოდენობაც

დავთარში. მეორე „ყურწიწიობის“ მოწყობასაც დავუბრუნ-
დი, ოღონდ ძველთან შედარებით მცირე მასშტაბით!.. გავიდა
კიდევ ორი თუ სამი თვე და ჩამოვიდა აფხაზეთიდან მამაჩემი.
როცა ანგარიში გაასწორა ფურნეში, აღმოჩნდა, რომ დღეში სა-
შუალოდ ხუთი ოყა (15 გირვანქა) პური „მიჭამია“. იქვე ჩემი
ოინებიც გამოაშკარავდა და „პურიც“ ამეკრძალა.

8

სკოლაში კარგად ვსწავლობდი; ვაშაკიძე იყო ერთი ჩვენს
სკოლაში, ის მჯობნიდა მხოლოდ. ჩემი უფროსი ძმა და ბიძა-
შვილები სემინარიაში მიიღეს; პანსიონში ცხოვრობდნენ. კერ-
ძო ოჯახში მარტო მე დავრჩი. ხშირად მომენატრებოდა ხოლ-
მე დედა და გაკვეთილების შემდეგ პირდაპირ წავიდოდი
მათხოჯში დედასთან, ექვს კილომეტრზე. დილით ადრე წამოვ-
დგებოდი ლოგინიდან და მივდიოდი ხონში, სკოლაში არ დამა-
გვიანდეს-მეთქი. წვიმა და ქარი არ მაშინებდა. მაგრამ მეტის-
მეტი სითამამე არ გამომადგა, ჯანმა მიღალატა, გავცივდი და
ავად გავხდი. ექვსი თვე ვიწექი მათხოჯში ლოგინად. ხონიდან
მოყავდათ ექიმები. ვერ გაიგეს, რა მჭირდა. იმ ხანებში ხმა იყო
გავარდნილი: სოფ. დიდ ჯიხაიშში ვიღაც ახალგაზრდა ექიმია,
პირდაპირ სასწაულებს ახდენსო. ჩვენებმა დაიქირავეს „რეზი-
ნიანი“ ეტლი (ბორბლებზე რეზინის შინების გაკეთება მაშინ
შემოიღეს ხონის მეეტლეებმა), ავადმყოფი ჩამსვეს შიგ და მი-
მიყვანეს დიდ ჯიხაიშში. იქ გამსინჯა და მიმკურნალა ექიმმა
ივანე გომართელმა. პლევრიტი აღმომაჩნდა. ორი კვირა ვიწექი
დიდ ჯიხაიშში. სამჯერ გამომიღო ექიმმა ნემსებით გვერდი-
დან წყალი, განმკურნა და გამისტუმრა მათხოჯში. მარტი
იყო. ექიმმა მის ნებართვამდე სკოლაში სიარული ამიკრძალა,
მან უთხრა ჩვენებს: თვეში ერთხელ მომიყვანეთ და გავსინ-
ჯავო. დავდიოდი, მსინჯავდა. წყალი ხელმეორედ არ ჩამდ-
გარა ჩემს გვერდში. ამის გამო ერთხელ მივწერე ბ-ნ ივანეს
მათხოჯიდან ჯიხაიშს: კარგად ვარ, ნება მომეცით სკოლაში
ვიარო-მეთქი. ფოსტამ მომიტანა ი. გომართელის ღია ბარათი,

მწერდა: ვარლამ, სწავლა კარგია, მაგრამ სიცოცხლე სწავლაზე უკეთესია. ჯერ კიდევ დაისვენე და, როცა საბოლოოდ გამოჯანმრთელდები, მე თვითონ გირჩევ, სკოლაში იაროო.

9

ზაფხულიც დადგა. დიდი სიცხეებიც დაიქირა. ბაბუა ივანე (ბებიაჩემის ძმა) აბასთუმანში მიდიოდა დასასვენებლად და სამკურნალოდ; მეც თან წამიყვანა. ივანე მღვდელი იყო, მეტად ლამაზი მოხუცი, დიდი მორწმუნე, მათხოჯის ეკლესიის ამაშენებელი, ორდენებით დაჯილდოებული, (ანა, სტანისლავი, ოქროს ჯვარი და რაღაცნაირი ლენტები გულ-მკერდს უმშვენებდა ისედაც ლამაზს, სუფთად და ძვირფას ტანსაცმელში გამოწყობილ თეთრწვერა მოხუცს). დიდი კომფორტით ვიმგზავრეთ აბასთუმნამდე. ჩვენთან ერთად ბორჯომამდე ივანე გომართელიც მგზავრობდა; ის ბაკურიანში წავიდა ახალდაგებული რკინიგზით (ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზა 1902 წელს აიგო) და ჩვენ აბასთუმანში — რეზინიანი ეტლით. აბასთუმანში ბაბუამ საუკეთესო აგარაკი დაიქირავა. კარგად ვცხოვრობდით. ქუჩაში რომ გამოვიდოდით, მეფის ჯარისკაცები და კაზაკები „ფრონტში“ ჩაუდგებოდნენ ხოლმე ორდენოსან მღვდელს და შუბლთან ხელის მიტანით ესალმებოდნენ. მოხუც ივანეს ახარებდა ეს პატივი, მოიხმობდა მათ და ყოველთვის ორ კითხვას აძლევდა. ერთი: „მოვერევით თუ ვერა იაპონიას?“ მეორე: „როგორ ბრძანდება ნიკოლოზ ხელმწიფე?“ კაზაკები უპასუხებდნენ: „იაპონიას მოვერევით“, „იმპერატორი კარგად ბრძანდება“. ივანე მღვდელი უსაჩუქროდ არ გაუშვებდა არც ერთს. თითოეულს ვერცხლის მანეთიანით ასაჩუქრებდა. დიდძალი ფული გასცა მოკლე დროში.

10

იმ ხანებში აბასთუმანში იყო ექიმი გოპაძე. მის ავტორიტეტს ყველა ცნობდა. ბაბუაჩემმა, სხვათა შორის, აჩვენა მას

ჩემი თავი, უთხრა: ამ ბავშვს პლევრიტი ჰქონდა. ცნობილმა ექიმმა გომართელმა მოარჩინა; ახლა კარგადაა, მაგრამ მაინც გთხოვთ გასინჯოთო. გამსინჯა. ცოტა უდიერად მოიხსენია გომართელი და ბაბუას უთხრა: გვერდები სავსე აქვს წყლით და დაუყოვნებლივ ოპერაცია უნდა გავუკეთოთო!

დავბრუნდით ბინაზე გულგახეთქილები. ბაბუამ დამიჩემა ოპერაციის გაკეთება. მე გავეინიანდი: თუ ოპერაცია აუცილებელია, ისევ გომართელმა გამიკეთოს-მეთქი. წაეამწარე ბაბუას აბასთუმანში ყოფნა. თვეზე მეტი უნდა დავრჩენილიყავით იქ და ჯერ ორი კვირაც არ გასულიყო, დავუჩემე, გომართელთან წამიყვანე-მეთქი. რა გზა ჰქონდა? ნაადრევად გამოვემშვიდობეთ აბასთუმანს და წავედით ბაკურიანში. გომართელს ვუამბეთ, რისთვისაც ჩავედით მასთან. მან გულდასმით გამსინჯა და თქვა: კარგად ხარ, არაფერი გჭირსო. ვაგინეთ გოპაძე; ისიც კი უთხრა ბაბუამ, გოპაძემ თქვენ უდიერად მოგიხსენიათო. შევხედე გომართელს, ერთი ცუდი სიტყვა არ უთქვამს გოპაძის შესახებ; პირიქით, მოუბოდიშა კიდეც. გოპაძემ არ იცოდა ამის ორგანიზმის ისტორია და ასეთ შემთხვევაში ექიმი შეიძლება შეცდეს, რა ვუყოთ მერეო.

— კარგადა ხარ, კარგად! — მითხრა მე. — ამიერიდან ნებას გაძლევ სკოლაშიც იარო!

რა გვექნა, აბასთუმანში დაბრუნება აღარ ღირდა. ბაკურიანიდან წავედით პირდაპირ მათხოჯში. ეს იყო 1904 წლის ზაფხულში. მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა; დავრწმუნდი, რომ გომართელი მართალი იყო: ჩანს. არც მაშინ მქონია წყალი გვერდში და არც შემდგომ ჩამდგომია.

II

ქუთაისის სამასწავლებლო სემინარიის ხონში დაფუძნების მიზეზები. სემინარიის რეჟიმი. პირველი დირექტორები

1

ავადმყოფობამ და განკურნების შემდეგ კიდევ რამდენიმე თვით სკოლაში სიარულის აკრძალვამ მთელი წელიწადი მომაცდინა სწავლას. საჭირო იყო ორი წლის კურსი ერთ წელიწადში გამევლო, რომ ჩემს ტოლებს სწავლაში არ ჩამოვრჩენოდი; სკოლის პირობებში ამის გაკეთება შეუძლებელი იყო, ამიტომ მამამ კერძოდ მიმაბარა ჩემს ყოფილ მასწავლებელს ლავრენტი ჩიმაკაძეს. ეს კერძო მეცადინეობა ძვირი ჯდებოდა, მაგრამ ამოცანაც დიდი დავისახეთ, სახელდობრ: არათუ ორი წლის კურსის გავლა, არამედ მეტიც: ერთი წლის ენერგიული და ბეჯითი მეცადინეობით პირდაპირ დიდ სემინარიაში შესასვლელად მომზადება.

კარგად ვიცოდი, რომ სემინარიაში შესასვლელ საგამოცდო კონკურსზე რუსეთის იმპერიის მრავალი კუთხიდან ყოველწლიურად ცხადდებოდა რამდენიმე ასეული მსურველი. ვის ორკლასიანი სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული და შემდეგ საგანგებოდ მომზადებულიყო, ვის ექვსკლასიანი საქალაქო სკოლა, ვინ რა ცოდნითა და მომზადებით მიდიოდა და ვინ რა. ვინც კონკურსში გაიმარჯვებდა, ყველაზე მაღალ ნიშნებს მიიღებდა, სემინარიაში მას ჩარიცხავდნენ. რამდენიმე ასეული კაცი — რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, ბერძენი, თათარი, ქართველი — ერთმანეთს ეჯიბრებოდა. ზღვა მსურ-

ველებიდან მხოლოდ 10-15 საუკეთესოდ მომზადებულს შეარჩევდნენ.

გამოცდილი და ხელოვანი მასწავლებლის ლავრენტი ანტონის ძის ხელმძღვანელობით შევუდექი ამ აღმართს[1]. არასოდეს მისწავლია ისეთი ხალისითა და მონდომებით, როგორითაც იმ წელიწადს. ღამე ძილსა და სიზმარშიაც ვიმეორებდი დღისით ნასწავლს. ჩანს, კარგად მოვემზადე. იმ წელს 9 კაცი მიიღეს სახელმწიფო ხარჯზე ხონის სემინარიაში, ბევრი ერთობ მომზადებული კი გარეთ დარჩა რამდენიმე ასეული მსურველიდან. რჩებოდნენ ისეთებიც, რომელთაც მხოლოდ ერთ ან ორ საგანში მიეღოთ შეფასება „3“, დანარჩენ საგნებში ჰქონდათ „4“ და „5“, ამათგან კიდევ 13 კაცი ჩარიცხეს სემინარიაში (ოღონდ ისინი თავის ხარჯზე, თითოეულს წელიწადში 230 მანეთი უნდა შეეტანა), ერთი კი ეგრეთწოდებულ „მომსვლელ მოწაფედ“ მიიღეს (რუსულად მას „პრიხოდიაშჩის“ ეძახდნენ). ის პანსიონში ვერ იცხოვრებდა, მაშასადამე, კვებასა და ტანსაცმელს ვერ მიიღებდა; კერძო ბინაზე ცხოვრობდა, იქიდან მოდიოდა სემინარიაში, გაკვეთილებს მოისმენდა და ბრუნდებოდა უკან.

ქუთაისის სამასწავლებლო სემინარიის მეოთხედი საუკუნის ისტორიაში პირველი შემთხვევა იყო (1905 წელს), რომ სემინარიაში „მომსვლელი მოწაფე“ ჩარიცხეს და პანსიონში ცამეტი კაცი თავის ხარჯზე მიიღეს. ამგვარად, ერთ კლასში ოცდასამი კაცი იქნა მიღებული, მაშინ, როდესაც აქამდე, სემინარიის არსებობის 25 წლის მანძილზე, საშუალოდ თითოეულ კლასზე 14-15 მოწაფე მოდიოდა.

---

[1] აღნიშვნის ღირსია ერთი დეტალი: 1905 წლის მარტში გამოცხადდა ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა გაფიცვა. ხონის რაიონის მასწავლებლები აქტიურად ჩაებნენ ამ გაფიცვაში, ხონში სკოლები დაიხურა. ზოგმა გაფიცულმა დაიჩემა „არც კერძოდ მეცადინეობა შეიძლებაო“. ჩემმა მასწავლებელმა (ლ. ჩ.) შეწყვიტა ჩემთან მეცადინეობა, ვიდრე გაფიცულთა ბიუროს არ შეუთანხმა ეს საკითხი და არ მიიღო განმარტება, რომ კერძოდ მეცადინეობა დასაშვებია.

ქუთაისის სამასწავლებლო სემინარია 1881 წლის 13 ოქტომბერს გაიხსნა დაბა ხონში.

ამ სემინარიის გახსნის ნებართვა ჯერ კიდევ 1880 წლის 20 ოქტომბერს იყო, მაგრამ მოსამზადებელ მუშაობას (ადგილის გამოძებნა, შენობა, მოწყობილობა და სხვა) მთელი წელიწადი დასჭირდებოდა.

თუ რატომ გაიხსნა ეს სემინარია ხონში და არა ქალაქ ქუთაისში, რომლის სახელსაც ატარებდა, ამის შესახებ სემინარის არქივში შემდეგ მოსაზრებებს ვკითხულობთ: „დაწყებითი სასწავლებლების მასწავლებელთა მომზადება შეიძლება უფრო მიზანშეწონილად წარმოებდეს სოფელ ადგილას, სადაც მომავალი მასწავლებლები ვერ შეეჩვევიან ქალაქურ ცხოვრებას და შემდეგ მათ არ დაამძიმებს და არც გაექცევიან სოფლის პირობებში მუშაობას, რისთვისაც მზადდებიან კიდეც ისინი. გარდა ამისა, სოფლად აღზრდის დროს ისინი არაფრით არ გაერთობიან და ამიტომ უფრო მეტად მოჰკიდებენ ხელს შრომას, რაც განსაკუთრებით საჭიროა, რადგან სასწავლებელში მათი ყოფნის დრო მოკლეა (3—4 წელი) და დანიშნულება, რომლის სამსახურისთვისაც ისინი ემზადებიან, ძნელია. შემდეგ, სოფლად რომ იცხოვრებენ, მათ შეუძლიათ გაიცნონ ის პირობები, რომელშიაც მათ მოქმედება მოუხდებათ. ხონი სოფლის ტიპის საცხოვრებელი ადგილია; ამასთანავე იქ არის სავაჭრო სადგური, სადაც ყოველგვარ კორესპონდენციას ღებულობენ, მნიშვნელოვანი რაოდენობით არის დუქნები, ყოველდღიური ბაზარი და ყოველდღიური დილიჟანსები ქუთაისთან მიმოსვლისათვის, რომელსაც იგი დაშორებულია 25 ვერსი შარაგზით.

თვით ხონის მცხოვრებლებმა თანაგრძნობა გამოთქვეს სამასწავლებლო სემინარიის გახსნისადმი. საზოგადოებრივი გადაწყვეტილებით, დაბის მცხოვრებლებმა სამასწავლებლო სემინარიას შესწირეს 10 ქცევა მიწა და 10.000 მან. ფულად (ეს

ფული შეცვლილ იქნა 2000 მანეთით და დაახლოებით 8000 მანეთად შეფასებული ორი სახლით), რადგან ქუთაისის გუბერნიის სხვა ადგილებიდან არ შემოსულა სხვა წინადადება, რომელიც გასახსნელი სემინარიისათვის ესოდენ ხელსაყრელი იქნებოდა, ამიტომ ამ საკითხის ადგილზე გასაცნობად 1881 წლის მარტში მივლინებულ იქნა თბილისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების დირექტორი სტრელეცკი და შემდეგ, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის მოხსენებისამებრ, კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობის შემსრულებელმა თავადმა მელიქოვმა ნება დართო გაეხსნათ ქუთაისის გუბერნიის სამასწავლებლო სემინარია დაბა ხონში".

3

ქუთაისის სამასწავლებლო სემინარიის მიზნებსა და ამოცანებს ამ ტიპის სასწავლებლების წესდება, ინსტრუქციები და კანონები განსაზღვრავდა, მაგრამ მათ შესრულებას ერთგვარი თავისებურება ახასიათებდა. ამ თავისებურებას ქმნიდნენ დირექტორი, რომელიც სათავეში ედგა სასწავლებელს, დამრიგებლები, მასწავლებლები, მოსწავლეები, გარემო და სხვა ფაქტორები.

პირველი დირექტორის—სტრელეცკის დროს (1881—1884 წწ.) ახლად დაბადებული სასწავლებლის ნორმალურ პირობებში ჩაყენებასა და საორგანიზაციო საკითხებს საგრძნობი დრო მონდომებია. იმ ხანებში მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის კარგი დამოკიდებულება ყოფილა. მოსწავლეები დიდი თავისუფლებით სარგებლობდნენ. მოსწავლეთა დაბალი ცოდნის ლიკვიდაციისათვის ოფიციალურ გაკვეთილებს გარდა დამატებითი მეცადინეობაც უწარმოებიათ მასწავლებლებს. სტრელეცკის ხონელი ქალი (ქუთათელაძე) შეურთავს ცოლად; ჩანს, ნაწილობრივ ამ გარემოებასაც განუსაზღვრავს სტრელეცკის დამოკიდებულება ქართველი მოსწავლეებისადმი. სტრელეცკის მოსწავლეებში კეთილი გრძნობების ჩანერგვის სურვილები და მათთან მამაშვილური დამოკიდებულება ახასიათებდა. ყოფილა შემთხვევები, როცა კარგი მოსწავლეე-

ბი თავდებობდნენ სრტელეცკის წინაშე თავიანთ დამნაშავე ამხანაგს, რომელსაც ცუდი ყოფაქცევისა და ცუდად სწავლის გამო გამორიცხვა ელოდა, და ცდილობდნენ მის გამოსწორებას. ჩანს, ამ საშუალებით ბევრი ცუდი ზნის მოსწავლე გამოსწორებულა. სარწმუნოებრივი მორალის გამომუშავების მიზნით სტრელეცკის დროს არის აგებული სემინარიის კარის ეკლესია, ფიზიკური ვარჯიშობისთვისაც დაუთმია მას საპატიო ადგილი: გიმნასტიკა, ნარნარი ხასიათის ვარჯიშობანი, შეშის ხერხვა და სხვა.

სტრელეცკის სხვაგან გადაყვანის გამო მის ადგილზე დაუნიშნავთ სოკოლოვი, რომელიც ათი წელიწადი (1884—1894) მუშაობდა ხონის სემინარიის დირექტორის თანამდებობაზე. ეს ბობოლა „ჩინოვნიკი“ შეკამათებას ვერ იტანდა. სოკოლოვი თავიდანვე შეეცადა სემინარია „ურჩებისაგან“ გაეწმინდა; პირველ რიგში მან თავიდან მოიშორა პროგრესულად მოაზროვნე მასწავლებლები აბდუშელიშვილი და ქუთათელაძე. სოკოლოვს „დაბრკოლებების“ გადალახვა უყვარდა; მორჩილი პედაგოგიური საბჭოს დახმარებით მან გამოავლინა და სემინარიიდან გარიცხა თავისუფლად მოაზროვნე მოსწავლეები; საქმე იქამდეც მივიდა, რომ მოსწავლეებმა მდინარაძემ და ჩხენკელმა, რომელთაც სოკოლოვმა რიხით გამოუცხადა: „სემინარიიდან გარიცხული ხართო“, თავიანთი ამხანაგებისა და მასწავლებლების თვალწინ სცემეს სოკოლოვს; მაგრამ სოკოლოვი სემინარიიდან მაინც არ წავიდა.

სოკოლოვის დროს მოსწავლეები ვალდებული იყვნენ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ სემინარიის ეკლესიის მომსახურებაში—სახარების კითხვასა, ლოცვასა, პირჯვრის წერასა, ლიტანიასა, ზიარებასა და წირვის ყველა წესის შესრულებაში. საღვთო რჯულის გაკვეთილებზე სახარების ტექსტების ზეპირად დასწავლა სავალდებულო იყო. ისტორიის გაკვეთილების მთავარი მიზანი იყო მეფისა, ეკლესიისა და მამულისადმი სიყვარულისა და თავდადების გრძნობის გამომუშავება. ფიზიკური შრომის გაკვეთილებში შედიოდა სახელოსნოში

განჯინების, მაგიდებისა და სკამების კეთება, ბაღსა და ბოსტანში თოხითა და ბარით მუშაობა, შეშის ხერხვა, სემინარიის შენობის მიმდინარე რემონტზე მუშაობა, შენობისა და ეზოს დაგვა, საპირფარეშოს დასუფთავება და სხვ. მოსწავლეების დასჯას სოკოლოვის დროს საარაკო ხასიათი ჰქონდა: „უშაქროდ დატოვება“, „კარგი ტანისამოსისა და ფეხსაცმლის ჩამორთმევა“ და მისთანანი. სასტიკმა რეჟიმმა ზოგ მოწაფეს ცხოვრებაზე გული გაუტეხა, სწავლაზე გული აუცრუა, ზოგში კი აღძრა ძლიერი სურვილი მოეკლა სოკოლოვი, რის გამო, სიცოცხლის გადარჩენის მიზნით, 1894 წელს სოკოლოვი ხონიდან გაიქცა.

სოკოლოვი მოხირმა შეცვალა. მოხირმა ცხრა (1894—1903) წელიწადი იმუშავა ხონის სემინარიის დირექტორის თანამდებობაზე. მოხირი ფრიად განათლებული და ჰუმანისტი იყო. მაგრამ ის იძულებული იყო თავისი წინამოადგილის ხაზი გაეგრძელებინა; შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად ის სემინარიაში დამყარებულ რეჟიმს არ ანგრევდა, მაგრამ ყოველივე ამას დიდი ტაქტითა და შერბილებით აკეთებდა. მოხირი, სპეციალობით ბუნებისმეტყველი, დიდად გატაცებული იყო მოსწავლეებში საბუნებისმეტყველო, სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკური განათლების დანერგვით. მან გააფართოვა სემინარიის შენობა, ეზო, ბაღები, სემინარიის გარეთაც შეიძინა სემინარიისათვის მიწები; მოაშენა ხეხილი, ვენახი; აწარმოებდა მებოსტნეობას, მეაბრეშუმეობას და სხვა. დიდ სემინარიასთან არსებული სანიმუშო ერთკლასიანი დაწყებითი სკოლა, სადაც ტარდებოდა სემინარიელების დახელოვნება და პრაქტიკული მუშაობა (გაკვეთილების მოსმენა, გადაცემა), გადააკეთა ორკლასიან სასწავლებლად, სემინარიის სახელოსნოში დურგლების შტატთან ერთად სპეციალისტ-მასწავლებლების შტატიც შემოიღო და სხვ. მაგრამ სოკოლოვის მიერ შემოღებული და მთავრობისაგან დაკანონებული სემინარიის მკაცრი და აუტანელი რეჟიმი ძირითადად მოხირის დროსაც ძალაში რჩებოდა.

1901 წლის 25 ოქტომბერს, ნაშუაღამევის პირველ საათზე, სემინარიის 50 მოსწავლიდან 28 მოსწავლემ დემონსტრაციულად დატოვა სემინარიის პანსიონი და ხონის გარეთ, სემინარიის მეორე ბაღში, გადაბარგდა. ამაოდ ემუდარებოდნენ მეორე და მესამე დღეს დირექტორი მოხირი და მასწავლებლები გაფიცულ მოსწავლეებს დაბრუნებულიყვნენ სემინარიაში. გაფიცულნი არც უკან დაბრუნდნენ და არც გაფიცვის მიზეზს ამბობდნენ; მოითხოვეს: თბილისიდან კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ან მისი რწმუნებული ჩამოვიდეს და მას ვეტყვით ყველაფერსო. მოხირი იძულებული გახდა შეპირებოდა გაფიცულებს: თქვენს აზრს ოლქის უფროსს შევატყობინებო. 28 ოქტომბერს (სამი დღე ბაღში ყოფნის შემდეგ) გაფიცულები დაბრუნდნენ სემინარიაში.

საქმის გამოსაძიებლად თბილისიდან ხონში ჩამოვიდა ოლქის ინსპექტორი სლავინსკი. გაფიცულებმა სლავინსკის წაუყენეს შემდეგი მოთხოვნები:

1) განთავისუფლებულ იქნენ მოსწავლეები საკლასო ოთახების, საწოლის, სასადილოს, დერეფნების და შენობის სხვა ფართობების დაგვა-დასუფთავებისაგან; 2) გაუქმდეს საღამოს მეცადინეობის სავალდებულო ცხრილი და მოსწავლეებს საშუალება მიეცეს პირადი შეხედულებითა და არჩევით იმუშაონ გაკვეთილებსა და სხვა საჭიროებასთან დაკავშირებით; 3) შემცირდეს სავალდებულო სამუშაოების რიცხვი; 4) ნუ გადახდებათ მოსწავლეებს სემინარიაში დაკარგული ან დამტვრეული ნივთის საფასური; 5) ნება დაერთოს მოსწავლეს ქართულ ენაში გადასაცემი გაკვეთილის კონსპექტი ქართულად შეადგინოს; 6) აყვანილ იქნეს ქართული ენის გაკვეთილების რიცხვი ნორმამდე და ნუ მოიშლება ქართული ენის სწავლება მოსამზადებელ კლასებშიც; 7) ნებადართულ იქნეს ყოველდღიური შვებულება პანსიონიდან დაბაში; 8) გადიდდეს შაქრის ნორმა, რადგან ერთ კაცზე ორ-ნახევარი გირვან-

ქა შაქარი თვეში არ კმარა; 9) გაუმჯობესდეს პალტოს ხარისხი; 10) გვეძლეოდეს არა მხოლოდ ერთი წყვილი ფეხსაცმელი წლიურად; 11) უარს ნუ გვეუბნებიან საზაფხულო კარგ ფეხსაცმელზე; 12) უარს ნუ გვეტყვიან ზაფხულში საზაფხულო პალტოს მოცემაზე; 13) უარს ნუ გვეუბნებიან წიგნების მოცემაზე ბიბლიოთეკიდან; 14) ზოგ მასწავლებელს კარგად არ ესმის თავისი საგანი და არ უვარგა გადაცემის მეთოდი; 15) მოზიდულ იქნენ მასწავლებლები უმაღლესი განათლებით, რადგან პედსაბჭოს ახლანდელი შემადგენლობა (ზოგი ინსტიტუტელია) ბევრად ვერ ამაღლებს სემინარიას საქალაქო სასწავლებელთან შედარებით [1].

სლავინსკიმ „დაამშვიდა“ მოსწავლეები: ამ თქვენს პრეტენზიებს განიხილავს განათლების მინისტრი და ეთუოდ დაკმაყოფილებსო. მეცადინეობა განახლდა. დრო გავიდა და სემინარიის დირექტორს მოუვიდა რუსეთის იმპერიის განათლების მინისტრის პასუხი (1902 წ. 5 იანვარი, № 179), საიდანაც ჩანდა, რომ მინისტრი „ვერ ხედავს საკმარის საბუთს სემინარიის წყობის, რეჟიმის შეცვლისა და მოსწავლეთა სურვილების შესრულებისათვის“. მინისტრი მოუწოდებდა სემინარიის დირექტორს „იყოს მტკიცე და ურყევი მოწაფეებისადმი წაყენებულ კანონიერ მოთხოვნილებებში“ და სხვ. გაფიცვამ მხოლოდ ის შედეგი გამოიღო, რომ მოსწავლეები განთავისუფლდნენ ოთახების დაგვა-დასუფთავებისაგან.

5

მოხირი ვ. ი. დევიცკიმ შეცვალა (1903—1905); დევიცკი იყო კაცი არა პედაგოგიური განათლებით (ყოფილი საქციზო ზედამხედველი) და თან ისეთი მხეცი, რომ მისმა ხანმოკლე პარპაშმა არც მაინცდამაინც ხელგაშლით მიღებული მოხირი

[1] საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური არქივი, ფონდი 107, საქმე 307.

ბევრს მოანატრა. დევიცკი პედაგოგიური სასწავლებლის ხელმძღვანელად და აღმზრდელ-პედაგოგად არ ვარგოდა და თან მეტად უდიერად ეპყრობოდა მომავალ მასწავლებლებს: სახეში აფურთხებდა და ფიზიკურ შეურაცხყოფასაც აყენებდა. მოთმინების ფიალაც აივსო და...

1904 წლის 7 დეკემბერს ხონის საოსტატო სემინარიის მოსწავლეებმა პანსიონის საწოლ დარბაზში უამრავი ქვები შეზიდეს და საბნებქვეშ დამალეს. საღამოს 9-10 საათზე კი იმავე დარბაზში ჩხუბის ინსცენირება მოაწყვეს და საშინელი ყვირილი ასტეხეს, რათა ამ საშუალებით სემინარიის შავრაზმელი დირექტორი დევიცკი შემოეტყუებინათ, ყველას ერთდროულად დაეშინა მისთვის ქვები და იქვე კოლექტიურად ჩაექოლათ მხეცი, რომელმაც უსასტიკესი რეჟიმი შემოიღო სემინარიაში, სადისტურად ეპყრობოდა და ხშირად ფიზიკურ შეურაცხყოფასაც აყენებდა სემინარიელთ.

უჩვეულო ხმაურობაზე შემოსულ მორიგე მასწავლებელს — სმირნოვს არავინ დაემორჩილა, რის გამოც ის იძულებული გახდა, თავისდა უნებლიეთ, დევიცკი სასაკლაოზე მოეყვანა. გამოჩნდა თუ არა დევიცკი, სემინარიელმა პეტრუშენკომ მას პირველი ქვა ესროლა და თანაც ამხანაგების გამხნევების მიზნით დაიყვირა: „არ შევშინდებით!“ დაიწყო ქვების სროლა... დევიცკი არ დაიბნა, უცებ იგრძნო განსაცდელი და ელვის სისწრაფით გაბრუნდა უკან, თავს უშველა...

მალე მეფის მოხელეებმა და „სტრაჟნიკებმა“ ალყა შემოარტყეს სემინარიის შენობას, ხოლო დევიცკის, რომელიც სიკვდილს გადაურჩა, მცველები მიუჩინეს, კავკასიის სასწავლო ოლქის წარმომადგენელი ტელეგრაფით გამოიწვიეს (ოლქის ინსპექტორი სლავინსკი ჩამოვიდა), თოთხმეტი სემინარიელი სასწავლებლიდან გარიცხეს, სხვების საქციელი „კონდუიტებში“ შეიტანეს, დევიცკი ხონიდან გააპარეს და რამდენიმე თვე სემინარია უდირექტოროდ დატოვეს. ამ ხანებში რევოლუციის სიომ ძლიერად დაქროლა. უთუოდ ამით უნდა ამოიხსნას ის გარემოება, რომ ხონის სემინარიას თავისი არსებო-



ბის 25 წლისთავზე დირექტორად ქართველი კაცი პირველად მაშინ გამოუგზავნეს.

6

1905 წლის ზაფხულში „სპარსეთის საზღვრებიდან“ ჩამოვიდა ხონის სემინარიის დირექტორად ახალი დანიშნული, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა და ი. გოგებაშვილის თანამედროვე და თანამებრძოლი ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე (1851 — 1917), რომელსაც „გულზე თეთრი წვერი ეყარა, თვალთაგან ცეცხლის ნაპერწკალი გამოსცვიოდა“.

ჯერ კიდევ სემინარიის მოსწავლე ვიყავი, როცა პრესას მივაწოდე (სათაურით „ქართველი საზოგადო მოღვაწენი“) ასეთი ბიოგრაფიული ხასიათის ცნობა:

„ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძემ დაამთავრა სწავლა ჯერ ქუთაისის გიმნაზიაში და მერე 1875 წ. მოსკოვის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. ბუნებით პედაგოგი და ქართველთა სწავლა-აღზრდის მოტრფიალე იგი თავის სპეციალობას თავს ანებებს და ქუთაისში ჩამოსვლისთანავე თავის თანამოაზრეების დახმარებით ხსნის მოსამზადებელ სასწავლებელს ქართველ ყმაწვილთათვის. შემდეგ, როცა ქუთაისში გაიხსნა სათავადაზნაურო სასწავლებელი, ბ-ნი ალექსი მიიწვიეს ამ სასწავლებლის გამგედ და მის ხელში დამყარდა და დამთავრდა ეს სასწავლებელი იმ პრინციპებზე, რომელთაც იგი საუკეთესოდ სახავდა. 1884 წ. იმან შეირთო ცოლად პეტერბურგში საბუნებისმეტყველო კურსებზე ახლად კურსდამთავრებული ქ-ნი ეფროსინე, იაკობ ნიკოლაძის ასული. ქუთაისში თავ.-აზნაურთა სასწავლებლის გამგეობის დროს ის მონაწილეობას იღებდა ყოველ კულტურულ საქმესა და დაწესებულებაში და აგრეთვე მუდმივად თანამშრომლობდა გაზეთ „შრომაში“. შემდეგ ბ-ნი ალექსი არჩეულ იქმნა თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებლის გამგედ, სადაც თავისი ნაყოფიერი შრომით დიდი მადლობა და სიყვა-

რული დაიმსახურა. როცა თბილისის ქართულ გიმნაზიას თავი დაანება, იგი დაინიშნა კავკავის სახალხო სკოლების ინსპექტორად. როცა კავკავში მსახურობდა, ოლქის მზრუნველმა მიანდო მას საქართველოში წასულიყო და დაეთვალიერებინა ის სასწავლებლები, სადაც რუსულის სწავლება მუნჯური მეთოდით სწარმოებდა. ამის შესახებ ა. ჭიჭინაძემ წარუდგინა მზრუნველს საფუძვლიანი მოხსენება, რომელშიაც მკაცრი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მუნჯური მეთოდი, როგორც პედაგოგიურის, ისე ზნეობრივი მხრით უვარგისი და მავნებელი, 1901 წ. ბ-ნი ალექსი დაინიშნა ერევნის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორად. იქიდან გადმოყვანილ იქნა ხონის სემინარიის დირექტორად 1905 წ., ამჟამად ალ. ჭიჭინაძე განაგებს არა მარტო ხონის სემინარიას, არამედ ხონის ვაჟთა პროგიმნაზიას და ქალთა კერძო გიმნაზიასაც სრულიად უსასყიდლოდ. ქართული ენის კარგად მცოდნე, ბ. ალექსი ჭიჭინაძე ქართულ ლიტერატურაშიაც იღებს მონაწილეობას. მან გადმოთარგმნა ქართულად გოგოლის ცნობილი კომედია „რევიზორი", ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი" და სხვ. ამ ბოლო დროს გამოსცა თავის შედგენილი „სახელმძღვანელო გეოგრაფიისა" და „საუბარი, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს პირველდაწყებითი კურსი გეოგრაფიისა", გაკვეთილის ნიმუშებით. ორივე წიგნი ფრიად სასარგებლოა მასწავლებელთათვის. ჯერ სრულიად ჯანსაღი და მხნე ა. ჭიჭინაძე 57 წლისაა და ნაყოფიერად მოღვაწეობს ჩვენში ოცდაათ წელიწადზე მეტი" (ჟურ. „საქართველო", 1908 წ. № 10).

III.

მეფის საწინააღმდეგო მოძრაობა ხონსა და მის რაიონში

1

ხონის საოსტატო სემინარიის მოსწავლეთა გაფიცვები, კერძოდ 1901 წლის გაფიცვა, ერთ-ერთი შედეგი იყო იმ არალეგალური მუშაობისა, რასაც ხონსა და მის მიდამოებში აწარმოებდა ჯგუფი საშა წულუკიძის მეთაურობით.

მართალია, 1900—1902 წწ. უკვე ჭლექით დაავადებული საშა წულუკიძე ექიმების რჩევით ბათუმში ცხოვრობდა და მსახურობდა (საურთიერთო საზოგადოების ბუხჰალტრის თანამდებობაზე) და რევოლუციურ მუშაობასაც უმთავრესად იქ ეწეოდა, მაგრამ ხანდახან მთელი თვეობით ჩამოდიოდა ხონში მამასთან და ხელმძღვანელობდა „იატაკქვეშ“ მომუშავე ამხანაგებს.

ბათუმიდან, თბილისიდან, ბაქოდან და ხან საზღვარგარეთიდანაც ხონში უხვად შემოჰქონდათ არალეგალური ლიტერატურა (პროკლამაციები, ბროშურები, ჟურნალ-გაზეთები — „ისკრა“, „ბრძოლა“, „საქართველო“) და ფარულად ავრცელებდნენ ნოქრებში, მუშებში, გლეხებში, მოსწავლე ახალგაზრდობაში...

1902-3-4 წლებში მეფის საწინააღმდეგო მოძრაობა თანდათან ძლიერდებოდა და პოპულარული ხდებოდა.

2

ჩემს სოფელში, მათხოჯში, იყო საქართველოში ერთ-ერთი ძველი (1897 წელს დაარსებული) კოოპერატივი, რომელსაც ხალხი „ობჩი“ დუქნს ეძახდა. ამ კოოპერატივში ნოქრად განზრახ იყო მოწყობილი როტშილდის თუ მანთაშევის ქარხნის მუშა (ბათუმიდან), „კვალის“ თანამშრომელი კლასიონ მელაძე (1862 — 1917). ჯერ კიდევ ცხრაასიან და შემდგომ წლებში ამ ნიშანდობლივი, სპეტაკი მუშა-გლეხის ხელმძღვანელობით „ობჩი“ დუქნიდან მათხოჯში, მის ახლომახლო და შორეულ მიდამოებში (იმერეთში, ლეჩხუმში, სამეგრელოში)

ფართოდ ვრცელდებოდა არალეგალური ლიტერატურა-პროკლამაციები, წიგნები.

ლეჩხუმიდან თუ სამეგრელოდან მათხოჯში გავლით ხონში მამავალი გლეხები და მუშა-მოსამსახურეები შედიოდნენ „ობჩი“ დუქანში „სავაჭროდ“ და ზოგი მათგანი ნოქარ კლასიონ მელაძისაგან ღებულობდა ლიტერატურას, კონსულტაციას... კოოპერატივის მეორე ნოქარიც — დათიკო კარსანიძე — „ახალთაობის კაცი“ იყო. „გარედან“ მათ ესტატე ბარაბაძე უწყობდა ხელს. დღითი დღე იზრდებოდა ახალთაობის ხალხი, ნიკოლოზის ტახტიდან გადმოგდების ენთუზიასტები. აშკარა და ფარულ წინააღმდეგობასაც ჰქონდა ადგილი. მთავრობის აგენტობაში ეჭვმიტანილი ერთ-ერთი ნოქარი (ბართლომე კინწურაშვილი) ბათუმიდან საგანგებოდ ჩამოსულმა როტშილდის და მანთაშევის ქარხნის მუშამ, მათხოჯელმა ენუქი მელაძემ, შუალამეზე გააღვიძა, გამოიხმო გარეთ, იქვე,

კოოპერატივის კარებთან, მოკლა ტყვიით და მიიმალა. საერთოდ, ბათუმისა და ფოთის ქარხნების, აგრეთვე ნავსადგურების გემების მტვირთავი მათხოჯელი მუშების გავლენა აშკარად იგრძნობოდა 1903—1904 წლების მათხოჯში. მეტიც: ბათუმის ერთ-ერთი ქარხნის მუშამ, მათხოჯელმა ვიქტორ ძიძიგურმა, ამხანაგების დავალებით ბათუმის მთავარ ქუჩაზე 1905 წლის 16 იანვარს მოკლა ბათუმის ცნობილი ჯალათი, ურიადნიკი ლევან გურიელი. მკვლელობის აქტის ჩადენის შემდეგ ვიქტორ ძიძიგური მათხოჯში იმალებოდა და იძულებით დატოვებულ ქარხანაში თავის საშუალო გამომუშავებას (შვიდ აბაზს დღეში) ბათუმის მუშებისაგან ღებულობდა.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ფრაქციული უთანხმოების ჩამოვარდნის შემდეგ კლასიონ მელაძეს უშუალო კავშირი ჰქონდა კობა ჯუღაშვილსა და საშა წულუკიძესთან, აგრეთვე — ხონში პოლიკო კიკალიშვილთან. მათხოჯის კოოპერატივის საქმიანობა, ჩანს, შეუმჩნეველი არ დარჩა მეფის მთავრობას და სწორედ ამიტომ იყო, რომ რეაქციის შავბნელ დღეებში ალიხანოვის კაზაკებმა სასტიკად დაარბიეს ეს „ობჩი“ დუქანი და, ვინც მაშინ ხელში მოხვდათ, დასაჯეს და გააციმბირეს.

3

ბაბუაჩემის ოჯახში ნიკოლოზ ძეორის სურათი იყო, ვეებერთელა ოქროს ჩარჩოში ჩასმული. მამაჩემთან შეთანხმების შედეგად კლასიონ მელაძემ და ორმა მისმა მხლებელმა ზეწრებში გახვიეს „ხელმწიფე“ და წაიღეს.

ერთ დღეს იდუმალი ხმა გავრცელდა — მათხოჯსა და ახალბედისოულს (მათხოჯის მოსაზღვრე სოფელია) შორის მდებარე მინდორ-ჩირგვებში ფარული მიტინგი იქნება, რომელზედაც დიდი რევოლუციონერი ილაპარაკებსო. ცნობილი იყო ისიც, რომ მიტინგის ადგილიდან ხონამდე, თოფის ხმის გაგონების მანძილებზე, დაყენებული იქნებიან სანდო პირები,

რომლებიც თოფის გასროლით შეატყობინებენ ხალხს საფრთხის მოახლოებასო.

ხონიდან მიტინგის ადგილამდე 7-6 კილომეტრი გზა იქნებოდა. ხონიდან დაახლოებით ერთი კილომეტრის დაშორებით, „თოფის ხმაზე“ იდგა თოფიანი კაცი, ამ უკანასკნელიდან კიდევ ერთი კილომეტრის მოცილებით მეორე, შემდეგ მესამე და ასე—მიტინგის ადგილამდე. მიტინგის გაცემის შემთხვევაში, პოლიციისა და ჩაფრების მათხოვნისაკენ წამოსვლას თოფის გასროლით აცნობებდა პირველი მაცნე მეორეს; მეორეც, გაიგონებდა თუ არა თოფის ხმას, გაისროდა თოფს; ასე მოიქცეოდა მესამეც, მეოთხეც, მეხუთეც, მეექვსეც, მეშვიდეც, უკანასკნელიც... ამ საშუალებით მიტინგი ხუთ წუთში გაიგებდა პოლიციის ხონიდან გამოსვლას, რის შემდეგ, ვიდრე პოლიცია 7-8 კილომეტრს გაივლიდა, თითოეული მოქალაქე ადვილად მოახერხებდა თუ თავის სახლში მისვლას ვერა, სადმე მიუვალ ჩირგვებში დამალვას.

მეც (თხუთმეტიოდე წლის ჭაბუკი) ვიყავი იმ დაუვიწყარ მიტინგზე, რომელზეც დაახლოებით ათასზე მეტი ქალი და კაცი იქნებოდა. მიტინგი გვიან ღამე დაიწყო.

პროპაგანდისტი სიტყვას ამბობდა. ჩვენი ოჯახიდან წაღებული ხელმწიფის სურათი იქვე, ცოტა მოშორებით, მაღალ ხეზე იყო თავდაღმა ჩამოკიდებული. ილაპარაკეს სხვებმაც. თქვეს: „სპიჩქას“ ბანდეროლი რომ არ ჰქონდეს, ხუთი იქნებოდა კაპიკადო; მთავრობა ახრჩობს და აწვალებს ხალხსო; სასამართლოში ქართულად არ გვალაპარაკებენო, სკოლაში ქართულ ენას სდევნიანო; „სტრაჟნიკებმა“ აგვიკლესო; მეფის გადასახადებმა სული ამოგვაძვრესო; მღვდელი ჩვენგან წაღებული დრამის ფულით და ტაბლებით სუქდება, ჩვენ კი მშივრები ვართო; მიწას ჩვენ ვამუშავებთ და მოსავალი თავადებს მიაქვთო; მატერიებს მუშები აკეთებენ და თვითონ ძოძებში არიანო; მუშებისა და გლეხების ძმობას გაუმარჯოს, თავისუფლება ბრძოლით მოიპოვება, ძირს სულთამხუთავი მეფე, ხალხის თავისუფლებას გაუმარჯოსო და სხვ.

მიტინგი გათავდა. ერთბაშად გაისმა თოფების ხმა. რამდენიმე კაცი ტყვიებს ჯშენდა უკუღმა დაკიდებულ ნიკოლოზის სურათს. ზოგმა ქვებიც ესროლა. ხუთიოდე წუთში ტყვიებმა და ქვებმა სულ დაფლითეს ნიკოლოზის სურათი. ძმადშეფიცული და მხიარული ხალხი დაიშალა...

4

მახსოვს, 1904 წლის აღდგომის დღესასწაულზე ჩვეულებრივ უამრავი ხალხი იყო მათხოჯის ეკლესიაში. მეც იქ ვიყავი. მღვდელმა, სამსონ შენგელიამ, შეასრულა სახარების კითხვა და ღამის წირვა-ლოცვები. წირვა გათავდა, გათენდა კიდეც და ხალხი ეკლესიიდან გარეთ გამოეფინა. ვხედავთ: ეკლესიის ეზოში, ერთ მაღალ ხეზე ფრიალებს ვეებერთელა წითელი დროშა. იქვე გამოკიდებულია პლაკატი წარწერით: „გაუმარჯოს თავისუფლებას“ ხალხში ჩოჩქოლი ატყდა. ზოგს უხაროდა, ზოგი ბრაზობდა, ზოგს არც ეს ემჩნეოდა, არც ის...

ეკლესიიდან მღვდელი შენგელიაც გამოვიდა, დაინახა ეს სურათი და გაგიჟდა, პირდაპირ დორბლს ჰყრიდა პირიდან; შეხტა უცებ სასაფლაოს ერთ-ერთ ქვაზე და საშინელი სიტყვით მიმართა ხალხს; იმუქრებოდა, დაბეზღებასა და დაჭერას უქადდა ყველას, თუ „დამნაშავეს“ არ აღმოაჩენთო.

თხუთმეტი წლის ვიყავი, მაგრამ კარგად მაინც არ მესმოდა, რა იყო აქ გასაბრაზებელი, „რა საშიშროებას“ წარმოადგენდა „წითელი დროშა“, ან რა „დანაშაული“ იყო სიტყვებში „გაუმარჯოს თავისუფლებას“, კარგად ვერ გამეგო აგრეთვე, ამ თავისუფლებით ვის რა უშავდებოდა...

5

1905 წლის ნოემბრის ერთ მშვენიერ ღამეს ეკლესიის ზარების განუწყვეტელმა რეკვამ გაგვაღვიძა ხონის სემინარიის პანსიონში; საწოლი ოთახიდან გადავიხედეთ — უამრავი ხალხია ქუჩაში.

— რა ამბავია? — ვკითხულობთ.

— ქუთაისში შეტაკებაა და მივდივართ, გვინდა მივეშველოთ მუშებს მთავრობის მომხრეებთან ბრძოლაში! — გვიპასუხა ვიღაცამ.

— ჩვენც თქვენთან ვართ, მოვდივართ! — სიხარულით გადავძახეთ ქუჩას.

სასწრაფოდ ჩავიცვით და ქუჩაში გავედით... ქალი, კაცი, ახალგაზრდა, მოხუცი... წალდით, ნაჯახით, ჯოხით, სანადირო თოფით, ხანჯლით... ქვეითად, ცხენით, ურმით, ეტლით, დილიჟინით, მიდიან ქუთაისს. ჩვენც გავყევით ტალღას. გზაში დაგვათენდა.

ჯერ შუადღეც არ იყო, როცა სოფ. მაღლაკს მივაღწიეთ (18-20 კილომეტრი გავიარეთ ხონიდან), ეტლით წასულებს უკვე მოესწროთ ქუთაისს ჩასვლა და იქიდან დაბრუნება. ისინი სოფ. მაღლაკის მიდამოებში შემოგვხვდნენ და გვითხრეს:

— დაბრუნდით უკან, შეტაკებას ადგილი არა ჰქონიაო.

ამ ცნობაზე ეს ზღვა ხალხი შებრუნდა ხონისაკენ. ჩვენც, სემინარიელებიც, დავბრუნდით. გზაში ალექსი ჭიჭინაძე შემოგვხვდა. ურემს მოჰყვებოდა ქვეითად. როცა მხცოვან პედაგოგს გაეგო ჩვენი წამოსვლა, ეთქვა: შიმშილით დაიხოცებიანო. ერთი ურემი პური, ყველი, კონსერვები და ძეხვები მოემზადებინა ჩვენთვის წამოსაღებად და თვითონაც წამოსულიყო. გზაში დავნაყრდით. ღამდებოდა, როცა სემინარიაში დავბრუნდით.

6

ერთხელ ხონის ბაღში მეფის საწინააღმდეგო დიდი მიტინგი იყო მოწვეული. ამ მიტინგს დაესწრო როგორც დაბა ხონის, ისე ახლომახლო სოფლების უამრავი მცხოვრები. მიტინგის დაწყებამდე ხონში ჩამოვიდა მაშინ ცნობილი ანარქისტი მიხაკო წერეთელი.

ის ჯერ პირდაპირ სემინარიაში შემოვიდა (ალბათ, ჭიჭინაძემ სთხოვა) და სემინარიელებს წაგვიკითხა ლექცია, არ მახსოვს, რა თემაზე, ის კი მახსოვს, რომ შესავალში ბოდი-

ში მოიხადა: მე ჩამოვედი ხონის მიტინგზე დასასწრებლად. ამ ლექციისათვის არ მოვმზადებულვარ, ამიტომ უთუოდ სიტყვა გამიგრძელდება: საათზე მეტი დრო დასჭირდება იმის თქმას, რასაც ნახევარ საათში მოგახსენებდით, რომ მოვმზადებულიყავიო.

გათავდა ლექცია და მიტინგიც დაიწყო სემინარიის წინ, ხონის დიდ ბაღში. მიტინგზე მენშევიკები ბატონობდნენ; იყვნენ სხვა პარტიების წარმომადგენლებიც.

მიტინგზე სიტყვის სათქმელად გამოვიდა ანარქისტი მ. წერეთელი. მას გამოჰყვენ ა. ჭიჭინაძე, მასწავლებლები და ჩვენც, სემინარიელები.

მიხ. წერეთელი ავიდა ტრიბუნაზე და მიტინგის თავმჯდომარეს, მენშევიკს, სთხოვა სიტყვა. თავმჯდომარემ იქვე მდგარ პარტიულ ამხანაგებს დაუწყო ჩურჩული, შემდეგ შეეკითხა ხალხს: „აფხანიკებო, ანარქისტი წერეთელი (დაცინვით აუწია ხმას) სიტყვას გვთხოვს და, მგონია, არ გვინდა!.. რას იტყვით თქვენ?“

— არ გვინდა... არ გვინდა... — გაისმა აქეთ-იქიდან.

— ამხანაგებო, მეზობლებო, მეგობრებო!.. — დაიყვირა იქვე ტრიბუნაზე მდგარმა ფედერალისტმა ს. მ-მა, — როცა მ. წერეთელი სიტყვას ამბობს ლონდონში, მოქალაქეები პარიზიდან ჩადიან ლონდონში მის მოსასმენად; როცა პარიზში ამბობს სიტყვას, ბერლინიდან ჩადიან პარიზში მის მოსასმენად... თქვენ კი უარს ეუბნებით მას მოსმენაზე. ვაი, სირცხვილო.. ვაი სირცხვილო...

— მოქალაქენო!.. — სჭექა ანარქისტმა და უნებართვოდ დაიწყო სიტყვა.

7

იმ ხანებში (1905 წ.) სამმა მათხოვჯელმა (ვარლამ მელაძემ — პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტმა, ნესტორ ძიძიგურმა — ჩემმა უფროსმა ძმამ, საოსტატო სემინარიის უკანასკნელი კურსის აღსაზრდელმა, და ლავრენტი მელაძემ —

შემდეგ შესანიშნავმა ექიმმა, ჟენევის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორმა, წერილი გაუგზავნეს „იასნაია პოლიანაში“ ლევ ტოლსტოის, რომელსაც ემუდარებოდნენ მოეწერა მათთვის, თუ რა აზრის არის დიდი მწერალი რევოლუციაზე.

ტოლსტოიმ ახალგაზრდების თხოვნა დააკმაყოფილა და ვრცელი (მანქანაზე დაბეჭდილი ცხრაგვერდიანი) წერილი გამოგზავნა მათხოვრში. საპასუხო წერილის შინაარსის დეტალები კარგად არ შერჩენია ჩემს მეხსიერებას, მაგრამ მისი მთავარი დედააზრი ძირითადად მახსოვს: ტოლსტოი იწერებოდა, რომ ადამიანმა არ უნდა ჩაიდინოს რაიმე დანაშაული, ხალხმა უნდა იცხოვროს ისე, რომ საქმე არ გაუჩინოს პოლიცია-ჟანდარმერიას, სასამართლოს... ამგვარად, დროთა ვითარებაში პოლიცია, ჟანდარმერია, სასამართლო და მისთანანი, როგორც უფუნქციონი, ქვეყნის ხორცმეტნი და ზედმეტი ბარგნი, თავისთავად მოისპობიანო.

მათხოვრლებს იმ ხანებში გულუბრყვილოდ სწამდათ, რომ მალე მსოფლიო რევოლუციის შედეგად თუ თავისთავადაც ყველგან დამყარდებოდა ძმობა, ერთობა, თანასწორობა და რომ დედამიწაზე ყოველ ადამიანს ეცოდინებოდა მარტო ორი ენა: ერთი მშობლიური, მეორე — „ესპერანტო“, ყველა ეროვნებისათვის საერთო ენა.

მშობლიური ენა იქნება საოჯახო და თავის ხალხთან სალაპარაკო ენა, „ესპერანტო“ კი — საერთაშორისო; ამ ენის ცოდნა საშუალებას მოგვცემს ყველას მთელი ქვეყანა შემოვიაროთ და ვისაც გვინდა ველაპარაკოთ (რუსს, ფრანგს, ამერიკელს, თათარს, არაბს... რადგან იმათაც ეცოდინებათ „ესპერანტო“).

მათხოვრში გლეხების, ინტელიგენციისა და მოწაფეების ერთი ჯგუფი ზემონახსენები დიდი ფანტაზიორის ლავრენტი მელაძის ხელმძღვანელობით ვსწავლობდით „ესპერანტოს“. დღესაც მახსოვს იმ დროს ნასწავლი რამდენიმე სიტყვა ამ „საერთაშორისო“ ენიდან: „ინ მია ამიკო“ და მისთანანი.

IV.

სემინარიის ახალი დირექტორი. რეჟიმი, მასწავლეგლეგი

1

ხონის სემინარიაში მისაღები გამოცდები მიმდინარეობდა, როცა ქუთაისიდან ხონში ჩამოასვენეს (1905 წლის 12 ივნისს) და დაკრძალეს ერთ-ერთი გამოჩენილი მარქსისტი, ნიჭიერი პროპაგანდისტი, მუშათა კლასის საქმის ბოლომდე ერთგული საშა წულუკიძე. ცხედარს ჩამოჰყვა 25-26 წლის ი. სტალინი. მიტინგი, რომელსაც 10 ათასზე მეტი კაცი დაესწრო, გადაიქცა გრანდიოზულ პოლიტიკურ დემონსტრაციად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

იმ ფაქტით, რომ მეტად უდროოდ დაფერფლილი მგზნებარე რევოლუციონერის პატივსაცემად მოწყობილ დიდ მიტინგზე დასწრება ახალმა დირექტორმა ალექსი ჭიჭინაძემ არათუ არ დაგვიშალა მანამდე სულ პანსიონში ჩაკეტილ სემინარიელებს, არამედ თვითონაც დიდად სწუხდა დიდი რევოლუციონერის დაკარგვას, — ჩვენ ყველამ პირველად და ნათლად ვიგრძენით, თუ ვის მხარეზე იყო ალექსი ჭიჭინაძე.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ დევიცკი იყო თავისი თანამდებობისათვის სრულიად შეუფერებელი და მოუმზადებელი, მიკერძებით დანიშნული (კავკასიის სასწავლო ოლქის ინსპექტორის სლავინსკის ახლო ნათესავი იყო)

შავრაზმელი ჯაშუში, თორემ მისი წინამორბედი დირექტორები ფრიად განსწავლულნიც იყვნენ და იშვიათი პედაგოგებიც. ასე რომ, ალექსი ჭიჭინაძეს ადვილად როდი შეეძლო ისეთი განუზომელი პატივისცემა და ავტორიტეტი დაემსახურებინა სემინარიელებსა და ფართო საზოგადოებაში, როგორიც მან ხონში ცხრა წლის მუშაობით დაიმსახურა. ალექსი ჭიჭინაძე იყო შესანიშნავი პედაგოგი და სამაგალითო ალმზრდელი.

არცთუ ისე დიდი ხნის მოსული იყო ხონში ჭიჭინაძე, როცა მთელ სემინარიაში სავსებით შეგნებულად და ძალდაუტანებლივ რაღაც ისეთი გარდუვალი რწმენა თუ შეგნება დამკვიდრდა, რომ თითოეული ჩვენგანი (ქართველი, რუსი, უკრაინელი, ბერძენი თუ უდი), ვიდრე რაიმეს ჩავიდენდით, ვიდრე ასე მოვიქცეოდით თუ ისე, აუცილებლად შეეკითხებოდით საკუთარ თავსა და სინდისს: მოიწონებს თუ არა ჩვენს საქციელს ალექსი ბესარიონის ძე? როგორ შეაფასებს ის ამას, დადებითად თუ უარყოფითად? „უარყოფითი" პასუხის გაფიქრების შემთხვევაში უსათუოდ შევიკავებდით თავს, რაგინდ დიდი სურვილიც არ გვქონოდა სხვანაირად მოქცევისა. ეს შეგნება თუ გრძნობა თითოეულ ჩვენთაგანში იმდენად ძლიერი იყო მაშინ, რომ ვფიქრობ, აწ განსვენებული ალექსი ბესარიონის ძის ყოფილ მოწაფეთაგან ახლაც არა ერთი და ორი (ვიდრე რაიმე საქმეს შეუდგებოდეს) შეეკითხება თავის თავსა და სინდისს: რას იტყოდა ამის შესახებ ალექსი ბესარიონის ძე?

2

განა ყვირილითა და ცემა-ტყეპით აკეთებდა ალექსი ჭიჭინაძე დიდ პედაგოგიურ საქმეს? განა დამუქრებით ზრდიდა ის მოსწავლეებს და, წარმოიდგინეთ, თავის კოლეგებსაც ეს! განა ერთსა და იმავეს ჩაგვჩიჩინებდა განუწყვეტლივ? პირიქით, ერთხელ ნათქვამს მეორედ იშვიათად გაიმეორებდა, მაგრამ ისეთნაირად მოიქცეოდა, რომ სირცხვილის ალმური

მოგვეკიდებოდა, სინდისის ქენჯნას გაგვაცდევინებდა. გავიხსენებ მხოლოდ ერთს, თითქოს უბრალო მაგალითს: ა. ჭიჭინაძის ხონში ჩასვლამდე მასწავლებლები მეტ შემთხვევაში კალოშებით შედიოდნენ სამასწავლებლო ოთახში, კალოშებს იქვე გაიხდიდნენ და კუთხეში მიყრიდნენ. ალექსი ბესარიონის ძემ ერთხელ უთხრა თავის კოლეგებს: „აჯობებდა კალოშების დერეფანში დატოვებაო“... ამის შემდეგ მასწავლებლები ერთ ხანს კალოშებს დერეფანში ტოვებდნენ. ერთი-ორი კვირის შემდეგ ზოგს დაავიწყდა ალექსი ბესარიონის ძის ნათქვამი, ძველი ჩვეულებისამებრ კალოშებით შევიდა სამასწავლებლო ოთახში, იქ გაიხადა კალოშები და ძველებურად იქვე მიჰყარა კუთხეში. ბედად დიდ შესვენებაზე, როცა სამასწავლებლო ოთახში ჩაის მიირთმევდნენ მასწავლებლები, შევიდა ალექსი ჭიჭინაძე და... დაინახა კუთხეში 2-3 წყვილი კალოში! ხმა არ ამოუღია, საყვედური არავისთვის უთქვამს, პირდაპირ კუთხისაკენ წავიდა ეს თეთრწვერა, მოხუცებული კაცი, დაუყოვნებლივ აკრიფა კალოშები, უხმოდ გაიტანა დერეფანში და თავის ადგილას დააწყო. ამ სანახაობაზე მასწავლებლებმა ჩაის სმა შეწყვიტეს, ადგილებიდან წამოცვივდნენ, ყველა სირცხვილით დაიწვა. ამის შემდეგ სამასწავლებლო ოთახში კალოშებით არავინ შესულა...

3

ჭიჭინაძე ბეჯითად ადევნებდა თვალყურს თითოეული სემინარიელის მოქმედებას. გვკიცხავდა, თუ შეგვამჩნევდა უსაქმობას და აქეთ-იქით ხეტიალს. ერთხელ შემამჩნია სემინარიის ეზოში უსაქმოდ მოხეტიალე და დამიძახა:

— ვარლამ დადიანო, აქეთ მობრძანდით!..

გამიკვირდა, რომ ჩემი გვარი შეეშალა; მით უფრო გავოცდი, რომ დადიანი არავინ სწავლობდა სემინარიაში. სწრაფად ვეახელ და მორიდებით მოვახსენე, რომ მე ძიძიგური ვარ.

— არა, ყმაწვილო, დადიანი ხარ, დადიანი: სულ დადი-

ხარ, სულ დადიხარ! — მიპასუხა ღიმილით. ეს შემთხვევა გულში ჩამებეჭდა და მას შემდეგ ვცდილობდი ძვირფასი დრო არ დამეკარგა უსაქმო სიარულში...

4

უფროსის თანდასწრებით რომ უმცროსს არ შეუძლია ვისმეს გაუწყრეს, რომ ასეთი საქციელი უმცროსის მხრივ თავხედობაა, უწესობაა, უზრდელობაა, — ეს პირველად სემინარიაში გავიგე.

ერთხელ ალექსი ჭიჭინაძე სემინარიის ეზოში ელაპარაკებოდა ერთ-ერთ დარაჯს. მათთან მივიდა სემინარიის ეკონომისტი ვასო თარგამაძე და ჭიჭინაძის თანდასწრებით გაუჯავრდა დარაჯს, ყვირილი დაუწყო (რადგან საქმე არ გაეკეთებინა ისე, როგორც ეს საჭირო იყო).

„მიბრძანდით აქედან! — საშინელი სიბრაზით უთხრა თარგამაძეს ა. ჭიჭინაძემ, — როგორ არა გრცხვენიათ და ბედავთ ჩემი თანდასწრებით გაჯავრებას? თავხედი ყოფილხართ, უწესო... (და მთელი ნატაცია წაუკითხა).

5

ალექსი ჭიჭინაძე ხანდახან საგანმანათლებლო მიზნით მოგვითხრობდა მის მიერ ნახულ და გაგონილ შემთხვევებს, ამბებს:

„ერთხელ „პირველი ნაბიჯის“ ავტორებთან, გიორგი წერეთელთან (გ. წერეთელი და ა. ჭიჭინაძე ქვისლები იყვნენ: ორივეს ცოლებად ჰყავდათ ნიკო ნიკოლაძის დები). რამდენიმე კაცი ვიყავით სტუმრად. მასპინძელმა თავისი 8-9 წლის ვაჟი მოიხმო და უთხრა: „შედექი სკამზე, ლექსები და მოთხრობები წაგვიკითხეო!“ პატარა ბავშვი შეხტა სკამზე და ხუთიოდე ლექსისა და მოთხრობის კარგი დეკლამაციით დაგვატკბო. ყველანი მოვეხიბლა იმ გარემოებამ, რომ ბავშვი

განიცდიდა იმას, რასაც ამბობდა, მეტყველებდა მისი გული და არა მარტო ენა. მამამ შვილს ერთ-ორჯერ შეუსწორა მიმიკა, დიქცია. შემდეგ, როცა ბავშვი მეორე ოთახში გავიდა, მასპინძელმა გვითხრა სტუმრებს: „ვინ იცის, იქნებ ოდესმე ჩემი შვილი გამოჩენილი ორატორი დადგეს. ამთავითვე ვიჭერ თადარიგს, ბავშვს სწორმეტყველებასა და დეკლამაციაში ვავარჯიშებ, საქართველოს ორატორს ვუმზადებო“.

— ჩვენთვის ამჟამად ის არის საინტერესო და ყურადსაღები, — დასძინა ალექსი ჭიჭინაძემ თავის მოგონებას, — რომ ხანგრძლივი, მონდომებული და გონივრული ვარჯიშობა, ყოველთვის სასურველ ნაყოფს იძლევა, ამაში თქვენ მალე დარწმუნდებით.

ჩვენი დიდი პედაგოგის დებულების სისწორეში შემდეგ და შემდეგ დავრწმუნდით.

6

ილია ჭავჭავაძის ვერაგულად მოკვლის შესახებ ცნობის მიღების დღეს თვალცრემლიანმა ალექსი ჭიჭინაძემ დაგვიხასიათა „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი“ და, სხვათა შორის, ისიც თქვა, რომ „განსვენებული ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში, გიმნაზიაში, გამოირჩეოდა სხვებისაგან ქართული ენის კარგი ცოდნით, რისთვისაც თავის დროზე მიუქცევია ყურადღება პოეტ გრიგოლ ორბელიანს, რომელიც შემთხვევით დასწრებია გამოცდებზე პატარა ილიასო“.

თითქმის ორმოცი წელი იყო გასული მხცოვანი პოეტის მკვლელობის დღიდან, როცა ერთი ანალოგიის მიხედვით გამახსენდა ალექსი ჭიჭინაძის ნათქვამი იმის შესახებ, რომ ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ გიმნაზიაში გამოირჩეოდა სხვებისაგან ქართული ენის კარგი ცოდნით; ამასთან დაკავშირებით შევისწავლე ცოტა რამ (წელი, კლასი, ორბელიანი,

ილიას ნიშანი ქართულ ენაში, გიმნაზიის დირექტორის გვარი), ლიტერატურულად გავაფორმე გაგონილი და მოვათავსე ჩემ მიერ მოზრდილთათვის შედგენილ სახელმძღვანელო წიგნში („ქართული ენა", 1946 წ., გვ. 340). აი ისიც.

ყოჩაღი მოწაფე

(გაგონილი)

ერთხელ თურმე თბილისის პირველ ვაჟთა გიმნაზიაში გამოცდები მიმდინარეობდა ქართულ ენაში.

საგამოცდო მაგიდასთან გამოსულა 13-14 წლის ჩასკვნილი IV კლასის მოწაფე. ყველას ძალაუნებურად მიუქცევია ყურადღება ჭაბუკის ღრმა და ჭკვიანი თვალებისათვის.

— ვინ არის ეს ბავშვი? — ჩუმად უკითხავს გამოცდებზე დამსწრე სტუმარს, ცნობილ პოეტს გრიგოლ ორბელიანს.

— ეს ჩვენი საუკეთესო მოწაფეა, — სიამაყის გრძნობით უპასუხნია საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეს, სკოლის დირექტორს ნ. დემენტიევს.

ყმაწვილს ქართულის ღრმა ცოდნა გამოუმჟღავნებია. ყველა შეკითხვას ის თურმე თავისუფლად, დარწმუნებით, ჩქარა და, რაც მთავარია, არა სახელმძღვანელოდან თუთიყუშივით გაზეპირებული ფრაზებით, როგორც ეს ძველად მიღებული იყო, არამედ თავისი სიტყვებით უპასუხებდა.

გ. ორბელიანსაც მიუცია რამდენიმე ძნელი შეკითხვა. ბავშვი შეკითხვებს შეუფერხებლივ უპასუხებდა. დამსწრეებს სიხარულით თვალები გაბრწყინებიათ.

საგამოცდო კომისიას დაუწერია ნიშანი „5".

გ. ორბელიანს ყმაწვილი მოუხმია, შუბლზე უკოცნია, მიულოცავს ბრწყინვალე გამარჯვება და წიგნი უჩუქებია.

ჭაბუკს ზრდილობიანი მადლობა მოუხსენებია და თავის ადგილას დამჯდარა.

— რა გვარია ეს ყოჩაღი მოწაფე, რომელსაც მე ეხლა წიგნი ვაჩუქე, — უკითხავს სტუმარს.

— ჭავჭავაძე, — უპასუხნია საგნის მასწავლებელს; სახელიც კი არ უთქვამს.

აბა, ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ეს „ბურთივით მრგვალი“ ჭაბუკი — ილია ჭავჭავაძე, რომელსაც „თვალთაგან ცეცხლის ნაპერწკალი გადმოსცვიოდა“, ქართველი ხალხის საამაყო მწერალი იქნებოდა.

7

სემინარიაში თითქმის ყველა კარგად სწავლობდა. გამონაკლისს შეადგენდა ზოგი შავრაზმელი, ისიც მხოლოდ ქართული ენის მიმართ: ჩვენს დედაენას ძაღლის ენად თვლიდა და განზრახ არ სწავლობდა. არ ვიცი, რა მიზეზით, მაგრამ მათი ცოდნაც ქართულ ენაში ფასდებოდა ნიშნით „3“. ეს გვაწუხებდა ზოგს. ალექსი ჭიჭინაძემ წესად შემოიღო: სემინარიელები, ეს მომავალი მასწავლებლები, დასწრებოდნენ საგნის მასწავლებლებს მოსწავლეებისათვის მეოთხედური ნიშნების გამოყვანის დროს და თავიანთი აზრიც მიეწოდებინათ ამა თუ იმ ნიშნის სამართლიანობის შესახებ. ერთხელ მეც ამირჩიეს ამხანაგებმა თავიანთ წარმომადგენლად მეოთხედური ნიშნების გამოყვანაში მონაწილეობის მისაღებად. ნიშნების გამოყვანის დროს მე მოვახსენე ქართული ენის ცნობილ მასწავლებელ ტრიფონ თაბუკაშვილს, რომ ჩემს კლასში ექვს რუსს ეკუთვნის ორიანები ქართული ენის ცოდნაში. ტრ. თაბუკაშვილმა გაიზიარა ეს აზრი და, მიუხედავად გარკვეული რისკისა, ექვს კაცს დაუწერა ქართულში „2“. ცხადია, პედაგოგიურ საბჭოს მოხსენდა ნიშნები. საბჭოს სხდომის შემდეგ ალექსი ჭიჭინაძემ დაიბარა ექვსივე მოწაფე თავის კაბინეტში, რა ელაპარაკა მათ, არ ვიცი, მაგრამ ის კი კარგად მახსოვს, რომ, დაბრუნდნენ თუ არა ისინი კლასში, მათგან ხუთმა მაშინვე ამოიღო წიგნები და გულმოდგინედ დაიწყო კითხვა: „მოდი, ვნახოთ ვენახი, რამ შეჭამა ვენახი“, „მოდი, ვნახოთ ვენახი, რამ შეჭამა ვენახი“... მეექვსემ კი,

ჭარხალივით გაწითლებულმა და მეტად აღელვებულმა ოსტროუხოვმა, „დედა-ენის“ ნაცვლად ქაღალდი ამოიღო და რაღაცის წერა დაიწყო. სულმა წაგვძლია, სანამ გავიგებდით შინაარსს, როცა ერთმა ამხანაგმა მიპარვით წაიკითხა მთელ თაბახზე გადაჭიმული დაბეზღება (სწერდა კავკასიის ოლქის მზრუნველს, რომ დირექტორი ჭიჭინაძე რევოლუციონერია, შოვინისტია, რუსებს გვაწიოკებს, ჩვენგან ქართულის შესწავლას დაბეჯითებით მოითხოვსო და სხვ.) ერთი ჩვენგანი წინ დაუდგა ოსტროუხოვს და მოსთხოვა, მყისვე თავისი ხელით დაეხია დაბეზღების ქაღალდი, ხოლო, რადგან მან ეს არ შეასრულა, ქაღალდი ხელიდან გამოვტაცეთ და თავზე დავახიეთ. აყვირდა. ატყდა ჩოჩქოლი... ყველამ, მათ შორის პირველ რიგში რუსებმა (განსაკუთრებით პოპოვმა) ენერგიულად გაიცხეს ოსტროუხოვი.

Ე

ერთხელ ალექსი ჭიჭინაძემ დამიბარა თავის ბინაზე (სემინარიის შენობაშივე ცხოვრობდა). ვეახელ საყვარელ დირექტორს. ის თავის სამუშაო კაბინეტში იჯდა. მასთან იყო სტუმარი — 20-25 წლის კაცი. შეხედვისთანავე ვიცანი, რომ ის იყო ჩემი სოფლის მღვდლის, რეაქციონერ სამსონ შენგელიას შვილი.

— გაიცანით. ეს ამხანაგი გოგელიაა, — მითხრა ალექსი ჭიჭინაძემ, — მას თბილისიდან დავალებული აქვს შეკრიბოს ხონში შემოწირულებანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასარგებლოდ, რომელიც თბილისში უნდა გაიხსნას.

სტუმარმა ხელი გამომიწოდა ჩამოსართმევად და თან გაიმეორა „თავისი“ გვარი — გოგელია.

— უკაცრავად, თქვენ შენგელიაარ ბრძანდებით? — ვკითხე გაოცებით.

— არა! გოგელია ვარ! — ისე დაბეჯითებით და მრისხანედ მითხრა, რომ უცებ ეჭვი შემეპარა, ხომ არ ვცდებიმეთქი, და ბოდიშით ვუთხარი:

— უკაცრავად, მე ერთ ჩემს შორეულ ნაცნობს მიგამსგავსეთ!

— ვარლამ ჩემო! — მომმართა ისევ ალექსი ჭიჭინაძემ, — შენ ყოჩაღი ყმაწვილი ხარ, ჩვენი სამშობლოსა და საზოგადო საქმის მოყვარული. საქართველოს სახელოვან შვილებს სურთ მოამზადონ ნიადაგი თბილისში უმაღლესი სასწავლებლის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის გახსნისათვის... შეგნებულ ქართველებში კრეფენ ამ მიზნით შემოწირულებას. მე შევეცადე შემედგინა ვრცელი საორიენტაციო სია, თუ ვის შეიძლება ამ მიზნით მივმართო ხონში. აი, ეს სიაც, — გამომიწოდა სია და განაგრძო: — გთხოვთ არ დაიზაროთ, ამხანაგ გოგელიასთან ერთად ინახულოთ აქ აღნიშნული პირები და სთხოვოთ შემოწირულების გაღება ამ ფრიად მნიშვნელოვანი საქმის სასარგებლოდ...

— სიამოვნებით, ბატონო ალექსი... ოღონდ ჩვენ თბილისში გვეღირსოს უმაღლესი სასწავლებელი და მაგისათვის ძალონეს აბა როგორ დავიშურებ? ჩემ მხრივაც გავიღებ, რაც კი შემიძლია...

— კეთილი! აბა, ახლავე შეუდექით საქმეს... ამ ამხანაგს ეჩქარება და ყოველი წუთი კარგად გამოიყენეთ!.. — მითხრა ალექსიმ და გამოგვისტუმრა ორივენი...

გამოვედით თუ არა ჭიჭინაძის ბინიდან, სტუმარმა საყვედურით მომმართა: — რა იყო, რომ დამიჩემეთ „შენგელია" ხართო?...

— მე ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ შენგელია ბრძანდებით: მამათქვენი, სამსონ შენგელია, რამდენიმე წელიწადი მღვდლად იყო ჩემს სოფელში, მათხოჯში, თქვენ და სხვა მისი შვილები დროგამოშვებით თქვენი სოფელ ჭაგნიდან ჩამოდიოდით მამათქვენთან ჩემს სოფელში და იქიდან მახსოვხართ, — ვუპასუხე მე.

როცა დარწმუნდა, რომ კარგად ვიცნობ, მითხრა:

— მართალი ხართ თქვენ, ჩემი ნამდვილი გვარი შენგელიაა, მაგრამ მთავრობისათვის პოლიტიკურად არასაიმედო

კაცი ვარ, ჟანდარმები მეძებენ და ამიტომ სხვისი პასპორტი მაქვს, გოგელიას გვარით ვცხოვრობ. თქვენ უნდა გქონდეთ იმდენი შეგნება, რომ პოლიტიკურად დევნილი პიროვნება არ გასცეთ...

— ეგრე მეტყოდით თავიდანვე! — ვუპასუხე მე.

— ჭიჭინაძემაც კი არ იცის, რომ მე გოგელია არა ვარ, — მითხრა მან.

— ჭიჭინაძე დირექტორია, მაგრამ სანდო კაცია! — მივუგე.

— ეგ მართალია, მაგრამ რა საჭიროა ყველა სანდომ იცოდეს, რომ მე მთავრობა მდევნის. თქვენ კი, რადგან შემთხვევით მიცნობთ, გთხოვთ ეგ საიდუმლოება შეინახოთ... არავის უთხრათ, ვინცა ვარ! — მთხოვა მან.

— ბატონი ბრძანდებით... თუ ეს ასეა საჭირო, არავის ვეტყვი! — შევპირდი მე.

სამოცზე მეტი მუშა-მოსამსახურე და ვაჭარი ვინახულეთ. ყველამ გაიღო თავისი წვლილი, თითოეულმა 5-10-15 მანეთი. ხუთ მანეთზე ნაკლები არავის მოუცია. დაღლილ-დაქანცულები დავბრუნდით საღამოს სემინარიაში. ალექსი ჭიჭინაძეს მოვახსენეთ ჩვენი „ექსპედიციის“ შედეგები. ერთობ ნასიამოვნები ვიყავით ხონელების შეგნებითა და გულუხვობით...

სტუმარი გამოგვემშვიდობა და დაბრუნდა თბილისს...

მას შემდეგ არ გასულა ათიოდე დღე, რომ გაზეთში თუ იუმორისტულ ჟურნალში, არ მახსოვს, დაიბეჭდა დაახლოებით ასეთი ცნობა: ახალმოდის ხლესტაკოვი, ვიღაც აფერისტი შენგელია, ჩასულა ხონში და ხონელები დაუტყავებია; ვითომდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასარგებლოდ შეუკრებია დიდძალი ფული და ჩაუჯიბავსო...

მახსოვს, რარიგ შეაწუხა ალექსი ჭიჭინაძე ნაძირალა შენგელიას მდაბალმა საქციელმა!

ხონის სამასწავლებლო (ანუ საოსტატო) სემინარია, დაახლოებით, საქალაქო ექვსკლასიანი სასწავლებლის კურსის

ბაზაზე იყო აგებული. სემინარიის კურსი კი ოთხწლიანი იყო: მოსამზადებელი კლასი, პირველი კლასი, მეორე კლასი, მესამე კლასი.

სემინარიაში ისწავლებოდა თითქმის ყველა დისციპლინა; ყველა საგნის სწავლება რუსულ ენაზე წარმოებდა.

ყოველ დღე ექვსი გაკვეთილი გვქონდა.

მეორე კლასიდან იწყებოდა დამკვირებლობითი პედაგოგიური პრაქტიკა: მეორეკლასელი მოსწავლეები მორიგეობით ისხდნენ სემინარიასთან არსებული ორკლასიანი სასწავლებლის მასწავლებლის გაკვეთილებზე, უკვირდებოდნენ, ისმენდნენ და იწერდნენ თავისთვის გაკვეთილის მიმდინარეობას.

მესამე კლასიდან იწყებოდა გაკვეთილების გადაცემა. მესამე, გამოსაშვები, კლასის ყველა მოსწავლე პირველ გაკვეთილზე დაწყებით სკოლაში სანიმუშო გაკვეთილს აძლევდა.

გარდა მესამეკლასელი მოსწავლეებისა, პრაქტიკანტის გაკვეთილს ესწრებოდნენ დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, აგრეთვე სემინარიის იმ დისციპლინის მასწავლებელი, რა საგანშიაც პრაქტიკანტის მიერ გაკვეთილის გადაცემა მიმდინარეობდა, და სემინარიის დირექტორი.

მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე გაკვეთილები ჩვეულებრივი ცხრილით მიმდინარეობდა და მოსწავლეები განაგრძობდნენ ამა თუ იმ დისციპლინის დაუფლებას. მეექვსე გაკვეთილზე კი წარმოებდა პრაქტიკანტის მიერ დაწყებით სკოლაში ჩატარებული პირველი გაკვეთილის გარჩევა.

გაკვეთილის გარჩევას, როგორც წესი, ესწრებოდა ყველა, ვინც მის გადაცემას დაესწრო.

პირველი სიტყვა ყოველთვის ეძლეოდა პრაქტიკანტს, რომელიც მუდამ ცდილობდა თვითონვე აღენიშნა თავისი გაკვეთილის ყველა ნაკლი, რათა სხვებს არაფერი დარჩენოდათ სათქმელი, და ამით დაემტკიცებინა, რომ ის თავისი გაკვეთილის ავკარგიანობაში ერკვევა; მით უფრო, რომ მან გაკვეთილის მასალა 3-7 დღით ადრე მიიღო, დროზე დაწერა გაკვეთილის ვრცელი კონსპექტი (რომელშიაც გათვალისწინე-

ბული იყო: გადასაცემი გაკვეთილის მასალა, მიზანი, გეგმა და მსვლელობა); კონსპექტი მან ჯერ დაწყებითი სკოლის მასწავლებელს უჩვენა, მისგან მითითებები მიიღო; მერე საგნის მასწავლებელმა გადახედა. შემდეგ რამდენიმე დღე თავისთვის ვარჯიშობდა: ცარიელი კლასის ამა თუ იმ მერხიდან „წარმოდგენით იძახებდა მოწაფეს", ეჩიჩინებოდა, უხსნიდა, ახსნილს „მას" და „სხვებსაც" გაამეორებინებდა და სხვ. პრაქტიკანტმა წინასწარ მოიფიქრა, შეარჩია და მოამზადა გაკვეთილის გათვალსაჩინოებისათვის საჭირო მასალა და სხვა, ერთი სიტყვით, მოემზადა გაკვეთილის გადაცემისათვის. ცხადია, თავისი გაკვეთილის ყველა დეტალი სხვაზე უკეთ მას უნდა სცოდნოდა და, თუ ყველაფერი ის, რაც გათვალისწინებული ჰქონდა გაკვეთილის გადაცემის ვრცელ კონსპექტში ისე, როგორც ეს საჭირო იყო გაკვეთილის უნაკლოდ გადაცემისათვის, პრაქტიკულად ვერ განახორციელა, — ეს იმიტომ, რომ ღელავდა, ან დაიბნა. ხოლო ახლა მაინც, გარჩევის დროს, თუ თავისი გაკვეთილის ყველა ნაკლს თვითონვე აღნიშნავდა, მას ერთგვარი შეღავათი მიეცემოდა, რაც აგრეთვე გავლენას მოახდენდა გაკვეთილის შეფასებაზე.

პრაქტიკანტის შემდეგ სიტყვა ეძლეოდათ ჯერ მისი კლასის ამხანაგებს; ყველა მოსწავლე ცდილობდა, ისე ამომწურავად გაეკრიტიკებინა გაკვეთილი (მათ შორის გაკვეთილის კონსპექტიც), რომ მის შემდეგ არაფერი დარჩენილიყო სათქმელი (უკვე ნათქვამის განმეორება, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა). საერთოდ კი მოსწავლეები ცდილობდნენ გამოეთქვათ ისეთი ამომწურავი შენიშვნები, რომ მასწავლებლებს სათქმელი არაფერი დარჩენოდათ, თუმცა ეს ასე არ ხერხდებოდა. მოსწავლეების შემდეგ ჯერი დაწყებითი სკოლის მასწავლებელზე მიდგებოდა. ამ უკანასკნელის შენიშვნების მოსმენის შემდეგ სემინარიის მასწავლებელი — იმ საგნის სპეციალისტი, რომელშიც გაკვეთილის გადაცემა ჩატარდა, — გადმოალაგებდა თავის შენიშვნებს.

პრაქტიკანტი მოსწავლე კი ვალდებული იყო ყველასთვის ეპასუხა: მიეღო შენიშვნა, ხოლო, თუ არ ღებულობდა, დაესაბუთებინა, რატომ? მასაც, ისე როგორც სხვებს, შეეძლო სათანადო ლიტერატურაც მოეშველიებინა თავისი აზრის განსამტკიცებლად.

ბოლოს ილაპარაკებდა დირექტორი ა. ჭიჭინაძე. ის ჯერ გამოთქვამდა თავის შენიშვნებს პრაქტიკანტის გაკვეთილის გამო, მერე ანალიზს გაუკეთებდა, შეაჯამებდა ყველას ნათქვამს და ბოლოს დასვამდა კითხვას: — რა ნიშანზე გნებავთ შევაფასოთ გაკვეთილი: ა) არადამაკმაყოფილებელ, ბ) დამაკმაყოფილებელ თუ გ) ფრიად დამაკმაყოფილებელ ნიშანზე? თუ ფრიად დამაკმაყოფილებელზე — „4“ ეკუთვნის თუ „5“?

სათანადო წინადადებაც შემოვიდოდა და პრაქტიკანტის გაკვეთილი შეფასდებოდა ზუსტად, მიუდგომლად; ყველამ იცოდა, რომ ტენდენციურობა, სულ ერთია, არავის გაუვიდოდა, მას შეარცხვენდა მხოლოდ.

ამ სახით მოისმენდა და გაარჩევდა გამოსაშვები კლასი იმდენ გაკვეთილს, რამდენიც სამუშაო დღე იყო სასწავლო წელში.

გამოსაშვებ კლასში დაახლოებით 20 მოწაფე იყო, მაშასადამე, თითოეულს დაახლოებით 10-12 გაკვეთილის გადაცემა უხდებოდა ყველა დისციპლინაში, მათ შორის სიმღერაშიც. დაწყებითი სკოლის მასწავლებელს უნდა შეძლებოდა ეს წავლებინა ბავშვებისათვის ყველა დისციპლინა, მათ შორის სიმღერაც და ხატვაც.

9

პირადად მე ხმა და სმენა ძალიან ცუდი მქონდა. ამ მიზეზის გამო მოვინდომე სიმღერის გაკვეთილის გადაცემისაგან გავეთავისუფლებინე პედაგოგიურ საბჭოს. საბჭოს წევრები გაოცდნენ ასეთი უპრეცენდენტო განცხადებით, მით უფრო, რომ სემინარიაში შესვლის დროს, როგორც წესი, ჩემი საე-

რთო ჯანმრთელობაც იყო გასინჯულ-შემოწმებული, კერძოდ სმენა და ხმა. პედაგოგიურმა საბჭომ უარი მითხრა თხოვნაზე; მაშასადამე, წესისამებრ მეც უნდა გადამეცა სიმღერის გაკვეთილი.

ვწუხდი ძალიან, რადგან წინასწარ ვიცოდი, რომ გაკვეთილი ჩამივარდებოდა; მანამდე გადაცემული ყველა ჩემი გაკვეთილი ფრიად დამაკმაყოფილებელ ნიშანზე იყო შეფასებული.

ვიოლინოს დაკვრას, როგორც სხვები, მეც ვსწავლობდი (საუკეთესო პედაგოგი გვყავდა — ვიაჩესლავ ვიაჩესლავის ძე გაუდეკი), მაშასადამე, ვიოლინოს მოშველება სიმღერის გაკვეთილის გადაცემის დროს, ჩემი ამხანაგების მსგავსად, მეც თამამად შემეძლო, მაგრამ გაკვეთილის გადაცემის სირთულე ჩემთვის ის იყო, რომ სიმღერის გაკვეთილზე, დადგენილი წესის მიხედვით, ჯერ მე სოლოდ უნდა მემღერა შესასწავლი მოტივი, შემდეგ კი დაფაზე დამეწერა ნოტები, ვიოლინოზე ამეღო ხმები და ნაწილ-ნაწილ, მუსლობრივად შემესწავლებინა ბავშვებისათვის.

სიმღერის გაკვეთილის გადაცემის ყველა დეტალი თეორიულად ცნობილი იყო. მაგრამ მე, როგორც პრაქტიკანტ მასწავლებელს, მევალებოდა სოლოდ მემღერა მთელი შესწავლილი ტექსტი და ამით ნიმუში მიმეცა მოსწავლეთათვის, თუ როგორ იმღერება შესასწავლი მოტივი. აი, ეს იყო მთელი ჩემი ტრაგედია, სმენისა და ხმის უქონლობით გამოწვეული.

მოელი კვირა ვემზადე სიმღერის გაკვეთილის გადასაცემად. დაწყებითი სკოლის მე-4 და მე-5 განყოფილებების მოწაფეებისათვის უნდა შემესწავლებინა სიმღერა: „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, ციდან შემოესმა რეკა“... ვერ დავივიწყებ, რარიგ მეხმარებოდა სანიმუშო სკოლის ცნობილი მასწავლებელი, აწ განსვენებული გიორგი ბოკერია... მთელი კვირა მასწავლიდა ამ სიმღერას... მახსოვს, არაიშვიათად იყო ხოლმე მომენტი, როცა მე, თურმე, სწორად ვიმღერებდი, და მეტყოდა:

— ჰო, აი ასე კარგია! აბა, გაიმეორე ასევე, გაიმეორე!...

გავიმეორებდი და ის სასოწარკვეთილი ხელს ჩაიქნევდა:

— ასე კი არა, წელან რომ იმღერე... — მეტყოდა ხოლმე.

მე კი ვერ ვარჩევდი, როდის ვმღეროდი კარგად და როდის ცუდად. ბ-ნ გიორგის ხან მოვწონდი, უფრო ხშირად კი — არა...

ასე ვაწვალე და ვიწვალე მთელი კვირა.

განკითხვის დროც დადგა. ზარი დაირეკა და გაკვეთილის გადასაცემად კლასში შევედი.

მერხებს უკან ჩამწკრივებულიყო ყველა ჩემი ოცდაერთი[1] ამხანაგი. (მე ისინი ადრე მყავდა გაფრთხილებული: არ მოვეკალით და სიცილი არ აეტეხათ ჩემი სიმღერის დროს).

ჩემთან ერთად გაკვეთილზე შემოვიდნენ ბოკერია, გაუდეკი, ჭიჭინაძე; ყველამ თავისი ადგილი დაიკავა.

მე კათედრაზე ავედი. სიმწრის ოფლი წამომივიდა... კათედრას მოვჭიდე ორივე ხელი და... ვიმღერე: „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, ციდან შემოესმა რეკა, იალბუზზე ფეხი შესდგა, დიდმა მთებმა იწყეს დრეკა“...

ვერავისა და ვერაფერს ვხედავდი!... ისეთი სიმწარე მე არც მანამ და არც შემდეგ განმიცდია!

სოლოს შემდეგ ჩამოველ კათედრიდან, მოვაბრუნე მოწაფეებისაკენ დაფის ის მხარე, რომელზედაც დაწერილი მქონდა ნოტები.

მცირე პაუზის შემდეგ სიმღერის პირველი მუხლი ავიღე ვიოლინოზე, ხოლო მეორეჯერ იმავე მუხლის ვიოლინოზე დაკვრის წინ გავაფრთხილე მოწაფეები აყოლოდნენ ვიოლინოს ხმას...

ასევე მოვიქეცი სხვა სასიმღერო მუხლების მიმართაც...

შემდეგ თავიდან ბოლომდე ავიღე მთელი სიმღერა ვიო-

---

[1] ერთი მოსამზადებელ კლასში დარჩა.

ლინოზე და მოსწავლეებიც ვამღერე ვიოლინოთი ერთხელ, ორხელ...

დასასრულს ვიოლინოც განზე გადავდე და დირიჟორის პოზა მივიღე... მოსწავლეებმა ყურები ცქვიტეს; ავათამაშე ხელები. ყველა მოსწავლემ ერთხმად დაიწყო სიმღერა და... თავიდან ბოლომდე კარგად შეასრულა...

ვამღერე მეორედ, მესამედაც და... გაკვეთილის გათავების ზარიც გაისმა...

წესისამებრ გამოვისტუმრე ყველა და მე. უკანასკნელი გამოვედი კლასიდან...

მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე ჩვეულებრივ გაკვეთილებზე გაბრუებული ვიჯექი სემინარიაში...

დადგა მეექვსე გაკვეთილი. კლასში შემოვიდნენ ალექსი ჭიჭინაძე, ვიაჩესლავ გაუდეკი, გიორგი ბოკერია; გაკვეთილის გარჩევაც დაიწყო...

— პრაქტიკანტო ძიძიგურო, რას იტყვით თქვენი გაკვეთილის ღირსება-ნაკლოვანებების შესახებ? — მკითხა სხდომის თავმჯდომარემ, დირექტორმა ალექსი ჭიჭინაძემ.

— არაფერს, ბ-ნო თავმჯდომარე! — მოვახსენე პასუხად.

— თქვენ რას იტყვით? — შეეკითხა ჩემს ამხანაგებს.

ყველამ თავისი აზრი გამოთქვა. ზოგმა ესა თქვა, ზოგმა ის.

— თქვენ რას იტყვით? — მიმართა ალექსიმ გიორგი ბოკერიას.

გიორგი ბოკერიამ ჯერ ჩემი ერთი კვირის წვალება გადმოუშალა „მოსამართლეებს“ და შემდეგ გაკვეთილის ღირსება-ნაკლოვანებაზედაც გამოთქვა თავისი აზრი .

— თქვენ რასა ბრძანებთ? — შეეკითხა ალექსი ჭიჭინაძე მუსიკის ჩვენს მოხუც მასწავლებელს, კაპელმეისტერ ვეჩესლავ გაუდეკს.

— Несмотря на старания практиканта Дзидзигури перетянуть детей на свой плохой голос, дети все же хорошо пели!.. Но... методическая сторона урока была настолько

правильна и восхитительна, что я согласен признать урок хорошим, — თქვა გაუდეკმა. ყველას გაეღიმა. გაკვეთილი შეფასებულ იქნა ნიშნით: „4“.

10

ძოძავალ ძასწავლებელთათვის საჩვენებელ გაკვეთილს, გარდა სანიმუშო ორკლასიანი სასწავლებლის მასწავლებლებისა, ხანდახან სხვა მასწავლებლებიც გადასცემდნენ ხოლმე.

ერთხელ თვითონ ალექსი ჭიჭინაძემ გადასცა დაწყებით სკოლაში ჩვენთვის საჩვენებელი გაკვეთილი. ალექსის გაკვეთილი ბრწყინვალე იყო, მაგრამ ცნობილია, რომ ნაკლის აღმოჩენა ყველა გაკვეთილშია შესაძლებელი. მით უმეტეს ჩვენ შეგვეძლო ეს, რადგან ერთობ კარგად დავხელოვნდით გაკვეთილის გაკრიტიკებასა და მისი ავ-კარგიანობის დანახვაში, დასაბუთებაში.

წამოვესიეთ ეს ძაქანობა ბიჭები ალექსი ბესარიონის ძეს მისი გაკვეთილის გარჩევის დროს და ერთი სუსტი ძაფიც არ დავტოვეთ ალმოუჩენელი მის მიერ გადაცემულ საჩვენებელ გაკვეთილში.

თვალწინ მიდგას ალექსის გამოხმაურება ჩვენს გამოსვლებზე. მას არათუ არ სწყენოდა ჩვენი მოურიდებლობა, მკაცრი და სამართლიანი კრიტიკა, არამედ ძალიან უხაროდა ჩვენი დახელოვნება, განვითარება, გაკვეთილის ყველა დეტალის ეგზომ შეგნებულად ცოდნა.

ჰიგიენის, ანატომიისა და ფიზიოლოგიის ჩვენი მასწავლებელი, იშვიათი დიაგნოსტიკოსი და ცნობილი ექიმი პოლიკარპე ივანეს ძე ჩხიკვიშვილი, საერთოდ მეტად განვითარებული და დიდი ნაკითხი კაცი იყო. მას ენციკლოპედისტს ეძახდნენ. ყველა საგანში, განსაკუთრებით ჰუმანიტარულ საგნებში, კარგად ერკვეოდა.

ეკოძოდ [illegible] საგანი, [illegible]ელსაც ჩვენ გვასწავლიდა, ხედ-ძიწევნით [illegible]ოდა, მაგრამ იმავე დროს მეტად ორიგინალური და იშვიათად ახირებული კაცი იყო [illegible]გორც თავის ოჯახურ. [illegible]ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

[illegible]. ჩხიკვიშვილის გაკვეთილები სენსაციებით [illegible]ყო სავსე. გაკვეთილზე ხშირად თავის საგანს კი არ გვასწავლიდა, არამედ აიღებდა სხვა საგნიდან [illegible]ომელიმე თემას და ბრწყინვალე ლექციას ჩაგვიტარებდა, ანდა ახირებულ საკითხებზე გვებაასებოდა.

— თქვენ გგონიათ, [illegible]ა [illegible]ა თქვენს მასწავლებელ „ტრიმკაზე" (ტრიფონ) [illegible]ლებად ვიცი. — გვითხრა ერთ-ხელ მოულოდნელად მეა გაკვეთილზე.— [illegible]ინდათ გებაასოთ თუნდაც ეს, ასეთ თემაზე: „Ледниковый период Европы!"

შეწყვიტა ჰიგიენის მშვენიერი გაკვეთილი და შინაარსიანი ლექცია წაგვიკითხა ზემოდასახელებულ თემაზე. გატაცებით ვუსმენდით. [illegible]შიც კი დავუკარით..

[illegible]ის ხმაზე ჩვენი საკლასო ოთახის ფანჯრებიან კარებს მოსცვივდნენ, ვინც კი იმ წუთს დერეფანში იყო, მაგრამ დაინახეს ოთ არა კლასში პოლიკარპე ჩხიკვიშვილი, ტყვიანაკრავივით მოსცილდნენ კარებს: ჩხიკვიშვილმა არ დაგვინახოს, თორემ გაგვლანძღავსო.

პოლიკარპე ივანეს ძემ ჩვენს ტაშზე „ულვაშებში ჩაიცინა" და გვითხრა:

— Тоже брат!.. (ეს გამოთქმა მას ძალიან უყვარდა და ღღეში ასჯერ გაიმეორებდა). Дураки! что вы аплодируете? Здесь не театр!..

იყო შემთხვევები, როცა მის „გაკვეთილს“ გაფაციცებით ვუსმენდით და ამ დროს შემოგვესმოდა სემინარიის ეკონომის — ვასო თარგამაძის ხმა, როცა იგი დარაჯს, ან ვისმე სხვას უჯავრდებოდა სემინარიის ეზოში.

— Тоже брат!.. Что он кричит там, как ерихонская труба!.. — იტყოდა პოლიკარპე, შეწყვეტდა გაკვეთილის ახსნას და ვასო თარგამაძის დახასიათებას შეუდგებოდა.

— Тоже брат! თქვენსავით წამხდარი კი არ ვიყავით ძველად ჩვენ, სტუდენტები!... — გვითხრა ერთხელ გაკვეთილზე და განაგრძო. — ერთხელ მე, კიევში, სტუდენტობის დროს, ქუჩაში მივდიოდი. დავინახე, ერთ კოხტად გამოწყობილ ქალს რაღაც დაუვარდა... სამკუთხა პატარა ბალიში იყო, აქეთ-იქით ზორტები ჰქონდა მიკერებული. წამოვავლე ხელი, დავეწიე იმ ქალს, რომელსაც სხვები მიჰყვებოდნენ, და გავუწოდე მის მიერ დაკარგული ნივთი, ვუთხარი: — ინებეთ, თქვენ დაგივარდათ-მეთქი!...

— ქალმა შემომიბღვირა: ეს ჩემი არაა!.. убирайся к черту-о — მითხრა. მე მტკიცება დავუწყე, რომ მისი იყო... არ ეშორდებოდი, სანამ სხვებმა არ მომაშორეს და მითხრეს: „წამო აქეთ, სირცხვილია, რად არცხვენ იმ ქალს? ბისია, მაგრამ, აბა, სირცხვილით, როგორ აიღებს, საჯდომის გასასქელებლად ჰქონდა შემოკრული, მაგრამ ჩამოუვარდა, მაგ ნივთს „ტურნე“ ჰქვიანო!.. სამედიცინო ინსტიტუტს ვათავებდი და არც კი ვიცოდი, როგორ და რას იცვამდნენ ქალები... თქვენ კი წამხდრები ხართ, წამხდრები!.. თუმცა ჰო, თქვენ პანსიონში ხართ ჩაკეტილი. თქვენ კიდევ არა გიშავთ; ეს „გიმნაზისტები“ და „რეალისტები“ სულ გაფუჭდნენ, ხელიდან წავიდნენ...

პ. ი. ჩხიკვიშვილმა რომ ხანდახან ასეთი „გაკვეთილის“ ჩატარება იცოდა, ჩანს, ეს ალექსი ჭიჭინაძემაც გაიგო.

ერთხელ, როცა პ. ჩხიკვიშვილი გაცხარებით გვიამბობდა თავის ნადირობაზე: ჯომერმა (მეტი სახელი იყო მიხეილ

ჭავჭავაძისა) დააცილა ტყვია ნადირს, მე კი შიგ გულში გავარტყიო, გაიღო კარები და ალექსი ჭიჭინაძე შემობრძანდა...

— Головної мозг, мозжечек... — სწრაფად დაიწყო გაკვეთილი ჩხიკვიშვილმა და ბრწყინვალედ განაგრძო... ბ-ნი ალექსი იქვე დაბრძანდა სკამზე და უსმენდა, თან ცალი ხელით ულვაშს იწიწკნიდა. ბოლოს ადგა და კლასიდან გავიდა.

პოლიკარპემ გააცილა კარებამდე დირექტორი, შემდეგ კარები მიხურა და ჩვენ მოგვიბრუნდა:

— Тоже брат! ჰო, იმას გიამბობდით, ჯომერმა რომ დააცილა ნადირს, მე ვესროლე, პირდაპირ გულში მოვახვედრე... და განაგრძო ამბის თხრობა...

სიცილი ძლივს შევიკავეთ! მოგვკლავდა, რომ გაგვცინებოდა! ასეთი თავისებური კაცი მე არასოდეს მინახავს.

ამას გარდა, ისეთი ზნეც სჭირდა, რომ ყველა სხვისი ნათქვამი უნდა გაეკრიტიკებინა, უეჭველად საწინააღმდეგო აზრი უნდა გამოეთქვა.

ერთხელ განვიზრახეთ მისივე ნათქვამი, როგორც ახალი ამბავი, ჩვენ გაგვემეორებინა მისთვის. გვაინტერესებდა — დაგვეთანხმებოდა თუ იქაც წინააღმდეგი წავიდოდა!...

ერთმა ჩვენგანმა თქვა: ახლა პოლიკარპემ უამბო ერთ ჯგუფს, ჩვენს წითელრაზმელებს შეტაკება ჰქონდა ქუთაისში პოლიციელებთან და მილიციელები დახოცესო.

მეორე დღეს იგივე, იმავე სიტყვებით, ვუამბეთ მას, როგორც ახალი ამბავი:

— არ გცოდნიათ თქვენ!.. ის კი არა, თოფის ნიშანში გასროლა არ იციან მაგ გლახებმა! უნებლიეთ ერთმანეთი დაუხოციათ!.. — გვიპასუხა.

1924 წელს ეს ლომივით კაცი ლოგინად ჩაწვა. დაიჩემა: ოთხი თვის შემდეგ მოვკვდებიო; არ ემჩნეოდა, რომ რაიმე სტკიებოდა. არ უჯერებდა არავის, ლოგინში ღრინავდა... იმდენი იღრინა, მართლაც მოკვდა 4-5 თვის შემდეგ. ამბობდნენ, თვითშთაგონებით მოკვდაო.

ამ ორიგინალურ კაცზე ნეკროლოგი დაბეჭდე ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ (1924 წ. № 20/23). აი ისიც:

„დაბა-სოფლის მოღვაწენი. ექ. პ. ი. ჩხიკვიშვილი (1855—1924).

დიდი ორიგინალი, არაჩვეულებრივი პიროვნება, განსაკუთრებული ხასიათის მქონე, ჯანმრთელი, ლამაზი, ახოვანი, ფრიად განათლებული. თავის ხელობის ჩინებული ოსტატი, შონადირე, დაუცხრომელი ენერგიის პატრონი, ენამწარე, ნამდვილი ოთარაანთ ქვრივი, სცენისმოყვარე, საზოგადო მოღვაწე, მედიცინის მასწავლებელი, ავადმყოფის უკანასკნელი იმედი, — აი ვინ იყო აწ გარდაცვალებული, ყველასგან საყვარელი ექიმი პოლიკარპე ივანეს ძე ჩხიკვიშვილი.

დაიბადა 1855 წელს. საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ უმაღლესი სასწავლებლის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე სწავლობდა. შემდეგ გადავიდა და დაამთავრა საექიმო ფაკულტეტი. სტუდენტობის დროს მოუსვენარმა. ხალხის მოყვარემ იმპერატორ ალექსანდრე მეორის მკვლელობაში (1881) მიიღო პირადი მონაწილეობა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (1884) დაბრუნდა სამშობლოში და სამუშაო ასპარეზად აირჩია ხონი, სადაც მარჩიელობას, მკითხაობას, კუდიანობას. სიბნელეს ფართოდ გაეშალა ფრთები.

ლაპარაკი იმაზე, რომ თუ ვინმეს, პირველს პოლიკარპე ივანეს ძე ჩხიკვიშვილს ჰქონდა მეტი შესაძლებლობა დაბინავებულიყო სატახტო ან რომელიმე დიდ ქალაქში და იქ ერთი საუკეთესო ექიმთაგანი ყოფილიყო, ზედმეტად მიგვაჩნია. იშვიათი ნიჭის პატრონს, სათანადოდ მომზადებულს, დიდი გაქანების კაცს, რა თქმა უნდა, ამის შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ პირადი კეთილდღეობა და თავისი თავი შესწირა უმეცრებასთან ბრძოლას. ორმოცი წლის განმავლობაში მედგრად იდგა თავის პოსტზე. ხონი, მისი რაიონი, იმერეთის სხვა კუთხეები, შორეული ლეჩხუმი და სამეგრელო — აი მისი სამუშაო რაიონი. ყოველ კრიტიკულ მომენტში ქუთაი-

სის ცნობილი ექიმები: თოფურია, ხეჩინოვი და სხვები პოლიკარპეს მიმართავდნენ ხოლმე. იშვიათად, თითქმის არასოდეს შემცდარა დიაგნოზის დასმაში, რაიც ასე იშვიათია ჩვენსა და ძველს დროში. ხელიდან წიგნი არ გაუგდია. მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა იცოდა, ფულით არასოდეს დაინტერესებულა: ღარიბებს არაფერს ართმევდა, უღარიბესს თავისი დღიური ლუკმისათვის ნაშოვნი თანხიდან წამლის ფულს აძლევდა. სახლი არ შეუძენია და კარი. ბევრი ვალი ემართა. არაჩვეულებრივი კაცი იყო. ყველას უყვარდა. ყველა პატივს სცემდა. ბავშვმაც იცოდა მისი სახელი. ხონის საოსტატო სემინარიის მედიცინის მასწავლებელი იყო. სემინარიელებში რევოლუციური სულის აღზრდაში საკმაოდ დიდი როლი მიუძღვის. მანვე დაარსა ხონში დრამატული წრე. აკაკი წერეთელმა ჯერ კიდევ 1901 წელს „ივერიაში" მთელი ფელეტონი დაწერა ამ იშვიათი ენციკლოპედიური პიროვნების შესახებ. იყო სოფლად და სოფელს არგო. გარდაიცვალა 6 ივლისს. გარდაცვალების მეორე დღეს მიიდა ხონში დასავლეთ საქართველოს ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების დადგენილება, რომ პოლიკარპე ივანეს ძე ჩხიკვიშვილს ორმოცი წლის ფრიად ნაყოფიერ მუშაობისათვის ბრწყინვალე იუბილე, დღესასწაული უნდა გადავუხადოთო. ულმობელია ცხოვრება. იუბილე დასაფლავებით შეიცვალა. ზღვა ხალხი დაესწრო მის უკანასკნელად გამოთხოვების დღეს. სიტყვები თქვეს: ხონის აღმასკომის სახელით ამხ. გიორგი ბახტაძემ (აღმასკომის დადგენილებით ღარიბესისთვის ჩხიკვიშვილის სახელობის ერთი უფასო საწოლი დაარსდა საავადმყოფოში), დასავლეთ საქართველოს ექიმთა და ბუნებისმეტყველთა სახელით ექ. მათე ბახტაძემ. დაასაფლავეს ეკლესიის გალავანში (სჯობდა ბაღში).

ტიროდა ხალხი, როგორც შვილი იტირებს მოამაგე მამას. დავკარგეთ ერთი საუკეთესო ექიმი საქართველოს მასშტაბით".

გრიგოლ ბურჭულაძე (1861 — 1941 წწ.) 1906 წელს დაინიშნა მათემატიკის მასწავლებლად ხონის სემინარიაში. ეს



დინჯი, აუჩქარებელი ადამიანი სრულიად არ ამჟღავნებდა, რომ ის გურული იყო. მისი ავტობიოგრაფიიდან ჩანს, რომ ის მეტად ღარიბი ოჯახიდან იყო.

პატარა გრიგოლს დიდი ვაივაგლახით და წვალებით თვითონ გაუკაფავს გზა სწავლისაკენ და საშუალოზე მაღალი განათლება მიუღია, თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის სრული კურსი დაუმთავრებია. რიგი წლების მანძილზე მასწავლებლად უმუშავია თელავში, ზაქათალაში, ახალციხეში, ერევანში, ხონში, ბოლოს თბილისში.

გრიგოლ იესეს ძე ყოველ, პატარა თუ დიდ საქმეს დიდი ენთუზიაზმითა და გატაცებით აკეთებდა: სამკითხველო-ბიბლიოთეკების დაარსებისათვის ზრუნვა, დილა-საღამოებისა და წარმოდგენების მოწყობაში მონაწილეობის მიღება, საკვირაო სკოლებში მუშებთან და ნოქრებთან უსასყიდლოდ მეცადინეობა, ჭრა-კერვის ქალთა სკოლების ორგანიზაცია, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში მხურვალე მონაწილეობის მიღება, უკანასკნელ ხანებში ამავე საზოგადოების ცენტრალური გამგეობის მდივნობა. ხალასი პატრიოტიზმი ქართული ენის უფლებებისათვის ბრძოლაში და სხვადასხვა საქვეყნო საქმეებში თავისი გულთბილი და უანგარო წვლილის შეტანა გრიგოლ იესეს ძის

ნათელი ცხოვრების მიზანი, ვიტყოდი „ალფა და ომეგა“ იყო.

სამწუხაროდ, ვერ ვიტყვი, რომ გრიგოლი მათემატიკის დიდი მცოდნე და ბრწყინვალე მასწავლებელი იყო. საქალაქო და სხვა სასწავლებლებში ყველა საგნის სწავლებამ, ყველა საგნის „ენციკლოპედისტობამ“ ინსტიტუტის კურსდამთავრებულს არ მისცა საშუალება რომელიმე ერთ საგანს ღრმად, ძირფესვიანად დაეფლებოდა.

ერევნის საქალაქო სასწავლებლებიდან, სადაც გრიგოლ ბურჭულაძე ერთ-ერთი კლასში ყველა საგანს ასწავლიდა, ალექსი ჭიჭინაძის ნაცნობობით გადმოიყვანეს ხონის სემინარიაში მათემატიკის მასწავლებლად (მეც ამ საგანს მასწავლიდა), და ასლაც გამახსენდება ხოლმე, როცა დაფაზე დაწერილი მათემატიკური ფორმულების ლაბირინთიდან მოსწავლე ვერ გამოვიდოდა და მასწავლებლის მიშველება გახდებოდა საჭირო, — სანდახან ვერც ჩვენი საყვარელი მასწავლებელი გრიგოლი მოაძებნინებდა მოსწავლეს გზას და „გორდიოსის კვანძს“ ვაკვეთილის გათავების ზარი გადაჭრიდა ხოლმე.

13

იშვიათად ,მაგრამ ცხოვრებაში მაინც ვხვდებით ხოლმე ისეთ გამონაკლის შემთხვევებს, როცა, ვთქვათ, საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ამა თუ იმ დისციპლინის დაუფლებითა და თავისი საერთო ერუდუციით არათუ უტოლდება უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულს, არამედ, რიგ შემთხვევებში, ბევრად სჯობს კიდეც და მასზე მაღლა დგას თვით იმ საგნის ცოდნაშიაც კი, რომლის სპეციალისტად ის ითვლება და სათანადო დიპლომიცა აქვს.

რადგან ასეთი გამონაკლისი გვხვდება, ამას თავისი ახსნაც ექნება. ახსნაც, ალბათ, უნდა ვეძიოთ ნიჭში. უნარში, ბეჯითობაში, შრომისმოყვარეობაში, აკურატობაში, გარემოში, ოჯახში... და ვინ იცის, კიდევ სად და რაში!..

ტრიფონ რომანოზის ძე თაბუკაშვილი (1866 — 1926) ასეთ იშვიათ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა. კავკასიის ფარგლებ-



ში მდებარე ყველა ოთხი (კავკავის, ერევნის, გორისა და ხონის) სამასწავლებლო სემინარიების პრაქტიკაში ერთადერთი შემთხვევა იყო, რომ სემინარიის კურსდამთავრებული სემინარიისავე მასწავლებლად ყოფილიყო და იმავე დროს თავისი ერუდიციით არც ერთი უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებელს არ ჩამოუვარდებოდა.

1896 წელს უკვე სახელგანთქმული მასწავლებელი ტრიფონ თაბუკაშვილი ხონის საოსტატო სემინარიაში მიიწვიეს მოსამზადებელი კლასის მასწავლებლად და საცდელი გაკვეთილების ხელმძღვანელად, მაგრამ სულ მალე მას ქართული ენისა და ისტორიის გაკვეთილები სემინარიის ძირითად კლასებშიც ჩაბარეს.

თხუთმეტი წელიწადი იმუშავა ტრიფონ თაბუკაშვილმა ხონის საოსტატო სემინარიის ღირსეული მასწავლებლის მაღალ პოსტზე, თხუთმეტი წელიწადი ასწავლიდა მომავალ მასწავლებლებს ქართულ ენასა და ისტორიას. იგი იყო პროგრესული მოსწავლეების სული და გული, მოწაფეთა ფარული ჟურნალის აზრისა და სტილის გამსწორებელი, საინტერესო საუბრებისა და ცოცხალი, შინაარსიანი, მიმზიდველი გაკვეთილების ორგანიზატორი. არასოდეს შემოფარგლულა ტრიფონი სახელმძღვანელო წიგნთა და ვიწრო პროგრამული, ოფიციალური საკითხებით. ის თითქოს ვერ ეტეოდა გალიაში, მის ნისკარტსა და ფრთებს დაინახავდით გალიის ბანდულების გარეთაც...

რამდენჯერმე გადარჩა ტრიფონ თაბუკაშვილი სიფათს. შავრაზმელი დირექტორის დევიცის საკითხთან დაკავშირებით, 1904 წელს თავის საყვარელ სემინარიელებს მოაცილეს და ახალქალაქში გადაასროლეს; 1905 წლის მოძრაობამ ისევ დააბრუნა ტრიფონ თაბუკაშვილი ხონის სემინარიაში... რამდენიმე საფრთხეს კიდევ სხვა დროს გადაურჩა, მაგრამ „ყოველთვის კოკამ წყალი არ მოიტანა“ და 1911 წელს ხულიგანი მასწავლებლის ნიკოლაევის (რომელმაც გლეხი მოკლა იმის გამო, რომ მას და მარინეს, სასწავლებლის გამგე ქალს, ტყეში წაადგა თავზე უნებლიეთ) საქმესთან და კიდევ სხვა საქმეებთან დაკავშირებით, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა რუდოლფმა პირდაპირ განეცხადა: „თქვენი მუშაობა ქართველთა შორის შეუძლებელია!“ რუდოლფმა საბოლოოდ მოსსნა ვერტუოზი პედაგოგი სემინარიიდან და განჯაში გადაისროლა რუსული ენისა და ისტორიის მასწავლებლად.

მეფის ტახტიდან გადმოგდებამ (1917 წ.) ტრიფონ თაბუკაშვილს საშუალება მისცა ჯერ ხარაგოულს დაბრუნებოდა (სწავლა-განათლების საქმეს ისევ თავის საყვარელ სოფელში ჩასდგომოდა სათავეში) და შემდეგ, სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში, თბილისში გადმოსულიყო უკვე ქართული სკოლების მოწაფეთათვის დედაენაზე სახელმძღვანელოების შესადგენად, ხოლო მასწავლებელთათვის თავისი მდიდარი გამოცდილების გასაზიარებლად, მეთოდიკური სასიათის სტატიებს, ბროშურებისა და წიგნების დასაწერად და პარალელურად მეტად ნაყოფიერი პრაქტიკული მუშაობის გასაგრძელებლად.

რა მშვენივრად შეასრულა მან ეს საქმე! რამდენი საგულისხმო, ერთობ ძვირფასი პედაგოგიური აზრები და რჩევანი დასტამბა ჩვენდა სახელმძღვანელოდ თავის მეთოდიკურ მითითებებსა და შრომებში! რამდენი საჩვენებელი და სანიმუშო გაკვეთილი გადასცა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში! რამდენ ახალგაზრდა მასწავლებელს გაუნათა წინსვლის გზა!..

ტრიფონ თაბუკაშვილმა ახალგაზრდა საბჭოთა ქართული სკოლების III და IV განყოფილებებისათვის დაწერა და დაბეჭდა ქართული ენის სახელმძღვანელოები: „განთიადი“, I და II ნაწილი (გამოიცა 1923 და 1924 წლებში), „აისი“, I და II ნაწილი (გამოიცა 1924 და 1925 წწ). და სხვ.

1923 წელს დაიბეჭდა ტ. თაბუკაშვილის სასარგებლო ნაშრომი — „მეთოდიკური შენიშვნები გრამატიკის სწავლების შესახებ“. 1925 წელს გამოაქვეყნა საჭირო შრომა სათაურით — „სასვენი ნიშნების ხმარება“.

1926 წლის 11 იანვარს ტრიფონ თაბუკაშვილი გარდაიცვალა 60 წლის ასაკში.

სამოცი წელი!.. რა საკმარისად მეჩვენებოდა სიცოცხლისათვის, როცა 20-25 წლის ჭაბუკი ვიყავი, და რა ცოტად მეჩვენება ახლა, როცა სამოც წელს რახანია გადავცილდი!..

14

ჯერ კიდევ ხონის სემინარიის მოწაფე ვიყავი, როცა საგაზაფხულო არდადაგებზე მოსწავლეების რეპეტიტორობა და მომზადება დავიწყე. ჩემი გამბედაობა ისე შორს წავიდა, რომ მე, სემინარიის პირველი თუ მეორე კლასის მოსწავლე, სემინარიაში შესასვლელად გამოცდებზე დასაშვებ ჭაბუკებსაც კი ვამზადებდი. რადგან უცნობი და უცხო თავის შვილს მე საექსპერიმენტოდ არ მანდობდა, — საჯირითო მოედნად ჩემი ახლო ნათესავები (დეიდაშვილები და ბიძაშვილები) გავიხადე. მონდომებითა და სიყვარულით ვასწავლიდი მათ, ისინიც მონდომებული იყვნენ, კარგად სწავლობდნენ და სემინარიაში მისაღები გამოცდების დიდ კონკურსში იმარჯვებდნენ. შემდეგ, რა თქმა უნდა, დახელოვნებულ მასწავლებელთა ხელში კიდევ უფრო უკეთ სწავლობდნენ და შემდეგ ისინი ცნობილი და სახელმოხვეჭილი მასწავლებლები გახდნენ, როგორც, მაგალითად, დოროთე ფირცხალავა, ალექსანდრე გვახარია, ვანო ხელაია და სხვები; ჩემი ყრმობის მოწაფეები არცითუ ჩემზე ბევრად ახალგაზრდები არიან.

V

რეაქციის წლები

1

ხონის სემინარიაში დუელში გამოწვევა არ იცოდნენ, მაგრამ შეურაცხმყოფელთან ანგარიშის გასწორება კეტისა და ჯოხის მაგრად თავზე დარტყმით ზოგს კარგად ეხერხებოდა.

ერთხელ (1908 წლის მარტში) სემინარიელმა ესტატე მონიავამ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა სემინარიელ გიორგი ფარულავას (ამ უკანასკნელს ერთ-ერთი მასწავლებლისათვის რაღაც ეამბა და ამის გამო მას „ჯაშუში“ უწოდა). ფარულავამ „არც აცივა, არც აცხელა“, წამოავლო ხელი კუთხეში მიყუდებული იატაკის საწმენდი „ჩოთქის“ ვეებერთელა ტარს, შეუბრალებლად დაარტყა მონიავას და თავი გაუტეხა. კაცი წაიქცა, სისხლი წამოუვიდა. შეიქმნა ჩოჩქოლი და აურზაური.

ალექსი ჭიჭინაძე დიდად შეაწუხა ამ შემთხვევამ. ვიდრე პედაგოგიური საბჭო იმსჯელებდა ამ სამწუხარო მოვლენაზე, ჭიჭინაძემ სემინარიის მოწაფეთა საერთო კრებას (მოსამზადებელი კლასის გამოკლებით) მიანდო საქმის გარჩევა, დადგენილების გამოტანა და საბჭოსთვის წარდგენა.

მოსწავლეთა საერთო კრებამ კრების თავმჯდომარედ ამირჩია. ერთი კვირა გასტანა ჩვენმა სხდომებმა, რომლებსაც გაკვეთილების შემდეგ ვაწყობდით სემინარიის დიდ დარბაზ-

ში. დაკითხული იყვნენ როგორც მოწმეები, ისე დამნაშავენი. ვინ ფარულავას უჭერდა მხარს, ვინ — მონიავას. მონიავა კი იმუქრებოდა — ფარულავას უეჭველად მოვკლავო; ფარულავა არათუ ბოდიშს არ იხდიდა მონიავას წინაშე, არამედ გულწრფელად წუხდა, რომ მხოლოდ თავი გაუტეხა და მთლად არ მოკლა მისი ასე დიდად შეურაცხმყოფელი სიტყვებისათვის, მაგრამ იმავე დროს იმედოვნებდა, დროს ვიშოვი და მონიავას სიცოცხლეს გამოვასალმებო.

მოსალოდნელი იყო, მართლაც დაეხოცათ ერთმანეთი.

სემინარიის მოსწავლეთა საერთო კრებამ გაითვალისწინა შექმნილი მდგომარეობა და გამოიტანა დადგენილება:

ა) დათხოვნილ იქნენ სემინარიიდან როგორც ფარულავა, ისე მონიავა. გაიგზავნონ ისინი თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში: ფარულავა — სოხუმში, მონიავა — სენაკის მაზრის სოფ. ხუნწში.

ბ) ნება მიეცეს მონიავას (რომელიც იმ წელს ამთავრებდა სემინარიის კურსს) გამოცხადდეს სემინარიაში ამავე წლის ივლისში და მის კლასელებთან ერთად დაშვებულ იქნეს სემინარიის სრული კურსის დამთავრების გამოცდებზე; გამოცდების დასაკმაყოფილებლად ჩაბარების შემთხვევაში მიეცეს ატესტატი.

გ) ნება დაერთოს ფარულავას (რომელიც იმ წელს მე-3 კლასში უნდა გადასულიყო) გამოცხადდეს სემინარიაში ამავე წლის სექტემბერში და გავიდეს შემდეგ კლასში გადასასვლელ გამოცდებზე. გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში დარჩეს სემინარიაში სწავლის გასაგრძელებლად.

საერთო კრების მიერ ერთხმად მიღებული ეს დადგენილება გადავეცით ალექსი ჭიჭინაძეს. პედაგოგიურმა საბჭომ მოისმინა ჩვენი ოქმი, დადგენილება დაამტკიცა და სისრულეში მოიყვანა.

როგორ მოხდა ეს, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი ოქმი თუ მისი ასლი ხელთ ჩაუვარდა კავკასიის სასწავლო

ოლქის უფროსს რუდოლფს, რომელმაც ასეთი რეზოლუციით გამოუგზავნა ალექსი ჭიჭინაძეს:

Дайте объяснение: на каком основании это дело разбиралось воспитанниками семинарии и председательствовал здесь какой то Дзидзигури, а не педагогическим советом, под Вашим председательством...

ალექსი ჭიჭინაძის განმარტების შინაარსი არ ვიცი, ვერც არქივში ვნახე, მაგრამ ფაქტია, რომ დადგენილება არ დარღვეულა: მონიავა გამოცხადდა სემინარიაში 1908 წლის ივნისში, გამოცდები ჩააბარა და ატესტატი მიიღო; ფარულავა კი გამოცხადდა იმავე წლის სექტემბერში, ჩააბარა შემდგომ კლასში გადასასვლელი გამოცდები, განაგრძო სემინარიაში მეცადინეობა და ჩემთან ერთად დაამთავრა სემინარიის სრული კურსი 1909 წელს.

იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენად ზუსტად ჰქონდა აღრიცხული ყველა „წვრილმანი" კავკასიის სასწავლო ოლქს (ან იქნებ მის მზრუნველ რუდოლფს ჰქონდა დიდი მეხსიერება), ვიტყვი, რომ მონიავა-ფარულავას საქმის განსახილველი კრებები სემინარიაში, როგორც ვთქვი, 1908 წლის მარტში იყო, ხოლო თითქმის ერთი წლის შემდეგ (1909 წლის თებერვალში), როცა მე ქუთაისის ჟანდარმერიამ გამჩხრიკა სემინარიაში და წესისამებრ დირექტორმა ოლქის უფროსს რუდოლფს აცნობა ეს შემთხვევა, (სემინარიის უფროსი კლასის ბოსწავლე ძიძიგური ჟანდარმერიამ გაჩხრიკა და ვერაფერი მამხილებელი ვერ უპოვაო), — ალექსი ჭიჭინაძეს რუდოლფის ხელმოწერით მოუვიდა შეკითხვა: ეს ის ძიძიგურია, რომელიც კრებებზე თავმჯდომარეობდაო?

კიდევ მეტი: ეს ამბავი რუდოლფს არ დაავიწყდა კიდევ ერთი წლის შემდეგაც. როცა მე უკვე მასწავლებელი ვიყავი და ჩემს გაკვეთილს დაესწრო, მაგრამ ამაზე ქვევით ვიტყვი.

როგორც შემდეგ გამოირკვა, მეფის მთავრობას სემინარიაში ჰყავდა თავისი აგენტები, რომლებიც ა. ჭიჭინაძეს თვალყურს ადევნებდნენ. ამ აგენტების საშუალებით მთავრობამ

კარგად იცოდა, რომ ა. ჭიჭინაძე არათუ ნებას რთავდა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს პანსიონში ლექციები წაეკითხათ, მოხსენებები გაეკეთებინათ, კამათი მოეწყოთ და სხვა, არამედ, თვითონ ა. ჭიჭინაძე „კრამოლების“ აუდიტორიის წინა რიგებში იჯდა და მეფის საწინააღმდეგო აზრებს ისმენდა. მთავრობას აცნობეს აგრეთვე, რომ ალექსი ჭიჭინაძემ არალეგალურ ორგანიზაციას გადასცა იმ გრანდიოზული საღამოს შემოსავალი, რომელიც სემინარიაში მოეწყო და რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პართენ გოთუამ, სერიოჟა ქავთარაძემ, კოტე ფოცხვერაშვილმა თავისი გუნდით და სხვებმაო. მთავრობისათვის უცნობი არ დარჩენილა ის ფაქტიც, რომ თავხედსა და გოროზ შავრაზმელ მასწავლებელ ნიკოლაევს, რომელმაც ტყუილ-უბრალოდ მოკლა ტყეში გლეხი, ალექსი ჭიჭინაძემ და რამდენიმე მასწავლებელმა (პ. ჩხიკვიშვილმა, ტ. თაბუკაშვილმა, გ. ბურჭულაძემ...) ბოიკოტი გამოუცხადეს. მთავრობას აცნობეს აგრეთვე, რომ მოსწავლეები დემონსტრაციებში მონაწილეობენ, პირველ მაისობას იფიცებიან, ხოლო ა. ჭიჭინაძე ყოველივე ამას ხელს უწყობსო; რომ ჭიჭინაძემ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება დააარსა ხონშიო, რომ დრამატული საზოგადოება ჩამოაყალიბა, ჭიჭინაძე გოგოლის „რევიზორისა“ და მისთანა პიესების მთარგმნელია, ბევრი ქართული წიგნისა და სტატიის ავტორიაო და სხვ.

3

დადგა რეაქციის წლები. ალიხანოვის დამსჯელი რაზმები ხონის რაიონის დასარბევად ჩამოვიდნენ. ისინი სემინარიის წინ, ბახტაძის კერძო პროგიმნაზიის შენობაში, დაბანაკდნენ და იქიდან კაზაკები სემინარიელის დანახვაზე რუსულად შეგვიგინებდნენ ხოლმე საყვარელ დირექტორს. მეტიც: ერთ ღამეს კაზაკები სემინარიაში შემოიჭრნენ და მხცოვანი პედაგოგი ალექსი ჭიჭინაძე დიდი მუქარითა და ყვირილით წაიყ-

ვანეს თავიანთ ადგილობრივ უფროსთან; რამდენიმე საათის შემდეგ გამოუშვეს შეგინებული და შეურაცხყოფილი... მეორე დღეს ალექსი ბესარიონის ძე ქუთაისს ჩავიდა, რათა წრეგადასული კაზაკების თავხედობის გამო ალიხანოვისათვის პროტესტი განეცხადებინა. ალიხანოვმა არ მიიღო ჭიჭინაძე.

ალიხანოვის დამსჯელი რაზმები ჯერ ისევ ხონში იყვნენ, როცა სემინარიელებმა (ქართველებმა, რუსებმა, ბერძნებმა, რიცხვით 30-40 კაცმა) ქამრები შემოიხსნეს, მხარზე გადაიკიდეს, გაკვეთილები დატოვეს და საპირველმაისოდ გარეთ გამოვიდნენ.

ქალაქგარეთ მინდვრად დაბანაკებულ პროტესტანტებთან ზედიზედ მოდიოდნენ მასწავლებლები და გვთხოვდნენ: — დაბრუნდით სემინარიაში, შედით გაკვეთილებზე, სადაც სხვა თქვენი ამხანაგები მეცადინეობენ; ნუთუ ვერ ხედავთ, რომ რეაქცია მძვინვარებს, მეფის მთავრობისა და მისი მოხელეების წინააღმდეგ საბრძოლველად ახლა სხვა მეთოდია საჭიროო და სხვა. მაგრამ ჩვენ არც ერთი მათგანის რჩევა-მუდარას არ ვუსმენდით.

მახსოვს, ბოლოს მოვიდა ექიმი პოლიკარპე ჩხიკვიშვილიც; დაჯდა ჩვენს ახლოს და თავისთვის ნაწყვეტ-ნაწყვეტად ბუტბუტებდა ქართულად:

— ვაი, თქვენს პატრონს! სადა გაქვთ თქვენ ჭკუა?! თქვენ გგონიათ კარგ საქმეს აკეთებთ!.. სულელებო, თქვენთან არა ერთი და ორია ისეთი, რომელსაც ალექსი ჭიჭინაძის მოშორება უნდა თავიდან!.. თქვენ იმათ საქმეს აკეთებთ... თქვენისთანა უჭკუოსა და ოხრებზე ხელსაც არ გაისვრის მთავრობა... ალექსი ჭიჭინაძეს კი მოხსნიან სამსახურიდან და შეიძლება დაიჭირონ კიდეცო.

— ალექსი ჭიჭინაძეს მოხსნიანო?!. აბა, ბიჭებო, — ეუთხარით ქართველებმა ერთმანეთს, — შემოიკარით ქამრები!.. მოვკურცხლოთ სემინარიისაკენ, კაზაკებმა არ დაგვინახონ!

სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც გამოგვყვნენ და მალე ყველანი სემინარიაში გავჩნდით. ფეხაკრეფით შევედით კლა-

სებში, რომლებშიც ჩვენს ამხანაგებს, „შტრეიკბრეხერებს“ ასწავლიდნენ მასწავლებლები, და ჩვენც მათ შევუერთდით.

4

მახსოვს, იმ ხანებში თბილისიდან სლავინსკიც ჩამოვიდა. გაკვეთილები მიმდინარეობდა, როცა სემინარიის წინ გაჩერებული ეტლიდან გადმოხტა ოლქის ეს ცნობილი ინსპექტორი. მან, მიღებული წესის წინააღმდეგ, დირექტორი წინასწარ არ ინახულა და არც ახალი გაკვეთილის დაწყებას დაუცადა, ისე პირდაპირ შევიდა კლასში შუა გაკვეთილზე. ეს უცნაური და, ამავე დროს, სასწავლებლის უფროსის შეურაცხმყოფელი ფაქტი იმ წუთშივე აცნობეს ჭიჭინაძეს, რომელიც ამ დროს თავის კაბინეტში მუშაობდა... ალექსი ბესარიონის ძეც შევიდა იმ კლასში, რომელშიც სლავინსკი იყო. სემინარიელებმა კარგად იცოდნენ დაკანონებული წესი (თუ მდგომარეობით უფროსი მოხელეა კლასში და მისი ხელქვეითი შემდეგ შედის, მოსწავლეებს უფლება არა აქვთ ფეხზე ადგნენ უმცროსის მისასალმებლად და პატივსაცემად), მაგრამ, დაინახეს თუ არა თავიანთი საყვარელი დირექტორი, ყველა სწრაფად წამოდგა ფეხზე!.. ბრაზისაგან გაფითრდა რევიზორი სლავინსკი, მოულოდნელად და მელასებურად მიესალმა ალექსი ჭიჭინაძეს...

სლავინსკი ორი დღე არკვევდა სემინარიას და, როცა მესამე დღეს გიმნაზიის დათვალიერებაც მოისურვა და წინადადება მისცა ჭიჭინაძეს — მეახელიო, ალექსი ბესარიონის ძემ მოიმიზეზა, „შეუძლოდ ვარო“ და მარტო გაუშვა. ხოლო მეოთხე და მეხუთე დღეს, როცა სლავინსკი ხონიდან ქუთაისისაკენ მიემგზავრებოდა და მისთვის მოყვანილი ხონის საუკეთესო ეტლი (ჟორჟოლიანისა) უკვე სემინარიის ჭიშკართან იდგა, სემინარიელებმა თუნუქის ვედროს საკმაოდ გრძელი თოკი მოაბეს, ეტლს უკანა ღერძზე მიასკვნეს და ვედრო დათოკილი ბაწრით ეტლის ქვეშ შეაგდეს. მალე „ოლქის თვალი“ სლავინსკიც გამობრძანდა ჭიჭინაძის ბინიდან და ჩაბრძანდა

ეტლში. დაიძრა თუ არა ეტლი, ბაწარიც გაიჭიმა და თუნუქის ვედრო ხრიგინ-ხრიგინითა და გამაყრუებელი რახრახით გაჰყვა... ბაზრის ბიჭებმა ყიჟინა ატეხეს სასაცილო სანახაობაზე. დუქნებიდან ხალხი გამოცვივდა და ხარხარებდა, ხოჭრები სტვენდნენ დ გაჰყვიროდნენ: „ეეშტი!.. ეეშტი!..“ სლავინსკი გიჟივით ცქმუტავდა ეტლში, საბეშემლილი აქეთ-იქით იხედებოდა, ვერ გაეგო, რისთვის სტვენდა და ხარხარებდა ასე ისტერიულად ეს ხალხი, რატომ მისჩერებოდა ყველა მას, რამ დარაზმა მის წინააღმდეგ ასე მწარედ მთელი ხონი... წინასწარ გაფრთხილებული და შესყიდული მეეტლე კი, თითქოსდა აქ არაფერიაო, უკან მოუხედავად მიაჭროლებდა ჟესტგამობმულ ეტლს...

1909 წლის 13 თებერვალს, სამი გაკვეთილის შემდეგ, ეგრეთწოდებულ დიდ შესვენებაზე, სემინარიელები ვიდექით სემინარიის შენობის წინ და ვმუსაიფობდით, როცა შევნიშნეთ, რომ რამდენიმე ჟანდარმი და დაბა ხონის ბოქაული ოქროპირიძე სემინარიისაკენ მოდიოდნენ.

იმ დროს ჩვენთან შემთხვევით იყო ვიქტორ ავალიანი (რევოლუციურად განწყობილი, საკმაოდ განვითარებული ახალგაზრდა). ვიქტორმა თქვა: ისინი კარგი საქმისთვის არ ჩამოვიდოდნენ (ხონში ჟანდარმები არ იყვნენ, როგორც შემდეგ გაგიორკვა, ქუთაისიდან ჩამოსულიყვნენ), ალბათ, ვისმეს დაჭერა ან გაჩხრეკა უნდათ. ახლა თქვენ ადგილიდან არ დაიძრათ, არ შეშინდეთ და პანიკას არ მიეცეთ, თორემ უარესიაო. ვიქტორ ავალიანმა და სხვა რამდენიმე ამხანაგმა კარგად იცოდნენ, რომ ცოტა რამ არალეგალური მასალა მეც მქონდა. იქვე მდგომ ორ ამხანაგს შევატყობინე, თუ სად რა იყო შენახული!

მალე „სტუმრებიც“ მოგვიახლოვდნენ. დაბის ბოქაულმა ოქროპირიძემ მხარზე დამადო ხელი და ჟანდარმებს უთხრა: „Вот этот господин Дзидзигури“.

— Идите с нами, — მითხრა ერთ-ერთმა ჟანდარმმა. მე მათ გავყევი და ყველანი (ბოქაული, ჟანდარმები და მე) სემინარიის სამასწავლებლო ოთახში შევედით. მასწავლებლები სა-

მასწავლებლო ოთახში ჩაის მიირთმევდნენ. დაუპატიჟებელი სტუმრების დანახვაზე ზოგი ზეზე წამოდგა, ზოგიც ადგილიდან არ დაძრულა.

— დირექტორი სად არის? — იკითხა რუსულად ბოქაულმა ოქროპირიძემ.

— დირექტორი ახლა წავიდა გიმნაზიაში! — ერთად უპასუხა რამდენიმე მასწავლებელმა. ა. ჭიჭინაძე იმ ხანებში შეთავსებით ხონის გიმნაზიის დირექტორიც იყო დროებით).

— Воспитанника старшего класса Дзидзигури надо обыскать! — თქვა ერთ-ერთმა ჟანდარმმა.

— Нельзя ли вам чайку предложить! — უთხრა უსიამოვნო სტუმრებს მასწავლებელმა გრიგოლ ბურჭულაძემ (უთუოდ, დროის მოგების მიზნით. მართლაც, იმ მცირე დროითაც კარგად ისარგებლეს ამხანაგებმა).

— Какое время чай пить, надо приступить к обыску! — არასასიამოვნო ტონით უპასუხა ჟანდარმმა ბურჭულაძეს.

— Сейчас пошлем человека за директором, без его ведома Вы не имеете право обыскать! — ყველას განსაცვიფრებლად უთხრა ჟანდარმებს მონარქისტად (შეიძლება შეცდომით) ცნობილმა მასწავლებელმა დამაშევსკიმ.

— Знать не хотим Вашего директора! — უპასუხა ჟანდარმმა.

დაიწყო ჩემი გაჩხრეკა (საკლასო ოთახში — ჩემი მაგიდის, გარდერობში — ჩემი განჯინის, საწოლ ოთახში — ჩემი ლოგინის).

რადგან ჩემი სოფელი მათხოჯი ახლო იყო ხონთან, მასწავლებლებს გ. ბურჭულაძეს, ტ. თაბუკაშვილს და პ. ჩხიკვიშვილს უფიქრიათ, იქნებ ძიძიგურის გასაჩხრეკად სოფელშიაც წავიდნენო, და ამიტომ მიუღიათ სასწრაფო ზომები: ჩემს დეიდაშვილ სემინარიელ დოროთე ფირცხალავასთვის ჩაუცმევიათ დარაჯის ჩოხა-ახალუხი, ჩაუსვამთ ეტლში და სასწრაფოდ უფრენიათ მათხოჯში სათანადო ზომების მისაღებად.

გაჩხრეკის შემდეგ ჟანდარმებმა წამიყვანეს ბოქაულის კან-

ცელარიაში; თან წაიღეს ხელნაწერები, წერილები და სურათები, რაც კი იპოვეს ჩხრეკის დროს.

დაბის ბოქაულის კანცელარიაში დაგვხვდა ჟანდარმების როტმისტრი. მისი პირველი კითხვა იყო: ბომბები თუ ნახეთო?

— ვერ ვნახეთ! — უპასუხეს!

— არც „პეტარდები"? — იკითხა მრისხანედ.

— მე ვუპასუხე: — როდის იყო შემთხვევა, ხონში ბომბები ან პეტარდები ესროლა ვისმეს? მე ისინი საიდან მექნებამეთქი?

— Вы знаете Дадешкелиани? — მკითხა როტმისტრმა მოულოდნელად.

იმ წუთში მივხვდი, რომ იმ ხანებში კარგად ცნობილ სოციალ-დემოკრატ ლევან დადეშქელიანის შესახებ მეკითხებოდა.

— Знаю Дадешкелиани, уездного начальника, приезжал в Хони, приезжал в Матходжи! — ვუპასუხე უტიფრად.

— Вы, молодой человек, к какой противоправительственной партии принадлежите? — მკითხა როტმისტრმა.

— К какой партии? — გავიმეორე კითხვა პასუხის მოფიქრებისათვის დროის მოგების მიზნით.

— Да, к какой противоправительственной партии? — დაყვავებით და ისეთი საალერსო ტონით მკითხა, რომ ერთ წუთს გავიფიქრე, ალბათ, შესაძლებელია, სიმართლე ვუთხრა. მით უფრო, რომ სწრაფად გამახსენდა: სახელმწიფო სათათბიროში არიან დეპუტატები: სოციალ-დემოკრატები, სოციალ-რევოლუციონერები, სოციალ-ფედერალისტები... და ამას ისინი არც მალავენ-მეთქი. მაგრამ უცებ გადავიფიქრე და ვუთხარი: — Вы хотите, чтоб я ответил словом «партии»?

— Да, к какой противоправительственной партии?.. — მითხრა მელასებურად.

— Я принадлежу к «партии» воспитанников старшего класса Учительской Семинарии, кончаю Семинарию, вот моя партия! — ვუპასუხე მტკიცედ.

— Жулик! — წამოიძახა გაბრაზებით.

ამ დროს მისმა თარჯიმანმა, რომელსაც ჩემგან წამოღებული მასალა მისცა როტმისტრმა გასასინჯავად, შოერთვა ჩემი ხელნაწერებიდან სია ორმოციოდე კაცისა, რომელთა სახელ-გვარის გასწვრივ ეწერა ზოგს — 1 მან., ზოგს — 2 მან., ვის მეტი, ვის ნაკლები.

— ძიძიგური თურმე პოეტია, მისი ლექსები და წერილები გავსინჯე. საიმისო ვერაფერი ვნახე; ოღონდ მის ნაწერებში ნაპოვნი აი ეს სია კი საეჭვოა; ალბათ, არალეგალური ორგანიზაციისათვის შეკრიბა ფული, — მოახსენა თარჯიმანმა როტმისტრს და სია გადასცა.

— ოჰო! — გაუხარდა როტმისტრს.

ღარიბ სტუდენტ რეკვავას სასარგებლოდ შემოწირულება მქონდა შეკრებილი. გამახსენდა ისიც, რომ ერთი მანეთი თვითონ ამ ბოქაულმა ოქროპირიძემაც მომცა, და წელგამართულად მოვახსენე:

— ეს ფული ღარიბ სტუდენტს გავუგზავნეთ ოდესაში, პატონმა ბოქაულმაც კი გაიღო 1 მანეთი!

როტმისტრმა წარბი შეიჭმუხნა: — ფულის შეკრების ნებართვა გქონდათო? — იკითხა მკაცრალად.

— ჰქონდა, ჰქონდა! — დამასწრო მახეში გაბმულმა ბოქაულმა.

ამ დროს ბოქაულის კანცელარიის მინებიან კარებს მოადგა სემინარიის დირექტორი ალექსი ჭიჭინაძე.

— Можно? — იძახის იქიდან.

— Кто он? — იკითხა როტმისტრმა.

— Деректор Семинарии! — უპასუხა დამტვრეული რუსულით ბოქაულმა.

— Пусть воїдет! — ბრძანა როტმისტრმა.

შემოვიდა, როტმისტრთან მივიდა და ხელი გაუწოდა.

— Здравствуйте! — უპასუხა როტმისტრმა და უცებ თავი ჩაღუნა საბუთებისაკენ: თითქოს ვერც დაინახა გამოწვდილი ხელი.

ბ-ნ ალექსის ხელი ჰაერში დარჩა. უცებ უკანვე წაიღო და იქვე ახლოს სკამზე დაეშვა.

სისხლი მომეგჯინა ყელში! ერთი ვიფიქრე: ვეცემი ამ მხეცს ჩემი საღმერთებელი დირექტორის შეურაცხყოფისთვის-მეთქი, მაგრამ იღბლად თავი შევიკავე.

— გაიხადეთ პალტო! — უთხრა ალექსი ჭიჭინაძეს ბოქაულმა ქართულ ენაზე.

— Нет, боюсь! — რუსულად უპასუხა ალექსი ბესარიონის ძემ.

— Чего боитесь, 13-го числа боитесь? — შეეკითხა როტმისტრი ჭიჭინაძეს (იმ დღეს 13 რიცხვი იყო).

— Нет! мне на грузинском языке сказали—снять пальто, а я простуды боюсь!.. Да, впрочем, и 13 числа боюсь!... განაგრძო ჭიჭინაძემ, — Скажите, что служит причиной обыска?

— У одного подозрительного лица нашли его адрес! — უპასუხა როტმისტრმა ჩემს დირექტორს.

— Молодой человек! — მომმართა ისევ მე: — Скажите у кого мог быть Ваш адрес?

— Не могу знать! — ვუპასუხე მე. — Мой адрес может иметь и такой человек, которого я вовсе не знаю!

— Как? — გადამიტრიალა თვალები.

მე გავუმეორე, რომ ჩემი მისამართი შეიძლება ჰქონდეს ისეთ კაცს, რომელსაც მე არ ვიცნობ-მეთქი, და ჩემი აზრის დასამტკიცებლად ვუთხარი, რომ არის ქვეყანაზე ერთი კაცი, რომელიც წერს ლექსებს და ქვეშ აწერს „ა. შ-ლი". მე დავინტერესდი გამეგო, ვინ არის ეს ა. შ-ლი. ვიღაცამ მითხრა: ეს არის ალექსანდრე შანშიაშვილი, თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მოწაფეო.

მე ჩავიწერე ჩემი უბის წიგნაკში: „თბილისი. სათავადაზნაურო გიმნაზია. ალექსანდრე შანშიაშვილი". მე მას არ ვიცნობ, ის მე არ მიცნობს! ასევე შეიძლება ვინმე უცნობს ჰქონდეს ჩემი მისამართი; ეს შესაძლებელია იმიტომაც, რომ,

როგორც ახლა თქვენმა თარჯიმანმა მოგახსენათ, მეც ლექსებსა ვწერ და ვბეჭდავ. ფსევდონიმად მაქვს „ვარლამ“, ხან „ვარლამ იმერელი“. შეიძლება ვინმე დაინტერესდა გაეგო, ვინ არის „ვარლამ“ („ვარლამ იმერელი“). მას უთხრეს, ვინცა ვარ; მოხსენებულის ანალოგიის მსგავსად იმანაც ჩაიწერა ჩემი მისამართი: „ხონი, სამასწავლებლო სემინარია. ვარლამ ძიძიგური“. მე შეიძლება საეჭვო კაცი ვიყო, მაგრამ ამის გამო, რომ ალექსანდრე შანშიაშვილი, რომლის მისამართსაც ჩემთან ნახავთ, დაიჭიროთ, უსამართლობა იქნება, ისევე, როგორც ჩემზე ეჭვის მიტანა იმის გამო, რომ ვიღაც ჩემთვის უცნობს ჩემი მისამართი აღმოაჩნდა...

— Обстрелянный воробей, — ჩაილაპარაკა თავისთვის.— Пока свободный, уходите!

— მე არ მომცემთ ცნობას, რომ ჩემი მოწაფე გაჩხრიკეთ და ვერაფერი აღმოაჩინეთ? — ჰკითხა როტმისტრს ჭიჭინაძემ და განაგრძო: — ეს შემთხვევა ხომ უნდა ვაცნობო სასწავლო ოლქის უფროსს?

— ჩვენ ვაცნობებთ უთქვენოდაც, — უპასუხა როტმისტრმა დირექტორს, — თუმცა, ჰო, აცნობეთ, თქვენც აცნობეთ! — თქვა უკმეხად, აგდებულად და გამოგვისტუმრა.

ცხადი იყო, რომ ჟანდარმერიას ალექსი ჭიჭინაძის მოხსნა და დასჯა აინტერესებდა. ის საამისო საბუთებს ეძებდა. თუ ალექსი ჭიჭინაძის მოწაფეს რაიმე აღმოაჩნდებოდა, ეჭვს გარეშეა, პირველ რიგში მას, როგორც ისედაც შემჩნეულ დირექტორს, სტაცებდნენ ხელს. ამიტომ იყო, რომ ხონის პროგრესული ნაწილი ალექსი ჭიჭინაძეს ულოცავდა გადარჩენას. წარმოიდგინეთ, ხონის რაიონის ბოქაულმა, ლიბერალად ცნობილმა აქვსენტი ფაღავამაც კი, როგორც მაშინ ამბობდნენ, „გულწრფელად მოულოცა ჭიჭინაძეს გადარჩენა“.

აქვე მომყავს ასლი იმ პატაკისა, რომელიც იმავე დღეს გაუგზავნია ალექსი ჭიჭინაძეს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისათვის.

М. Н. П.
Кавказский
Учебный Округ
Директор
Кутаисской Учительской
Семинарии

Его превосходительству,
Господину Попечителю
Кавказского Учебного
Округа

Почтительнейше докладываю Вашему Превосходительству, что сего числа в двенадцать часов дня, у воспитанника вверенной мне семинарии Варлама Дзидзигури, произведен обыск помощником начальника Кутаисского губернского жандармского управления. Самым тщательным обыском ничего предусмотрительного у Дзидзигури не обнаружено, и он на свободе. По словам производившего обыск последний вызван тем, что у какого-то политически заподозренного лица найден адрес Дзидзигури.

Директор А. Чиннадзе.
За письмоводителя В. Абашидзе».

კავკასიის სასწავლო ოლქმა მოითხოვა ამ საკითხის უფრო ვრცლად გაშუქება, თუ ალექსი ჭიჭინაძეს სურდა ყველა დეტალი სცოდნოდა გაჩხრეკის გამომწვევი მიზეზებისა, არ ვიცი, მაგრამ არქივში დაცულია ასეთი მიწერილობაც (თარიღი: 1909 წლის 18 თებერვალი, № 115):

Секретно.

Господину Начальнику Кутаисского Губернского
жандармского управления

13-го числа сего февраля произведен помощником Вашим обыск у воспитанника вверенной мне семинарии Варлама Дзидзигури. Лично мне результаты обыска известны: ничего предосудительного не найдено, но при переписке с Господином Попечителем Кавказского учеб-

ного округа мне надобна копия с составленного помощником Вашим протокола об обыске и результатах его. В виду сего покорнейше прошу Ваше Высокоблагородие выслать мне копию со сказанного протокола в возможно непродолжительном времени и не отказать сообщить, чем именно вызван был обыск.

Директор Семинарии, Статский Советник А. Чичинадзе.

გაზეთი „ივერია“ (№ 8, 1909 წ.) ასე აღწერდა ამ ამბავს: „დ. ხონი. 13 იანვარს აქ ჩამოვიდა ჟანდარმი, მისი აფიცერი და პოლკოვნიკი. ჩამოსვლისთანავე გაჩხრიკა სამოსწავლო სემინარიის მოწაფის ვ. ძიძიგურის მაგიდა და საწოლი დივანი სასწავლებელში. საწინააღმდეგო ვერაფერი აღმოაჩინეს. შემდეგ თვით ვ. ძიძიგური წაიყვანეს პოლიციაში და ჩამოართვეს ჩვენება. ჟანდარმის პოლკოვნიკი ჩვენების ჩამორთმევის დროს სხვათა შორის შეეკითხა, თუ რომელ პარტიას ეკუთვნოდა. ძიძიგურმა უპასუხა, მოწაფე ვარ, მე ჩემი საქმე მაქვს, — რა მეპარტიებაო. როგორც პოლიციას უთქვამს, მიზეზი ვ. ძიძიგურის გაჩხრეკისა ყოფილა ის, რომ თბილისში პოლიტიკურ ტუსაღისათვის აღმოუჩენიათ ვ. ძიძიგურის წერილი. ეს კი ცხადია, რომ ხონში დღითი დღე მრავლდება ენაგრძელი მაბეზღარები, რომელნიც პირადი ინტერესების გამო საზიზღარი ხელობის მორევში იფლობიან. ჟანდარმის პოლკოვნიკი მოვიდა შემდეგ სასწავლებლის გამგესთან და მასაც ჩამოართვა ჩვენება“.

იმავე წლის იუმორისტულ ალმანახ „სალამურში“ (№ 2) „ხონელი ეშმაკი“ ასე ოხუნჯობდა:

„ონი. ამ დღეებში გაჩხრიკეს სამასწავლებლო სემინარია და აღმოუჩინეს მოსწავლე ძიძიგურს შვიდი ზარბაზანი, ხუთი პულემიოტი და აგრეთვე ათი ტომი თავისი ნაწარმოები (ჯერ კიდევ დაუბეჭდავი)“.

ამ ოხუნჯობამ გამახსენა მასწავლებელ, ლუცია ივანეს ასულ ქუთათელაძის ნაამბობი, ისიც ჟანდარმების ხონში ჩამოსვლასთან დაკავშირებული: 1903 თუ 1904 წელს საშა წულუკიძე ცოლით ხონში ლუციას დედ-მამის ოჯახში ცხოვრობდა. ერთ დღეს ხონს ჟანდარმერია ეწვია. საშა წულუკიძე ლუციას ბიძის, პოლკოვნიკ ვიქტორ ქუთათელაძის ოჯახში გადამალეს, მისი ხელნაწერები, არალეგალური ჟურნალები, ბროშურები ლუციას მამამ ქვაბით ვენახში დამარხა. შემდეგ ეს ქვაბი ილია ქუთათელაძემ ვეღარ იპოვა და დარდობდა არა ლიტერატურისა და ხელნაწერების დაკარგვას, არამედ იმ ქვაბისას.

7

1909 წლის ივნისს დავამთავრე ხონის საოსტატო სემინარია. იმ (1909) წლის გამოშვება იყო რიცხვით ოცდამეხუთე დღიდან ხონში სემინარიის დაარსებისა და პირველი ქართველი კაცის, ალექსი ჭიჭინაძის, დირექტორობის დროისა.

1909 წელს ქუთაისის სამასწავლებლო სემინარიის (დაბა ხონში) სრული კურსი დაამთავრა და დაწყებითი სკოლის მასწავლებლის წოდება მიიღო 22 კაცმა, მათ შორის იყვნენ: 1 უდი, 1 აფხაზი, 1 ყირიმელი თათარი, 2 უკრაინელი, 3 რუსი, 14 ქართველი.

სემინარიაშივე მოგვივიდა მასწავლებლად დანიშვნის ბრძანებები. პირადად მე დავინიშნე სოფ. კულაშის ნორმალური ორკლასიანი სასწავლებლის მასწავლებლად, მაგრამ, სანამ ჩემს მასწავლებლობაზე ვიტყოდე რასმე, აქვე უნდა აღვნიშნო ის დიდებული დღე, რომელიც ჩემი ხსოვნიდან არასოდეს არ ამოიშლება. ეს არის ჩვენი საყვარელი მგოსნის — აკაკი წერეთლის იუბილე და მისი სტუმრობა სემინარიაში.

VI

აკაკი წერეთელთან

1

აკაკი წერეთელი (1840-1915) პირველად მის იუბილეზე ვნახე. ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობის საპასუხოდ საქართველომ აკაკის მოღვაწეობის 50 წლის იუბილე მოაწყო და აკაკის ხომ თავისი მიუზღო, — ილიას პატივისცემა და სიყვარულიც მას დაუმატა.

იუბილე 1908 წლის 7 დეკემბერს გაიმართა თბილისში, ხოლო ერთი კვირის შემდეგ, 14 დეკემბერს, ქუთაისში განმეორდა. შემდეგ კი არ დარჩა საქართველოში არც ერთი ასე თუ ისე ცნობილი კუთხე, სადაც აკაკის იუბილე მისივე თანდასწრებით არ მოწყობილიყო. მხცოვანმა პოეტმა, აკაკიმ, საქართველოს ზოგი კუთხე პირველად თავისი იუბილის დღეს ნახა, მაგალითად, რაჭა. როცა რაჭველებმა უსაყვედურეს: „ჩვენო საამაყო აკაკი, რატომ აქამდე არ მობრძანდით ჩვენშიო“, აკაკიმ თავისებურად იოხუნჯა: „ადამიანი ტკბილეულს სადილის ბოლოსათვის შემოინახავს და მეც ჩვენი საქართველოს ულამაზესი კუთხის, რაჭის, ნახვა მოხუცებულობის დროისათვის შემოვინახეო“.

თბილისში მოწყობილი პირველი იუბილის დროს გამოირკვა, რომ მეფის მთავრობა მოწაფეებს უფლებას არ გვაძლევდა აკაკისათვის გამართულ საჯარო იუბილეში მონაწილეობა მიგვეღო. ამის მიუხედავად, ხონის საოსტატო სემინარიის

მოწაფეები შევიკრიბენით და გადავწყვიტეთ, რაც უნდა მოგვსვლოდა, იუბილეზე დელეგატი გაგვეგზავნა. კრებამ დელეგატად მე ამირჩია. იმ დღესვე დავწერე აკაკისადმი მისასალმებელი ლექსი. სემინარიის მაშინდელი დირექტორის, ალექსი ჭიჭინაძის, რჩევით სემინარიის ფორმა გავიხადე, ერთ-ერთ პარიკმახერს (სერაფიონ ბარაბაძეს) ჩოხა გამოვართვი, ჩავიცვი და „მათხოვჯელი გლეხის“ სახელით ქუთაისში აკაკის იუბილეზე გამოვცხადდი.

ითელი ქალაქი ფეხზე იდგა. ქუთაისის პატარა თეატრი პატარძალივით იყო მორთული, საზეიმოდ გამოწყობილი ოთხმოცი დელეგატი სცენაზე ვიყავით. თეატრი მაყურებლებით იყო გაჭედილი. ქუჩებში ხალხი არ ეტეოდა. ცნობილ მეეტლე მელიას ეტლით, რომელსაც ერთხელ უფულო აკაკიმ უთხრა:

„შენ რომ გინდა მელიაო
იგი შემომელიაო“1. —

აკაკი თეატრში მოჰყავდათ. დიდწვერა მელია და მისი ეტლი საგანგებოდ იყო მორთული, ცხენები ნელი ნაბიჯით

---

1 იონა მეუნარგიას ცნობით, ეს სიტყვები ეკუთვნის მამია გურიელს; თითქოს ამ უკანასკნელს უნდა ეთქვას ეს ლექსი მეეტლე მელიასთვის მაშინ, როცა მელია მივიდა მამია გურიელთან პოეტზე დარჩენილი ნისიის მოსათხოვნად. დაუჯერებელია: მელია არასოდეს დაიმცირებდა თავს, რომ ხუთი შაურისთვის (ერთი „კანეცის“ ფულისათვის, თუნდაც ბევრად მეტიც ყოფილიყო) მიეკითხა პოეტისათვის. ცნობილია, რომ მელია დიდად აფასებდა ჩვენს საზოგადო მოღვაწეებს და არა იშვიათად ფულსაც არ აჰდევინებდა მათ.

მე კი ეს ამბავი ასე ვიცი. ერთხელ აკაკი წერეთელი ჭიათურიდან ჩამოვიდა ქუთაისში. სადგურიდან პოეტი ფეხით მიდიოდა ქალაქისაკენ, რო-

მოდიოდნენ. ეტლში აკაკი იჯდა, წინ მეზურნეები მოუძღოდნენ და საამურად უკრავდნენ. „ვაშას“ ძახილი მთელ ქუთაისს აყრუებდა. აკაკი სცენაზე ამოიყვანეს და ყვავილებით მორთულ სავარძელში ჩასვეს. დაიწყო დელეგატების გამოსვლა. ზოგს ენა პირველად მაშინ აედგა, ზოგს ნავარჯიშები ენა დაება. ბევრი ორატორი გაფუქდა, ბევრი მუნჯი ამეტყველდა. მე ჩემი ლექსი „მათხოვჯელი გლეხის“ სახელით ვუთხარი.

ლექსი თავდებოდა სიტყვებით:

„კურთხეულ იყავ... უკუნისამდე
სადიდებელო და სასახელო...
აწ უკვდავი ხარ, შენი ძეგლია
ქართველთა გული და საქართველო“.

მგოსანს იქვე ჩასჩურჩულეს, სემინარიის წარმომადგენელი არისო. აკაკი იცინოდა, ოხუნჯობდა, ყველას ეხვეოდა და კოცნიდა. ბოლოს იუბილარმა სამადლობელი სიტყვა თქვა და ყველა დაშაქრა...

2

მეორედ აკაკი ხონში ვნახე, როცა ხონელებმა იუბილე გაუმართეს. იუბილის შემდეგ ხონის მაშინდელი მეცენატის. მოხუც ივანე შარაშენიძის ეზოში ვახშამი მოუწყვეს. ვახშამზე მთხოვეს მივსალმებოდი აკაკის. სახელდახელოდ შევადგინე აკაკისადმი მიძღვნილი ლექსი და მივესალმე. რადგან ამ ჩემი

ცა მას ცარიელი ეტლით მელია წამოეწია; ის გაუსწორდა აკაკის, შეჩერა ცარიელი ეტლი და დაუძახა: ბატონო აკაკი, გთხოვთ ჩაბრძანდეთ! ენამოსწრებულმა აკაკიმ ღიმილით და ხუმრობით უთხრა მეეტლე:

„შენ რომ გინდა, მელაო,
იგი შემომელიაო“ [1].

— როგორ გეკადრებათ, ბატონო აკაკი, ფულს ხომ არა გთხოვთ!— ღიმილით უპასუხა მელიამ.

— ბახტაძისას მივდივარ! — ჩაილაპარაკა ნასიამოვნებმა აკაკიმ და ეტლში ჩაჯდა. ბახტაძე — ილია ხონელის ძმა — მეგობარი იყო აკაკისა, რაც მელიამაც კარგად იცოდა (აკაკი ხშირი სტუმარი იყო ბახტაძისა).

უბრალო ლექსის დაბეჭდვის გამო ვალერიან გუნიას ჟურნალს კონფისკაცია უყვეს და მას, როგორც რედაქტორს, ექვსი თვის ციხე გადაუწყვიტეს, — ნებას მივცემ თავს მთლიანად მოვიტანო ის აქ:

აკაკის

დიდო ვარსკვლავო საქართველოსი,
მწამს, რომ შენა ხარ ნამდვილი „გივი“...
მრავალს ღაღადებს ერის ყიჟინი:
„ჩვენი აკაკი, ჩვენი არწივი!..“
ბევრი გატირა შენმა სამშობლომ,
მთლად დანგრეულმა, დაძინებულმა;
მის გასაფურჩქნად, გასაღვიძებლად
ბევრი იძგერა მაგ წრფელმა გულმა!..
სასიქადულოვ! ხედავ — „ავადმყოფს“.
აღარ მომკვდარა, ზე წამომდგარა:
მის დამიწებას ვინაც ნატრობდა,
აღარ მოესწრო, ხომ ხედავ, არა!!
დროა გამოსვლის, დიდო სარდალო,
პატარა კახი ტოკავს, არ სცხრება!
ბრმაც ხალხს მოუხმობს, როცა შენ გრგვინვით
ქართველთ შეგეძახებ: „კმარა მონება!“
ღმერთს ვევედრებით, კიდევ გაცოცხლოს,
შენვე მოგასწროს, რაც გენატრება,
რომ ჩვენს სამშობლოს, მრავალტანჯულსა,
მიეცეს შვება და განახლება!..
მაშ, გაიხარე, წინ გაგვიძეხ!
აწ აღარა ვართ ღონემიხდილი,
და შენებურად კვლავ შემოგეძახე:
„ან გამარჯვება და ან სიკვდილი!“ [1]

(ჟურნ. „ბურჯი“, 1909 წ. № 4).

---

[1] წიგნის პალატაში დაცულია ამ ჟურნალის ორი ეგზემპლარი: ერთში ეს ლექსი მთლიანად იკითხება, მეორეში — ამ ლექსის მესამე და მეხუთე (უკანასკნელი) სტროფები შავი ლაქით არის დაფარული.

ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას მოვახსენებ პოეტ-აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილს, რომელიც იმ ხანებში რედაქციაში მუშაობდა, კონფისკებული ჟურნალის რამდენიმე ცალი შეენახა და ერთი მე გადმომცა.

მეორე დღეს ალექსი ჭიჭინაძემ აკაკი წერეთელი სემინარიაში მოიყვანა; მე და ერთ ჩემს ამხანაგს, ილია გოგიას, წინადადებით მოგვმართა — აკაკის თანდასწრებით მიგვეცა გაკვეთილები (მაშინ სემინარიის უფროსი კლასის მოსწავლეებს გვავარჯიშებდნენ გაკვეთილის გადაცემაში). სწრაფად მოვემზადეთ გაკვეთილის გადასაცემად. გაკვეთილები უნდა მიგვეცა სემინარიასთან არსებულ ორკლასიან სასწავლებელში. ორ ჯგუფთან (4 და 5) ერთდროულად უნდა გვემეცადინა. გაკვეთილის პირველი ნახევარი ორივე ჯგუფთან მე ჩავატარე, მეორე ნახევარი იმავე ორ ჯგუფთან ამხ. ილია გოგიამ იმეცადინა.

ერთ ჯგუფს ვასწავლიდი აკაკის ლექსს „გაზაფხული" („დღეს მერცხალი შემოფრინდა, ჭიკჭიკითა შემომძახა"...), მეორეს — ილია ჭავჭავაძის ლექსს „აყვავებულა მდელო, აყვავებულა მთები"...

ზარი დაირეკა... ჩემი გულიც ზარივით სცემდა. შეველი კლასში. მალე შემოვიდნენ: აკაკი, ივანე შარაშიძე, ალექსი ჭიჭინაძე და აკაკის მთელი ამალა. რადგან საკლასო ოთახი ამდენი სტუმრის გარდა ჩემს კლასის ამხანაგებსაც, რიცხვით 21 კაცს, არ დაიტევდა (ჩვენ ერთმანეთის გაკვეთილს, როგორც წესი, ყოველთვის ვესწრებოდით), ისინი კლასის გარეთ, გაღებული ფანჯრების გასწვრივ დადგნენ.

გაკვეთილი დავიწყე. მაგრამ პირველი 3-5 წუთის განმავლობაში მოწაფეების ყურადღება ვერ დავიპყარი, ყველა აკაკის მისჩერებოდა, ზოგს ჩუმად ამოეღო წიგნები, გადაეშალა ის გვერდი, სადაც აკაკის სურათი იყო, და წამდაუწუმ ხან აკაკის უცქეროდა, ხან მის სურათს. დამჭირდა „ცხელი თვალის" ჩვენება, რომ მოწაფეები თავიანთ სიამოვნებას გამოთხოვებოდნენ და იმ წუთში მათთვის ნაკლებად სასიამოვნო საქმეს — გაკვეთილის მოსმენას და საჭირო პასუხის მოცემას შესდგომოდნენ. გაკვეთილი ჩატარდა. მოსწავლეებმა მასში ცხოველი მონაწილეობა მიიღეს. ჩემმა ამხანაგმაც ჩაატარა გაკვეთილი.

აკაკი გადაგვეხვია ორივეს, დაგვკოცნა და გვითხრა: „გული დამწყვიტეთ, ყმაწვილებო! ჩემს დროში სად იყო ასეთი გაკვეთილები“, — შემდეგ ალექსი ჭიჭინაძეს მადლობა უთხრა და გარეთ გავიდა. ძას გაჰყვა ჩემი გული და სიყვარული.

მეორე დღეს აკაკი გავაცილეთ ქუთაისამდე. მას უამრავი ეტლით მიჰყვებოდა დიდძალი პატივისმცემელი. გზაში (გუბში) აკაკისთან ერთად სურათი გადავიღეთ.

მახსოვს, მაშინ ჩვენთან, სხვათა შორის, ხონის რაიონის ბოქაული, იმ ხანებში „ლიბერალად“ ცნობილი აქვსენტი ფაღავაც იყო. სურათის გადაღების დროს ის აკაკის გვერდით დაჯდა. აკაკიმ ბოქაულის გვერდით ჯდომაზე უარი თქვა. დარცხვენილი ბოქაული იძულებული გახდა უკან დამდგარიყო, ეპოლეტები მიემალა.

აკაკის გაცილების შემდეგ სემინარიაში დავბრუნდით. სემინარიელების უმრავლესობა მაშინ რევოლუციონერობდა, მაგრამ თითო-ოროლა შავრაზმელი სემინარიაში მუდამ იყო. მახსოვს ასეთი შემთხვევა: ერთხელ ქართველი სემინარიელები ჩვენს არაქართველ ამხანაგებს (რუსებს, ბერძნებს, თათრებს) ვაცნობდით აკაკის ვინაობას... ხელთ გვქონდა ა. ხახანაშვილის წინასიტყვაობით გამოცემული ბროშურა — აკაკის ლექსების თარგმანები. ჩვენ წავუკითხეთ ეს ბროშურა ამხანაგებს და ყდაზე მოთავსებული აკაკის სურათიც ვაჩვენეთ. ერთმა შავრაზმელმა, მოწაფე ოსტროუსოვმა გესლიანად წამოიძახა: „პრანჭია და მკვეხარა ყოფილა თქვენი აკაკი, რაა თავზე რომ შემოუდვია ხელი და სურათი ისე გადაუღია! ვითომ რაო და შემომხედეთ, რა დიდი ჭკუა და თავი მაქვსო“. ამ სიტყვებმა ისე გაგვაბრაზა, რომ ვეცით ოსტროუსოვს, მაგრამ გაგვაშველეს და მორიგე მასწავლებელმა დაგვტუქსა.

ამის შემდეგ, როცა იმავე ხანებში (1909 წლის მარტში) რუსეთის დიდებული მწერლის, გოგოლის ასი წლის თავი სემინარიას ოფიციალურად უნდა გადაეხადა და მე იუბილეში მონაწილეობის მიღებაზე უარი განვაცხადე, რუსებმა მიჩივ-

ლეს დირექტორთან. ალექსი ჭიჭინაძემ დამიძახა თავის კაბინეტში და „განდგომის“ მიზეზი მკითხა, ვუპასუხე: მთავრობამ აკაკი წერეთლის იუბილეში მონაწილეობის უფლება არ მოგვცა, გოგოლის იუბილეს კი გვაძალებს-მეთქი.[1]

ა. ჭიჭინაძემ გაიცინა და მითხრა: ასეთი შემთხვევის გამო იტყვიან: „ცხენს ვერ მოერია და უნაგირს ამტვრევსო“. რუსეთის მთავრობა და ჩინოვნიკები არიან ცუდი, თორემ გოგოლი და რუსი ხალხი კარგიაო, თან წინადადება მომცა, იუბილეში მონაწილეობა მიმეღო. შევპირდი, იუბილეში მონაწილეობას მივიღებ იმ პირობით, თუ ნება მექნება გოგოლი ვაქო, ხოლო რუსეთის ჩინოვნიკები ვაგინო-მეთქი. ალექსი ბესარიონის ძემ ამის ნება მომცა. მეც ასსტრიქონიანი ლექსი დავწერე, რომელსაც ასე ვიწყებდი:

ნ. ვ. გოგოლს

მგოსანო, როცა შენი ქვეყანა
სულ მთლად გაიხრწნა ბილწ ჩინოსნებით,
ჩიჩიკოვებმა, გოროდნიჩებმა
თავი გამოყვეს თვის ამალებით, —
მაშინ გამოჩნდი, შორს ხარხარებდი
ზნედაცემულთა გასასწორებლად...
მთელი სიცოცხლე იშრომ-ილვაწე
და ეს ნალვაწი დაიდგი ძეგლად!..

შემდეგ ვახასიათებდი ამ შესანიშნავი სატირიკოსის ღვაწლს კაცობრიობის წინაშე და ბოლოს ვამბობდი: შენს წინაშე ქედს იხრის მთელი რუსი ხალხი, მას უერთდება კავკასია, პოლონეთი, ციმბირი, ფინეთი, შენი სახელი წმინდაა და დიდი ყველასათვის! შენ არა მარტო შენი ერის სიამაყე ხარ, შენ ყველასათვის მზე ხარ!..

---

[1]. ამის ასე თქმა უთუოდ აღელვებისა და წუთიერი აფექტის გავლენით მომიხდა, თორემ 19-20 წლის ყმაწვილმა, ცნობილი პედაგოგის იანოვიჩის მოწაფემ, კარგად ვიცოდი რუსი კლასიკოსების წონა-ფასი. კერძოდ, ჩემი თარგმანი მაქსიმ გორკის გახმაურებული ლექსისა — „ტუსაღის სიმღერა“ (მზე ამოდის, ისევ ჩადის, ჩემს საკანში მუდამ ბნელა...) იმ დროს უკვე დაბეჭდილი იყო (იხ. ჟურნ. „ნიშადური“, 1908 წ. № 50).

გოგოლისადმი მიძღვნილი ჩემი ლექსის პროზაული თარგმანი დაიბეჭდა მწერლის საიუბილეო კრებულში (თბილისი, 1909 წ.).

3

მესამედ აკაკი თბილისში ვნახე — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. იმ დროსაც ქუთაისის საოსტატო (საძასწავლებლო) სემინარიის მოწაფე ვიყავი. ხონში ვცხოვრობდი, პანსიონში, კარჩაკეტილად.

ერთხელ სეძინარიელები საექსკურსიოდ ბაქოში წაგვიყვანეს. ბაქოდან რომ დავბრუნდით, ორიოდე დღე თბილისში გაგვაჩერეს. თბილისში ყოფნით ვისარგებლე და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში შევედი, სადაც ერთი ჩემი მეზობელი მუშაობდა (სამსონ ფირცხალავა).

იქ ვნახე აკაკი. მასთან ისხდნენ შიო არაგვისპირელი, შიო მღვიმელი და კიდევ სხვები. მე იმ დროს შევედი, როცა მღვიმელს მეგობრულად მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

„უსამართლობის გულისთვის
შევებრძოლები ქვეყანას,
რას მომცემს, ან რას წამართმევს,
გული რომ დამწყდეს, მისთანას“...

აკაკი იმ დღეს კარგ ხასიათზე იყო და ოხუნჯობდა. ჩემმა მეზობელმა აკაკის მოაგონა მის იუბილეზე გამოსული „მათხოჯელი გლეხი“. მგოსანმა გაიღიმა, სემინარიის ამბავი გამომკითხა. ვუამბე სემინარიელების გაფიცვებისა და, კერძოდ, სემინარიის პირველი ქართველი დირექტორის, ალექსი ჭიჭინაძის გამბედაობის შესახებ (სემინარიაში შავრაზმელ ალიხანოვის თარეშის დროსაც კი ვაწყობდით არალეგალურ საღამოებს, გაფიცვებს, მოგვყავდა და ვუსმენდით პროპაგანდისტებს და სხვ. ყოველივე ამაში ხელს გვიწყობდა მხცოვანი პედაგოგი ა. ჭიჭინაძე). ეტყობოდა, აკაკი დიდად დაინტერესებული იყო მომავალ პედაგოგთა სწავლა-აღზრდით.

მალე ისევ ოხუნჯობა დაიწყო, რამდენიმე ახალგაზრდა მწერალი ახსენა და ერთი მათგანის შესახებ თქვა: „მისგან რა პოეტი გამოვა, დღეში თორმეტ ლექსს წერსო“. ყველა უსმენდა, იცინოდა. ამ დროს „ვიღაც“ ერთი კაცი დაგლეჯილი ჩოხით, რომელსაც ჩოხის ჩიბუხებს ზევით კი არა, ზედ ჩიბუხებზე ჰქონდა ქამარი შემორტყმული, მხრებზე ყაბალახით, ცალთვალჩამოხეული, წვერგაპარსული, ოთახში ბოლთასა სცემდა, აკაკის ყურს არ უგდებდა, თითქოს რაღაცაზე ფიქრობდა... მე ვკითხე ჩემს მეზობელს: ნეტა ვინ არის ეს კაცი-მეთქი. მეზობელმა მითხრა: ნუთუ არ იცნობ. გაგაცნობ. ეს ვაჟა-ფშაველა არისო. ვაჟა უნახავად მიყვარდა, ზეზე წამოვხტი, მთის არწივი გავიცანი...

გაცნობის უმალ ვაჟას მივაყარე კითხვები: სურათში თქვენ სხვანაირი ხართ, წვერები რად მოგიპარსავთ-მეთქი. შემრცხვა, თვალის ტკივილის მიზეზი მეკითხა, მაგრამ ეს კი ვკითხე: თქვენ ხომ დიდი მწერალი ხართ, ასე ღარიბად რად გაცვიათ-მეთქი. მან მიპასუხა: აბა, საიდან ვიყიდი ფარჩებს, განა მწერლობა მაძლევს დიდ ფულს? აი, ეხლახან გამოვიდა ჩემი წიგნი „ცრემლები“, გამოსცა ის „სორაპანმა“; გამირიგდა, სამოც მანეთს მოგცემო, წიგნები გაყიდა, ფული მოიგო და მთელ წიგნში ოცი მანეთის მეტი არ მომცაო.

მეწყინა... მართალია, არც მთლად პატარა ბავშვი ვიყავი, მაგრამ მაინც არ ვიცოდი, თუ მწერალი მაშინ ასე მცირედ ფასდებოდა.

აკაკი წამოდგა. „ტრამვაის ფული არა მაქვს, მასესხეთ ერთი შაურიო“, — წარმოთქვა ხმამაღლა. უცებ დავიბენი; მინდოდა, მაგრამ ვერ გავბედე ფული მიმეწოდებინა. სამსონ ფირცხალავამ ვერცხლის ორშაურიანი ამოიღო ჯიბიდან,

იაწოდა აკაკის და უთხრა: „ჩემს „ფასკუნჯში“ (ჟურნალი იყო) რომ გასულ კვირას შენი ლექსი დაიბეჭდა, იმის სათაურის ფასი იყოსო“. აკაკიმ იოხუნჯა: „მე შაური მინდა, მეორე შაური ვინმე მათხოვარს უნდა მივცე, მაგრამ ჩემზე მეტ მათხოვარს

ვისლა ვნახავო“. თან სიცილით გამოართვა ორშაურიანი და გავიდა...

4

კიდევ რამდენჯერმე ვნახე აკაკი ხან რკინიგზის სადგურზე სადმე მიმავალი, ხან სცენაზე ლექსების თქმის დროს, მახსოვს, ერთხელ აკაკის სცენაზე თავისი ლექსი დაავიწყდა და ბავშვებმა პარტერიდან სიცილ-კისკისით უკარნახეს. აკაკი ხშირად მინახავს ქუთაისის ბაღში, თავის საყვარელ პატარა ბავშვებში ჩამდგარი, მოღიმარი და მოცინარი.

უკანასკნელად აკაკი ვნახე 1915 წლის 5-6 თებერვალს (ძველი სტილით) უკვე გარდაცვალებული. მე ამ დროს მასწავლებლად ვიყავი ლეჩხუმის მაზრაში, საიდანაც დელეგატად გამომგზავნეს აკაკის დასაფლავებაზე დასასწრებლად.

აკაკი თავის სოფელ საჩხერეში (სხვიტორში) გარდაიცვალა. იქიდან გამოვასვენეთ თბილისში დასასაფლავებლად. სადგურ შორაპნიდან თბილისამდე მოგავალი მთელი მატარებელი აკაკის ბალზამგაკეთებულ ცხედარს და მისი დასაფლავებისათვის საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გამოგზავნილ უამრავ დელეგატს ეკავა. მატარებელი მორთული იყო ყვავილებით, დელეგატებს მკლავებზე შავი ლენტები ჰქონდათ გაკეთებული.

შორაპნიდან თბილისამდე მატარებელს ყოველ სადგურზე აუარებელი ხალხი ხვდებოდა. მახსოვს, გამოჩნდებოდა თუ არა ხალხით სავსე სადგური. მატარებელი სვლას შეანელებდა. ხალხი დაინახავდა თუ არა მატარებელს, ყველა, როგორც ერთი კაცი, ერთბაშად დაიჩოქებდა. მუხლებზე დამდგარ ხალხს მატარებელი ნელი სვლით მიუახლოვდებოდა და გაჩერდებოდა. ხალხი ფეხზე წამოდგებოდა. ერთი ჩვენგანი სიტყვას იტყოდა, დამხდურებიც სიტყვას ამბობდნენ; შემდეგ მატარებელი ნელა დაიძროდა, ხალხი ისევ დაიჩოქებდა და ამით დიდ პოეტს უკანასკნელ ვალს უხდიდა. ასე ხდებოდა ყოველ სადგურზე, შორაპნიდან მცხეთამდე, თითქოს ვიღაცას განგებ მოუწყვიაო. მცხეთიდან თბილისამდე კი, არა მარტო

სადგურში, არამედ მთელ ხაზზე, გზის ორივე მხარეს, ზღვა ხალხი ჩამწკრივებულიყო. მახსოვს, მატარებელი მცხეთიდან თბილისამდე სულ ნელა მიდიოდა. ყოველ ჩვენგანს ტანში რაღაცნაირი ჟრუანტელი უვლიდა. ჩამოვედით თბილისში. სადგურზე დაგვხვდნენ აკაკის მეუღლე და აკაკის შვილი ალექსი (მაღალი, ჭაღარა), სადგური გაჭედილი იყო დამხდური დელეგატებით. სადგურის უკან, მოედანზე, ტრიბუნა ამართულიყო და მთელი თბილისი იქ მოსულიყო. ტრიბუნიდან თქმული ორიოდე სიტყვის შემდეგ აკაკის ცხედარი ქაშვეთის ეკლესიაში მოვასვენეთ. ეს იყო 5 თებერვალი (ძველი სტილით).

საღამოს დელეგატები დეპუტატთა საკრებულოში შევიკრიბენით აკაკის დასაფლავების (8 თებერვალი) დღის წესრიგის შესამუშავებლად.

გადაწყდა: ყოფილ ერევნის მოედანზე მხოლოდ ოთხ ქართველს მისცემოდა სიტყვა, დანარჩენი დრო უცხოელებისათვის დაგვეთმო. მამადავითზე კი ყველას ელაპარაკა, ვიდრე სულ არ დაბნელდებოდა.

დადგა 8 თებერვალი. დილის 12 საათზე აკაკის ცხედარი ქაშვეთის ეკლესიიდან გამოასვენეს. ხალხი თბილისში ფეხად არ ეტეოდა. ასე გეგონებოდათ, მთელი საქართველო თბილისში ჩამოსულიყო. პოლიცია თითქოს არ ჩანდა, ხალხი თვითონ იცავდა წესრიგს.

ერევნის მოედანზე პირველი სიტყვა მაშინდელმა ქალაქის თავმა, ხატისოვმა, ასე დაიწყო: „Сыны Грузии, граждане Тифлиса!..“

მენშევიკების წარმომადგენელმა ევგენი გეგეჭკორმა შოთა რუსთაველი და აკაკი წერეთელი დაუპირისპირა ერთმანეთს, ილია ჭავჭავაძეს გვერდი აუარა, ერთი სიტყვითაც არ უხსენებია; ილიას ღვაწლის მიჩქმალვამ ყველას გული ატკინა.

კრიტიკოსმა კიტა აბაშიძემ თავისი მშვენიერი სიტყვა ასე დაიწყო: „აჰა, დაიმსხვრა სასმისი, რომელშიაც საუკეთესო სასმელი ესხა. მაგრამ ნექტარი კი არ დაღვრილა, არამედ წვეთწვეთად გაიფანტა ყოველი ქართველის გულში“.

ნიკო ნიკოლაძემ სიტყვა ასე დაიწყო: „ხედავთ, ამ მადლიანი ადამიანის მადლიანმა სიკვდილმა როგორ მადლიანად გააერთიანა საქართველო. ხედავთ, რამდენი ჯარი გვყოლია, რამდენი ჯარი... მაგრამ შტაბი არა გვყავს, შტაბი“.

აჭარელმა მოხუცმა კაიკაციშვილმა არაკით დაიწყო: ორი ძმა ომში იბრძოდა. ერთი მტერმა დაჭრა და იქვე დავარდა. მეორე გადარჩა და შინ დაბრუნდა. ბრძოლის ველი მტერმა დაიპყრო. დაჭრილი ძმა არ მომკვდარა, გადარჩა. მტრისვე ხელში გადავიდა ჩვენი ტერიტორიის ნაწილი. დაჭრილი ძმის შთამომავლობა მტრის ტერიტორიასა და ბანაკში გაიზარდა. სხვადასხვა სახელმწიფოს ქვეშ მოქცეულ ძმებს ერთმანეთი დაავიწყდათ. შემდეგ ტერიტორიულად ისევ გაერთიანდნენ ძმები და მათი შვილთა შვილები, მაგრამ, სამწუხაროდ, ძმები ერთმანეთს ვეღარა სცნობენო... და შემდეგ დაასრულა: ბრძოლის ველზე დაჭრილი ძმისშვილები ჩვენა ვართ, აჭარლები, ბრძოლიდან სახლში დაბრუნებული ძმისშვილები თქვენა ხართ — დანარჩენი ქართველები. სატირალია და სავალალო, რომ ძმები ერთმანეთს ვეღარა ვცნობთ. დაე, ჩვენი საერთო შვილის — მადლიანი აკაკის სიკვდილმა ყველას აგვიხილოს თვალი და ძმებს ძმები გვაცნობინოსო...

მის შემდეგ ილაპარაკეს უკრაინელების, თათრების, სომხებისა და სხვადასხვა ეროვნებისა და კუთხის წარმომადგენლებმა.

ღამდებოდა, როცა აკაკი მამადავითზე მივასვენეთ, მივიყვანეთ იმ ადამიანთან, რომლის ცხედარს აკაკიმ 1907 წელს გულდამწველად უთხრა: „ნახევარი საუკუნეა მე და შენ საქართველოს ვემსახურებით... და თუ საქართველოს სიკვდილი უწერია, ბედნიერი ხარ შენ, რომ მასზე ადრე მოკვდი, და უბედური მე, თუ ჩემის თვალით ვნახე მისი სიკვდილი.“

მამადავითზე ბევრი სიტყვა ითქვა მის შემდეგაც, რაც კარგად დაღამდა და „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტ სამშობლოს“ ციცა სამარემ თავისი აკაკი სამუდამოდ ჩიიბარა...

VII

მასწავლებლობის პირველი წლები

1

1909 წლის ზაფხულზე შემთხვევით დავესწარი ხონის სემინარიაში მისაღებ კონკურსზე დაშვებულ მოსწავლეთა გამოცდების შედეგების გამოცხადებას. შეჩვეული ვიყავი, რომ ყოველ ასეთ დროს კმაყოფილია მხოლოდ 15-20 კაცი (კონკურსში გამარჯვებული), ხოლო ასეულები (კონკურსს გარე დარჩენილები) უკმაყოფილონი არიან, მწუხარებას ეძლევიან, ცრემლი ერევათ, ტირიან, იმუქრებიან... ასე რომ, ასეთი „სცენა“ არავისათვის და კერძოდ ჩემთვისაც მოულოდნელი არ იყო. მაგრამ იმ დღეს ერთი „დაჩაგრულთაგანი“ ისე გიჟივით იქცეოდა, რომ ყველას ყურადღება ერთბაშად მიიპყრო: აშკარა იყო, რომ ის არ ხუმრობდა და ნამდვილად თავის მოკვლა უნდოდა. ყველა მას მისცვივდა, მეც მას მივაშურე საკუთარ გულში ჩასაცემი დანა რომ წაართვეს, იქვე კედელს ურტყამდა თავს, იმედის გაცრუებას ისე გაემხეცებინა, რომ თვალები ამღვრეოდა, სიკვდილს ეძებდა...

დიდი დრო გახდა საჭირო იმის გასაგებად, რომ ის ყუბანის ოლქში მცხოვრები კაზაკია, რომ წელს მეორეჯერ ჩამოსულა ხონში გამოცდების ჩასაბარებლად, რომ ძლივს დაუთანხ-

მებია მამა სამგზავრო ფული მიეცა. რომ ორი წელიწადია ასე წვალობს, „მისით“ სწავლობს დღე და ღამ და მიზანს მაინც ვერ მიაღწია: მეორეჯერ ჩაჭრამ სამუდამო ჯვარი გადაუსვა მის სურვილს — სწავლა მიეღო, ამის გამო თავი არ უნდოდა ცოცხალი...

ისე გულშემზარავად ზმუოდა ეს 17-18 წლის ჭაბუკი, რომ ქვის გული უნდა ჰქონოდა ადამიანს, არ შეცოდებოდა. ყველა ანუგეშებდა მას...

მე ვუთხარი: ეს სემინარია ერთი თვეა, რაც დავამთავრე. დანიშნულიც ვარ მასწავლებლად ერთ-ერთ მახლობელ სოფელში. წამოდი ჩემთან. მე გაჭმევ და გასმევ უფასოდ და, რაც მთავარია, მოგამზადებ ამავე სემინარიისათვის; მომავალ წელს, აი ამ დროს. მოგიყვან აქ, გამოცდას დაგაჭერინებ და შემდეგ სახელმწიფო ხარჯზე ისწავლი. ახლა კი გავუგზავნოთ მამაშენს დეპეშა, რომ შენ ვითომ გამოცდა უკვე ჩააბარე და რჩები ხონის სემინარიაში. ალბათ, მშობლები წერილებს გამოგიგზავნიან და ის წერილები რომ უკან არ დაბრუნდეს, მე ვთხოვ სემინარიის ჩემს ამხანაგებს და ფოსტასაც, შენი წერილები მე გამომიგზავნონ სოფელში შენთვისვე გადმოსაცემადმეთქი.

ჯერ ყველაფერი ეს სიზმარი ეგონა, ანდა იფიქრა: მამშვიდებსო, მაგრამ შეპირებულის სისწორეში დარწმუნდა მას შემდეგ, როცა ეს „უცხო მოყმე“, ყუბანის ოლქის „სტანიცა“ ბატალპაშინსკაიას მცხოვრები, ბრგე კაზაკი ნიკიტა ივანეს ძე ბურლიაევი შინ წავიყვანე, მთელი წელიწადი ჩემი მცირე ჯამაგირით ვარჩინე, ერთგულად და მონდომებულად ვასწავლე, სათანადოდ მოვამზადე, ხონის სემინარიაში გამოცდები დავაჭერინე, სამი მანეთი მშობლებისათვის საგზავნი წერილების მარკების ფული მივეცი და სემინარიაში დავტოვე.

1914 წელს დაამთავრა ხონის სემინარიის კურსი ჩემმა ნიკიტამ. იმ წელსავე დაინიშნა მასწავლებლად თავის მშობლიურ ყუბანის ოლქში. კარგი მუშაკი და საზოგადო მოღვაწე დადგა. ყოველთვიურად მწერდა წერილებს: თავის ამბავს მატყობინებდა და სიყვარულით მომიკითხავდა. ასე გრძელდებოდა ეს. ვიდრე სამამულო ომი (1941—1945 წ.წ.) არ გაჩაღდა. 1942 წლის შემდეგ ბევრი ვეცადე, მაგრამ მისი ვერა გავიგე რა. უთუოდ ომის მსხვერპლი გახდა.

2

სოფ. კულაში, სადაც მე პირველად დაკინიშნე მასწავლებლად (1909 წ.), მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, სამტრედიის რაიონში. სადგურ სამტრედიიდან დაცილებული 4-5 კილომეტრით. ხონიდან სამტრედიაში მიმავალი შარაგზა შუაში ჭრის სოფელ კულაშს. გზის პირას ებრაელები ცხოვრობენ. ჩემს დროს მათ ბევრი დუქანი ჰქონდათ და სოფლის ცენტრში ვაჭრობა გაეჩაღებინათ: ფართალი, რკინეულობა, ბაკალეა სულ ებრაელების ხელში იყო. ქართველებს ფურნეები და სამიკიტნოები გაეხსნათ. იქვე ახლოს (მგონი კვირაობით) დიდი ბაზრობა იცოდნენ. სოფლის პერიფერიებში ცხოვრობდნენ გლეხები — ნინუები, ახობაძეები, ჯღამაძეები, შენგელიები, სტურუები... დიდი ეზოები ეჭირათ კულამის თავადებს, მიქელაძეებს, რომელთა ოჯახების რიცხვი ორმოცდაათამდე აღწევდა. ზიზილ-პიპილიანი და სირმებიანი ჩოხები ოფიცრის სამხრეებით, ხმლები, დეზები, გიმნაზიისა და რეა-

ლური სასწავლებლის ფორმები და კაკარდები, კადეტთა კორპუსის იუნკრების მოწყობილობა. ძველი ქართული ქულაჯები, ჩოხა-კოპები, დარაია-აბრეშუმის კაბები, ბრასლეტები, ვეერები, ბეჭდები, ტროსტები და სხვა სამკაულები თავადებს ამკობდა. კულაშელი პოლკოვნიკი ფარსადან მიქელაძე ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი იყო.

ზოგიერთი თავადი მარტო თავის სხეულში ხედავდა „ცისფერ სისხლს“ და იშვიათად თუ რომელიმე გლეხს იკადრებდა და გაუცინებდა თუნდაც მასზე ღარიბი თავადი. ეკლესიაში წირვაზე თუ კრებაზე ნამყოფი ზოგი თავადისათვის რომ გეკითხა, ვინ იყო წირვაზეო (კრებაზეო), გიპასუხებდა: ორი სამი თავადი! დანარჩენი „კაძახები“ იყვნენო. ერთხელ სკოლაში გაკვეთილებზე მიმავალ მასწავლებელ კ.ბ-ს დაუძახა ერთმა თავადმა, რომელიც იქვე დუქანში დახლთან ღვინოს სვამდა, და რაღაცნაირი ბრძანების კილოთი უთხრა: დალიე ერთი ჭიქა და აქ იყავიო! მასწავლებელი კ. ბ. შევიდა დუქანში და ბოდიშის მოხდით უპასუხა: გაკვეთილზე მივეჩქარები და დარჩენა არ შემიძლიაო. თავადმა არც აცივა და არც აცხელა, სტკლიცა ლოყაში, პანღურიც ამოჭკრა და ძაღლივით გამოაგდო გარეთ მასწავლებელი. მასწავლებელმა ეს შეურაცხყოფა ვერ აიტანა და გაასაჩივრა სამტრედიის სასამართლოში, სასამართლომ კი 3 მანეთით დააჯარიმა თავადი და ამით გათავდა ეს საქმე. თავადმა სამი მანეთი გადაიხადა, მაგრამ მას შემდეგ სულ ხარხარით და ტრაბახით ამბობდა: „კვლავაც, როცა მომეხასიათება, ერთ სილას გავარტყამ, პანღურსაც მაგრად ამოვკრავ და სამ მანეთსაც სიამოვნებით გადავიხდიო!“

მიქელაძეებში ცოტანი როდი იყვნენ ისეთები, რომელთაც გარდა ქონებისა, ჰქონდათ ჭკუა და გონება, ან ხარისხი, ასეთები, ცხადია, ყოველთვის ზომიერნი იყვნენ დაბალი წოდების წარმომადგენლებთან ურთიერთობის საკითხში, თავის თავს (თუ საზოგადოებას) მუდამ ანგარიშს უწევდნენ, მიწაზე დინჯად და მძიმედ დადიოდნენ, მათთან კულტურული ურთიერთობის დამყარება უთუოდ სასარგებლო იყო, დამთმობი და

თავაზიანი იყვნენ. ასეთი, პროგრესულად განწყობილი, განათლებული თავადი მიქელაძეები, რა თქმა უნდა, ოდნავადაც არ ჰგავდნენ თავის გვარის ზოგიერთ ხორცმეტ ადამიანს, რომელთაც არ ჰქონდათ არც ქონება, არც ჭკუა, არც სწავლა და არც რაიმე თანამდებობა. მათში ვერ ნახავდით ისეთ მოქალაქეს, რომელსაც დაბალი წოდების წარმომადგენლებთან არასაკადრისად ეჭირა თავი. ნაკლებად შეხვდებოდით ზნეობრივად აღვირახსნილ ადამიანს, ქარაფშუტას, ანტისაზოგადოებრივი ინსტინქტების მქონეს. მაგალითად, სანიმუშო ოჯახები ჰქონდათ ლევან, ალექსანდრე, სოლომონ, ვახტანგ, კასიან, მელქისედეგ, ვარლამ, ნიკოლოზ, ბიქტორ, აპოლონ მიქელაძეებს. ამ ოჯახებში იზრდებოდნენ კარგი შვილები, — ბევრი მათგანი დღეს ჩვენი კულტურული ცხოვრების თვალსაჩინო და სასარგებლო მუშაკია. მიქელაძეებში ბევრი იყო სამხედრო პირი (ოფიცრები, პოლკოვნიკები...). უქმე დღეებში ისინი გამოეფინებოდნენ „ჯვარცმის მოედანზე". კულაშში ხშირად იმართებოდა საღამო-წარმოდგენები, რაც ხელს უწყობდა საზოგადოების გათვითცნობიერების საქმეს.

მიქელაძეებში იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მხურვალედ თანაუგრძნობდნენ სოციალისტებს და ხელს უწყობდნენ მუშაობაში (ვარლამ მიქელაძე, ანაპოდისტე მიქელაძე...).

ჩემს მშობელ სოფელში (მათხოჯში) სხვადასხვა წოდების ადამიანები არ ცხოვრობდნენ და ამიტომ აქამდე არ განმეცადა წოდებათა შორის ასეთი განხეთქილება; არც ის გამეგონა და არც სადმე წამეკითხა, რომ სოფელს ბოქაული (პრისტავი) ჰყოლოდა. სოფელში ჩვეულებრივ მამასახლისები იყვნენ მთავრობის წარმომადგენლები, სოფელ კულაშში კი მთავრობის მიერ დანიშნული ბოქაული იყო ასეთი ტიტულით „Пристав селения Кулаши". ასეთად ჩემს დროს ერასტი ფხაკაძე იყო. ღვინის ყლაპვა უყვარდა და მასწავლებლებთან „მეგობრობდა". ერთხელ მასწავლებლების პურმარილითა და ღვინით შეზარხოშებულმა შეკითხვაზე: ჩვენთან რომ ასე მეგობრობ, ნეტავ თუ გაგვაფრთხილებ მაინც, რომელიმე ჩვენგანს დაჭერა რომ მოელოდესო, გარკვევით უპასუხა: აი, ახლაც,

ოქვენი პურმარილით სავსე ვარ, მაგრამ ჯიბეში რომ თქვენი დასაპერი ქაღალდი მქონდეს, გავალთ თუ არა გარეთ, „სტრა-ენიკებს“ დავუძახებ და უსათუოდ დაგიპერთ, ამას მე კანონი მავალებსო.

3

კულაშის ბოქაულისა და მისი შტატის შენახვისათვის თან-ხებს არ ზოგავდა მეფის მთავრობა, ხოლო სახელმწიფო, რო-გორც წესი, თავის საქმედ არ თვლიდა წიგნსაცავ-სამკითხვე-ლოს შენახვას, რა მიზეზითაც, ერთი მხრივ, და წოდებათა შორის განხეთქილებათა გამო, მეორე მხრივ, სოფელს სამკი-თხველო არ ჰქონდა.

ეურ. „განათლების“ რედაქტორმა, ცნობილმა პედაგოგმა ლუარსაბ ბოცვაძემ კერძო წერილით მისაყვედურა—კულაშში ხარ და სოფლის ბიბლიოთეკის საქმე ვერ მოგიგვარებიაო, ამან გამოიწვია ჩემი — „წერილი რედაქციის მიმართ“, რო-მელსაც „განათლების“ რედაქციამ თავის მხრივ ქვემოთ მო-ტანილი შენიშვნა დაურთო [1].

---

1 ვბეჭდავთ ამ წერილს და თან მწუხარებით აღვნიშნავთ, რომ კულა-ში — ეს ოდესღაც ერთადერთი დაწინაურებული სოფელი ქვემო იმერეთ-ში — დღეს ისე დაკნინებულა, დაცემულა. რომ ვერ შეუგნია სახალხო სამკითხველოს მნიშვნელობა, რომელიც ყველა წოდებას აერთებს და ერთ-გვარად ემსახურება გლეხს, თავადს, აზნაურს, ერს და ბერს, დიდს და პა-ტარას. როცა ასეთი განხეთქილებაა წოდებათა შორის, ადგილობრივი ინტე-ლიგენციის ვალია ჩააგონოს ძლიერის სიტყვით ყველას, ვინც საზოგადო საქმეს ღალატობს, ძირს უთხრის და მით გარშემო სიბნელეს აერცელებს და წოდებათა შორისაც შურის ძიებას და მტრობას ნერგავს. თუ სოფლის მოღვაწის ინტელიგენციის სიტყვას ხალხში გასავალი და ნდობა არა აქვს, იქ ვერც რამ გაკეთდება. სამართლიანია სამტრედიის განყოფილების წინა-დადება 30 წევრის შოვნის შესახებ. თუ კულაშის ინტელიგენცია ხალხში ვერ იშოვის თავის რჩევა-შთაგონებით წერა-კითხვის საზოგადოებისათ-ვის 30 წევრს, მაშინ მას არავითარი გავლენა არ ჰქონია, მაშინ ის სოფლის მარილად კი არა, შავ-ქვადაც სახსენებელი არ იქნება. კულაშში 30-ზე მეტი ინტელიგენტიც იქნება, რომლებიც თავის თავს მაინც ინტელიგენტს უწო-დებენ. აბა პირველად ისინი უნდა ჩაეწერნენ საზოგადოების წევრებად და მათ მიმბაძველებიც ბლომად გაუჩნდებიან. სამტრედიის განყოფილება იგივე წერა-კითხვის საზოგადოებაა და მის უწყებაში არსებული ბიბლიოთეკის ფულის გამფლანგველები ისე ვერ იპარპაშებენ, როგორც დღეს დაბრძანდე-ბიან ეს ვაკბატონები არხეინად და ქვეყნის საქმე ფეხებზეც ჰკიდიათ.

რ ე დ.

„ბ. რედაქტორო! თქვენ ღია წერილში, რომელიც ამას წინათ მივიღე, სხვათა შორის ეწერა: „სირცხვილი არ არის, კულაშში (ქუთ. მაზ.) ერთი სამკითხველო გქონდათ და ისე გაგიქრათ, რომ მისი ხსენებაც არ არის დღეს“. ამის პასუხს ქვევით მოგახსენებთ და, თუ ეს საკითხი საზოგადო ინტერესს მოკლებული არ არის, გთხოვთ, დასტამბოთ თქვენს ჟურნალში.

პასუხად იმასვე გავიმეორებ, რასაც ვამბობდი „დროებაში“, „სახალხო გაზეთში“ და „Ват. Вес.“-ში. საერთოდ ქართველების დაუდევრობა ყველამ უწყის. გარდა ამისა, ამ სოფელში ყველა წოდების ხალხი ცხოვრობს: თავადი, გლეხი, აზნაური, ებრაელი... ერთობ მიუყოლელი და ერთიმეორეზე მტრულად მაცქერალი, მათ შორის ჯერ კიდევ „ხიდია ჩატეხილი“, რაც სატირალია და სხვა არაფერი. მიუხედავად იმისა, რომ ნებართვა წერა-კითხვის საზოგადოებიდანაა აღებული „სახალხო უფასო სამკითხველოს“ სახელით და არა რომელიმე წოდებისათვის. ეს სამკითხველო თავიდან თავადაზნაურობას ჩავარდნია ხელში, ფული სამკითხველოს სახელით ორი ათასამდე შეკრებილია. სამკითხველოსთვის 800 მანეთიანი შენობა აუგიათ, მაგრამ, საუბედუროთ, თვით წოდებაში განხეთქილება მომხდარა: „ის შენობა არა აქ უნდა აგვეგო და არა იქო“. ამ განხეთქილებას შედეგად მოყოლია 800 მანეთიანი შენობის თორმეტ თუმნად გაყიდვა. ანაღები ფულით და სხვა საშუალებით ერთ ხანს კერძო შენობის ქირავება და შემდეგ დასაფლავება. ბევრ პატივცემულ პირზე კიდევ საკმაოდ ყოფილა დარჩენილი ბიბლიოთეკის ფული, არა მანეთობით, არამედ თუმნობით და, წარმოიდგინეთ, ასობითაც ჩამობოჭილი ბათუმში, თბილისში, ბაქოში და სხვა ქალაქებში. საჩივრები აღიძრა, მაგრამ ბოლოს პირში წადგომა „ფულის გადამსანსვლელებისათვის“ არავინ მოისურვა. ზურგს უკან ყველა ძალზე ვიბღურებით. ამგვარად, საჩივრები მიყუჩდა. გამოვიგონეთ ბარათების ბეჭდვა და დაგზავნა ხარბინ-პეტერბურგ-მოსკოვში მცხოვრებ გულშემატკივართათვის. იქნებ რითიმე დაგვეხმაროთო. მართლაც, ზოგმა კიდეც გამოგ-

ზავნა თითო თუმანი, იმ იმედით, რომ ახალი გამგეობა შემდგარა და იქნებ რაიმე უშველონო. თქვენც არ მომიკვდეთ, ამ ცოტამ ვერ გვიშველა და სხვა წყარო კი არსად იყო, გლეხობა ვერ შემოვიყვანეთ — „თავადები ტუჩს აგვიბზუებენო“. დავრჩით მშრალზე. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამტრედიის განყოფილებამ წინადადება მოგვცა — „30-მდე წევრი გვიშოვეთ მაგ სოფლიდან და ბიბლიოთეკის შენახვას თავს ვიდებთო“. შესაძლო იყო, მაგრამ ეს ზოგმა იუკადრისა: „ჩვენ ამაყები ვართ, სხვის ოპეკის ქვეშ არ შეგვიძლია ვიყოთ, ვაცოცხლებთ — ვაცოცხლებთ, არა და დაიკეტებაო“... და დაიკეტა!

„გენერლები, პოლკოვნიკები, პოდპოლკოვნიკები, ინტელიგენცია, ნაცია, ბეცია დარჩა უბიბლიოთეკოდ... ყიყლიყოო!..“ — დაგვიცინის ეგლეხკაცობა და ღირსნიც ვართ, ერთხელაც არის დავრწმუნდებით (თუ გავტყდებით), რომ მათ გარეშე არ ვარგვართ და არა!

ვარლამ იმერელი

ჟურნ. „განათლება“, 1911 წ. № 6).

ამ ჩემმა უბრალო წერილმა თავის დროზე მოთმინებიდან გამოიყვანა ზოგი კუდაბზიკა აზნაური და დიდი უსიამოვნება გამოიწვია, მაგრამ მისი დადებითი მხარე ის იყო, რომ რამდენიმე ათეული კაცი ჩაეწერა წერა-კითხვის საზოგადოების სამტრედიის განყოფილებაში და კულაშში ბიბლიოთეკა გაიხსნა.

4

კულაშში მასწავლებლობის უმრავლესობა პროგრესულად მოაზროვნე იყო, ზოგი მათგანი კი რევოლუციურ მოღვაწეობასაც ეწეოდა — არალეგალური წრეების ჩამოყალიბებით, პროპაგანდით, ცარიზმის საწინააღმდეგო ლიტერატურისა და პროკლამაციების გავრცელებით და სხვ. არაიშვიათად ქართულ და რუსულ პროგრესული მიმართულების გაზეთებს ვუგზავნიდით ხოლმე წერილებს, კორესპონდენციებსა და ლექსებს ნაირნაირი ფსევდონიმებით.

ჯერ კიდევ ახალი დანიშნული ვიყავი კულაშის ნორმალური ორკლასიანი სასწავლებლის მასწავლებლად და სულ ოთხიოდე თვის ნამუშევარი მქონდა, როცა ხმა გავარდა, დასავლეთ საქართველოს სკოლების დასათვალიერებლად კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი (უფროსი) რუდოლფი მობრძანდებაო.

მართლაცდა, რუდოლფმა გუბერნატორის, მაზრის უფროსის, გუბერნიის სახალხო სკოლის დირექტორის, თავადაზნაურთა წინამძღოლისა და სხვა ბობოლა მოხელეთა თანხლებით პირადად ინება დაეთვალიერებინა დასავლეთ საქართველოს ზოგი სკოლა, მათ შორის კულაშის ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელიც.

ჩვენი სკოლის ზედამხედველი ისაკ ნუცუბიძე (ისე როგორც სხვა სკოლის დირექტორ-გამგეები) ერთი თვით ადრე შეუდგა „უმაღლესი" სტუმრის მიღების სამზადისს. დღეში ორჯერ შემოივლიდა სასწავლებლის ხუთივე განყოფილებას სკოლის გამგე, ოლქის მზრუნველის „როლს" გაითამაშებდა და შესაფერისი პასუხისათვის ამზადებდა მოსწავლეებს:

— Здравствуйте, дети, — მიესალმებოდა ნუცუბიძე-რუდოლფი.

— Здравья желаем, Ваше Превосходительство! — მწყობრად და გუნდურად უპასუხებდნენ ბავშვები.

შემდეგ „სტუმარი" გამოჰკითხავდა საგნებს და, მოწონების შემთხვევაში, ეტყოდა:

— Хорошо, хорошо!

— Рады стараться, Ваше Превосходительство! — მხიარული ჭამომეტყველებით უპასუხებდა ერთ-ერთი მოწაფე ან მთელი კლასი (ვისაც „ხოროშო" უთხრა მზრუნველის მაგივრად ნუცუბიძემ).

До свидания, дети!

— Счастливого пути Вашему Превосходительству! ასე ამზადებდნენ მთელ თვეს.

მე და კიდევ ერთ მასწავლებელს (კ. ბ.) ხალათები და კოს-

ტუმები კი გვქონდა, მაგრამ „მუნდირები“ არა. კულაშში რუდოლფის ჩამოსვლის წინა დღეს ინათხოვრა ნუცუბიძემ (მგონი სამტრედიაში) ჩვენთვის მუნდირები და ჩაგვაცვა (ნორმალური სასწავლებლის მასწავლებლები მუნდირებში უნდა ყოფილიყვნენ).

რუდოლფი ჩამობრძანდა კულაშში დიდი და ერთობ „ბრწყინვალე“ ამალით. კულაშის სკოლის შენობის ქვედა სართულში ნორმალური ორკლასიანი სასწავლებელი იყო, იმავე შენობის მეორე სართულში — საქალაქო ექვსკლასიანი სასწავლებელი. ჩვენს ეზოში რუდოლფის შემოსვლის მომენტში მოსწავლეები კლასებში იყვნენ. კლასების კარებთან მასწავლებლები იდგნენ მენდირებში გამოჭიმულნი. რუდოლფი შემოვიდა დერეფანში. მასწავლებლები, როცა მათ კლასებს რუდოლფი მიუახლოვდებოდა, გადადგამდნენ ხოლმე წინ ერთ-ორ ნაბიჯს, თავიანთ სახელ-გვარსა და განყოფილებას მოახსენებდნენ რუდოლფს, ეს უკანასკნელი კი ხელს ჩამოართმევდა და განაგრძობდა გზას.

— Дзидзигури, Варлам Давидович, учитель 4-го отделения, — წარვუდექი მეც, როცა ჩემკენ წამოვიდა.

— Как? Как? Как Ваша Фамилия? მკითხა რუდოლფმა.

— Дзидзигури! — გავუმეორე მე.

— Где Вы учились?

— В Кутаисской Учительской Семинарии, в м. Хони!

— При Чичинадзе, при Чичинадзе? в этом году окончили?

— Да!

— Интересно послушать Ваших учеников! — თქვა და გამშორდა.

ყველას გაუკვირდა. მე კი მივხვდი, რაშიაც იყო საქმე რუდოლფს ჩემი გვარი ეცნო. გაახსენდა, რომ მე არასასიამოვნო პიროვნება ვიყავი, ჟანდარმერიის მიერ განაჩხრეკი და ერთ ხანს დაპატიჭრებულიც.

საქალაქო სასწავლებლის კლასებში შესვლით დაიწყო მან

რევიზია, შემდეგ ნორმალური სასწავლებელი შემოიარა და უკანასკნელად ჩემს განყოფილებაში შემოვიდა. შემოჰყვნენ მხოლოდ გუბერნიის სახალხო სკოლის დირექტორი სემიონოვი, მაზრის უფროსი ლინსტრომი და სკოლის გამგე ნუცუბიძე. დანარჩენი ამალა გარეთ დარჩა.

წამოხტნენ ზეზე ჩემი მკვირცხლი მოწაფეები!

— Здр...—დაიწყეს აქეთ-იქიდან... ბავშვებს ეგონათ, „დიდი სტუმარი“ შემოსვლისთანავე ეტყოდა მათ: „Здравствуйте“,— და პასუხი რომ არ დაგვიანებოდათ, ზოგმა დროზე ადრე დაიწყო: Здр... მაგრამ, რადგან სიჩუმე იყო, ხმები შეჩერდა ტუჩებზე. მზრუნველი მიუხვდა და უთხრა კლასს: — Ах... Вы хотите, чтобы я с Вами поздоровался... Нет, садитесь!..

გაუკვირდათ ეს ჩემს ბავშვებს (ისე არ გამოვიდა, როგორც ნუცუბიძე ამბობდა), ერთმანეთს გადახედეს; გაკვირვების ნიშნად ბავშვურად ტუჩები აიბუზეს კიდეც და დასხდნენ...

— Спросите одно из пройденных стихотворений! — მითხრა მე.

— В лицах? — ვკითხე.

— Хорошо будет! — მიპასუხა.

პლეშჩეევის ვრცელი ლექსი „Из школы“ რამდენიმე ბავშვმა როლებით წაიკითხა.

— Проведите катехизацию! Одновременно логический и вещественный разборы стихотворения!...

მე დავიწყე კითხვების დასმა. ზოგი კითხვის შემდეგ ხანდახან ნაბიჯს ვაკეთებდი წინ ამა თუ იმ რიგთან თუ მოწაფესთან მიახლოების მიზნით. მზრუნველი უკან მომდევდა. მოხდა ისე, რომ მე მერხების რიგებშუა მოვექეცი და უკან დასახევი გზა არ დამრჩა, რადგან ჩემს უკან მზრუნველი იდგა.

— Ваше Превосходительство, Вы меня загнали между партами! — ვუთხარი მე.

— Пожалуйста, пожалуйста! — დამითმო გზა და გამოველი.

ყველა ჩემ მიერ დასმულ კითხვაზე განყოფილების ყველა

28 მოწაფე იწევდა ხელს და, ვისაც არ გამოვიძახებდი, სწორ პასუხს მაძლევდა.

ვფიქრობ, რაღაცაში ეჭვი შეეპარა მზრუნველს (ხომ არ მყვანან გაფრთხილებული ბავშვები, ყოველ კითხვაზე ასწიონ ხელი, და ხომ არ ვიძახებ ძლიერებს), რადგან მითხრა:

— Вы спрашивайте, а я буду вызывать!

— Пожалуйста! — ვუპასუხე მე სანახევროდ გამომწვევი ტონით და განვაგრძე კითხვების დასმა; პასუხის მისაცემად თვითონ იძახებდა ამა თუ იმ მოსწავლეს. (ერთი-ორი შედარებით სუსტი გამოიძახა, მაგრამ შემთხვევით იმათაც მშვენივრად უპასუხეს).

— Спросите другое стихотворение!

ვკითხე.

— Спросите басню!

ვკითხე.

— Спросите про великого баснописца Крылова!

ვკითხე.

ნახევარ საათზე მეტი გავიდა. ყველა ცოცხლად და შეგნებულად უპასუხებდა, მაგრამ კმაყოფილების გამოთქმის ნაცვლად, პირიქით, შემომიტია:

— Вы, молодой человек, все время употребили на русский язык? — მკითხა მოულოდნელად და თითქოს „საყვედურის“ კილოთი.

მეოთხე კლასში, როგორც წესი, ყველა საგანს მე ვასწავლიდი, მაგრამ ჯერ ხომ არ იცოდა, სხვა საგანი როგორ იცოდნენ ბავშვებმა? გავიფიქრე: შარს მდებს, არ უნდა მაპატიოს სემინარიის „ცოდვები“. სულ ერთია, მაინც დამითხოვს, მე კი თავი მომაქვს ახალთაობის კაცობით, მოვიპოეტებ კიდეც, ამიტომ საზოგადოებას არ ვათქმევინებ: შეეშინდა, წახდაო. და... დონკიხოტურად მივახალე:

— Нет, Ваше Превосходительство, на все предметы, но большее время уделял грузинскому языку!

(ქართული ენა ნორმალურ სასწავლებელში სულ მიჩქმალუ-

ლი იყო, სასწავლო გეგმით ქართულს ყველა საგანზე ნაკლები დრო. მკონი, კვირაში 2 საათი, ეთმობოდა).

უნდა გავეგლიჯე ასეთი თავხედური პასუხისათვის, ან ისე მოქცეულიყო, როგორც მოიქცა: „საყვედურის“ თქმის დროს გამოშვერილი მარჯვენა ხელი კიდევ უფრო მაღლა ასწია და წამოიძახა.

— Спросите по географии!

— Берега каких стран омывают океаны: Северный ледовитый, Южный ледовитый, Тихий и Атлантический?— ვკითხე მოწაფეებს და მივუშვირე თითი გლობუსსა და კედელზე დაკიდებულ ნახევარსფეროების რუკაზე.

ყველამ ერთბაშად აიშვირა ხელი. მზრუნველმა გამოიძახა ერთი მათგანი, მგონი, კოლია ჯღამაძე (დღეს რომ რკინიგზის ქალაქის სადგურის უფროსია თბილისში). 11-12 წლის პატარა ტანის ბავშვმა იქვე მიყუდებულ ჯოხს წამოავლო ხელი, მოხდენილად „აცაცუნებდა“ ჯოხს რუკაზე, თან მზრუნველისაკენ იცქირებოდა და სხაპასხუპით, სწორად უპასუხებდა...

— Ну, дети, вы уверенно, хорошо отвечаете! — კმაყოფილებით უთხრა კლასს რუდოლფმა.

— Рады стараться, Ваше Превосходительство! — უპასუხა კლასმა.

— Молодой человек! — მომიბრუნდა მე. — Вы, видно, стали на правильный путь, так, идите по этому пути! — მითხრა მან და ხელი ჩამომართვა. ჯერ კიდევ ჩემი ხელიდან ხელი არ წაეღო ისე, მარცხენა ხელის საჩვენებელი თითით მიიხმო სკოლის გამგე ნუცუბიძე და უთხრა:

— Берегите и жалуйте этого молодого учителя!..

— Слушаюсь, ваше Превосходительство! — უპასუხა ცნობილმა მასწავლებელმა, ჭაღაროსანმა ისაკ იუსეს ძე ნუცუბიძემ.

— До свидания, дети!

— Счастливого пути Вашему Превосходительству!.. (გამოადგათ ნუცუბიძის ნასწავლები).

კლასიდან გამოვიდა. გამოვყევით. სკოლის აივანზე, სამასწავლებლო ოთახსა და ეზოში ამალა უცდიდა. იქვე ტრიალებდა საზოგადოებაში მაშინ კარგად ცნობილი ფაომაცევტი, ადგილობრივი აფთიაქის გამგე, ჭაღაროსანი, მაღალი, ხმელი კაცი — იუსტინე კანდელაკი, რომლის ოჯახში სადილი უნდა მიერთმია რუდოლფსა და მის ამალას. იუსტინეს ორი-სამი დღით ადრე იმ სადილზე დაპატიჟებული ჰყავდა რამდენიმე ადგილობრივი თავადიც, განთქმული მომღერლები და სკოლების (საქალაქო და ნორმალური სასწავლებლების) გამგეები. ახლა მე მომვარდა და მითხრა: შენც უნდა დაგვეპატიჟოო. ალბათ, როგორც გვიან დაპატიჟებულმა, ვიუკადრისე და უარი ვუთხარი. მაგრამ არ გამივიდა. უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენეს და წამიყვანეს.

კანდელაკის გრძელ სუფრას შემოეხვივნენ სტუმრები. ვიდრე დასხდებოდნენ, რუდოლფმა გაავსო ჭიქა, ასწია მაღლა და თქვა:

— Господа, прежде чем сесть, предлагаю выпить за здоровье Воронцова-Дашкова!

ყველამ გაავსო თავისი ჭიქა და ასწია მაღლა...

— Да здравствует Воронцов-Дашков! ура!.. — დაიძახა მაზრის უფროსმა ლინსტრომმა.

— Ураа!.. — გააგრძელა ყველამ და გამოსცალეს ჭიქა.

მომღერალთა გუნდმა „მრავალჟამიერი“ შეასრულა. დავსხედით. დაიწყო ჭამა და სმა. საამურად გუგუნებდა გუნდი. გაისმოდა სადღეგრძელოები, ალავერდები. ნაირ-ნაირი ყანწები გადადიოდა ჩინიდან ჩინზე; ჩემამდე ან სულ ბოლოს, ან სრულიად არ მოდიოდა. სუფრაზე რუდოლფის თითქმის პირდაპირ მოვხვდი, ცოტა განზე. ერთხელ გადმოიხარა ჩემკენ და შეეცადა უწყინარი და კანტიკუნტი კითხვებით გამოეტყუებინა ჩემთვის რაიმე, მაგრამ მეც მივხვდი; ბოლოს მითხრა: კარგი კაცია ჭიჭინაძე, რაღაცეები მთხოვა, გავუკეთე, კურსების გახსნის ნებაც დავრთეო და სხვ.

სადღეგრძელოები, სიმღერები გრძელდებოდა. იყო ცეკვა-თამაშიც... დაღამდა კიდეც, როცა დიასახლისმა სადღეგრძელოს თქმის ნება ითხოვა თამადისაგან და ახალი ყანწი აავსო.

— გრაფ ვარანცოვ-დაშკოვის მეუღლის, გრაფინიას სადღეგრძელოს მოგახსენებთ! — წარმოთქვა მან, ყანწიც გამოსცალა და რუდოლფთან გადავიდა ალავერდი. რუდოლფმაც სიამოვნებით დალია ეს სადღეგრძელო და... ძოულოდნელად ჩემთან გადმოვიდა ალავერდი, მე ყანწის გამოსართმევად მისი გამოშვერილი ხელისაკენ ხელი გავიწოდე და თანაც ვუთხარი:

— Благодарю!.. Только разрешите последовать Вашему примеру! (მას სავსე ყანწი არ დაულევია, არ შემიძლიაო, თქვა, პატარა ჭიქა ღვინო ჩაასხა ყანწში და ისე დალია. მეც ამას ვგულისხმობდი).

— Нет, нет, молодой человек! Вы, видно, во всем хороши, — так докажите, что и в этом годны! — მიპასუხა შეზარხოშებულმა რუდოლფმა.

ამ დროს მის გვერდით (მარცხნივ დიასახლისი უჯდა, მარჯვნივ — მაზრის უფროსი) წამოდგა ლინსტრომი, ხელში სავსე ბოთლი დაიკავა, ჩემკენ წამოვიდა სიმღერით: „Нико, Нико разбойнико, шени чириме...“ და გამივსო ყანწი.

მგონი, მთლად გამოცლილიც არ მქონდა ყანწი, წამოდგა რუდოლფი და ამით სუფრაც დაიშალა.

ეზოში ეტლები იდგნენ რუდოლფის მატარებლამდე — სამტრედიამდე წასაყვანად, გასაცილებლად.

რუდოლფი და ყველა სტუმარი ჩალაგდნენ ეტლებში. ბნელოდა. ბჟუტავდა ეტლების ფარნები. ასე გამოვედით სამტრედია-ხონის შარაგზამდე. „ქარავანის“ წინა ეტლი მიუახლოვდა თუ არა შარაგზას, ერთბაშად განათდა „მთელი ქვეყანა“ და საშინელი, დაუწყობელი და დაუსრულებელი ყვირილი გაისმა...

— Стойте! — ბაყბაყ დევისებური ხმით დაიყვირა შეხედულებით და აგებულებით თითქოს სუსტმა ლინსტრომმა და ხმალამოღებული ერთბაშად გადმოხტა რუდოლფის ეტლიდან.

თვალის დახამხამებაში მის წინ გაჩნდა კულაშის ბოქაული ფხაკაძე; წარუდგა საპატაკოდ, მაგრამ უკვე პატაკი საჭირო არ იყო, რადგან ერთბაშდ გაჩენილმა სინათლემ ყველას დაანახა, რომ ბოქაულს მეტისმეტად უერთგულებია: ყველა გლეხი და ებრაელი გამოუყვანია ოჯახებიდან, ჩაუმწკრივებია ისინი კულაშიდან სამტრედიამდე (ოთხი კილომეტრის მანძილზე) შარაგზის ორივე მხარეზე, ჯოხებზე წამოცმული და ნავთში ამოვლებული სიმინდის „ნაქურჩალები“ დაუჭერინებია ხელში ამ „საპატიო ყარაულებისათვის“, თითოეული მათგანის გვერდით დაუყენებია ასანთიანი კაცი, რომელსაც ეტლების გამოჩენისათანავე ასანთი უნდა გაეკრა, აენთო ნავთით გაჟღენთილი ნაქურჩალა და სხვებთან ერთად ეყვირა და ეყვირა: „ურაა“, „ურააა“, „ურააა“!

როცა გაერკვა საქმის ვითარებაში, საკმაოდ მთვრალმა მაზრის უფროსმა ლინსტრომმა „ხოროშოს“ თქმითა და ხარხარით ხმალი ქარქაშში ჩააგო, ისევ რუდოლფთან ჩაჯდა ეტლში და „პროცესიაც“ დაიძრა... გიჟივით გარბოდნენ ეტლები უჩვეულოდ განათებულ გზაზე... კულაშიდან სამტრედიამდე „ურას“ ძახილი არ შეწყვეტილა.

5

მეთოდურ-პედაგოგიური შინაარსის ლიტერატურის ინდივიდუალური და კოლექტიური კითხვა, წაკითხულის გარშემო აზრის გაცვლა-გამოცვლა, კამათი; სასწავლო თუ საალმზრდელო ხასიათის საკითხების შესახებ მოხსენება-რეფერატების მოწყობა, ღია გაკვეთილების ორგანიზაცია, გაკვეთილის გარჩევაში მონაწილეობის მიღება და სხვა ღონისძიებანი სისტემატურად ტარდებოდა კულაშსა და სამტრედიაში.

თითოეული ჩვენგანი ემზადებოდა ხან მოხსენებისათვის, ხან კამათში მონაწილეობის მისაღებად, ხან ღია გაკვეთილის გადასაცემად და მუდამ მოძრაობასა და მუშაობაში იყო ტვინი. მასწავლებლის პირველ მცნებად და უპირველეს ღირსებად ვთვლიდით საგნისა და მისი გადაცემის ნაირნაირი ხერხების

ზედმიწევნით ცოდნას. ამას ემატებოდა სიყვარული, პასუხისმგებლობის გრძნობა, თავმოყვარეობა და სხვა ისეთი რამ, რაც სითბოსა და ცეცხლს აჩენდა მასწავლებლის გულში, მოსწავლეებში, თითოეულ ჯგუფში, კლასში, მთელ სასწავლებელში. მეტად ამით აიხსნებოდა უთუოდ ის დამაკმაყოფილებელი შედეგები, რასაც იძლეოდა ხოლმე ესოდენი მონდომება, სიყვარული და შეუნელებელი შრომა.

ორკლასიანი სასწავლებლის კურსდამთავრებული წერდა არა მარტო გარკვეული, ლამაზი ხელით, არამედ, იმავე დროს, თითქმის უშეცდომოდაც, ცხადია, მისი ასაკის შესაფერის მასალებს (როგორც მშობლიურ ენაზე, ისე რუსულად).

მე არ მოგახსენებთ გიმნაზიებისა და რეალური სასწავლებლების თუ სემინარიელი მოსწავლეების შესახებ, რომლებიც ჩინებულად ფლობდნენ ორ-სამ ენას, არამედ პირველდაწყებითი — ერთ და ორკლასიანი სკოლის მოსწავლეებზე, რომლებმაც თავისი ასაკის შესაფერისად საფუძვლიანად იცოდნენ ანგარიშიც, გეოგრაფიაც, ქართული ენაც და რუსულიც. რუსულის კარგად ცოდნის ახსნას თუ ვინმე შეეცდება მარტო იმ გარემოებით, რომ ყველა საგანს რუსულად სწავლობდნენო, არითმეტიკის ცოდნას რითღა ავხსნით?..

მთელი გულისყური სწავლისაკენ, მონდომება, სიყვარული, პასუხისმგებლობა, საგნისა და გადაცემის წესების საფუძვლიანად ცოდნა, ერთი სიტყვით, მასწავლებლის „ფორმაში“ ყოფნა, უეჭველია, მოსწავლეებს უხვ ცოდნასაც აძლევს და ბეჯით შრომასაც აჩვევს.

გაკვეთილის გადაცემაში, ესე იგი სწავლებაში დახელოვნებისათვის „დიდი“ „პატარას“ ესწრებოდა გაკვეთილზე, „პატარა“ კი „დიდს“. ამ მხრივ როდი იგრძნობოდა უკადრისობა და კუდაბზიკობა იმათ შორის, ვინც გულწრფელად იყო დაინტერესებული საქმით. მრავალთაგან ერთ მაგალითს მოვიტან: ბესტუჟევის უმაღლეს კურსებზე სწავლობდა და ცხოვრობდა პეტერბურგში ლიდა ნესტორის ასული ჯაფარიძისა — მიქელაძის ქალი. თითქოს ყველაფერი უწყობდა მას ხელს იმისა-

თვის, რომ მაღლა-მაღლა ეფრინა ცაში და მიწაზე არ დაშვებულიყო, მაგრამ, რადგან ის პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ემზადებოდა, პეტერბურგიდან დასასვენებლად ჩამოსული თავის სოფელ კულაშში, დროს არ ფლანგავდა, ნებართვას იღებდა ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლის დირექტორისაგან, რომ სისტემატურად დასწრებოდა დაწყებითი სკოლის მაესწავლებლებს გაკვეთილებზე, და ცდილობდა, ცოტა რამ მაინც ესწავლა მათგან. ჯაფარიძე რამდენიმე მასწავლებელს ეს-ტუმრა, კერძოდ ჩემს გაკვეთილზე თითქმის ყოველდღე იჯდა და რამდენიმე კვირა თავისთვის იწერდა ჩემ მიერ კლასისათვის დასმულ კითხვებსა და მოსწავლეთა პასუხებს. ეს გარემოება მეც მზრდიდა, როგორც მასწავლებელს, პასუხისმგებლობის გრძნობას მიორკეცებდა და მასაც, მეფის სატახტო ქალაქის მცხოვრებს, ბესტუჟევის ქალთა უმაღლესი კურსების სტუდენტს საჭირო ცოდნასა და პრაქტიკას აძლევდა; ბევრ რამეში თვალს უხელდა, ახელოვნებდა; „მწვერვალებიდან“ დაბლა, მიწაზე ჩამოფრენილი თავადის ქალი „კაძახებში“ იყო, სოფლის მოსწავლე გოგო-ბიჭებსა და მათ მასწავლებლებს აკვირდებოდა, საზრდოს ღებულობდა და იწაფებოდა. ამიტომაცაა დღეს ის (ლ. ნ. ჯაფარიძე) წელმაგარი მეთოდისტი საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტისა და ავტორი ბევრი საგულისხმო მეთოდურ-პედაგოგიური შინაარსის სტატიისა, ბროშურებისა და წიგნებისა. ცნობილია, რომ, ვისაც უნდა კარგი სარდალი იყოს, მან ჯერ ჯარისკაცის მძიმე გზა უნდა გაიაროს.

კულაშში ჩემს დროს ბევრი კარგი მასწავლებელი იყო; ყარამან ჩხეიძე (ხუთიოდე წლის წინათ გარდაიცვალა 101 წლის ასაკში), მარია იურასოვა, პესა რამიშვილი, ივანე კაციტაძე, ისაკ ნუცუბიძე, ივანე სანებლიძე, ვასო მამაგეიშვილი, მელიტონ კუხალიშვილი, ვერა შენგელია, მიხეილ პატარიძე, სტეფანე ჩხენკელი, აპოლონ მიქელაძე, პაპავა და სხვები, დაახლოებით 25-30 კაცი. ხშირი იყო ღია გაკვეთილების გადაცემა-გარჩევა, უნარისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

პედაგოგიურ მუშაობასა და ჟურნალ-გაზეთებში მონაწილეობასთან ერთად, საქველმოქმედო მიზნით ვმონაწილეობდი წარმოდგენებში, რომელთაც ვდგამდით ხონში, ნაოღალევში, ჟულაშში, სამტრედიაში, მათხოჯში და სხვადასხვა დაბა-სოფელში.

სიამაყის გრძნობით უნდა გავიხსენო, რომ ზოგჯერ თამაში მიხდებოდა ჩვენი სცენის ისეთ ჯადოქართან ერთად, როგორიც იყო ლადო მესხიშვილი. ხშირად როლები მომიმზადებია ნიჭიერი რეჟისორისა და დრამატურგის ვალერიან შალიკაშვილისა და ნიკო გვარაძის ხელმძღვანელობით.

იმ დროს ქართველი კაცი, რომელიც კულტურის ამა თუ იმ ფრონტზე მუშაობდა, მორალურად ვალდებული იყო სხვა დარგებშიც, მათ შორის თეატრშიც, ემუშავა, ერთი აგური მიეტანა, რადგან მეფის ხელისუფლება სრულიადაც არ ზრუნავდა, რომ ხელი შეეწყო ქართული კულტურული ცხოვრების აღორძინება-განვითარებისათვის. თეატრი, ჟურნალ-გაზეთები და სხვა კერძო ინიციატივით თუ იარსებებდა! ვინც დაინტერესდება და შეადარებს თეატრში მუშაობის ახლანდელ პირობებს იმას, რაც იყო ცარიზმის დროს, განცვიფრდება, — გაუკვირდება, როგორ ახერხებდნენ ქართული სცენისმოყვარულნი თავისი საყვარელი საქმე მიწაზე არ დაეგდოთ.

ბიბლიოთეკის დასახმარებლად თუ ღარიბი მოწაფის სასარგებლოდ ხშირად ვაწყობდით ხოლმე წარმოდგენას, საღამოს, ალეგრა-ლატარიას, ფინჯან-ჩაის, სეირნობას. კერძოდ, სოფ. ჟულაშში, სადაც ოცი წლისამ დავიწყე მუშაობა, ჩემი რეჟისორობით დადგმულ აკაკი წერეთლის „პატარა კახში“ (პირადად „პატარა კახს“ ვთამაშობდი) პროფესიული მსახიობებიც იღებდნენ მონაწილეობას (მაგალითად, გელას როლს მსახიობი გრ. ჩარკვიანი ასრულებდა, დეკორაცია და კოსტუმები ქუთაისის თეატრიდან ჩამოვიტანეთ).

1910 წლის ზაფხულში კულაშის ჯვარცმის ეკლესიაში ჯვარი დავიწერე ცობო (იგივე მარიამ) ვიქტორის ასულ მიქელაძის ქალზე. მაშინ ის 16 წლისა იყო, მე — 21 წლისა. მას შემდეგ თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა, ლამისაა მალე ჩვენი შვილიშვილები გახდებიან იმ ხნისანი, რომლისაც ჩვენ მაშინ ვიყავით, მაგრამ მაინც გუშინდელ დღესავით მახსოვს იმ დღეების სცენები:

— ბევრი შვილი რომ მყავდეს, მაშინ თავს დავინუგეშებდი; ვიტყოდი, მართალია, ეს ერთი შვილი გეღუპვება, მაგრამ დანარჩენებს იქნებ კარგი ბედი შეხვდეს და თავს ნუ მოიკლავ-მეთქი! როგორც მოგეხსენებათ, ამ 16 წლის გვრიტის მეტი მე არც ქალი მყავს და არც ვაჟი! და იმას მირჩევთ, რომ ჩემი ერთადერთი ცობო, დედითაც თავადი და მამითაც თავადი, „კაძახს“ გავატანო ცოლად? მომკალით, ბარეღამც, მომკალით!“ — იფოფრებოდა ჩემი სასიდედრო, კნეინა ელისაბედ მიქელაძისა, ბახვა ჩიჩუას ასული.

— ჩემი ვარლამისთანა ნასწავლი და ჭკვიანი დედამიწაზე მეორე არ დაიარება. მე ვფიქრობდი, ნიკოლოზ ხელმწიფეს შევუთვლი, შენი ქალიშვილი (ოღლა ჰქვია თუ ქსენია) რძლად გამომატანე, ვარლამის საცოლედ მინდა-მეთქი; ის არ მეტყოდა უარს, ახლა კი ვიღაცა ჩიჩია თავადიშვილი უკავებს ქალს ჩემს ვარლამს?! — ცხარობდა დედაჩემი ფოტინე ძიძიგურისა, ივანე ხელაიას ასული.

— ძიძიგურს რას ვერჩი! ჩემს ქალიშვილს უნდა ვკითხო: „მიფსებს“ თვალს თუ არა?! — სასოწარკვეთილებით წამოიძახა თურმე ჩემმა სასიმამრომ, თავადმა ვიქტორ როსტომის-ძე მიქელაძემ.

— თუ გავთხოვდები — ვარლამს წავყვები, თუ არა და არასოდეს არ გავთხოვდები და სულ სახლში ვიჯდები, — ცრემლებით უთქვამს თავისი მშობლებისათვის მოკეთეებისაგან წინასწარ დარიგებულ ცობოს.

— კარგად რომ დაუკვირდეს კაცი, მასწავლებელი ზოგიერთ თავადზე მეტია და არა ნაკლები! რამდენი თავადი ვიცი ისეთი, რომ უქნარაა, ზნედაცემული, საპყარია და გლახა! არავითარი პირადი ღირსება მათ არ გააჩნიათ, ორ ბატს არ მიაბარებ! ოდესღაც მათ ერთ-ერთ წინაპარს მიუღია თავადობა, (შეიძლება ის მართლა კარგი კაცი იყო) და მას შემდეგ მის შთამომავლობას კარგი დაებადება თუ გლახა, „ფარსადანი" იქნება ის თუ „რაჟდენიი" (ამას არ არჩევს), ყველა თავადია! მასწავლებელი სულ სხვაა: იმას თუ პირადი ღირსება არ ჰქონოდა, იმას თუ ნიჭი არ ჰქონოდა და ბეჯითიც არ ყოფილიყო, იმდენ ცოდნას ვერ შეიძენდა, რომ მასწავლებელი გამხდარიყო. მასწავლებელი შემკობილია პირადი ღირსებით, თვითონ ხომ ნასწავლია, სხვებსაც აძლევს ცოდნას და ანათლებს, ზრდის მომავალ თაობას! მასწავლებელი თავისი პირადი ღირსებებით თავადსა და აზნაურზე მაღლა დგას, ჰაი გიდი, დროს რა ვუთხრა თუ არა, ამ თავადების ხელწამოსაკრავია ვარლამ მასწავლებელი?! — ანალიზს უკეთებდნენ ვითარებას და აკრიტიკებდნენ რეჟიმს სტურუა და ახობაძე.

— მაგ საქმე რომ მოხდეს, შიგ ეკლესიაში, შუა ჯვრის წერის დროს გავლახავ იმ მამაძაღლ ძიძიგურს, — იჭაჭებოდნენ ანდრია და რაჟდენ მიქელაძეები.

— ვენაცვალე იმ „უჩიტელს"! ქე არ გააჩერა ეს არამკითხეები და ქე არ გაასწორა მთა და ბარი? — ყურში ეუბნებოდა მასწავლებელს დანიელა ურია (ცულაშელი ებრაელი) ქორწილის მეორე დღეს.

ქორწილის მეორე დღეს თოფებისა და რევოლვერების სროლაც იყო ვიქტორ მიქელაძის ეზოში, მაგრამ არა მტერმოყვარეთა, ან წოდებათა შორის. — არა! ეკლესიამ, საქმელსასმელმა და ქეიფმა ყველა გააერთიანა. გუშინდელ მოწინააღმდეგეთა და გუშინდელ მომხრეთა პოზიცია დღეს ერთი იყო: „შესაფერისი არიან ერთმანეთისაო".

მასპინძლის შუა ეზოში მდგარ ხეს შაურიანისოდენა ქერქი ამოჭრეს და სახლის აივნიდან დაიწყეს იმ ნიშანში თოფე-

ბითა და რევოლვერებით სროლა, მაგრამ ამაოდ: ოფიცერი, განთქმული მონადირე, ულბრალო გიმნაზიელი, ქალი და კაცი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, სანაძლეოსაც სდებდნენ, მაგრამ ნიშანში ვერავინ მოარტყა.

— სიძე, სიძე! აბა, სიძემ სცადოს ბედი! — დაიძახა ვიღაცამ. ყველამ მას მისცა ბანი და მომცვივდნენ: „ძალიან გთხოვთ, ნიშანში ისროლოთო". (ახლა უნდა გამოვტყდე, რომ ჩემს სიცოცხლეში რევოლვერი და თოფი ხელში ერთხელ მეტად არ მჭერია: 11-12 წლისა ვიქნებოდი, როცა ჭალაში ერთმა დიდმა ბიჭმა მომცა ხელში რევოლვერი და მითხრა: „ასწიე მაღლა, აი აქ თითი გამოკარი და გავარდებაო!" მეც ავწიე მაღლა, თითიც გამოვკარ, მაგრამ, რადგან არ გავარდა, ხელი დაბლა დავუშვი. მთლად ძირს არ მჭონდა დაშვებული ხელი, როცა რევოლვერი მოულოდნელად გავარდა და მეც შიშისაგან მიწაზე გავითხლაშე. მას შემდეგ და არც მანამდე მე სასროლი იარაღი ხელში არ მჭერია!). „სიძე, სიძეო", — არ მეშვებოდნენ მაყრები და დამხდურები. მე წინასწარ ვიცოდი, რა თქმა უნდა, რომ ნიშანში ვერ მოვარტყამდი; მაგრამ ეს სასირცხვოდაც არ მიმაჩნდა, რადგან საუკეთესო მსროლელებმაც კი ვერ მოარტყეს; მე იმიტომ ვინაზებოდი, რომ მეშინოდა: ვაითუ წავიქცე, ან ცუდად გავხდე, როცა თითს გამოვკრავ-მეთქი, მაგრამ, რადგან გამოსავალი არ იყო, მოვიკრიბე ძალ-ღონე, ხელში მოჩეჩებულ რევოლვერს აივნის მოაჯირზე დავუდეევი თავი, ვითომ დავუმიზნე კიდეც და თითიც გამოვკარი (თითის გამოკვრის დროს უნებლიეთ საბე უკნისაკენ მოვიბრუნე). გავარდა!.. ნიშნისაკენ გაიქცნენ შესამოწმებლად და, ჰოი, საკვირველებავ: ჩემი გასროლილი ტყვია ნიშანს შიგ შუაგულში მოხვედროდა!

9

1911 წლის 1 სექტემბრიდან მომაცილეს ჩემს პირველ სამუშაო ადგილს, კულაშს, და გადამიყვანეს იმ დროს სენაკის მაზრის სოფ. გორდის ორკლასიანი სასწავლებლის გამგედ. ნორმალურ ორკლასიანსა და ჩვეულებრივ ორკლასიან

სასწავლებელს შორის განსხვავება იყო სასწავლო გეგმებსა და პროგრამებშიც. ეგრეთწოდებული ნორმალური ორკლასიანი სასწავლებელი მეტ ცოდნას აძლევდა ბავშვებს, ვიდრე ჩვეულებრივი ორკლასიანი სასწავლებელი, და ეს, მიუხედავად იმისა, რომ ორივე სკოლაში ხუთ-ხუთ წელიწადს სწავლობდნენ. ეს არც გასაკვირველი იყო, რადგან ნორმალურ სასწავლებელს ხუთი მასწავლებელი ჰყავდა (მასწავლებელი ერთ განყოფილებას ასწავლიდა), ხოლო ჩვეულებრივ ორკლასიან სასწავლებელს — ორი მასწავლებელი: ერთი ასწავლიდა სამ განყოფილებას (1 — 2 — 3), მეორე — ორ განყოფილებას (4—5).

კულაში უფრო შორს იყო ჩემი მშობლიური სოფლიდან, ვიდრე გორდი, მაგრამ კულაშისაკენ მიმავალი ტრანსპორტი უფრო ადვილი საშოვარი იყო, ვიდრე გორდისაკენ. ამ უკანასკნელში დილიჟანი და ეტლი, გარდა ცხენისა, ვერც კი შედიოდა. მათხოჯიდან გორდამდე გასავლელი გზის (სულ 12 კმ) ნახევარი, „ბუმბუას“ ხიდამდე, შეგეძლოთ გემგზავრათ დილიჟნით ან ეტლით, ხოლო მეორე ნახევარი, ბუმბუას“ ხიდიდან გორდამდე, — ცხენით ან ფეხით.

1911 წლის 25 აგვისტოს ახალშერთული მეუღლითა და ერთი თვის ბავშვით — შოთათი — „ბუმბუას“ ხიდის გავლით გორდში ჩავბარგდი.

10

მშვენიერი რამ იყო გორდში დადიანის სასახლე, ფიჭვნაძვნარით დაბურული უზარმაზარი ეზო. ჭიშკრიდან სასახლემდე მიმავალი გრძელი გზა-ხეივანი, გზის მარჯვნივ და მარცხნივ ჩამწკრივებული ერთი ზომის ნაძვის ხეები. ეზოში ბაღები, საყვავილეები, მოსამსახურეთა საცხოვრებელი ბინები, საჯინიბოები, სამზარეულოები, სასახლის ეკლესია და სხვ. სასახლე დიდი გემოვნებით იყო გაკეთებული, ერთი ოთახი მეორეს ეჯიბრებოდა სიკოხტავესა და სილამაზეში, ერთ-ერთი დარბაზის (საეშმაკო თუ გასართობი დარბაზის) ყველა

კედელი სარკე იყო. ბევრი რამ მომისმენია დადიანის აღვირახსნილი ცხოვრებისა და, კერძოდ, ამ დარბაზში ქალებთან მის მიერ გატარებული დროისა და იმის შესახებ, თუ რამდენ აზნაურისა და გლეხის ლამაზ ქალს დაუტოვებია იქ თავისი სიქალწულე.

ვინ უჩივლებდა დადიანს? ვინ მოსთხოვდა მას პასუხს? უმდაბლესი მოხელე ჩაფარი („სტრაჟნიკი") მისი იყო და „უმაღლესი" ბრძანებელი — იმპერატორიც მას მეგობრობდა.

ერთხელ (1889 თუ 1890 წ.) იმპერატორ ალექსანდრე III-ის ახლო ნათესავები, დიდი მთავრები, რომანოვები სტუმრებია პეტერბურგიდან გორდში დადიანს. ერთი კვირა თუ ათი დღე გაუტარებიათ „უმაღლეს" სტუმრებს „მაღალ" მასპინძელთან ნადირობასა და ნადიმებში. და როცა დამტკბარნი და ნასიამოვნები სტუმრები გორდიდან ბრუნდებოდნენ პეტერბურგს, გზად გავლისას სოფელ მათხოჯში იმ დროს მდიდარ გიგო ფირცხალავას ოჯახში მიურთმევიათ „ჩაი" დიდ მთავრებს. გამდიდრებულ „გააზნაურებულ" მდაბიოს გიგო ფირცხალავას მშვენიერი სასახლის მშენებლობა ახალი დამთავრებული ყოფილა მაშინ. მდიდარ კაცს არაფერი აკლდა და რა გასაკვირველია, რომ მის სახლში იმპერატორის ძმისშვილებმა თუ ბიძაშვილებმა ისაუზმეს. სასაცილოდ მხოლოდ ისღა დარჩენიათ ჩემს სოფლელებს, რომ სტუმრების საჩვენებლად ფირცხალავას „რამდენიმე საათით ცოლი გამოუცვლია" (მათხოჯის ულამაზესი ქალი, მაღალი, ახოვანი, იშვიათი შეხედულების, კლასიკური ქართული სახის მქონე, ჩიხტა-კოპში და მდიდრულ ქართულ კაბაში გამოწყობილი, ელისაბედ ჩიმაკაძისა-მოგელაძის ქალი „უნათხოვრებია" ცოტა ხნით: თავის მეუღლედ გაუსაღებია „უმაღლეს სტუმრებში" მასპინძელზე კარგი შთაბეჭდილების შექმნის მიზნით).

„დიასახლისმა" ელისაბედმა მიიღო „თავის" სახლში უმაღლესი სტუმრები, ხელმწიფის ოჯახის წევრები და „ჩა-

ით“ გაუმასპინძლდა. სტუმრები მოხიბლულან გლეხის ესოდენი სიმდიდრით, მისი კარ-მიდამოს სილამაზით, ვეებერთელა სასახლით, სიუხვით და, რაც მთავარია, დიასახლისის ესოდენი სიდარბაისლით, კოხტა ჩაცმულობით, კლასიკური სილამაზით, მომხიბლავი ქცევითა და ქებული ქართული სტუმართმოყვარეობით.

11

გორდის სასწავლებლისათვის შენობა გლეხებს აეგოთ თავიანთი ოფლით, შრომითა და ფულით, ამიტომ გლეხები თავიანთი შენობისათვის სწავლის ფულს ახდევინებდნენ აზნაურებსა და სასულიერო წოდების პირებს (ჩიქოვანებს, კუხალეიშვილებსა და სხვ.), რომლებიც კი მოისურვებდნენ თავიანთი შვილები გორდის ორკლასიან სასწავლებელში მიებარებინათ სწავლის მისაღებად (სხვა გზა არც ჰქონდათ). აზნაურთაგან შემოსული სწავლის ფული სასწავლებელსავე ხმარდებოდა შენობის შეკეთებისა, გაფართოებისა თუ სხვა სამეურნეო ხარჯებისათვის.

სკოლის დარაჯ-დამლაგებლის ჯამაგირს კი გორდის საზოგადოება იხდიდა. დარაჯსაც საზოგადოება ქირაობდა საჯარო შეჯიბრებით (ვაჭრობით), სახელდობრ ასე: გორდის მამასახლისი გამოაცხადებდა საზოგადოების კრებაზე: — დასაქირავებელია სკოლისათვის დარაჯ-დამლაგებელი ერთი წლით. ვის სურს იმუშაოს ამ თანამდებობაზე და რა თანხას თხოულობს წლის განმავლობაში?

— მე ვიმუშავებ სამას მანეთად წელიწადში! — დაიძახებდა ერთი დამსწრეთაგანი.

— მე 290 მანეთად დავდგები! — დაიძახებდა მეორე.

— მე 280 მანეთად! — ეჯიბრებოდა მესამე

— 200 მანეთად! — ერთბაშად ჩამოხტებოდა მეოთხე.

— მე 150 მანეთად! — უკლებდა მეხუთე.

— მე 100 მანეთად! — დაიძახებდა გაჭირვებული.

— მე 80 მანეთად!.. წამოიძახებდა გლახაკი!..

— იყავი, იყავი, შენ იყავი! — შესძახებდა ყველა, რადგან

შემცილებელი არსაიდან ჩანდა. ამგვარად, ასეთი საჯარო ფასდაკლების გამო სკოლას ყველაზე უფრო უჯნარო, გლახა და დავრდომილი კაცი ჰყავდა დარაჯ-დამლაგებლად. ვინც ცოტას სჯერდებოდა, საზოგადოებაც იმას აიყვანდა, რადგან გადასახადი ცოტა ეკნებოდა.

გორდის ორკლასიან სკოლაში ორი მასწავლებელი იყო — საერთო წესის მიხედვით.

ორ განყოფილებასთან ერთდროულად მეცადინეობა ძნელია, სამ განყოფილებასთან ხომ კიდევ უფრო ძნელი, შედეგიც შედარებით დაბალი. შევეცადე, მასწავლებელთა რიცხვი გამედიდებინა გორდის ორკლასიან სკოლაში. მართალია, ჩვეულებრივ ორკლასიან სასწავლებელს, როგორც წესი, სულ ორი მასწავლებელი ჰყავდა, მაგრამ გამონაკლის შემთხვევებსაც ჰქონდა ადგილი, როცა მოსწავლეთა რიცხვი ნორმაზე ბევრად მეტი იყო ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტში, ანდა, თუ მოსახლეობა კისრულობდა ზედმეტი მასწავლებლის მოწვევით გამოწვეული ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ გადახდას. გორდში მისვლისთანავე ორივე მიმართულებით დავიწყე მუშაობა. სწავლის მსურველი ბევრი აღმოჩნდა, მაგრამ მასწავლებლის მთელი ჯამაგირის ან მისი ნაწილის გადახდის მსურველი ერთობ მცირე იყო. ამიტომ მივმართე სხვა საშუალებას. დავითანხმე ორივე დაინტერესებული მხარე (გლეხობა და აზნაურობა), რათა ისინი გაერთიანებულიყვნენ სკოლის შენობის მფლობელობის საქმეში. ამისათვის კი ყოველ აზნაურსა და სასულიერო პირს ერთდროულად უნდა გადაეხადა იმდენი თანხა, რამდენიც თითოეულ გლეხს დაუჯდა (შრომით და ფულით) სასკოლო შენობის აგება; სამაგიეროდ, იმ სკოლაში სწავლის უფლებისათვის გადასახადისაგან თავისუფალი იქნებოდა მათი ძე და მომავალი.

პარალელურად დავითანხმე სკოლების საგუბერნიო და სამაზრო დირექცია, რომ მთავრობა გორდის ორკლასიანი სასწავლებლის ყოველ განყოფილებას დაუნიშნავდა თითო მასწავლებელს, თუ აზნაურებისა და სასულიერო წოდების

პირთაგან შემოტანილი სკოლის შენობის საფასური თანხა მთლიანად ხაზინის „დეპოზიტში“ შევიდოდა. ფული შეიკრიბა, ნაწილი თამასუქების ხახით, სამაგიეროდ, ჩიქოვანებსა და კუხალეიშვილებს მიეცათ სახალხო სკოლის სამაზრო ინსპექტორისა და ჩემი (როგორც გორდის ორკლასიანი სკოლის გამგისა და, იმავე დროს, საზოგადოების რწმუნებულის) ხელმოწერილი და ბეჭედდასმული, საგანგებოდ დაბეჭდილი „სიგელ-გურჯები“, მოწმობები, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ესა და ეს აზნაური თუ სასულიერო პირი, რომელმაც სათანადო თანხა ფულით, ნატურით თუ თამასუქით გადაიხადა, გათანაბრებულია გლეხებთან გორდის ორკლასიანი სასწავლებლის შენობის პატრონობის საქმეში და ამიერიდან მისი „ძე და მომავალიც“ განთავისუფლებულია ამ სკოლაში სწავლის დროს შენობის ქირის გადასახადისაგან.

დაგვინიშნეს მასწავლებელი. ასე რომ, ნაცვლად ორი კაცისა, 1911-1912 სასწავლო წელს, როცა მე გორდის ორკლასიანი სასწავლებლის გამგე-მასწავლებელი ვიყავი, ჩემს გარდა მასწავლებლობდნენ: გრიგოლ უგულავა, გუგული (ანა) ქვანია, ნესტორ თოდუა და რომანოზ ჩიხლაძე.

VIII

მუშაობა ზემო სვანეთში (მულახი), ლეჩხუმში (ცაგერი), იმერეთსა (ხონი, კულაში) აჭარაში (ქალაქი ართვინი)

1

ხანმოკლე შეიქნა ჩემი მუშაობა გორდში, — სულ ერთი სასწავლო წელი (1911 წლის სექტემბრიდან 1912 წლის სექტემბრამდე), მაგრამ ნერვული, საქმიანი და შინაარსიანი. გავკადნიერდები და მეტსაც ვიტყვი, რადგან ახლა ამას ტრაბახად არავინ ჩამომართმევს: ვშფოთავდი, მოუსვენარი ვიყავი, ვმუშაობდი ახალგაზრდული გატაცებით, ყველა მიყვარდა; ყველა მასწავლებელი, როგორც ერთი დედ-მამის შვილები, ისე ვიყავით, იდეა გვიტაცებდა. ანგარებასა და შურიანობას ადგილი არ ჰქონია. გვიყვარდა საქმე, ერთმანეთი და საზოგადოება... ამიტომ შეიძლება იმათაც (ბავშვებს, კოლეგებს, საზოგადოებას), მაგრამ მე ჩემს თავზე მოგახსენებთ, რომ ძლიერ დამწყდა გული გორდიდან მალე წამოსვლის გამო. დღესაც ტკბილად ვიგონებ იქ ყოფნას. ასეა თურმე: „რაც ერთხელ ცხოვლად გულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაიცემის“...

გორდიდან მე სხვაგან ძალით არავის გადაუყვანივარ, პირიქით: ერთგვარი იდეებითა და მისწრაფებებით გატაცე-

ბულმა, რომ მემსახურა იმ კუთხეში, სადაც ხალხს ყველაზე უფრო უჭირდა, — თვითონ შევიტანე განცხადება, რომ სამუშაოდ სვანეთის ერთ-ერთ სკოლაში გავეგზავნეთ. ასეთი ნაბიჯის გადადგმისათვის ბიძგს მაძლევდა ის გარემოებაც, რომ გაგონილი მქონდა: არა ერთმა და ორმა ნიჭიერმა და გამოჩენილმა მასწავლებელმა და მოღვაწემ (ყიფშიძემ, კვაჭაძემ, ჩიმაკაძემ, ჯუღელმა, ძიმისტარაშვილმა და სხვებმა) რკინიგზის სადგურების ახლომახლო და სასეირო თუ სასიამოვნო ადგილებში ადვილად და იოლად ცხოვრება-მუშაობას, მივარდნილ კუთხეში, უგზო-უკვლო ადგილას, მთებში ჩაჭედილ სვანეთის სოფლებში მუშაობა არჩიესო; ჩვენს ქვეყანას სწორედ ეს სჭირდებაო და სხვა მისთანანი.

გადიოდა დრო. ახალი (1912 — 1913) სასწავლო წლის დასაწყისი ახლოვდებოდა; პირველი სექტემბერი, რომ იტყვიან, კარზე მოგვადგა და მე ჯერ კიდევ არ ვიცოდი: ისევ გორდში ვიმუშავებდი, ძველს სენაკში თუ ზედა სვანეთში. მგონი, 25 თუ 26 აგვისტოს ჩავედი ქუთაისს ამ საკითხის გასარკვევად და იქ გავიგე, რომ კავკასიის სასწავლო ოლქის უფროსმა რუდოლფმა არ დაამტკიცა სასკოლო კომიტეტის დადგენილების საფუძველზე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ წარდგენილი ჩემი კანდიდატურა ძველი სენაკის სათავადაზნაურო (ქართული) სკოლის გამგე-ინსპექტორის თანამდებობაზე. დაუმტკიცებლობის ოფიციალურ მიზეზად დამისახელეს ის, რომ მე, როგორც სემინარიელს, შესრულებული არ მქონდა სამინისტრო სკოლებში სავალდებულო სამსახურის ოთხი წელი. იქვე მითხრეს აგრეთვე, რომ მე, თანახმად ჩემი ადრინდელი განცხადებისა, გადაყვანილი ვარ სამუშაოდ ზემო სვანეთში.

2

1912 წლის 1 სექტემბრისათვის მე უკვე ზემო სვანეთში ვიყავი და ჩემდამი რწმუნებული სკოლის გამგის მოვალეობას შევუდექი. იმისათვის, რომ შედარებით ზუსტი და ნათელი წარმოდგენა შეექმნეს წინამდებარე „მოგონებების“ პატივცემულ მკითხველს იმდროინდელ სვანეთზე, აქვე მოვი-

ტან ჩემს შთაბეჭდილებებს, რომელნიც სვანეთში ყოფნის დროს დავწერე და „ვარლამ იმერელის“ ფსევდონიმით გამოვაქვეყნე გაზეთში:

„სვანეთი!.. ჩვენში ვის არ გაუგონია ამ ზღაპრული ქვეყნის სახელი, ყოფნით კი საზღვარგარეთიდან ბევრი და ქართლ-კახეთ-იმერეთ-გურია-ოდიშიდან კი ძლიერ ცოტა ყოფილა ამ დევ-გმირთა ქვეყანაში... უცხოელთა პრესაში ბევრი რამ დაწერილა ამ ველურ, მაგრამ ტურფა მხარის შესახებ... ქართული ჟურნალ-გაზეთები კი იშვიათად მოიცლიან სვანეთისათვის... და თუ სვანები ქართველთა ტომისანი არიან ,მაშინ ხომ ქართველს დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს ამ უმშვენიერესი, არწივთა საბუდარი კუთხის უნახაობა. როგორ გაუძლოს ქართველსა გულმა და არ ნახოს მიუვალ ტიტველ კლდეზე მომხიბვლელი ტაძარი, რომლის წიაღში სვანის რწმენით დიდი თამარ მეფე განისვენებსო. ეს მიუკარები ადგილი კარგად აქვს აწერილი აკაკი სვანს: [1]

....„ობოლ სოფლებში თეთრ კოშკთა რაზმი
გასცქერის არეს მარად მწუხარი,
იქ ერთ მიუვალ პიტალო კლდეზე
ამართულია ტურფა ტაძარი,

სად ვერ ასულა დღეს ვერა კაცი
და მდუმარება მეფობს საზარი...
ხალხის თქმულებით მის ზღუდეთ შორის
აწ განისვენებს დიდი თამარი“.

შემდეგ ავტორი აღწერს ღამეს, „ოდეს საზარლად ცა დაიჭექებს, ღამის წყვდიადი გაბ̇ლის თავის ფრთებს“, იგრია-

---

[1] „აკაკი სვანი“ ფსევდონიმი იყო აკაკი დარისპანის ძე მარგიანის — პოეტ რევაზ მარგიანის მამისა.

ახლანდელი შენიშვნა

ლებს მეხი, გაანათებს „ცამდი ამართულს თოვლით მოსილ მთებს“ და, როცა ბლავილს მორთავს გაცოფებული ენგური, —

მაშინ საფლავით ადგება თამარ,
თვალს ავლებს თავის საქართველოსა,
მარგალიტ ცრემლით ზეცას ავედრებს
მის სისხლით მორწყულ ტურფა მდელოსა“!..

მაშინ კი, როცა:

„თამარი ისევ საფლავს ესწრაფვის,
ცაში ზარს დაკვრენ შუა ღამისასა“...
...ხალხს სწამს: რომ ოდეს თამარ არ შთავა
ბნელ სამარეში შუა ღამისას
და ხელთ აპყრობილ მოუცთის ვარსკვლავს
მახარობელსა განთიადისას, —
მაშინ დადგება დრო სანეტარო,
კვლავ განთიადი გაშლის სხივთა ფრთებს,
ახალ ცხოვრების შუქი მოხვდება
სვანეთის მწუხარ და მდუმარე მთებს...!“

სვანეთი ორ უმთავრეს ნაწილად იყოფა: ქვედა, ანუ სადადიანო, და ზედა სვანეთი... უკანასკნელი იყოფა სადადეშქელიანო და თავისუფალ სვანეთად... საერთოდ სვანეთი თვალუწვდენელი მთების ქვეყანაა. ჩრდილოეთით მას საზღვრავს კავკასიონის ქედი, რომელიც მთელი თავისი სიმაღლით აქ გადმოწოლილა, თითქო აქაურ მთებს ეჩემებოდეს სიმაღლეში... როგორც გამორკვეულია, ზოგან აქ ოთხი ვერსის სიმაღლის მთებია. ლატფარიდან (9000 ფუტია) კარგად მოჩანს იალბუზი, ანუ, როგორც ადგილობრივნი ეძახიან, მინგი-ტაუ (18.525 ფუტ.), დიხ-ტაუ (16.925 ფუტ.), კაშტან-ტაუ — (17.091 ფუტ.) და ფასის მთა... ამ მთების საუცხოო სანახაობა შორიდან ხიბლავს კაცს.. მყინვარიც რომ აქ იყოს,

მაშინ ხომ რაღა შეედრება! კავკასიის ქედის ბუმბერაზ ოჯახის ყველა წევრის ერთად ხილვა ხომ წარმტაცი სანახაობა იქნება!.. ფიჭვ-ნაძვნარით დაბურული ბუმბერაზი მთები და თოვლით ფენილი უზარმაზარი კლდეები, რასაკვირველია, კარგ ჰაერს აყენებენ მთელ სვანეთში... ამას რომ მივუმატოთ ხშირი ანკარა წყაროები და მკურნავი მეავე წყლები, ადვილად დარწმუნდებით, რომ ზაფხულში სვანეთი ედემია ამქვეყნიური...

*
* *

თვალ-ტანად სვანი კარგი შესახედავია. ძალაც ერჩის, იარაღის მოხმარების ღმერთია... ზოგი მათგანი ჩვენს ზღაპრულ გმირებს მოგაგონებს... სურათებით თუ მსგავსების აღმოჩენა შეიძლება სვანებში, განსაკუთრებით თავადებში. ბევრს ნახავთ რუსთველის ტიპიურ ავთანდილს, ტარიელს, თინათინს, ნესტანს... უხერხულია მათი დასახელება და, ვისაც თავისი თვალით უნახავს ისინი, ვისაც მე ვგულისხმობ, უეჭველია, ესიამოვნებოდა ძველი ლომ-გული ქართველის ტიპის შენარჩუნება... თუმცა ვიღაც ტეპ(ოვი ამტკიცებს (იხ. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, стр. 42) — „უშკულელი (საზოგადოების სახელია) შავ თვალ-წარბა, წვრილი, მოყვანილი, მარდი და პოეტია სულით; მესტიელი ნამდვილ იაროსლავის გუბერნიის მცხოვრებს მოგაგონებს: ისეთივე ოქროს ფერი ფართე წვერი, მუდამ მოცინარი და ცოცხალი თვალები; მულახელი — ნამდვილი მოლოროსია, არათუ შეხედულობით, არამედ ზნეჩვეულებით, ხასიათითაც; ლახამულები — ებრაელთა ტიპის არიან; ჩუბეხეველი — ნაწილი ჩაჩნისა და ნაწილი თათრის ტიპისაა. ეწერლებს შეუნახავთ ნამდვილი ქართველების ტიპი.. ასე რომ სვანის ორიგინალური ტიპი მითიაო, იგივე

ტეპცოვი ამბობს (იხ. იქვე 49 გვ.) „სვანების გვარი იძლევა საბუთს ვიფიქროთ, რომ ისინი ქართველების შთამომავლობისანი არიანო“.

ზედა სვანეთსა და იმერეთს შორის ისეთი უზარმაზარი ლატფარის მთებია დაწოლილი, რომ კაცს ერუანტელს გვრის... გადასვლა ლატფარზე შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა იგი კარგ გუნებაზეა: მაშინ კარგი სანახავიცაა, მომხიბვლელია... ასეთი დროა მხოლოდ ზაფხულის ორი-სამი თვე, დანარჩენ დროს კი ლატფარი მოღუშულია, — სასტიკი... თეთრ საბანში გახვეული იგი არ გადაგიშვებს გადაღმა, რაგინდ სატრფოც გეგულებოდეს იქ და რა გასაჭირიც არ უნდა გქონდეს. თუ ურჩობას გაუწევ და გაბედავ გადასვლას, — აგიცრემლიანებს სატრფოს, სამუდამოდ დაუკარგავს მას შენს ნახვას... ასეთია ლატფარი, საშიშია მასთან ხუმრობა. არის სხვა გზებიც — მუშური, ლენტეხი, ლასილი, მაგრამ ყველა საშიში და სახიფათო!.. ოსეთ-რუსეთში მიმავალი გზებიც არის, რომელზეც მიმოსვლა ხშირად თვით ზაფხულის ორ-სამ თვეშიც საფრთხილოა; ზამთარში ხომ სულ არაა გზა და ისაა!.. მაგრამ სვანი მაინც არ სცხრება... მაინც მიდის... და... რამდენი უგზო-უკვლოდ გადაცვივდა უფსკრულში, რამდენი მოიტანია და გასრისა ზვავმა, რამდენმა ბუნების ურჩმა სვანმა აატირა მშობელი! იღუპებიან ლატფარის მთით, ტვიბერით, მუშურით, ლასილით წასულნი და წამოსულნი გამბედავი სვანები. სვანეთის ზოგ მთებში კვირკობ-მარიამობისთვეში თოვს.. არ გადვიდეს და რა ქნას სვანმა?! სვანეთში გზის გამოყვანის საკითხი მივიწყებაშია მიცემული. და ეს კუთხე, კუთხე მომხიბვლელი და შეუდარებელი, უყურადღებოდაა მიტოვებული... მიუხედავობით იღუპებიან გასალკლდევებული, ყოველი გაჭივრების ამტანი სვანები... ნუთუ

გულგრილად უცქიროს ამას კაცმა. „მოგეხედეთ, მთლად მივიწყებულნი ვართ“... გულსაკლავად კლდეღრეებში გაიძახიან სვანები... ხმა სვანისა რჩება „ხმათ მღაღადებელისა უდაბნოსა შინა“, თუმცა სვანეთსა და უდაბნოს შორის საგრძნობელი განსხვავებაცაა.

სანამ სვანეთში გზა არ გამოვა, გზა ხეირიანი, რომელიც არადროს არ დაკავდება, სანამ ამ გზაზე მიმოსვლა არ გაჩაღდება, ხალხი ხალხში არ გაერევა, — სვანების ამ ველურ მდგომარეობიდან გამოყვანა ყოვლად შეუძლებელია!.. ტყუილად ჩაივლის ყოველი ცდა — რაიმე კულტურულმა დაწესებულებამ ან ჰუმანიურმა აზრმა მათ შორის მოიდგას ფეხი.

მაშ, პირველ ყოვლისა გზაა საჭირო, გზა!..

*

* *

ცხადია, თუ რამდენად გასაჭირი იქნება ზედა სვანეთში ფოსტის მიღება. მართალია, აქ ბოქაულის ბინაა, პოლიციის მოხელენი ცხოვრობენ, ფოსტაც დარაჯებს დააქვთ, მაგრამ რას გაბედავს მთებზე გადასვლას დარაჯი, როცა თვით გამბედავი სვანიც ვერ ბედავს... და მერე, ვალდებულიც არაა, როგორც კერძო პირს, ისე სასწავლებელსაც ფოსტა მიუტანოს... მართალია, აქაური ბოქაული ბ-ნი ეგნატე გაბლიანი ხელს გვიწყობს, სასწავლებლების ფოსტას ყოველთვის აზიდვინებს დარაჯებს, — ბ-ნი ეგ. გაბლიანი ყოფილი მასწავლებელია და ესმის, უბრალო წერილიც რაც ნიშნავს გადაკარგული ადამიანისთვის, მაგრამ როდემდი უნდა იყოს სასწავლებლის ფოსტა „ხათრსა და გულკეთილობაზე“ დამყარებული! ამის შესახებ კითხვა აქაური მასწავლებლის მხრით აქამდი უნდა აღძრულიყო, მაგრამ საერთო საქმეში უენერგიო და მიუყოლელ მასწავლებლებმა აქაც უსაქმობა გამოიჩინეს... საკმარისია, რომ სვანეთის ყველა სასწავლებელმა მთავრობის ნებართვით ფული გამოიღოს წლიურად, იქირაონ კაცი

და თვეში ორხელ მაინც ცაგერიდან ზედა სვანეთის ყველა სასწავლებელს ფოსტა მიუტანოს... პატარა ენერგია და ფხაა საჭირო, რომ სასწავლებლების ფოსტის საქმე ასე მაინც დამთავრდეს, სანამ ის დიდი და ტკბილი ზღაპრული დაპირება არ შესრულდება, რომლითაც მთავრობა ზედა სვანეთში ფოსტის კანტორის დაარსებას ფიქრობს... ხვალინდელ ქათამს, — დღევანდელი კვერცხი იყოს...

*

*

შედიხართ სასწავლებელში და ყურს უგდებთ მასწავლებელს...

— ქართული არ იცით? — ეკითხება ახლად მოსული მასწავლებელი მოწაფეებს... სამარისებური სიჩუმეა... ხმას არავინ იღებს...

— ყმაწვილებო! — იმეორებს განცვიფრებული მასწავლებელი, — ქართული არ იცით?

— „არ იცით", — მიხვდა ერთ-ერთი ბოლოს და უპასუხა კიდეც...

— ქართულს არ გასწავლიდენ? — რუსულად ეკითხება მასწავლებელი მოწაფეებს.

— არა, — რუსულადვე უპასუხებენ ყმაწვილები.

— მაშ რას აკეთებდით, ვინ იყო, რა კაცი თქვენი მასწავლებელი?

— ის ვირი იყო, ვირი! — უპასუხებს მოსწავლე. (ფაქტია!)

— როგორ შეიძლება ასე უზრდელად მოიხსენიო მასწავლებელი!? — ცხარობს პედაგოგი.

— ის ღირსია ამისა! — ქედმოუხრელად, დანგრეული რუსულით უპასუხებს მოსწავლე.

— ხოჩაავ ლადეღ ჯაარ! (დილამშვიდობისა), — მიესალმა მეორე დღეს მასწავლებელს მოწაფის მშობელი.

— ხოჩაავ ჯარ (გაგიმარჯოსთ)! — უპასუხებს ახლად

მოსული მასწავლებელი, რომელსაც ჯერ მარტო ეს ერთი სიტყვა უსწავლია სვანურად.

— მიეცით ჩემს ბაღანას ახალი წიგნი, თვარა ქე წევიყვან სახლში! — ემუქრება მოწაფის მშობელი მასწავლებელს.

— გუშინ მივეცი სულ ახალი წიგნი! — უპასუხებს მასწავლებელი სვანს და თან თვალს არ აშორებს პაპიროსს, რომელსაც სვანი აბოლებს... ამას მისი შვილის წიგნიდან ამოუხევია ფურცლები და შიგ თუთუნი გაუხვევია... თითქოს გუშინ პაპიროსის ქაღალდი დაერიგებიოს მასწავლებელს და არა წიგნი... აგერ, ნათლად ხედავს მასწავლებელი, როგორ იწვის „თხა და გიგო“, თუ „მოდი ვნახოთ ვენახი“, მაგრამ რას იზამს...

— მივცემ, მივცემ, — ამშვიდებს სვანს მასწავლებელი და გამოაქვს ახალი წიგნი (ყველა სასწავლო ნივთი სვანეთში მოწაფეებს უფასოდ ეძლევათ).

„სვანეთში ქართულის სწავლება საეალდებულო არაა“, — ბრძანებს სამოსწავლო მთავრობა, — „ამისათვის ქართული სახელმძღვანელოები სახელმწიფო ხარჯით არ იყიდოთ და, თუ სვანს მაინც ენდომება ქართული ისწავლოს, თვითონ იყიდოს საჭირო სახელმძღვანელოებიო“...

იყიდიან კი სვანები? არა, ვერა! — ეგ კარგად იცის სამოსწავლო მთავრობამ და მიტომ მიმართა ამ „საუკეთესო“ გზით სვანეთის სკოლებიდან ქართული ენის ექსორიას... რა დაეაშავა მრავალტანჯულმა ქართულმა ენამ?!

— გამიგონეთ, — თარჯიმანით ელაპარაკება მასწავლებელი შეკრებილ ხალხს, — რათ გჭირიათ, რომ ბოქაულმა, მამასახლისმა, სტრაჟნიკებმა ჩამოგიაროთ (როგორც ეგ გჩვევიათ), გეხვეწონ, თქვენი შვილები სასწავლებელში გაუშვით თუ არა ოქმს შეგიყენებთ, დაგაჯარიმებთო. ეგ რომ გადაღმელ კაცს უთხრათ, ჩვენში ასე ხდებაო, არ დაიჯერებს, მისთვის ეს წარმოუდგენელია... ნუთუ დღემდი ვერ შეგიგნიათ, რომ სწავლა კარგია, სიკეთეა, სინათლეა... ამას ისიც დაუმატეთ, რომ თქვენთვის უფასოა, უხარჯოა... მე არ

გეხვეწებით. მით უმეტეს, რომ სწავლა ეს ისეთი რამაა, რომ ძალით ან ხვეწნით არაფერი გაკეთდება, აქ უნდა იყოს შეგნება და მეც სწორედ ძინდა დაგარწმუნოთ, რომ თქვენი მხეცური მდგომარეობიდან გამოყვანა მხოლოდ და მხოლოდ სწავლა-განათლებით შეიძლება... ყველა იმ ბერდანკაზე და ხმალ-ხანჯალზე, თქვენ რომ აგისხამთ, მეტს ჭრის და მოქმედობს უბრალო სკოლა.

— თუ ტანისამოსს ხელმწიფე უყიდის, არ ვჩივი, გამოვუშვებ ჩემს სევერიას, — ამბობს ვიღაცა.

— „უჩიტელი“ მაინც ვერ გამოვა და რა ეშმაკად მინდა მაგის კლასი, — ბურდღულობს მეორე.

— აქ თუ კარგად ისწავლის, კარგი ყმაწვილი იქნება, იმერეთში სახელმწიფო ხარჯით გაზრდიან და მასწავლებელი გამოვა, — უპასუხებს მასწავლებელი.

— აქანე რომ გამოვიდოდეს, ბატონო „უჩიტელო“, „უჩიტელი“, კარგია, და იქეთ სად ვზდიო მე (ვინც იმერეთში ნამყოფია, იცის დამტვრეული ქართული).

სვანეთის მასწავლებლებს გული აქვს გატეხილი... სასწავლებელში, სადაც ოთხი-ხუთი მასწავლებელია, ოცს-ოცდაათს მაინც არ აღემატება მოწაფეთა რიცხვი. და სადაც ერთკლასიანი სასწავლებელია და ერთი მასწავლებელი, იქ ხომ ხუთიდან შვიდამდეა მოსწავლე. გულავარდნილი მასწავლებელი ფიქრობს: ხალხი არ მიმადლის, მთავრობა იქნება წელს ვერც მოვიდეს, გზა არ არის და კვალი... ასეთ პირობებში გულს იცრუებს თავის ხელობაზე...

მთელს ზედა-სვანეთში ოცდახუთამდე სამინისტრო და სამრევლო სკოლაა. მათ შორის ორი: მუჟალის ნორმალური და ბეჩოს სახელოსნო განყოფილებით და პანსიონით. სკოლები სწორედ რომ კარგად მოწყობილია. მაგრამ რა... უხვი სამოსწავლო მთავრობა წელსაც ექვს სკოლას უმატებს ზედა სვანეთს და რამდენსამე მანეთს კი „ქართული სახელმძღვანელოებისთვის“ იშურებს და უკრძალავს მასწავლებელს მათ შეძენას...

*
* *

ზემო სვანეთში არსებობს „პრიომნი პაკოი“, ერთი ექიმით, ბებია ქალით, ფერშლით და უფასო აფთიაქით; აქიმი ბ-ნი ს. გაბიანი ერთობ გულკეთილი და თავის ხელობის კარგი მცოდნე ადამიანია. საავადმყოფოს აქ დაარსების დღიდან (მეოთხე წელია) აქ არის ექიმად და სამართლიანად დაუმსახურებია კეთილი ადამიანისა და კარგი ექიმის სახელი.

ის ერთადერთი ინტელიგენტია (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) მთელს სვანეთში.

აუარებელია სვანეთში დაჭრილთა და ნადირობის დროს კლდიდან გადმოჩეხილ-დასახიჩრებულთა რიცხვი. მუდამ სავსეა საავადმყოფო, სავსეა საავადმყოფოს ეზო საექიმოდ მოსულების ცხენებით. მაგრამ ისიც ხშირად მოხდება ხოლმე, რომ მოდის სვანი წამლისთვის იმიტომ, რომ შუშა სჭირია... გააწყალეს საავადმყოფო შუშებიდან. წაღებულ შუშას რომელი სვანია რომ დააბრუნებს... ერთის მხრით ამიტომაც ერიდება ექიმი წამლების გატნევას, ნამეტნავადა, თუ წამლები წვეთებით მისაღებია, რომ ხშირად მომხდარა, წვეთობით სასმელი წამალი, რაიც ექიმმა გაატანა და დაუბარა, ამდენ წვეთზე მეტი არ შეცდე და არ დალიო, თუ იმ დღესვე არ მოურჩენია ავადმყოფი, ერთიანად გადაუყლუნწავს წამალი, მაგრამ როგორღაც მომხდარა სასწაული და გადარჩენილა...

როგორც ზევით ვთქვით, შუშა ძალიან უყვარს სვანს. შუშა რო ხელთ იგდოს, მოსული ავადმყოფობას იგონებს თვითონ და ან „შინ გამხდარი ავადმყოფის“ ამბავი მოაქვს ექიმთან.

ერთი ჯანმრთელი კაცი, რომელმაც ექიმის კითხვაზე: შენ ხომ არაფერი გტკივაო, — უპასუხა, არა, ისე მოვედი საყურებლადო, — დგას კარებში და საღამომდი იცდის... ხედავს, ერთს მისცა ექიმმა შუშიანი წამალი, მეორეს, მესამეს, მეოთხეს... ეჰ, შეშურდა სვანს და მოიგონა: „მეც მტკივა

თავი და მომეცი შუშიანი წამალიო“. არა თუ ექიმმა, ვინც იქ იდგა, ყველამ შეატყო სვანს შუშის შეძენის სურვილი და ამისათვის ფეხმოკლე და აშკარა ტყუილი. ექიმმა შუბლზე ხელი დაადვა სვანს, გასინჯა და უთხრა: „კეთილი, დაიცადე და მოგცემ წამალს. შენ ორი შუშა წამალი გჭირია, ერთს აქ დაგალევიებ და მეორეს შინ გაგატანევო“. ექიმმა ფერშალს რუსულად გადაულაპარაკა: ერთი ამას ზეთი გადააკვრევინე, ცოტა, ისე... ფერშალმა სვანს ზეთი მიაწოდა... ჯანმრთელმა სვანმა გადაყლუნწა ზეთი. იცდის... უცდის შუშიან წამალს... იცდის... იცდის... ვეე, ცუდადაა საქმე, მეტი ცდა არ შეიძლება, გაჭრა წამალმა... სვანი მუცლის არევას ატყობს... და... გარბის თავქუდმოგლეჯილი... „მოიცადე, შუშიანი წამალი წაიღეო“, უძახიან... სვანი გარბის და გაიძახის: „არ მინდა, არა, არაფერი მტკივა“-ო.

მიცვალებულის გასვენება აღარიბებს შეძლებულ სვანის ოჯახსაც კი. დასაფლავების დღეს საკურთხი, ორმოცი, წლის თავი ერთობ ძვირად უჯდება სვანს... ორიგინალურია მიცვალებულის ტირილის და გამოსვენების დღე... მიცვალებულის ცხედრის გარშემო მწყობრად დგანან ქალები... მათ ირგვლივ კაცებია დარაზმული... საგანგებოდ მოწვეული მოტირალი, რომელიც განთქმულია მთელს საზოგადოებაში ჯარგის ხმით და გამოთქმით ჩამოთვლის ყველა ღირსებებს ახლად მიცვალებულისა... ყოველი მკაფიო და გარკვეული წინადადების შემდეგ ქალები ხელებს გაშლიან, სახეზე ჩამოისვამენ და ქვითინებენ... ასევე იქცევიან კაცები, იმ განსხვავებით, რომ ისინი ქვითინის მაგივრად ხელების გაშლის და სახეზე ჩამოსობის დროს მწყობრად იძახიან: „ივაი, ივაი, ვااااي“. მოტირალი ქალი ახლად მიცვალებულის ღირსებათა გათავების შემდეგ ჩამოთვლის იმ საზოგადოების გულსაწვავ მიცვალებულებს... ჩააბარებს იმათ ახლად განსვენებულს. ყველა იქ დამსწრეზე მწვავე სიტყვები მოქმედობს და აქვითინებს ყველას... შემდეგ გამოვლენ რიგიდან ერთი, სამი,

შვიდი, ცხრა... ჯერ ქალები, შემდეგ კაცები... მწარე ქვითინით და მოთქმით გარს უვლიან დარაზმულ საზოგადოებას... ესენი არიან ახლობლები ახლად განსვენებულისა... უბრალო კუბოში ჩასვენებულს ჩქარის ნაბიჯით მიასვენებენ ეკლესიისაკენ... ერთხელ შამოარონინებენ ტაძრის შენობას და შიგ არ შეასვენებენ, ისე ჩაუშვებენ სამარეში... ზომაზე მეტი გულმომწვავი და ახლობელი ახალი მიცვალებულისა ცდილობს. სანამ მიცვალებულს საფლავში ჩაასვენებენ, პირველად თითონ გადავარდეს სამარეში; რასაკვირველია, ამოიყვანებენ და გავარდება ხალხში ხმა: — „საბრალოს რა ძლიერ ყვარებია“... და სხვ. ყველა ცრემლებით ისრჩვება... ქალები წავლენ. დარჩებიან კაცები საფლავის ირგვლივ. ყველა მწყობრად დაეწყობა და ეთხოვებიან მიცვალებულს... ხელგაშლილნი ექვსჯერ ზეზე და სამჯერ დაჩოქილნი იძახიან: „ივაი მიშგვა ქვინე ლიგნაალს“ (ვაი, ჩემს გაჩენას)... შემდეგ: „ვაი მიშგვა ლადი ლადეღს ვააააი“... (ვაი, ჩემს დღევანდელ დღის მოსწრებას)... არ იფიქროთ, აღნიშნული ცერემონიები მშრალი, სიბრალულს მოკლებული და უცრემლო იყოს... საკმარისია ერთხელ დაესწროთ სვანეთში ტირილს, რომ დარწმუნდეთ წინააღმდეგში. ერთგვარ გულწვაობას და სილამაზეს არ არის მოკლებული სვანების ტირილი, ამიტომაცაა, რომ ზოგი შეძლებული, უდარდელი და მოხუცებული სვანი მოისურვებს მოისმინოს, თუ როგორ იტირებენ მას, როცა მოკვდება... და თუ ვინ რამდენ გულწვაობას გამოიჩენს... ცოცხლად ჩაწვება კუბოში და გაიმართება მოთქმა-ტირილი... ღაპაღუპით მოდის ცრემლი რძლებს. ასეთ შემთხვევაში რძლები ეჩემებიან ერთმანეთს...

საკურთხის დღეც ორიგინალურია... გააკეთებენ მიცვალებულის დოდოჩოს... ჩააცმევენ იმ დღისთვის შეკერილ ახალ ტანისამოსს და გამოწყობილ მიცვალებულს მიაჯენენ იმ დღისთვის საგანგებოდ გაკეთებულ სუფრას, რომელიც სავსეა სხვადასხვა სანოვაგით. დანარჩენები სხვა სუფრას უსხედან და მღვდლიანად შეექცევიან საკურთხს... ბლომად იხარჯება

არაყი და ხორცი... ზომაზე მეტი მაძღარნი და შეზარხოშებულნი წავლენ შინ. მიცვალებულისთვის საკურთხის დღეს შეკერილი ტანისამოსი, მისი სუფრა მთელის მოწყობილობით და სასმელ-საჭმელით მღვდელს გაეგზავნება შინ.

. .

თუ ქალი მოეწონება სვანს, გათავდა, უნდა ითხოვოს, თვარა სირცხვილია... თუ ძაან მოეწონა, გათხოვილიც იყოს, წაართმევს ქმარს... თვარა გაუთხოვარს რა დაუდგება წინ; ვინიცობაა ქალი ან მისი მშობელი არაა თანახმა, ეგ არაფერია, მოიტაცებს... მართალია, ციხე ყველა ოჯახს აქვს, მაგრამ არაფერია, ადრე იქნება თუ გვიან, მაინც მოიტაცებს... ქალის დანიშვნა, წაყვანა, ჯვარის წერა ორიგინალურია. ცოლს და ქმარს ჯვარის წერის შემდეგ კი არ ეძლევათ უფლება ერთად იცხოვრონ, როგორც ჩვენშია, არამედ მხოლოდ თავის სახლიდან საქმარულოში წაყვანის შემდეგ, რაც ხშირად, დღიდან ჯვარის წერისა, ერთი წლის განმავლობაშიც არ ხდება...

დანიშვნის დღეს გასათხოვარი ქალი პირახვეული ზის საქეიფო სუფრის გარეშე და მანამ არ ჩამოიხდის პირს, სანამ ვინმე სასიძოს მხრიდან ცალ ხელში არაყით სავსე კათხით და მეორე ხელში ფულით არ შივა და არ ადღეგრძელებს სარძლოს, რომელიც პირბადეს ჩამოიხდის, მადლობას გადუხდის, არაყს დალევს და ფულს ჩამოართმევს, რითაც თანხმობას აცხადებს... ქალი, როგორც პატრიარქალურ ოჯახის წევრი, ხშირად თავისი სურვილის წინააღმდეგ თანხმდება უფროსების სურვილს... ხშირად გათხოვების დროს ქალის თანხმობა ნაძალადევია... სასიძომ იქით უნდა ჩაიტანოს სასიმამროსას 150 მან., ეს ფული მზითვის სახით უკანვე უბრუნდება სიძეს...

. .

შურის ძიება, სისხლის აღება ხომ სვანის საქმეა... გადაკიდებულია ერთი გვარეულობა ან სოფელი მეორე გვარეულობაზე ან სოფელზე... პირველი სისხლი მათ შორის შეიძ-

ლება რამდენიმე საუკუნით ადრე დაღვრილა, მას შემდეგ რამდენიმე მსხვერპლი იყო ორივე მხრივ. მაგრამ სისხლის აღება-ღვრა დღესაცაა. მოხდება ხანდისხან, რომ გადაკიდებულ მოსისხლე მტრებს შეარიგებენ... ამ შემთხვევაში მკვლელი იხდის მოკლულის ნათესავთა სასარგებლოდ ადგილ-მამულით სამ-ოთხ ათას მანეთს, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად შეაფასა სამედიატორო სამართალმა მოკლული. შეფიცებს ორივე მხარე ერთმანეთს ერთგულებას, რის შემდეგაც თითქმის ყოველთვის შემწყდარა სისხლის ღვრა... სავსებით სვანის გულის მოგება არც ამით შეიძლება, თუმცა მას ფიცი ძლიერ სწამს... სვანის უბრალო წკიპარტიც უნდა დამთავრდეს შერიგებით... რის შემდეგ შეურაცხყოფილს მიუსჯიან ძროხას, ხარს, ცხენს, — იმის მიხედვით, თუ რამდენად შეურაცხყოფილია, რასაც ყოველთვის სამედიატორო სასამართლო ვაარჩევს...

თუმცა, როგორც ზევით ვთქვი, არც ასეთი შერიგება აკმაყოფილებს სვანს სავსებით... შერიგებულს ხშირად უთქვამს: „ძროხაზე ძროხას დავუმატებ და ერთი სამაგიეროდ რომ არ ვთხრიშო სიბრტყით ბეჭებში ხანჯალი, ისე ვული არ მისვენებსო“... და ადრე თუ გვიან აასრულებს ამას...

ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს თავის ოჯახიდან არაფერს გასცემს სვანი. თვითონაც სჭიროდეს, გადალმა მაინც ვერაფერს გადაიტანს. დღესასწაულზე, რომელიც სვანეთში ეგზომ ხშირია, სვანი დაკლავს ხარს ან ძროხას, რომლის ბეჭი უეჭველად მღვდელს უნდა გაუგზავნოს. გარდა კვირისა, შაბათს და პარასკევს არ მუშაობს სვანი, რომ ჰკითხო, რა უქმეა-თქო, გიპასუხებს: „ჩვენი მამები უქმობდენ, და ჩვენ რად ვაწყენინებთ ღმერთსო“... სვანი მეტად ღვთისმოყვარული ადამიანია... ფიცი მას ძლიერ სწამს.

გადასახადი თითქმის ყველა სვანს ერთი აქვს, არ აღემა-

ტება წლიურად მანეთ-ნახევარს. მხოლოდ ორი საზოგადოების მცხოვრებნი, სახელდობრ, ჩუბიხევისა და ფარისა, წლიურად ხუთ მანეთს იხდიან. ეს მას შემდეგ, რაც აღნიშნული მამულები ხაზინამ მიითვისა, მისი მეპატრონე კი თ-დი კონსტანტინე დადეშქელიანი სიკვდილით დაისაჯა ქუთაისის გუბერნატორის გაგარინის მოკვლის ვამო...

სახნავ-სათესი ადგილ-მამული სვანეთში ძლიერ ცოტაა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მიწა ძლიერ ძვირად ფასდება სვანეთში, ერთი ღესეტინა სახნავ-სათესი მიწისა სამოთხ ათას მანეთად. აქ თესავენ პურს, ქერს, კარტოფილს, ცერცვს... ზოგ ადგილს სიმინდსაც. საკმაო პური სვანეთში, რასაკვირველია, არ მოდის... მცხოვრებლები იძულებული არიან საკვები სხვა ქვეყნებიდან მოზიდონ და ცოლშვილი ნაყიდით არჩინონ.

მეფუტკრეობა სვანეთში ძლიერ გახშირებულია. თითქმის ყოველ ოჯახში შეხვდებით რამდენსამე სკა ფუტკარს... გამოკვლეულია, რომ აქაურ ფუტკარს თითქმის ყველა სხვა ქვეყნის ფუტკარზე უფრო გრძელი ენა შაშარი აქვს, და ამიტომ სვანეთის ფუტკარი უფრო ადვილად და მეტი სიღრმიდან ამოწუწნის ყვავილს წვენს და თაფლიც კარგი იცის. მულახის საზოგადოებაში, სადაც 198 მოსახლეა, 141 სკა ფუტკარია, მაგრამ მცოდნე ხელის უქონლობის გამო სასურველ წერტილამდე სვანეთში მეფუტკრეობას ვერ მიუღწევია.

ვაჭრობა-მრეწველობა სვანეთში თითქმის ფეხმოკიდებულია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ

ზოგ მეოჯახეს შინ რამდენიმე თოფი ფართალი აქვს ქუთაისიდან ჩამოტანილი და, ვისაც დაჭირდება, ორკეც ფასს გადაახდევინებს. გარდა ამისა, სვანები ოსეთიდან მორეკავენ ოთხფეხ საქონელს და შემდეგ თავის მეზობლებში ყიდიან. მთელ სვანეთში ერთი ხეირიანი დუქანი არაა... სამსახურში მყოფი პირი იძულებულია მთელი წლის სანოვაგე ქუთაისიდან წამოიღოს, როცა აქეთ მოდის... ეს, გარდა იმისა, რომ უხერხულია, შეუძლებელიცაა სოფლის მასწავლებლისთვის, რომელიც მცირე თვიური ჯამაგირით ცხოვრობს. მთავრობამ განიზრახა ზედა სვანეთში ერთი მომხმარებელთა საზოგადოების დაარსება, მაგრამ ჯერ-ჯერობით მივიწყებაშია ეს აზრი.

* * *

საშინელ დიდ სარგებელს იხდიან იქაურები ფულში. ბედნიერ კაცს აქვს აქ 100-200 მანეთი და ასესხებს 70%, 60%, 50% — ეს ჩვეულებრივი სარგებელია. შეხვდებით მაგალითს — 80% იხდიდეს მოვალე. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ლეჩხუმის მაზრის ეფროსმა ბ-ნმა ენკელმა, რომელიც დიდად ცდილობს ხალხის მორჯულება-მოქრისტიანებას, მათში ჰუმანიური აზრების გავრცელებას, ყოველ უთაკბოლო ხარჯების შემოკლებას და სხვადასხვა. ბ-ნი ენკელი განაჩენს აყენებს საზოგადოებებში; ერთი მუხლი ამბობს — არავინ გაბედოს 30% მეტის აღება გასესხებულ ფულშიო. ცხადია, ეს 30%-იც უკანონოა, მაგრამ ამას ვინღა ჩივა, რომ თავისებურ თავაშვებულებას პროცენტების აღებაში არ განაგრძობდნენ აქაური ჩარჩები. რადგან სვანეთში ასე ძვირია ფული, სვანს ის დიდად უყვარს, ახალგაზრდა სვანები დადიან სამუშაოდ უმეტეს შემთხვევაში ოსეთს, ოდიშსა და იმერეთში...

* *

სვანურ ზღაპრებში უმეტეს შემთხვევაში რაინდობაზე, მართლმსაჯულობაზე, ღმერთთან შემცოდე ადამიანის დასჯაზე, ამა თუ იმ მთა-კლდეებში დაბუდებულ მავნესა და მკაცრ პირებზეა ლაპარაკი...

ლენტეხის დაბლა (ქვედა სვანეთში) ფართო ქვაა, რომელზეც აჩნია კაცისა და საქონლის ფეხის ნაბიჯი... ამ ქვის შესახებ სვანეთში ამგვარი ლეგენდაა. ქრისტე ღმერთი აშენებდა ვენახს. ამ მიზნით ის ცხენის წყლის[1] ნაპირებით წამოვიდა სვანეთში, მაგრამ ამ დროს ქრისტეს მტერს, ეშმაკს, რომელსაც სახელად სამალი ერქვა, უკვე მოესწრო მოეშენებინა სვანეთში ძაღლ-ყურძენა... სვანეთში მიმავალ ქრისტეს შეხვდა სამალი — ეშმაკი და რწმუნება დაუწყო — სვანეთში ვენახი უკვე მოშენებულიაო... ქრისტემ გადასწყვიტა დაბრუნება, მაგრამ მოისურვა დაეტოვებია ხსოვნა ხალხში იმის შესახებ, რომ ის ქვემო ანუ სადადიანო სვანეთში ბძანდებოდა. ამ მიზნით ქრისტემ უბრძანა თავის ჯორს შედგომოდა ფეხით იქვე მდებარე ფართო ქვას, თითონაც ინება ცალი ფეხი დაედგა მასზე... აი, ეს ნაკვალევია — ქრისტესი და მისი ჯორისა — რომელიც აჩნია იმ ბრტყელ ქვას.

„ქრისტეს ფეხის ნაბიჯი" (ასე ეძახიან ამ ადგილს) შემოკავებულია ირგვლივ ყორით და დაცულია საქონლისაგან... შიგ ასვია სვეტი. სვეტზე ჯვარი და ხატია... ღვთის მორწმუნე სვანი ბოწიწებით უახლოვდება აღნიშნულ ქვას... წყევლა-კრულვით იხსენიებს ქრისტეს მომტყუებელს, შემაცდენელს ეშმაკს, — დატოვებს ხატთან, თუ აქვს, სანთელს, ან გროშს

---

[1] უნდა იყოს „ცენის წყალი" და არა „ცხენის წყალი", რადგან აღნიშნული მდინარე სვანეთში „ცენი"-დან იწყება. ვ. ი.

და ნაღვლიანად, მოწიწებით გაცილდება „ქრისტეს ფეხის ნაბიჯს“.

ზედა სვანეთი.

(გაზ. „იმერეთი“, 1912 წ. № 73, გაგრძელება 1913 წ.)

ჩემს სკოლას, როგორც ნორმალურს, ხუთი მასწავლებელი ჰყავდა. 1912—1913 სასწ. წელს მოსწავლეთა რიცხვი არცთუ ისე ბევრად აღემატებოდა მასწავლებელთა რიცხვს. თითოეულ მასწავლებელს განყოფილებაში 4-5 მოსწავლე ჰყავდა და მახსოვს კიდეც ისეთი დღეები, როცა მოსწავლეთაგან გაკვეთილების გაცდენა სულ უაუდიტორიოდ, ანდა ერთი მოსწავლის ამარა დატოვებდა მასწავლებელს. ძნელი იყო ასეთ პირობებთან შეგუება: ქვეყანას მოწყვეტილი ჩამოსულხარ სვანეთში ახალთაობის გასანათლებლად, ჩამოსულხარ იდეით, რწმენით, სიყვარულით, გინდა იმუშაო და — სკოლა ცარიელია მაშინ, როცა ორასზე მეტი სასკოლო ასაკის ბავშვი სკოლის გარეა, არ სწავლობს.

ხვეწნა, მუდარა, პროპაგანდა არ გადის. რაღაც სხვა ზომების მიღებაა საჭირო, მაგრამ არ იცი, რა ზომებისა: სულ დაანებო თავი სვანეთში მუშაობას, დაბრუნდე უკან და იმუშაო იქ, სადაც მეტი სარგებლობის მოტანა შეგიძლია, თუ სვანეთშიც არის შესაძლებელი შექმნა პირობები სარგებლობის მოტანისათვის? ჩემი ასეთი განწყობილება ავუწერე სვანეთის „მახვშს“ ეგნ. გაბლიანს, ყოფილ მასწავლებელს, რომელიც იმ დროს სვანეთის ბოქაული იყო. მან მითხრა, რომ არსებობს კანონი, როშლის მიხედვითაც სასწავლებლის გამგეს უფლება აქვს ორმოც მანეთამდე დააჯარიმოს სვანიმშობელი, რომელიც სასკოლო ასაკის ჯანსაღ ბავშვს სკოლაში არ უშვებს; ალმითქვა ყოველგვარი დახმარების ალმოჩე-

ნაც, თუ მე ვიკისრებდი ამ, შეიძლება ჩემთვის სახიფათო ღონისძიების გატარებას.

ბევრი ვიფიქრე და ვიმუშავე ამ საშუალების გამოყენებისათვის. ხალხის სურვილის წინააღმდეგ ძალით, პოლიციისა და ჩაფრების („სტრაჟნიკების") დახმარებით სწავლა, არასაკადრის საქმედ მიმაჩნდა, ვიფიქრე: ბევრს ავიმხედრებარა ერთი და ორი უსამართლოდ ალაპარაკდება ჩემს წინააღმდეგ, გამლანძღავს, დაუმსახურებლად ჩირქს მომცხებს: „სოციალისტად" მოაქვს თავი და ხალხის „დასამორჩილებლად" „სტრაჟნიკების" ძალას მიმართავსო". მაგრამ გამახსენდა აკაკი წერეთლისაგან პირადად ჩემ მიერ მოსმენილი:

ქვეყნად ორი ტიპის საზოგადო მოღვაწეა: ერთს შეგვიძლია „პუწკია" ვუწოდოთ, მეორეს — „წუმპია". ერთიც და მეორეც საზოგადო მოღვაწეა; ერთსაც და მეორესაც გულწრფელად სურს ემსახუროს ხალხს და ემსახურებიან კიდეც, მაგრამ განსხვავება ამ ორ საზოგადო მოღვაწეს შორის ისაა, რომ ერთს უნდა ისე ემსახუროს ხალხს, რომ ფეხი არ დაისველოს, არ დაიწუმპოს, არ გაილანძღოს, ვინმესაგან საყვედური არ მიიღოს; მეორე არ ჩივის საკუთარ დასველებას, გალანძღვას, ოღონდ კი ხალხისათვის სასარგებლო საქმე გააკეთოს, ხალხს ტკივილები შეუმსუბუქოს. მაგალითად, ვთქვათ, ხალხისთვის სასარგებლო გზის გაყვანა თუ გაფართოებაა სოფლად საჭირო. თუ ამ გზის გაყვანა-გაფართოება ისეა შესაძლებელი, რომ არავინ შეწუხდეს, არავის ეზო არ ჩამოეჭრას, არ აყაყანდეს და მისი გამყვანი არ გალანძღოს,— ასეთი გზის გაკეთებას „პუწკია" საზოგადო მოღვაწე მოჰკიდებს ხელს, კარგ საქმესაც გააკეთებს და არც თვითონ დასველდება, არ გაილანძღება; ხოლო თუ იმავე გზის გაყვანას ვისიმე აყაყანება, მეთაურის გალანძღვა და ფეხის დასველება მოჰყვება, თუნდაც მისი გაყვანა მთელი ხალხის სიცოცხლეს ეღრიდეს, — „პუწკია" მოღვაწე ამ კარგი საქმის გაკე-

ებას ხელს არ მოკიდებს, საზოგადოების კეთილდღეობისათვის საკუთარ ფეხებს არ დაისველებს, თავს არ გაილანძღავს. „წუმპია "საზოგადო მოღვაწე კი, თუკი დარწმუნებულია, რომ ამ გზის გაყვანა ხალხს ტანჯვას შეუმსუბუქებს, თავს გასწირავს, საკუთარ სულის სიმშვიდეს მსხვერპლად მიუტანს საზოგადოების კეთილდღეობას და ქვეყნისათვის სასარგებლო საქმის გაკეთებას მტლად დაედება, თავს შესწირავს, შეებრძოლება ვისაც საჭიროა, თვითონ იქნებ გაილანძღოს, მაგრამ საქმეს გააკეთებს.

საზოგადოებრივი მოღვაწეობა მძიმეა საერთოდ, მეტადრე კი ისეთი ადამიანისათვის, რომელიც საკუთარი ხელთათმანის სითეთრეს სწირავს ქვეყნის კეთილდღეობას, და ჩვენი ვალია მას გვერდით ამოვუდგეთო, — დააბოლოვა სიტყვა ქვეყნისათვის თავდადებულმა მგოსანმა.

მჯლახის საზოგადოებაში რამდენიმე სოფელი შედიოდა; მუჟალის ნორმალური ორკლასიანი სასწავლებლის მომსახურების მასშტაბი დიდი იყო. მღვდლებს ოფიციალური მიმართვები დავუგზავნე სკოლის სახელით. ვთხოვდი: გამოეგზავნათ სკოლისათვის სია მათ სოფლებში მცხოვრები სასკოლო ასაკის (8-9-10 წლის) ბავშვებისა. პირადადაც დავდიოდი და მასწავლებლებსაც ვგზავნიდი სოფლებში ამ საკითხის მოსაგვარებლად, ხალხის მოსამზადებლად, ზოგიერთების დასამოყვრებლად; ორ-სამ ოჯახს პირადად მოვუნათლე შვილი. ქუთაისიდან რამდენიმე ასეული „დედა-ენა", რვეული, ფანქარი, საწერ-კალამი და სხვა სასწავლო ნივთები ჩამოვიტანეთ ზაფხულში მომავალი (1913 — 1914) სასწავლო წლისათვის. როცა ყოველმხრივ მომზადებული ვიყავით და ხელთ გვქონდა როგორც სასწავლო ნივთები, ისე სასკოლო ასაკის ბავშვთა სია, რომელშიც ორასზე მეტი ბავშვი ეწერა (ზოგი ოჯა-

ხიდან 2-5 ბავშვი), დავაჯარიმეთ ორმოც-ორმოცი მანეთით ყოველი ბავშვის მშობელი და ცალ-ცალკე სოფლების მიხედვით გამოვუცხადეთ საზოგადოებას: გამოგზავნეთ ბავშვები სკოლაში, ჩვენ მათთვის მზადა გვაქვს უსასყიდლოდ დასარიგებლად წითელყდიანი „დედა-ენა“, რვეულები და სხვა სასწავლო ნივთები, მასწავლებლები მოწყურებულნი არიან ასწავლონ მათ წერა-კითხვა, ლექსები, მოთხრობები, ამბები... ვინც ჩვენს თხოვნა-რჩევას შეიგნებს, ჩვენც მათ ვემსახურებით, ვინც ბავშვს არ გამოგზავნის სკოლაში, ის ჯარიმას გადაიხდის ორმოცი მანეთის რაოდენობით. ვადაც მივეცით სამი დღე, რის შემდეგ, ვისიც ბავშვი არ აღმოჩნდება სკოლის ჟურნალში, მას ძალით გადაახდევინებენ ჯარიმას.

სამი დღე გავიდა. თითქოს ერთი პირი აქვთ შეკრულიო, არც ერთმა არ გამოგზავნა სკოლაში თავისი ბავშვი. დათქმულ ვადაზე ბეჩოდან (ზედა სვანეთის მაშინდელი ცენტრი იყო) ჩამოვიდა ბოქაული გაბლიანი თავისი „სტრაჟნიკებით“ და ჯარიმის საფასურში ოჯახებიდან მორეკეს სკოლის ეზოში ცხენები, ჯორები, ხარები, ძროხები, თხები, ცხვრები... სკოლის ეზო გაივსო საქონლით. იყო ყვირილი, გინება, მუქარა, აურზაური...

მე იმ დროისთვის სვანების ხასიათს ასე თუ ისე ვიცნობდი: თუ ზოგ მათგანს თავს დაუხრიდი — კისერზე დაგაჯდებოდა, თუ მაღლა აწევდი ცხვირს — იმ ცხვირს წაგაკრიდა. საჭირო იყო თავაზიანი და წესიერი ყოფილიყავი, მაგრამ იმავე დროს გეგრძნობინებინა, რომ, თუ დაგჭირდა, ვაჟკაცობაც შეგიძლია.

მომხრეები მეტი გვყავდა, ვიდრე ეს გარეგნულად ჩანდა; ზოგი მეზობლის ხათრით არ გამოდიოდა აშკარად სკოლის მომხრედ, თორემ ასე თუ ისე ჩვენ თანაგვიგრძნობდა.

გინება და მუქარა არ ცხრებოდა. სკოლის ეზოში და ეზოს გარეთაც, სოფლებში ჩვენი პროპაგანდისტები ქადაგებდნენ... აი, ვიღაცამ სკოლის ეზოში ჩამოიყვანა თავისი შვილიშვილი; ის პატარა ბავშვით მოვიდა ჩემთან და მხნედ მომესალმა:

— ხოჩავ ლადეღ ჯარ! (გამარჯობა, კარგი დღე გქონდეს!)

— ხოჩავ ჯარ, ისკუ მაზიგ მი! (გაგიმარჯოს, შენი ჭირიმე!) — ვუპასუხე მე.

— ჩემი ცხენი დამიბრუნე და ბავშვს კითხვა ასწავლე, — მითხრა მან.

ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მოხუცი თავის ბავშვიანად შევიყვანე ჩემს კაბინეტში, ბავშვს „დედა-ენა" და სასწავლო ნივთები მივეცი, მასწავლებელს მივგვარე კლასში. მოხუცი ეზოში გამოვიყვანე, მისი ცხენი მოვანახვინე უამრავ საქონელში და დიდი სიხარულით გავატანე შინ. მერე მეორე მოვიდა თავისი ბავშვის ძროხაზე „გადასაცვლელად", მეორეს მესამე მოჰყვა, მესამეს — მეოთხე და ასე შემდეგ მალე დადგა დრო, როდესაც გამიჭირდა კიდეც „გაცვლა-გამოცვლის" პირადად წარმოება, ამაში მასწავლებლები და სხვა ჩვენი მოკეთენი დამეხმარნენ. ისინი წერდნენ მოყვანილი ბავშვების სიებს, ურიგებდნენ მათ წიგნებსა და რვეულებს, შეჰყავდათ კლასში, პირუტყვს პატრონს უბრუნებდნენ. აღრიცხვაზე აყვანილთა ნახევარმა მოიყვანა ბავშვი და დაიბრუნა თავისი საქონელი. შემდეგ თითქოს შეწყდა „გაცვლა-გამოცვლა". გავიდა საათი, ერთი, ორი, — „აღებ-მიცემობა" მორჩა. „გეყოფათ, ვინც მოატყვილეთო", ფიქრობდნენ გაკერპებულნი. დაღამდა კიდეც. საშინელი იყო ის ღამე!.. მეჯობრებმა გამაფრთხილეს, რომ გაბოროტებულნი და გულზვიადნი ღამე უსათუოდ მოგკლავენო.

ვერ ვიტყვი, ისეთი ვაჟკაცი ვყოფილიყავ, რომ ამ ცნობას არ შევეშინებინე. ეს მით უფრო, რომ სიბნელეს არნახული ყვირილ-მუქარა და აურზაური მოჰყვა. კარგად მუშაობდნენ ჩემი მოადგილე სვანი ივანე გუჯეჯიანი, მისი მეუღლე სონია ბახტაძე და მასწავლებელი დარისპან მარგიანი, აგრეთვე ეგნატე გაბლიანი თავისი რაზმით და სკოლის სხვა ერთგულ-მოყვარულნი. თოფიც არა ერთხელ გავარდა ეზოში, ეზოს გარეთ; ტყვიები მიდიოდა მაღლა, ჰაერში. ვერ გაიგებდი, ვინ ვის აშინებდა. ცხადია, მე ჩემს ოთახში არ შევსულვარ. ძილზე

ლაპარაკი ხომ ზედმეტი იყო! სკოლის ეზოში „სტრაუნიკები“ დარაჯობდნენ საქონელს. გათენდა. დილით გუშინ მიღებული ბავშვების უმრავლესობა გამოცხადდა სკოლაში „დედა-ენითა“ და რვეულ-ფანქრებით. ბავშვები კლასებში შეავიდნენ და მასწავლებლებმა მეცადინეობა დაიწყეს. ეზოში დარჩენილი საქონლის პატრონებიც კანტი-კუნტად ცხადდებოდნენ. ზოგს ბავშვი მოჰყავდა და პირუტყვი მიჰყავდა შინ, ზოგიც გინებასა და მუქარას განაგრძობდა.

შუადღისას 15-20 პროცენტი საქონელი დარჩა წაუყვანელი, სხვების პატრონებმა ბავშვები მოიყვანეს.

ჩვენ კმაყოფილნი ვიყავით შედეგით. სკოლაში 200-მდე ბავშვის მეცადინეობა და ერიამული ისმოდა, მაგრამ, გაკერპებულთათვის რომ დაგვეთმო და უბავშვებოდ გაგვეტანებინა უკან მათი საქონელი, მოპოვებულსაც დავკარგავდი, დიდი უმრავლესობა უკანვე წაიყვანდა თავის ბავშვს. არადა, ვერასგზით ვერ დავითანხმეთ დარჩენილები მოეყვანათ ბავშვები სკოლაში.

გაბლიანმა, ჩემმა მოადგილე ივანე გუჯეჯიანმა, ს. ბახტაძემ, მარგიანმა, მე და რამდენიმე კაცმა მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ გაგვერეკა დარჩენილი საქონელი ბეჩოში (ზედა სვანეთის ადმინისტრაციული ცენტრი იყო) საჯაროდ გასაყიდლად. გაბლიანმა სათანადო განკარგულება მისცა ჩაფრებს, რომლებმაც სკოლის ეზოდან გადარეკეს საქონელი და ბეჩოში მიმავალ გზას გაუდგნენ. მეტად გამწარდნენ საქონლის პატრონები. უკანასკნელად გაიბრძოლეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. სკოლის ეზო დაცალიერდა... არ გასულა ერთი თუ ორი საათი და მოვიდა გასაყიდლად გარეკილი საქონლის პატრონების დელეგაცია: საქონელი დაგვიბრუნეთ, ბავშვები წაიყვანეთო. დავადევნეთ მდევარი საქონელს; მდევარი მესტიაში (ზედა სვანეთის დღევანდელ ცენტრში) დაეწია ბეჩოსაკენ მიმავალთ. საქონელი პატრონებს დავუბრუნეთ, ბავშვებს წიგნებ-რვეულები დავურიგეთ და მოსწავლეები ჟურნალებში ჩავწერეთ. ასე დამთავრდა ეს ამბავი.

მართალია, ბევრ კურიოზსა და სასაცილო ამბებსაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ შიში და უსიამოვნებაც ბევრი ვნახეთ. ზოგ მშობელს უნდოდა მისი შვილი ცუდად მოქცეულიყო, ეცელქა სკოლაში, არ ესწავლა გაკვეთილები, ამის გამო იქნებ ის გაგვეგდო სკოლიდან და უჯარიმოდ გადარჩენილიყო, მაგრამ მასწავლებლების კარგი მუშაობა ამის საშუალებას არ აძლევდა მათ. ზოგი ფანქრებსა და საწერ-კალამს „კარგავდა“ წამდაუწუმ და სამაგიეროს თხოულობდა, ზოგი — რვეულს და ზოგი — წიგნს.

დრო გადიოდა და სკოლის ცხოვრებაც, მართალია, მეტად მძიმედ, მტკივნეულად და ნელ-ნელა ნორმალურ პირობებში დგებოდა.

სვანეთის სხვა სკოლებში, რამდენადაც მახსოვს, ანალოგიური ღონისძიებანი, ე. ი. მშობლების დაჯარიმებით მოსწავლეთა მოზიდვა სკოლებში, არ ჩატარებულა, მაგრამ, ბუნებრივია, რომ ზედა სვანეთის ყველა სკოლაში მოსწავლეთა რიცხვის გაზრდას ხელი შეუწყო მუჟალის ნორმალურ ორკლასიან სასწავლებელში გატარებულმა ღონისძიებებმა.

ბევრი თვალსაჩინო მასწავლებელი წასულა თავისი სურვილით სვანეთის სკოლებში სამუშაოდ. ბევრ მასწავლებელს გულწრფელად მოუნდომებია გაენათლებინა სვანეთის ახალგაზრდობა, მაგრამ ძველი სვანები ხშირად წინ უდგებოდნენ ასეთ სურვილს. საუკუნეობით მთებში ჩაჭედილებს მაინცდამაინც არ ეპრიანებოდათ „უმწყემსოდ დარჩენა“, თავიანთი ბავშვების მოცილება თხებისთვის და „უმიზნო“ სწავლა. — ერთკლასიანი თუ ორკლასიანი სკოლის კურსის დასრულება ჩვენს ბავშვებს ნასწავლებად ვერ გახდის, ხოლო, სწავლის გასაგრძელებლად ისინი რომ ქალაქებში ვაგზავნოთ, ამის საშუალება არა გვაქვს, ამიტომ სჯობს თავიდანვე არ მოვაცდინოთ ოჯახურ საქმეს ჩვენი ბალღებიო.

4

1913 წლის ზაფხულში ლეჩხუმის მაზრის მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები ჩატარდა მუჟალის ნორმალური ორკლასიანი სკოლის შენობაში. რამდენადაც მახსოვს, კურსებზე 22 მასწავლებელი იყო როგორც სვანეთიდან, ისე ლეჩხუმის მაზრის სხვა კუთხეებიდან. კურსებზე ლექციებს კითხულობდნენ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორი მოხუცი კირეევი (თუ კარპოვი, გვარი კარგად არ მახსოვს), ფილოლოგი მერეკოვსკი და სხვები. მოხსენებები გაგვაკეთებინეს ჩვენც, რამდენიმე მასწავლებელს, გადაგვაცემინეს სანიმუშო გაკვეთილებიც. კურსების მუშაობა გაგრძელდა ერთი თვე და, შეიძლება ითქვას, საკმაოდ ნაყოფიერადაც.

დამუშავებული იყო საკვანძო საკითხები დიდაქტიკიდან, პედაგოგიკიდან, მეთოდიკებიდან. კარგად იყო მოწყობილი აზრთა გაცვლა-გამოცვლა, თათბირები, ლექციები, გამოცდები. ყველაფერი ეს ტარდებოდა ჩემს სკოლაში, საერთო საცხოვრებელიც იქვე იყო მოწყობილი და მე ერთგვარად მასპინძლის როლშიაც ვიყავი, რამაც საკმაოდ დამქანცა. სტუმრები კარგად გრძნობდნენ თავს მულახის მშვენიერ ჰაერზე.

კურსების მუშაობის დამთავრების შემდეგ მსმენელ-ხელმძღვანელები, თითქმის ყველანი ერთად, ჯორებითა და ცხენებით წამოვედით ცაგერისაკენ. ჯერ სოფ. კალაში უნდა ჩამოვსულიყავით, შემდეგ ლატფარის მთა გადმოგვეევლო, ცხენისწყლის ხეობით ქვედა სვანეთი გადაგველახა და ცაგერში ჩავსულიყავით.

5

როცა სოფ. კალას მოვუახლოვდით, მოხუცმა კირეევმა თქვა: — ჩვენ ახლა ყველანი წმინდა კვირიკესა და ივლიტეს ეკლესიისაკენ წავიდეთ, იქ დაგვხვდება სვანეთის ბლაღოჩინი

ბესარიონ ნიჟარაძე (მწერლობაში „თავისუფალი სვანი“) და შალიანის ხატს გვაჩვენებსო.

მე შევესიტყვე: — ეს შეუძლებელია, კალელებმა შალიანის ხატი ეპისკოპოს ლეონიდეს არ აჩვენეს და ჩვენ იქამდე ვინ მიგვიშვებს-მეთქი!

არ დამიჯერა: — ბლაღოჩინმა ნიჟარაძემ აღმითქვა, რომ უეჭველად გვაჩვენებს, ახლა ის იქ გვიცდისო.

გავოცდი, თან მეამა, თუკი შესაძლებლობა მომეცემოდა, მენახა შალიანის ხატი, რომელიც, აკად. ნ. მარის თქმით, ორი მილიონი მანეთი ღირდა ოქროთი და იშვიათი ხელობის ნიმუში იყო.

ლეგენდაც მქონდა გაგონილი შალიანის ხატის შესახებ:

ვინმე სვანმა, სახელად შალიანმა, იმდენად ისახელა თავი თამარ მეფის დროს, რომ თამარმა უთხრა შალიანს: რაც ვინდა მთხოვე, თუგინდ ნახევარი ჩემი სამეფოსი, უარს არ გეტყვიო. შალიანმა მეფეს სთხოვა: ეს ხატი მაჩუქეო. თამარმა აჩუქა. შალიანმა თამარ მეფის მიერ ნაჩუქარი ხატი, რომელსაც შემდეგ სახელად „შალიანის ხატი“ დაერქვა, წაასვენა ზედა სვანეთში და ერთ ადგილას დაასვენა.

ამ ადგილიდან ხატი „აფრინდა“ მაღლა და დაჯდა სოფ. ჯალის მთის მწვერვალზე, სადაც მას დაუყოვნებლივ აუგეს ეკლესია და შიგ მოათავსეს.

ამ ხატის ძალა განსაკუთრებით სწამდათ სვანებს და, თუ მასზე სვანს (ერთს ან მთელ გვარს) დააფიცებდნენ, — არათუ ის, — მთელი მისი მოდგმა ამ ფიცის გამტეხი არ შეიძლებოდა ყოფილიყო.

პროგრესულად განწყობილმა მოწინავე სვანებმა ისარგებლეს შალიანის ხატის ასეთი გავლენით ხალხზე და ერთხელ მთელი ზედა სვანეთი დააფიცეს გადაკიდებული გვარების შესარიგებლად და იმის სათქმელად, თუ რომელმა სვანმა უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში რა ბოროტება ჩაიდინა, თავის „მტერს“ (მოსისხლეს) რა ზარალი მიაყენა, რას უდრიდა ეს ზარალი (თვითონვე უნდა შეეფასებინა ისე, რომ

მას არ დაწყვეტოდა გული დაზარალებულის როლში რომ ყოფილიყო), და დაზარალებულნი გაესტუმრებინა. ფიცის ტექსტიც საშინელი იყო:

— თუ მე ტყუილი ვთქვა, ვერ გამოვიხსნა თავი შალიანის რისხვიდან. როგორც პირადად მე, ისე ჩემი ძე და მომავალი წყეულიმც იყოს მანამ, სანამ ამ ტყუილის საპატიებლად შალიანის ხატს არ მივართვა იმდენი თეთრი ცხვარი, რამდენი წვეთი წყალიც ერთი წლის განმავლობაში ციდან წვიმის სახით დაეცემა დედამიწას...

სამი ათასზე მეტი ჩადენილი ბოროტმოქმედება გაამჟღავნეს თავიანთი პირით სვანებმა და დაზარალებულებს გაუსწორდნენ:

— ივანე ჯაჭვლიანის ცხენი რომ მკვდარი იპოვეს ამა და ამ ადგილას, ის ცხენი მე მოვუკალი მას, — თქვა ერთმა. ჩემი შეფასებით ის ხუთი აციში (აციში — ექვსი მანეთი) ღირდა. მე ვისტუმრებ ივანეს.

— მე გადავუჩეხე პეტრე დევდარიანს ძროხა კლდეში. ჩემი აზრით, ის სამ-ნახევარი აციში ღირდა. მიიღოს პეტრემ ჩემგან მაგ ღირებულების თხები და ცხვრები, — თქვა კოსტა ნავერიანმა.

— კოსტა ნავერიანის ჯორს მე გამოვღადრე კისერი, ის კი ამდენი ღირდა და მოვახდინოთ ურთიერთანგარიშსწორება მე და კოსტამ, — განაცხადა პეტრე დევდარიანმა.

საბოლოო ანგარიშით, შესაძლებელია, დიდად არავინ დაზარალებულა ამ ანგარიშსწორების დროს, რადგან აღმოჩნდა, რომ თითოეულს იმდენი ზარალი მიუყენებია სხვისთვის, რამდენიც მას მიაყენეს სხვებმა; ამიტომ ანგარიშსწორებაც უმტკივნეულოდ ჩატარდა, მაგრამ სარგებლობა ის მოჰყვა ამ შერიგებას, რომ შემდეგ შეწყდა დაფიცებულთა შორის მტრობა, შუღლი და ურთიერთისათვის ზარალის მიყენება.

თუ შალიანის ხატის საშუალებით ხალხისთვის ერთგვარად სასარგებლო საქმე გაკეთდა, ამავე ხატის მეშვეობით

სვანეთის თავადაზნაურობა და სამღვდელოება პირდაპირ საშინელებებს სჩადიოდნენ.

საკმარისი იყო რომელიმე დადეშქელიანს ან ხუცესს რაიმე ებრძანებინა გლეხისათვის, ის კი ცდილიყო თავიდან აეშორებინა ბრძანების შესრულება, რომ საცოდავ გლეხკაცს შალიანის ხატზე გადაცემით დაემუქრებოდნენ. მშრომელ სვანს, რომელსაც სწავლა-განათლება არ ჰქონდა, გაბატონებული კლასები, რელიგიის საშუალებით, კიდევ უფრო დუხჭირ მდგომარეობაში აგდებდნენ. იქნებ ერთი მიზეზთაგანი სვანეთში მეოცე საუკუნის ოციან წლებამდე ბატონყმობის ინსტიტუტის შემონარჩუნებისა იყოს რელიგია და, კერძოდ, ეს შალიანის ჯატიც.

სწორედ ამ „სასწაულთმოქმედი“ შალიანის ხატის სანახავად მივეშურებოდით მაღლა მთაზე. ეპვითა და სიამოვნებით სავსე ჩემი გული ზარივით რეკდა. მთის შუა წელში დავტოვეთ ცხენები. აღვირებით მივაბით ნაძვის ვეებერთელა ხეებს და ფეხით განვაგრძეთ ბილიკებით მაღლა სვლა. მივაღწიეთ კიდეც მწვერვალს.

წმ. კვირიკესა და ივლიტეს პატარა ეკლესიის დიდი გალავნის ჭიშკარი ღია იყო. შევედით ეკლესიის ეზოში ოცზე მეტი მასწავლებელი და ხელმძღვანელი, მათ შორის ჩემი მეუღლე და ორი მასწავლებელი ქალი. ეზოში არავინ იყო. იქაური დარაჯები (კალელების მიერ ყოველწლიურად ფარული კენჭისყრით არჩეული ორი კაცი დარაჯობდა ეკლესიას უფასოდ და თავსაც ბედნიერად თვლიდა, რომ შალიანის ხატს იცავდა) წყლის თუ საჭმლის ამოსატანად ჩასულიყვნენ დაბლა, სოფელში:

რამდენიმე კაცი გალავანზე ავიდა და დაბლა სოფელს დაუწყო ცქერა.

სოფლელებმა შეამჩნიეს მაღლა ხალხი. ერთ წუთში ჯოჯოხეთი დატრიალდა... მაღლიდან ჩანდა, რომ ქვევით ჩოჩქოლი, სირბილი, ყვირილი ატყდა... კეტებით, თოფებით, ნაჯახებით შეიარაღდა მთელი სოფელი (მამაკაცები. დედაკა-

ცებს უფლება არ ჰქონდათ წმ. კვირიკესა და ივლიტეს ეკ-ლესიაზე ამოსვლისა). ყველაზე უმალ მე ვიგრძენი, თუ რა უბედურება მოგველოდა. მალე სიკვდილის ფერი დაედო ყველას. გასაქცევი გზაც არსაით იყო. უკან დაბრუნებულთ სა-თითაოდ დაგვხოცავდნენ ჩვენკენ გააღთრებით გამოქანებუ-ლი სვანები! გადავწყვიტეთ, ერთად დავხვედროდით კალე-ლებს ეკლესიის ეზოში მუხლმოდრეკილნი... ყოველი წუთი საათს უდრიდა. კალელები სირბილით ამოდიოდნენ მთაზე, მაგრამ განა ერთი და ორი ასეული მეტრია მთის სიმაღლე! ბევრი დრო უნდოდა ამ მაღალ მწვერვალზე ამოსვლას. აჰა, მოგვიახლოვდნენ! ერთი-ორი წუთი და ჩვენთან გაჩნდებიან, უწყალოდ დაგვხოცავენ, ჩაგვქოლავენ!...

მოხუცმა კირეევმა მორბენალთა შორის მამასახლისი რომ დაინახა (ჯაჭვით მიხვდა), პირჯვარი გადაისახა და თქვა: მამა-სახლისი მთავრობის კაცია, ის გადაგვარჩენსო, მაგრამ იმ მამასახლისმა რომ პირველმა დაგვიმიზნა თოფი, — კირეევი წაიქცა და ყველას ვაი აღმოხდა!..

გაჭირვებამ მომაფიქრებინა და დამაყვირებინა არაჩვეუ-ლებრივი ხმით:

— შალბანაშ ხატს ოღვ ოხკიდა, ჟერვა მამ ნიჰვნარი, ან-ჰუნრედ ი ეჩუნღვე ნაყერდ სამართალ! (შალიანის ხატსაც ამოუწყვეტია, ვინც არ გვისმენს, მოგვისმინეთ და შემდეგ გაგვასამართლეთ-მეთქი).

— სვანებმა სწრაფად და ინსტინქტურად დაუშვეს თოფე-ბი დაბლა...

ამოვისუნთქეთ!.. საქმის ვითარება გავაცანით, შეცდომა ვალიარეთ... პატიება ვთხოვეთ... ცრემლებით ემუდარებოდა სვანებს მოხუცი და ღვთისმორწმუნე კირეევი...

— გვიპატიებია, დაიკარგენით აქედან! პირველ რიგში

უწმინდური ქალები გავიდნენ აქედანო! — დაიძახა უხუცესმა სვანმა... თხებივით გადმოვიდნენ ეზოდან დაფეთებული ქალები და რამდენიმე მამაკაცი მასწავლებელი. ისინი ელვის სისწრაფით დაეშვნენ დაბლა ბილიკებზე...

მოხუცი კირეევი განაგრძობდა პირჯვრის წერას ღა რუსეთზე ლაპარაკს: — რუსეთში ბევრი სასწაულთმოქმედი ხატი გვაქვს. ჩვენ შორიდან ჩამოსულებს ყველას ვაძლევთ საშუალებას ჩვენს ხატს ემთხვიოს, სანთელი აუნთოს... მე შორიდან მოვსულვარ თქვენი დიდი ხატის წინაშე მუხლის მოსადრეკად, სამთხვევად, სანთლის ასანთებად!.. გთხოვთ, მომცეთ ამის საშუალებაო...

სვანებმა ითათბირეს. ჩვენდა გასაოცრად, ორ კაცს, კირეევს და მე, მოგვცეს ეკლესიაში შესვლის უფლება. ჯერ მიგვიყვანეს ეზოს იმ მხარეში, სადაც ორი თუ სამი ვეებერთელა ქვაბი დგას (თითოში ორი ძროხა ჩაეტევა), ჩვენგან ფარულად გააღეს პატარა ეკლესია, მოგვაკითხეს და წაგვიყვანეს. წმ. კვირიკესა და ივლიტეს პატარა ეკლესია უკვე გაეჩაღებინათ თაფლის სანთლებით. კარებში ორი თოფიანი კაცი იდგა. შიგ ორი უხუცესი სვანი შეგვიძღვა. შესვლისთანავე თვალში მოგვხვდა ვეებერთელა (ოთხი არშინი სიმაღლისა, ორი არშინი განის და სათანადო სიმსხოს მოოქროვილი და ძვირფასი თვლებით მოჭედილი) ვერცხლის ჯვარი, იქვე განზე ტახტი (თამარ დედოფლის არისო) და უამრავი ოქროსა და ვერცხლის ჯვარ-ხატი, რიცხვით 172. ეკლესიის საკურთხევლის ძალიან პატარა ოთახის გვირაბიდან ამოიტანეს და გვაჩვენეს შალიანის ხატი, — სახარების წიგნსა ჰგავდა, გასაოცრად მოკაზმულ-მოჭედილი.

შიშითა და ძლიერი შთაბეჭდილებებით დათენთილ-დაქანცულნი დავეშვით დაბლა, სოფელში. ღამე კალის სკოლაში გავათიეთ და მეორე დღეს ლატფარი გადმოვიარეთ, შემდეგ — ქვედა სვანეთი და ცაგერში ჩამოვედით.

ზოგი ექსკურსანტი თავისი გაჩენის დღეს იწყევლიდა, ბუზღუნებდა, „აწი მე კაცად არ გამოვდგებიო“, იწყევლებოდა; ზოგი არ ამჟღავნებდა თავის მდგომარეობას, ზოგს კი უხაროდა და კმაყოფილიც იყო, ასე მშვიდობიანად რომ დამთავრდა ჩვენი ექსკურსია შალიანის ხატის სანახავად.

— ბლაღოჩინი ნიჟარაძე ჩამოსახრჩობიაო, — გულისტკივილით იტყოდა ხოლმე დროგამოშვებით კირეევი.

6

ცაგერის ორკლასიანი სასწავლებლის გამგის სახელზე მოდიოდა ზედა სვანეთის მასწავლებლების ჯამაგირი და ჩვენც მისგან ვღებულობდით მას, როცა ცაგერში ჩავიდოდით. ეს ხდებოდა იმის გამო, რომ ზედა სვანეთში ჩასასვლელი გზები, მათი უხეირობისა და უპატრონობის გამო, იკეტებოდა არა მარტო ზამთარში, არამედ შემოდგომასა და გაზაფხულზეც. სამი-ოთხი თვე იყო წელიწადში (ზაფხული), როცა ფოსტა კანტიკუნტად მუშაობდა და სვანეთში ჩასვლა და სვანეთიდან გადმოსვლა ასე თუ ისე შეიძლებოდა. „ასე თუ ისე“ — ვამბობ იმიტომ, რომ იმ ხანებშიაც ან უნდა გადაგევლოთ ლატფარის მთის მძიმე გზა, ან ინგურის ერთობ სახიფათო ხეობით გამოსულიყავით სვანეთიდან ზუგდიდის მიმართულებით.

ქვედა სვანეთსა და ზედა სვანეთს ყოფს უზარმაზარი ლატფარის მთა. სოფ. კალიდან (ზედა სვანეთი) სოფ. ჩოლურამდე (ქვედა სვანეთი) ოცდაათ კილომეტრზე მეტი, მძიმეზე მძიმე გზა ლატფარის მთაზე გადადიოდა. ნახევარი გზა სულ მაღლა-მაღლა მიდის მთაში, ნახევარი კი დაბლა ეშვება; მასზე გაჭირვებით გადასვლა შეიძლებოდა მხოლოდ ზაფხულის თვეებში, ისიც ხან ხიფათითაც. დანარჩენი დრო გზა თოვლით იფარებოდა და მგზავრობაც შეუძლებელი ხდე-

ბოდა. 1913 წლის სექტემბერში ვიმგზავრე ცოლ-შვილით ამ გზაზე. თოვლი მოდიოდა და გზას ფარავდა. თვალში გამოხედვას გვიშლიდა თოვლი და ნამქერი. მგზავრები ცხენებზე ვიჯექით და ნაბდები გვეხურა. მე ხელში მეკავა ჩემი ორი წლის ბავშვი. ლატფარის მთის თითქმის მესამედი გზა გავლილი მქონდა, როცა შევამჩნიე, რომ ბავშვს ჩასძინებოდა, გაყინულიყო და თითქოს სუნთქვაც შეეწყვიტა. ხელით შევეხე, შევანძრიე, გაშეშებულიყო. შეშფოთებულმა შველა ვთხოვე თანამგზავრ სვანებს. ისინი გადმოხტნენ ცხენებიდან, ჩამომართვეს ბავშვი, სახე, ხელ-ფეხი დაუზილეს, მაგრამ არაფერი გამოვიღა. ერთმა მათგანმა დაიძახა: დავბრუნდეთ უკანო, ბავშვი სირბილით ჩავიყვანოთ დაბლა, იქნებ მოსულიერდესო! ერთი ყოჩაღი სვანი მიარბენინებდა ბავშვს, დანარჩენები ყველა მას მივდევდით. ერთი თუ ორი კილომეტრი ჩავირბინეთ და ბავშვის ტირილი შემოგვესმა. მშველელი განაგრძობდა თავქვე სირბილს. ასე გავიარეთ ხუთი კილომეტრი, ვიდრე ლატფარის კალთის კარვებს მივაღწევდით. იქ ცეცხლიც დაგვხვდა და შოთა სიკვდილს გადარჩა. ის ღამე იმ კარავში გავათიეთ. გადავწყვიტე, სამუდამოდ დავბრუნებულიყავი უკან, იმერეთში, სვანები მეუბნებოდნენ: ვნახოთ, ხვალ იქნებ კარგი დღე დადგეს და შესაძლებელი გახდეს ბავშვის უვნებლად გადაყვანა ლატფარის მთაზეო. მეორე დღე მართლაც მშვენიერი, მზიანი დადგა. სვანებმა დამძლიეს და გადაწყვეტილება შემაცვლევინეს. უვნებლივ გადავედით ლატფარის მთაზე.

7

სვანეთში ყოფნისას, პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად, ვაკვირდებოდი სვანთა ზნე-ჩვეულებებს, ცხოვრების პირობებს, ამ კუთხეს ყოველნაირად ვსწავლობდი და ლექსებსა და სტატიებს ვბეჭდავდი ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში.

თავისუფალი სვანეთის აჯანყებისა და ხალდეს დანგრევის მოწმეები და მონაწილენი ცოცხლები იყვნენ სვანეთში ჩემი ყოფნის დროს. მათი უშუალო დაკითხვისა და სანდო წყაროების გამოყენებით შეევცადე დამედგინა და ამეწერა ეს ისტორიული ფაქტი .აი ისიც:

„სვანეთი რუსეთს 1853 წელს შეუერთდა. მთელი სვანეთი სამ უმთავრეს ნაწილად იყოფა: სადადიანო, თავისუფალ და სადადეშქელიანო სვანეთად. უზარმაზარი ლატფარის ᲐᲗᲐ სვანეთის ტერიტორიას ორად ჰყოფს; ქვედაში მდინარე ცხენისწყლის პირად სადადიანო სვანეთია, ზედაში კი, მდინარე ინგურის ხეობაში — თავისუფალი და სადადეშქელიანო სვანეთია. თვით სიტყვა სადადიანოც კარგად გვეუბნება, რომ ქვედა სვანეთის ბატონ-პატრონი დადიანები არიან, სადადეშქელიანოსი კი მეთხუთმეტე საუკუნიდან — დადეშქელიანებია. თავისუფალ სვანეთის ისტორიას არ ახსოვს ბატონობა. ქვედა, ანუ სადადიანო სვანეთზე არაფერს ვიტყვი, პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ მას კარგად არ ვიცნობ და რამდენადაც კი ვიცნობ ქვედა სვანები ბევრად არ განსხვავდებიან მათ მეზობელ ლეჩხუმლებისაგან, გარდა იმისა, რომ სწავლა-განათლების მხრით ბევრად ჩამორჩენილი არიან ლეჩხუმლებზე, განსაკუთრებით ორი — ლენტეხისა და ჩოლურის საზოგადოებანი. მესამესა და უკანასკნელ საზოგადოებას ქვედა სვანეთისა კი, სახელდობრ, ლაშხეთს, არა უშავს რა. მშვენიერი მდებარეობა, სამი სკოლა... და ყოველ ფეხის ნაბიჯზე მეავე წყალი.

ზედა სვანეთის მცხოვრებნი სადადეშქელიანო და უბატონო სვანები, დიდად განსხვავდებიან ერთნი მეორიდან. სადადეშქელიანოს მონობის ერთგვარი დაღი აზის, სულ სხვა მიმართულებისა და ხასიათის არიან თავისუფალი სვანები... ესენი გახლავთ ლაღი, ამაყი, გაბედული, პირში მთქმელი, თავისუფალი და მამაცი ადამიანები... „არც არავის ყმად ვყოფილვარ, არც არავინ ყმად მყოლიაო“, სწორედ მათ შეუძლიათ სთქვან. როგორც ზევითაც ვთქვით, სვანეთის

რუსეთთან შეერთება 1853 წ. მოხდა. სადადეშქელიანო და სადადიანო სვანები უფრო გულგრილად შეხვდნენ ამ გარემოებას, ვიდრე თავისუფალი სვანეთი. პირველად საიმისო არაფერი მომხდარა, მაგრამ მერე და მერე ვერ იგუა, გაფიცხდა და ბევრი უსიამოვნება მიაყენა მეფის რუსეთის მთავრობას თავისუფალმა სვანეთმა. თუ რაიმე უსიამოვნების განცდა და შეტაკება მოუხდა მთავრობას სვანეთთან, მხოლოდ და მხოლოდ თავისუფალთან. სადადიანო და სადადეშქელიანო სვანებთან კი სრულიად არაფერი. პირიქით ხშირად ამათ თავისუფალი სვანეთის დასამშვიდებლად ხმარობდა რუსის მთავრობა.

1875 წლის დასაწყისში ზედა სვანეთის ბოქაულმა თავჯორჯაძემ მთავრობის მოწერილობის ძალით მთელი ზედა სვანეთის (მათ შორის, რასაკვირველია, თავისუფალი სვანეთის) სახნავ-სათესი მიწების ზომვა დაიწყო. ამ გარემოებამ თავისუფალი სვანეთი ეპვში შეიყვანა — „ვაითუ მთავრობა მიწის გადასახადის შემოღებას ფიქრობდესო“. სვანების შეკითხვაზე, თუ რად ზომავთ ჩვენს მიწებსო, თავად ჯორჯაძემ მოკლედ უპასუხა: „მთავრობა მთხოვს და ვზომავ, მორჩა და გათავდაო“... ამან უფრო დააეჭვიანა გულუბრყვილო ხალხი: დაიწყო მითქმა-მოთქმა, არეულობა, უთანხმოება. ერთ მშვენიერ დღეს მთელმა თავისუფალმა სვანეთმა, რომელიც შვიდი საზოგადოებიდან შედგება, სოფ. კალას ერთ ვეებერთელა მინდორზე მოიყარა თავი... მოლაპარაკედ მულახელი ყაზბულატ შერვაშიძე იქნა არჩეული. იგი მინდორზე მაღალ ქვაზე ავიდა და დაიწყო: „ასეთი შეკრებულება, როგორსაც ეხლა ვხედავ, წინათაც ხშირათ იყო ჩვენში... ყოველთვის ამას საერთო საქმე და ინტერესი იწვევდა. ამ კრებაზე ჩემზე უხუცესიც ბევრია და ისინი უკეთ გეტყვიან თქვენ, რომ ყველა, ვინც კი ჩვენს დამორჩილებასა და დაჩაგვრას მოინდომებდა, ჩვენივე საერთო ძალით უწყალოდ იღუპებოდა. თოფი და ხანჯალი მუდამ ყოფილან ჩვენს დამცველებად. უბედურებიდან ღმერთმა დაგვიფაროს, არა გვაქვს სურვილი იარაღს მივმართოთ და რუსებს შევეჯახოთ. პირველ ყოვლისა ჩვენ სიცოცხ-

ლე გვწყურია და არა სიკვდილი. რუსის ჯარი დიდია, ჩვენ ცოტანი ვართ... მათთან შეტაკებას ვერ გავუძლებთ... ისინი ჩვენ გაგვსრისავენ, მაგრამ ჩვენ ხომ არ მიგვყავს საქმე იქამდე? თქვენს ხელში არ გვინდა ვიყოთ-თქო, ჩვენ ხომ არ ვეუბნებით მთავრობას? ამის თქმა ჩვენ წინათაც შეგვეძლო — აი მაშინ, როცა მტერი და მოყვარე ერთად გვირჩევდა და გვარწმუნებდა: „რუსებს შეუერთდით, მათ ხელში ბედნიერნი იქნებით, ისინი თქვენ ცხოვრებას წინ წასწევენ, გაუმჯობესებენო“... იმ ხანებში ჩვენ მათ დავუჯერეთ!.. მე თითონ ნამესტნიკის ვარანცოვის მონათლული ვარ და ასე თუ ისე ვიცნობ რუსის მოხელეებს. ყველა გვარწმუნებდა — „მთავრობა გაგაბედნიერებთო“.. ჩვენც დავიჯერეთ და სწორედ მიტომ შევუერთდით რუსეთს და არა ძალით დაგვიმორჩილა ვინმემ. წინააღმდეგობა ჩვენ არ გაგვიწევია, თუმცაღა ეს კი შეგვეძლო. თუკი ჩვენმა მეზობელმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია რუსებს, ნუთუ არ შეგვეძლო თოფის სროლით შევხვედროდით. შორეულ ჩრდილოეთიდან მოსულ სტუმრებს?.. მაგრამ არა!.. პირიქით, მთავრობის ყოველგვარი წინადადება შევასრულეთ; რასაკვირველია, იმ იმედით, რომ ისინი ჩვენს ცხოვრებას წინ წასწევდნენ. ბოქაულები გამოგვიგზავნეს — მივიღეთ... მღვდლები გამოგვიგზავნეს — მივიღეთ... მთავრობის მოთხოვნილებით მამასახლისები ავირჩიეთ და, წარმოიდგინეთ, ბოლოს იმაზედაც კი დავთანხმდით, რომ თითოეულ სვანის ოჯახს ხაზინისთვის მანეთი და ექვსი შაური გვეძლია... უნდა გამოვტყდე, ამ გადასახადის შემოღებამ პირველად ძლიერ გამაკვირვა, ნამეტურ ყველა იმ დაპირებების შემდეგ, რაც ჩემის ყურით მომისმენია. ყურები გამოგვიყრუეს — „თქვენს მდგომარეობას გავაუმჯობესებთო“, და პირიქით დაგვადვეს გადასახადი. ეს მე იმას მაგონებს, თუ როგორ მიჰმართა ცხვარმა თხას, მატყლი მიზიარეო... ყველა ეს ასეა და ეხლა გვეუბნებიან, თქვენი ადგილები უნდა დავზომოთო. ეგ რისთვის? რატომ? ამაზე, როგორც თქვენც იცით, ბოქაულმა, მოკლედ და ბუნდოვ-

ნად გვიპასუხა: „ასეთია მთავრობის განკარგულებაო“... ჩვენში კი ელვის სისწრაფით ვრცელდება ხმა, — მთავრობა ახალი გადასახადის შემოღებას აპირებსო... მართალია ეს თუ არა, არ ვიცი, მაგრამ, თუ ეგ ხმა მართალი გამოდგა, რაღად გვინდა თავი ცოცხალი! სჯობს ჩვენივე ძვლებით მოვკენჭოთ და სისხლით მოვრწყათ ჩვენი ადგილები, ვიდრე ასეთი დამცირება და შევიწროება განვიცადოთ... ყოველ შემთხვევაში ასე ადვილადაც ნუ დავუჯერებთ, ჩემო კეთილებო, ამ ხმებს! აქ სამკვდრო-სასიცოცხლო საქმე წყდება და ამისთვის ვეცადოთ აუჩქარებლად, დინჯად საქმის კარგად გაგებას. მოვახსენოთ მთავრობას ისე, როგორც ეხლა გელაპარაკეთ, და პასუხს მოვუცადოთ“ [1].

ყაზბულატი ძირს ჩამოვიდა და ტრიბუნაზე მოხუცი გირგვილიანი გამოჩნდა... „„ყაზბულატის სიტყვებს, — თქვა მან — მე მხოლოდ იმას დავუმატებ, რომ ასეთ შემთხვევაში ჩვენი წინაპრები წმ. კვირიკესა და ივლიტეს ეკლესიაზე ფიცს ღებულობდნენ; ასეც მოვიქცეთ... წავიდეთ, ფიცი დავდოთ, რომ ერთმანეთს ვუერთგულებთ... დავიფიცოთ, რომ თუ საჭირო იქნება, ყველა ისე, როგორც ერთი კაცი, მივალთ მტერზე. დავიფიცოთ, რომ მოღალატეს ხალხის წინ დავსჯით, დავსჯით სასტიკად... ბედნიერებაში და მწუხარებაშიც ჩვენ ყველა ერთნი უნდა ვიყოთ“... ორატორი ტრიბუნიდან ჩამოვიდა და ეგ ზღვა ხალხი წმ. კვირიკეს ეკლესიისკენ დაიძრა. აღნიშნული ეკლესია ერთი ვერსის მანძილზეა საკრებულო ადგილიდან... მალე ეკლესიის ეზო ხალხით გაიჭედა. სპეტაკ თოვლივით გათეთრებულმა მოხუცმა ფანგანმა ეკლესიიდან შალიანის ხატი (რომელიც ყველა ხატზე ძლიერ სწამს სვანს) გამოასვენა და უკანასკნელი ორატორის სიტყვები გაიმეორა. ხალხმა ხმამაღლა და გარკვევით დაიგრიალა: „ამინ!“ გრძელ ჯოხს ორმა სვანმა აქეთ-იქით მოჰკიდა ხელი და ასწია მაღლა. თითოეულმა სვანმა ფიცის დასამტკიცებლად ჯოხის

---

[1] „Из недавнего прошлого Сванетии“, А. Гарсеванов.

ქვეშ გაიარა. ცოტა ხანში ხალხიც დაიშალა. რეზოლუციი კრებისა, ცხადია, ასეთი იყო; ხმები, მთავრობას მიწის გადასახადის შემოღება სურსო, თუ ტყეილი გამოდგებოდა — არაფერი და, თუ მართალი, უსიკვდილოდ არ უნდა დაეთმოთ. ბეჩოში კი, სადაც მაშინ და ახლაც პოლიციის მოხელენი დგანან, ბოქაულ ჯორჯაძეს კრების რეზოლუცია ისე მიუვიდა, თითქოს თავისუფალ სვანებს გადაეწყვიტათ ბოქაულის პოსტის (რომელიც იმ ხანებში სამას კაცს აღემატებოდა) ამოწყვეტა. შეშინდა ბოქაული, დადეშქელიანებს მიმართა „გვიშველეთო, ვიღუპებითო". დადეშქელიანებმა პოლიციის საშველად თავიანთი გლეხები გამოაწყვეს. ამ გარემოებამ თავისუფალი სვანების მეორედ შეკრება გამოიწვია. სვანებმა გაიგეს ისიც, რომ ბოქაულმა მთავრობას მოხსენება გაუგზავნა, სადაც გაზვიადებულად იყო ყველაფერი აწერილი და სთხოვა, ჯარით მოგვეშველეთ, თორემ თავისუფალი სვანები ამოჟლეტას გვიპირებენო. აღელვებულმა სვანებმა ადგილობრივ პოლიციის მოქმედებების აწონ-დაწონის შემდეგ მართლაც გადაწყვიტეს ბოქაულის „პოსტის" ამოჟლეტა. დაიძრნენ კიდეც. მაგრამ რაღაც სასწაულით ეგ ზღვა ხალხი შეჩერდა. შეაჩერა თავ. თენგის დადეშქელიანის სიტყვებმა, რომელიც მაშინ ბოქაულის თანაშემწედ იყო. იქვე მოლაპარაკება მოხდა და გადაწყდა: თავისუფალი სვანეთის ორი საზოგადოება უნდა გაჩერებულიყო ბალის მთის ძირში, რომ ბეჩოდან თავისუფალ სვანეთში ერთი პოლიციის მოხელეც არ შემოეშვათ. თავისუფალ სვანეთისავე დანარჩენ ხუთ საზოგადოებას კი უნდა ეყარაულა ლატფარის მთის ძირში, რომ შეიარაღებული შეტაკება გაეწიათ და არ შემოეშვათ თავისუფალ სვანეთში ქუთაისიდან მომავალი რუსის ჯარი. იმ ხანებში ლეჩხუმის მაზრის უფროსს ბ-ნ გრინიოვსკის ცაგერში შეეპყრო ექვსი სვანი მაშინდელ გუბერნატორის მალაფეევის ბრძანებით, რომელიც სვანეთში წამოსასვლელად დიდი ჯარით ჩამოსულიყო ცაგერში. ეს ექვსი კაცი გამოგზავნილ იქნა თავიანთ თანამემამულე თავისუფალ სვანებთან

გუბერნატორის შემდეგი ბრძანების გადასაცემად: „მთავრობას არავითარი ახალი გადასახადის შემოღების განზრახვა არა აქვს... გთხოვთ დაწყნარდეთ და თქვენი წარმომადგენლები ჩემთან მოსალაპარაკებლად გამოგზავნოთ ცაგერშიო". თავისუფალმა სვანეთმა ათი კაცი, მათ შორის ყაზბულატ შერვაშიძე, ცაგერს გაგზავნა გუბერნატორთან მოსალაპარაკებლად. წარმომადგენლებს ჯერ მაზრის უფროსი გრინიოვსკი გამოეგება; იგი მეტად ფიცხად შეხვდა, განსაკუთრებით ყაზბულატ შერვაშიძეს.

— სირცხვილია, სხვა რომ არა იყოს რა, — ეუბნება გრინიოვსკი ყაზბულატს, — 15 წელიწადია სახელმწიფო სამსახურში ხარ (მამასახლისად იყო), ორი მედალიც გაქვს და დაწყნარების მაგივრად, პირიქით აღელვებ ხალხს. წადი და ეხლავ მოხსენი ყარაულები ლატფარს!..

ლაპარაკი დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ დაწვრილებით აღნუსხვით არ დავღალავ პატივცემულ მკითხველს... ამას კი ვიტყვი, რომ ყაზბულატმა დიდი ყურადღება არ მიაქცია მაზრის უფროსის სიტყვებს, გარდა იმისა, რომ უთხრა: „ლატფარზე ყარაულების მოხსნა თავისუფალი სვანეთის საერთო კრების საქმეა და არა ერთი კაცისაო". წარმომადგენლები გუბერნატორს გამოეცხადდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაშინდელი გუბერნატორი, მალაფაევი, სვანების შეტყობით და ხსოვნით, მეტად ტკბილი, დინჯი, კარგი ტაქტისა და დიპლომატი კაცი იყო... გუბერნატორმა პატივისცემითა და ლმობიერად მიიღო სვანების წარმომადგენლები და აჯანყების მიზეზს ეკითხება:

— ვინ გითხრათ, თითქოს ჩვენ ახალი გადასახადის შემოღებას ვფიქრობდეთ?

— რაჭა-ლეჩხუმში გაიგეს ჩვენიანებმა. — უპასუხებს ყაზბულატი.

—გიცხადებთ, რომ ყველა ეს მტკნარი სიცრუეა. რატომ დაუჯერეთ ამ უნიადაგო ხმებს? ჯერ უნდა გაგეგოთ, საქმე თუ

რაში იყო... თქვენ კი უსაბუთოდ დაუჯერეთ მოჭორილ ხმებს!

— ჩვენ გვაქვს საბუთი, თუ რისთვის დავუჯერეთ ამ ხმებს, — აწყვეტინებს გუბერნატორს სიტყვას ყაზბულატი,— რამდენიმე წლის წინათ ჩვენში ხმა გავრცელდა, მთავრობას „საოჯახო“ გადასახადის შემოღება სურსო, ჩვენ ეს არ გვჯეროდა, მაგრამ საუბედუროდ მართალი გამოდგა. ეხლა ჩვენ ამ ხმებს ასე შევხედეთ. თუ ის ხმა, — თითოეულ ოჯახს წლიურად მანეთსა და ექვს შაურს შემოაწერენო, — არ გვჯეროდა და მართალი გამოდგა, ეხლაც რად უნდა არ დავიჯეროთ, მართალი გამოდგება-თქო. ლეჩხუმში ჩვენიანებს არწმუნებდნენ, რომ მთავრობა არა მარტო ქცევა მიწაზე შემოიღებს გადასახადს ხუთ-ხუთ შაურს, სხვა ბევრ რამეებსაც გადაგახდევინებენ და იმ თქვენს ციხე-კოშკებსაც დაგინგრევენო. რასაკვირველია, ძნელია ამეების დაჯერება, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გული გვტკივა ამის გაგონებითაც კი და, თუ მართლა თქვენ ასე მოქცევა გსურთ, ბარემ გაგვწყვიტეთ ყველა, ჩვენ ეს გვირჩევნია, შემდეგ კი არც იარაღი დაგვჭირდება და არც ჩვენი ციხე-კოშკები!..

— მე თქვენ ჭკვიან კაცად გთვლით, — სერიოზული კილოთი ეუბნება გუბერნატორი ყაზბულატს, — და მიკვირს, როგორ ადვილად დაგიჯერებიათ თქვენ ეგ ზღაპრები!

— ჩვენ გულით გვინდა არ გვჯეროდეს, მაგრამ ახალი გადასახადის შემოღება...

— რა გადასახადის! — ოდნავ გაჯავრებულის კილოთი გააწყვეტინა ყაზბულატს გუბერნატორმა, — თქვენი გადასახადი პირველ ყოვლისა ისაა, რომ თითო ღერი სანთელი აუნთოთ ხატს და მადლობა შესწიროთ განგებას, რომ თქვენ რუსის ხალხში ხართ! იცით, რამდენ ფულს ხარჯავს თქვენზე ხაზინა? ბოქაული, მისი თანაშემწე, კანცელარია, სამღვდელოება — ყველა ეს ხომ მთავრობის ხარჯით გყავთ, იცით თუ არა? — არ იცით! თქვენი გადასახადი მესამედსაც არ შეადგენს იმ თანხისას, რომელსაც თქვენზე ხაზინა ხარჯავს!

— ეგ იმიტომ, — უპასუხებს ყაზბულატი, — რომ ყველა ჩამოთვლილი პირი მთავრობისათვისაა საჭირო! რაც შეგვეხება ჩვენ, მართალი უნდა მოგახსენოთ, იოტის ოდენა სარგებლობასაც ვერ ვხედავთ მათში!.. სვანებმა მომანდეს და უნდა გითხრათ, რომ მთავრობის მიერ შემოღებული „საოჯახო“ გადასახადი მეტად მძიმე შეიქმნა ჩვენთვის... ჩვენზე თვით თამარ მეფესაც არ დაუდვია გადასახადი...

— მართალია,— უპასუხებს გუბერნატორი,— თამარ მეფეს თქვენზე გადასახადი არ დაუდვია, მაგრამ სამაგიეროდ მას სალდათად მიჰყავდით. ამის გარდა, თამარი თქვენში ჯარსაც სტოვებდა სარჩენად, როცა ეს მისთვის საჭირო იყო...

— არა! ეს ასე არ იყო, — უპასუხა სვანმა. — ყოველწლიურად თამარ მეფესთან მიდიოდნენ სვანები თავიანთი უქვეშევრდომილესი გრძნობის გამოსაცხადებლად. თამარი კი ჩვენს გაგზავნილ კაცებს ჭეშმარიტ მეფურად ასაჩუქრებდა, ის ძვირფას საჩუქრებით ისტუმრებდა ჩვენს წინაპართ...

— მივატოვოთ ეხლა ამაზე ლაპარაკი! მე თვითონ სვანეთში მოვდივარ და იქ გამოვარკვიოთ ყველაფერი! — უთხრა ყაზბულატს გუბერნატორმა.

— ჯარიც თქვენთან წამოვა? — იკითხა სვანმა.

— დიახ! — იყო გუბერნატორის პასუხი.

— კი, მაგრამ თქვენ ხომ ახალი გადასახადის შემოღებას არ ფიქრობთ? მაშ ჯარი რად გინდათ?

— თქვენ რას გიშლით ჯარის წამოსვლა?.. ესენი ბეჩოში საზრდოს წაიღებენ. თქვენგანაც ბევრ რამეს იყიდიან და ფულს მოგცემენ!..

— ჩვენც თქვენთან წამოვიდეთ? — შეეკითხა ყაზბულატი.

— ჩვენთან უნდა წამოხვიდეთ! — იყო პასუხი.

— მაშ ნება მიბოძეთ, ერთი ჩვენთაგანი წინ გავუშვა, რომ ხალხმა არ იფიქროს, ვითომ ჩვენ დატყვევებული ვიყოთ, თორემ ცუდი შედეგი მოყვება! — გააფრთხილა ყაზბულატმა გუბერნატორი.

— ეგ არაფერია! ყოველ შემთხვევაში, ამას მერე გადავწყვეტთ, თქვენ კი სულ ჩვენთან იარეთ... რაც გზაში საჭმელ-სასმელზე, ან სხვა რამეზე ფული დაგჭირდებათ, მე მომმართეთ და მოგცემთ. ოღონდ ჩვენთან იარეთ! არსად დაგვცილდეთ!

ერთი დღით ადრე გუბერნატორმა მაზრის უფროსი ბ-ნი გრინიოვსკი რამდენიმე პირის თანხლებით წინდაწინ სვანეთში გამოუშვა. ამიტომ გრინიოვსკიმაც ერთი დღით გუბერნატორზე ადრე მოაწია ლატფარის მთის იმ ადგილას, სადაც თავისუფალი სვანები იარაღებით იყვნენ გაჩერებულნი. მათი მიზანი, როგორც ვიცით, ის იყო, რომ ქუთაისიდან არავინ შემოეშვათ სვანეთში. ჯერ გრინიოვსკი ისედაც საკმაოდ სძულდათ სვანებს, და მერე არც იცოდნენ, თუ რისთვის მოდიოდა. ამიტომ რა გასაკვირველია, რომ ოფლში გაღვარულ ცხენებსა და კაცებს წუთით დასვენების ნებაც არ მისცეს! რა ჰქნას მაზრის უფროსმა? იმ ჯარით, რომელიც მას ახლავს, ვერაფერს უზამს. ამას გარდა, უკან გუბერნატორი მოდის და ეხლანდელ მის სვანებთან შეტაკებას უტაქტობად ჩამოართმევენ. დაბრუნებული მაზრის უფროსი სვანეთში მომავალ გუბერნატორს ლატფარის წვერზე მეჰხვდა და მოახსენა, თავისუფალ სვანეთში ფეხი არ შემოდგათ, თორემ დაგხოცავენო. ცოტა არ იყოს ჩაფიქრდა გუბერნატორი; ის მხოლოდ ეხლა მიხვდა, რომ ყაზბულატ შერვაშიძის წინადადება, ერთი ჩვენთაგანი წინდაწინ გაგვიშვიო, აუცილებელი რამ იყო. მალაფეევს გულით უნდოდა სვანებთან შეტაკება არ მოჰხდომოდა, იმიტომ, როდესაც ყაზბულატ შერვაშიძისა და მისი ამხანაგების წინდაწინ გამოშვება გადაწყვიტა, ყაზბულატს ემუდარებოდა: „დაამშვიდე საზოგადო კრება, თუკი ეს შესაძლებელია! დაარწმუნე შენი მეგობრები, თანამოძმენი და ნათესავები, რომ მიწის გადასახადის შემოღება სვანების მტრების გამოგონებაა, რომ ეს სიმართლეს მოკლებულია. არავითარი გადასახადის შემოღებას არ ვფიქრობთ. ჯარი მიტომ კი არ მოგვყავს სვანეთში, რომ შე-

ტაკებას ვაპირებთ თქვენთან... არა, ღმერთმა დაგვიფაროს... ჩვენ თქვენთვის სიკეთე გვსურს და არა ამოჟლეტა“... ყაზბულატი და მისი ამხანაგები წამოვიდნენ. რამდენიმე საათის შემდეგ გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, ჯარი დაქსაქსულიყო და ცალ-ცალკე წასულიყო, მალე თვითონაც გაუდგა გზას. იმავე საღამოს ჩავიდა კალაში, სადაც სვანები იყვნენ დაბინავებულნი. ცოტა მოშორებით გაჩერდა, დაბინავდა და ღამე გაათია. მეორე დღეს ე. ი. 1875 წ. 20 ივლისს დაიწყო მოლაპარაკება თავისუფალ სვანებსა და გუბერნატორის შორის. მოლაპარაკება ორ დღესა და ორ ღამეს გაგრძელდა. ხან ისე გამწვავდებოდა ხოლმე დამოკიდებულება, რომ სვანები თოფების ჩახმახს ფეხზე შეაყენებდნენ და ჯარისკენ მიიწეოდნენ, მაგრამ გუბერნატორი ძლიერ მოხერხებულისა და ტკბილი სიტყვით ამშვიდებდა აბობოქრებულ ხალხს. ახალი არაფერი თქმულა. შეტაკება არ მომხდარა. გუბერნატორსა და რუსის ჯარს, რომელსაც გენერალი ციტოვიჩი უფროსობდა, ხალხმა გზა დაუცალა და უვნებლად გაუშვა ბეჩოსკენ. ბეჩოში გუბერნატორი ერთ კვირას დარჩა, ბოქაულ ჯორჯაძეს მოსთხოვა აჯანყების მოთავეთა სია. სიაში 16 კაცი მოხვდა. მათ შორის, რა თქმა უნდა, ყაზბულატიც. ეგ 16 კაცი გუბერნატორმა ბეჩოში დაიბარა. გამოცხადდა 12. მალაფეევმა ლმობიერად განუმარტა მოთავეებს, თუ როგორ სასტიკად სჯის რუსის კანონი წყლის ამღვრევთ... და თან დასძინა: მე ვეცდები ვიშუამდგომლო ნამესტნიკის წინაშე, რომ თქვენ არ დაგსაჯონ, მხოლოდ დაგარიგებენ და გამოგიშვებენ... ეხლა კი ჩემთან ქუთაისში უნდა წამოხვიდეთო!“ ეს ვერაფრად ესიამოვნათ სვანებს... შეიქმნა მითქმა-მოთქმა. ფაციფუცი... გუბერნატორი ატყობს, ძალით ვერაფერს გახდება, და ისევ ტკბილ სიტყვებს მოუხშირა! „მე ღრმად მწამს, რომ თქვენ არ დაგსჯიან... წამოდით... მე მიტომ გეხვეწებით, რომ თქვენს მაგივრად ვშიშობ, ვაითუ უარის თქმა ცუდად ჩამოგართვან, შეტაკება მოუვიდეს ჯარს თქვენთან... მერე ამას რისთვის სჩადიხართ? წავიდეთ ერთად. გზაში

საჭმელ-სასმელი არ გაგიჭირდებათ... სამ დღეში უკანვე მშვიდობით დაბრუნდებით... მამაშვილურად გირჩევთ დამიჯეროთ და ჩემთან წამოხვიდეთ... არავითარი ცუდი თქვენ არ მოგელითო“ და სხვა. ამაზე ყაზბულატ შერვაშიძემ სთქვა: „თუ ჩემი ქუთაისში წამოსვლა საჭიროა, მოვდივარ. მე მწამს, რომ ნამესტნიკი არ დაგვსჯის ჩვენ. ჩვენ თავი დამნაშავედ არ მიგვაჩნია და მართალს არავითარი კანონისა არ უნდა ეშინოდეს... ვიმეორებ, მე მწამს, ნამესტნიკი და არც რუსის კანონი არ დაგვსჯის, რადგან არავითარი ცოდვა არ მიგვიძღვის. ჩვენ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ არ შეგვეძლო არ მოვქცეულიყავით ისე, როგორც მოვიქეცით... და არ მესმის, აქ რა დანაშაული უნდა მიგვიძღოდეს!“.. ყაზბულატის წრფელმა და გულუბრყვილო აღსარებამ დანარჩენი მისი თანამოძმენიც დაარწმუნა და... 29 ივლისს გუბერნატორი, 12 მოთავე და რუსის ჯარი ქუთაისისკენ გაემგზავრნენ. ლატალში ერთი მოთავეც შემოიერთეს, ასე რომ სვანეთში მხოლოდ სამი მოთავეღა რჩებოდა, რომლის ნებით ან ძალით გამოგზავნა ადგილობრივ პოლიციას დაევალა. გუბერნატორის მიერ ქუთაისში ჩაყვანილ 13 მეთაურთ, გუბერნატორისავე შუამდგომლობით, დიდი სასჯელი არა, მაგრამ თითოეულ მათგანს ზოგს ხუთი-ექვსი თვის და ზოგსაც წლის ციხე შეხვდათ. ცამეტივე, მათ შორის ყაზბულატიც, ციხეში გამოესალმნენ სიცოცხლეს... ერთმა წელმაც გაიარა და სვანეთში დარჩენილი სამი მეთაური ადგილობრივმა პოლიციამ ვერ დაიჭირა... გაზვიადებული მოხსენებები ყოველ თვიურად მიდიოდა უმაღლეს მთავრობას. ბოლოს მაზრის უფროსს, ბ-ნ გრინიოვსკის უმაღლეს მთავრობიდან მიეცა უფლება ჯარი წამოეყვანა სვანეთში ამ სამი კაცის შესაპყრობად და სხვების ჩასაჩუმებლად. პირველად მულახს ესტუმრა. მამის მაგივრად ორი მისი შვილი დაიჭირა და მიადგა სოფელ ხალდეს, სადაც დანარჩენი ორი მეთაური ცხოვრობდა. ჯარს მაიორი ლაუსი უფროსობდა. არავინ მოიყვანა მეთაურები. საქმე რთულდებოდა. ამ დროს სვანეთის ბოქაულად ახლად დანიშნულმა

თავ. ალექსანდრე მიქელაძემ სვანებთან შეტაკების ასაცილებლად მაზრის უფროსს მოახსენა, ერთი კვირის ნება მიბოძეთ, თქვენ წაბრძანდით და ორ მეთაურს ცაგერში თვითონ ჩამოგიყვანო... გრინიოვსკიმ უარი გამოუცხადა. მან მკაცრად უთხრა მიქელაძეს: „თავადო, სვანებთან შეტაკებას ვიწყებ, თქვენ კი შეგიძლიათ არ წამოხვიდეთ! ესეც უნდა იცოდეთ, რომ ყველა თქვენსავით მშიშარა არ არსო!“ მიქელაძეს, რომელიც, სვანების ხსოვნით, ძლიერ ლმობიერი კაცი იყო, ეს სიტყვები დანასავით მოჰხვდა გულში. თავის ესაულს უბრძანა ცხენი მომიყვანეო. ამ დროს მაიორი ლაუსიც შეჯდა ცხენზე... დაინახა ეს გრინიოვსკიმ თუ არა, მოახტა ცხენს და სოფელ ხალდესკენ გაექანა. მას უკან გამოყვნენ მაიორი ლაუსი, ექიმი ბელსკი, ბოქაული მიქელაძე, თარჯიმანი ბაქრაძე, ასათიანი, მამასახლისი, ჯარი და ბევრი სვები. სვანებმა ეს შეამჩნიეს და მზადებას შეუდგნენ. მაგრამ ჯერ კიდევ დანამდვილებით არავინ იცოდა, შეტაკებას მოასწავებდა ეს, თუ მოლაპარაკებით დამთავრდებოდა საქმე. ამიტომ მომავალი ორი კაცი შემოეგება. იმ დროს, როდესაც მაიორი ლაუსი ციხის ძირთან მიდიოდა, ციხეში (კოშკში) მყოფ ბავშვებმა გადმოიხედეს. კოშკიდან პატარა ქვა გადმოვარდა და ლაუსს დაეცა! ამან გადაწყვიტა ბედი! მაიორი გაბრაზდა და მხლებლებს უბრძანა, იქვე მდგომი ორი სვანი მოეკლათ. დაიწყო სროლა, რომლის დროსაც მოკლულ იქნენ მაიორი ლაუსი და ექიმი ბელსკი; დაიხოცნენ ჯარისკაცებიც. თარჯიმანი ბაქრაძე სვანურ სახლში დამალულიყო, როცა გაუგეს, გადმოხტა, ფეხი მოიტეხა და გაპარვაც მოასწრო... გრინიოვსკიც მოჰკლეს!.. სოფ. ხალდეს მცხოვრებმა თავისუფალმა სვანებმა კარგად იცოდნენ, რომ ამით სისხლის ღვრა არ დამთავრებულა, კარგად იცოდნენ, რომ მათ უსაშინელესი შეტაკება მოელოდა მალე რუსის ჯართან. ამისთვის ჯარის გაფანტვის უმალ მზადებას შეუდგნენ: ქალები და ბავშვები გამოქვაბულებში გახიზნეს. ხალდეს მოწიფული კაცები, სულ ცხრამეტი კაცი, გამოემზადა ტყვიებით, თოფებით, საზრდო-

თი და თავთავიანთ ციხეში ავიდა... ერთ თვეში ქუთაისის მაზრის უფროსი და დიდძალი ჯარი ხალდეს მიადგა. ჯარი მთის ზარბაზნებითა და ასაფეთქებელი წამლებით მოვიდა. 1876 წლის 27 მარიამობისთვეს დაიწყო სროლა... თვით მდებარეობა ხალდეს ისეთი აქვს, რომ ძნელად თუ აიღებს მას მისული მტერი... მთავრობამ ისევ სხვა ხერხებს მიმართა... ისევ სხვა სვანები გამოიყვანა ხალდელებთან საბრძოლველად და ქეთაურობა გავლენიან პირებს მისცა. ჯარი სოფელში შევიდა. სოფელს ცეცხლი წაუკიდეს, ქვის შენობებს ლაღუმები გაუკეთეს და ააფეთქეს.

მიწასთან გასწორდა მთელი ხალდე... ბევრი სისხლი დაიღვარა... ამ დიდძალ სისხლის ღვრაში სვანების მხრით სულ ოთხი მოკვდა, ორი ერთი თვის წინათ, მაიორ ლაუსის სიცოცხლეში, და ორიც ეხლა ნანგრევებს მოჰყვა. 17 კაცი გაიქცა. საპირო იყო გაქცეული კაცების შეპყრობა. საქმეში კიდევ გავლენიანი პირები ჩაერივნენ. ჯარი ქუთაისისკენ დაბრუნდა. გავლენიანმა პირებმა კი აღუთქვეს მთავრობას, დავიჭერთ და მოგიყვანთო... და მართლაც შესძლეს. დატუსალებულებს ციმბირი გადუწყვიტეს...

1880 წელს ბრძანება მოვიდა: სიტყვა ხალდე მოსპობილიაო. მის ნაცვლად სოფელს „ნოვო იფრალი“ დაერქვასო (იფრალი სოფელია ხალდეს ნანგრევებიდან ორი ვერსის მანძილზე), გადასახლებულების ცოლებსა და ბავშვებს უფლება ეძლევათ „ნოვო იფრალში“ (ესე იგი ხალდეში) დასახლდნენო... გაიარა დრომ და ჟამმა. დანგრეული ქვები ერთმანეთზე შეადგეს, შევიდნენ შიგ, ცეცხლი გააჩაღეს, აქა-

იქ მოსახლეობა გაიმართა. ხალდეს კი სახელად ისევ ხალდე შერჩა. რამდენიმე წლის წინათ იმ 17 კაციდან, რომლებიც ციმბირში გადაასახლეს, ორი (ვადა გათავებული) უკან დაბრუნდა. ერთი მოკვდა და მეორე, სახელად როფა ჩოფლიანი, დღესაც ცოცხალია და ჯერ კიდევ ჯანსაღად არის...

(ვარლამ იმერელი, გაზ. „სახალხო ფურცელი", 1914 წ. 20 ნოემბერი, № 143, გვ. 2,3 და 1914 წ. 21 ნოემბერი, № 144, გვ. 2).

8

კავკასიის სასწავლო ოლქმა კულინარიის ერთთვიანი კურსები მოაწყო ქ. ქუთაისში სახალხო სკოლების მასწავლებელთათვის. ამ კურსებზე დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან გაწვეული იყო, რამდენადაც მახსოვს, სამოცზე მეტი მასწავლებელი, მათ შორის მეც. კურსანტებს საერთო საცხოვრებელი ქუთაისის პირველი კლასიკური გიმნაზიის შენობაში გვქონდა. იმავე შენობაში მიმდინარეობდა მეცადინეობა. ადამიანის საჭმელ-სასმელის დამზადებასა და ნაირნაირი პროდუქტების დაკონსერვებაზე ლექციებს კითხულობდა აკადემიკოსი ერნსტ ზომერი, მაღალი, ჭაღარასანი, სადა ადამიანი, პროდუქტების დაკონსერვების დიდი სპეციალისტი. კურსების მეცადინეობა დაიწყო 1914 წლის 4 დეკემბერს და დამთავრდა 1915 წლის 4 იანვარს.

კურსანტები ვიწერდით ლექციის შინაარსს, სათანადო რეცეპტებს, პრაქტიკულად ვაკონსერვებდით ნაირნაირ პროდუქტებს, ვამზადებდით ესენციებს, ძმარს, ტკბილ სასმელებს, ვაკეთებდით დესერტებს. ერთი თვის მეცადინეობის შედეგად თითოეულმა ჩვენგანმა კარგად იცოდა ეს საქმე.

9

1915 წელს ცაგერში ვმუშაობდი (ზემო სვანეთიდან გადმომიყვანეს). ცაგერი სამაზრო ცენტრი იყო ლეჩხუმის მაზ-

რისა. იმ დროს ცაგერი პატარა დაბად ითვლებოდა სამოოთხი უსწორმასწორო და უსუფთაო ქუჩით, რამდენიმე ათეული დუქნით (ფურნე, სამიკიტნოები, ფართლის, ბაკალეისა და საწვრილმანო სავაჭროები, სახარაზო, უნაგირების სახელოსნო, საპარიკმახეროები). ყურადღებას იპყრობდა დაბის ცენტრში შემოღობილ ეზოში მდგარი „ნაობახტი“ (საპატიმრო). ცაგერში ცხოვრობდნენ მაზრის უფროსი, მისი თანაშემწე, პოლიციის მოხელეები და ურიადნიკ-სტრაჟნიკები. ყველგან და ყველაფერში იგრძნობოდა, რომ ეს ქვეყანა მეფის მოხელეებისა და თავადების იყო. თავადაზნაურობის არსებობა ძლიერად იგრძნობოდა ცაგერში. მისი მაზრის გავლენიანი თავადები: დადეშქელიანები, გელოვანები, გარღაფხაძეები, „ბუზმენტებსა“ და „სირმებში“ ჩამჯდარნი, დასრიალებდნენ ცაგერში; ცა ქუდად არ მიაჩნდათ მათ და დედამიწა ქალამნად. წვრილ-წვრილი აზნაურებიც — მდივნები, ჩიქოვანები საგრძნობლად კუდაბზიკობდნენ.

10

ცაგერის შემდეგ ხონის საქალაქო სასწავლებლის მასწავლებლად ვიმუშავე ერთ ხანს, საიდანაც ბათუმის ოლქის ქ. ართვინში გადამიყვანეს ექვსკლასიანი საქალაქო სასწავლებლის მასწავლებლად. ამ ლამაზ ქალაქში, რომლის მთის კალთებზე მიშენებული იყო ერთ-ორ-სამ და ოთხსართულიანი კოხტა შენობები, ოთხი თვე დავყავი.

როცა ქ. ართვინს ვუახლოვდებოდი მანქანით, სოხუმი მომაგონდა. რა სანახაობასაც ხედავს კაცი, როცა ის ზღვიდან სოხუმს უცქერს, დაახლოებით ანალოგიურ შთაბეჭდილებას ღებულობს, როცა ქალაქ ართვინს უახლოვდება. სოხუმსა და ართვინს შორის დიდი განსხვავება ვნახე, როცა ქალაქში შევედი და სახლები დავათვალიერე, ართვინის გარეგნულად ასე ლამაზ შენობებში დიდი უსუფთაობა, მოუწყობლობა და უგემურობა იყო.

აჭარლები, სომხები, ჯარი, — აი უმთავრესი მცხოვრებნი იმ დროის ქალაქ ართვინისა. ჩემს დროს ბლომად იყვნენ იქ ჯარისკაცები, ისინი 'ყაზარმებში ცხოვრობდნენ. ართვინის საქალაქო სასწავლებელში, ისე როგორც ხონის და რუსეთის იმპერიის სხვა ადგილების საქალაქო სასწავლებლებში, ყველა საგანს, როგორც წესი, რუსულ ენაზე ვასწავლიდით. ართვინში რამდენიმე ქართველს (თორმეტ კაცს) ერთგვარი წრე გვქონდა შეკრული და ქართულ საქმეს ვემსახურებოდით.

11

1917 წლის 1 იანვარს ართვინიდან გადამიყვანეს სოფ. კულაშის გიმნაზიის მეხუთე კლასის მასწავლებლად; განყოფილება მომცეს აგრეთვე კულაშისავე ნორმალურ ორკლასიან სასწავლებელში, სადაც მე ჩემს სიცოცხლეში პირველად დაეიწყე მასწავლებლობა და ორი წელი ვიმუშავე.

კულაშში მომისწრო თებერვლის რევოლუციამ.

კულაშში რევოლუციის პირველ დღეებში ცხოვრობდა გადასახლებიდან დაბრუნებული (თუ გამოქცეული), ცნობილი ბოლშევიკი, თბილისის ქარხანაში მიხეილ კალინინთან ერთად ნამუშევარი, შემდეგ არალეგალურ სტამბებში მუშაობით სახელგანთქმული რევოლუციონერი ვანო სტურუა. იშვიათად მინახავს კაცი ისეთი სპეტაკი, ფაქიზი, სადა, უბრალო, დიდ ჭირგადატანილი, როგორიც იყო ვანო სტურუა.

ვანო სოფ. კულაშის მცხოვრები იყო, სახელდობრ კულაშის ერთ-ერთი კუთხის—ნაბაკევისა. ნაციხარი, ნაციმბირალი, ღარიბი ოჯახის შვილი, უაღრესად პატიოსანი მოქალაქე ვანო სტურუა ისე დამიახლოვდა და მეც ისე დავუახლოვდი მას, რომ არა იშვიათად ჩემს ხელფასს ვინაწილებდით სიყვარულითა და ძმურად. თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებში კულაშში, ისე როგორც მთელ საქართველოში, მენშევიკებმა დაიწყეს ბატონობა. წესრიგი ვერ დაამყარეს, ადგილ ჰქონ-

და ქურდობას, ძარცვა-გლეჯას და თავდასხმებს. კულაშის ბაზრის, ებრაელების მაღაზიების „პოგრომიც“ მოხდა. დარბევის მოწყობას, ღმთავრესად, ფრონტიდან გამოქცეული ჯარისკაცები მეთაურობდნენ. მენშევიკებმა ვანო სტურუას დასწამეს „პოგრომის მოწყობა“. ვანომ სამედიატორო სასამართლოში გამოიწვია მენშევიკების ადგილობრივი კომიტეტი. სამედიატორო სასამართლო, რომლის სხდომებს დიდძალი საზოგადოება ესწრებოდა, ვანომ ტრიბუნად გაიხადა და მისთვის სასურველი დადგენილებაც გამოატანინა.

IX

სტუდენტობის წლები. თბილისში მუშაობა

1

ცხრა წლის სტაჟი მქონდა მასწავლებლობისა, როცა კულაშიდან სათანადო განცხადებით ჩემი დოკუმენტები გამოვგზავნე თბილისის უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე სტუდენტად ჩარიცხვის მიზნით. ჩამრიცხეს კიდეც. 1918 წელს ცოლითა და ორი შვილით გადმოვსახლდი თბილისში და სწავლა განვაგრძე. 1923 წელს დავამთავრე უნივერსიტეტის კურსი.

როცა უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი, მჭადის და პურის ნაკლებობა იყო თბილისში, თანაც მატერიალურად დიდ სივიწროვეს განვიცდიდი; ჩემს მდგომარეობაში არა ერთი და ორი სტუდენტი იმყოფებოდა.

1920 წელს მოვითათბირეთ რამდენიმე კაცმა, გადავწყვიტეთ აგვეღო დასამუშავებლად სახნავ-სათესი მიწები ყარაიაში. შევკარით წრე, დავარქვით მას „კომუნა". „კომუნის" წევრთა შორის იყვნენ გიორგი ინასარიძე (დღეს სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკი, ქირურგი), იორამ შვანგირაძე (დღესაც მუშაობს, ექიმია), კოტე ნიკოლაიშვილი (დღეს სტალინის სახელობის უნივერსიტეტის დოცენტი, ეკონომისტი) და სხვები. „კომუნამ" თავმჯდომარედ მე ამირჩია.

ყარაიაში ავიღეთ მიწა, დავხანით და პური და სიმინდი დავთესეთ. ჩვენი ფართობი, მგონი, შვიდი ჰექტარი იყო.

1920 წელს დათესილი საზამთრო პური 1921 წელს ამოგბინდა. სიმინდიც დავთესეთ იმავე გაზაფხულზე. მაინცადამაინც დიდ მოსავალს არ ველოდით, რადგან სათანადოდ ვერ ვრწყავდით ჩვენს ყანას.

2

1921 წლის გაზაფხულზე XI არმიის ცხენებმა ყანა გადაგვითელეს. ჩვენი კომუნის ერთ-ერთი წევრი (ნიკოლაიშვილი) სერგო ორჯონიკიძის ახლობელი იყო; იმის წათამამებით განცხადება დავწერეთ, ჩვენი შტამპ-ბეჭედიც დავაკარით და მივუტანეთ სერგო ორჯონიკიძეს. ორჯონიკიძემ წაიკითხა ჩვენი განცხადება, ზეპირადაც გამოგვკითხა ცოტა რამ, სხვა საკითხებზედაც გვებაასა, ჩაიც დაგვალევინა (ოჯახში მივუტანეთ განცხადება) და ჩვენს არზას დააწერა: — „Начальнику Упродарма товарищу Одно (ოდნო გვარი იყო). Наши лошади потравили кукурузу первой „коммуны“ студентов Тбилисского Университета. Прошу расследовать и доложить мне“.

ჩვენი განცხადება სერგოს რეზოლუციით გადავეცით ოდნოს. მან კაცი გამოყო და გაგვატანა ყარაიაში ზარალის ადგილზე შესამოწმებლად. მან დაჰკითხა ყარაიის სადგურის უფროსი და რამდენიმე ადგილობრივი მცხოვრები, დაათვალიერა ჩვენი „ყანები“, დაახლოებით დაზომა ფართობი. დაადგინა, კარგი მოსავლის შემთხვევაში რამდენი ფუთი პური და სიმინდი შეგვეძლო მიგვეღო ჩვენი ფართობიდან. ფულზე გადაიყვანა, შეაფასა ჩვენი სიმინდი, მოსალოდნელი მოსავალი, პური და ყველაფერი დაწერილებით მოახსენა ოდნოს. ოდნომ თავის მხრივ სათანადო წარწერა გააკეთა ჩვენს განცხადებაზე და გაგვატანა ორჯონიკიძესთან. ამბანაგმა სერგომ მოშათა და გლეხთა ინსპექციაში გაგვატანა ეს ჩვენი საქმე. იქაც რაღაც წააწერეს და ისევ ორჯონიკიძესთან გამოგვატანეს. წარწერებით აჭრელებული ჩვენი განცხადება

მივართვით სერგო ორჯონიკიძეს, რომელმაც დაადო საბოლოო რეზოლუცია: „Выдать сорок два миллиона пятьсот тысяч рублей. С. Орджоникидзе".

დიდი მადლობა გადავუხადე სტუდენტების სახელით ამხანაგ სერგოს და თან ვთხოვე ნებართვა, სამეგრელოში შეგვეყიდა და თბილისში ჩამოგვეტანა კომუნის წევრ-სტუდენტებისათვის ერთი ვაგონი — ათასი ფუთი სიმინდი. განკარგულება გასცა და ხელზე მოგვცეს სათანადო ნებართვაც.

3

სტუდენტობის დროს ჯერ განათლების სამინისტროში და შემდეგ თბილისის პირველ უმაღლეს პირველდაწყებით სკოლაში ვმუშაობდი. არ მემუშავა—არ შემეძლო, რადგან მარჩენალი არავინ მყავდა და არც უნივერსიტეტი იძლეოდა სტიპენდიას.

ერთობ ჭრელი იყო ჩვენი უნივერსიტეტის იმდროინდელი სტუდენტობა როგორც ხნოვანების, ისე ცოდნა-გამოცდილების მხრივ: რუსეთის იმპერიის ამა თუ იმ უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის ყოფილი სტუდენტები, ნაირნაირი მომზადებისა და სტაჟის მასწავლებლები, მღვდლები, საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები არეული იყვნენ ერთმანეთში. ყველა დარგის სპეციალისტებს (მათ შორის ექიმებსაც) ამზადებდა მაშინ ახალჩამოყალიბებული უნივერსიტეტი. ჩვენი პირველი რექტორი პეტრე მელიქიშვილი იყო, შემდეგ — ივანე ჯავახიშვილი.

სტუდენტებს, გარდა იმისა, რომ ფაკულტეტების მიხედვით ჰყავდათ სტუდენტთა გამგეობები და სარევიზიო კომისიები, მთელ უნივერსიტეტსაც ჰყავდა სტუდენტთა გაერთიანებული გამგეობა და სარევიზიო საბჭო; სარევიზიო საბჭოში შვიდი კაცი შედიოდა. ამ სარევიზიო საბჭოს თავმჯდომარედ ვიყავი მე ჩემი სტუდენტობის მთელ პერიოდში.

ჩემს დროს (1918 — 1923 წწ.) დისციპლინის საკითხი არც კი იდგა უნივერსიტეტში: ყველა სტუდენტი, ასე თუ ისე, მომწიფებული იყო, სერიოზული და ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ცოდნა მიეღო. პროფესორ-ლექტორებსაც დიდი მონდომება და საქმისადმი სიყვარული ახასიათებდათ. ერთმანეთი გვიყვარდა და პატივისცემით ვეპყრობოდით ურთიერთს.

ჩვენი პროფესორები დაუღალავად მუშაობდნენ. ჩვენც ეუფრთხილდებოდით მათ ჯანმრთელობას. ბრმა შემთხვევამ გამოგვაცალა ხელიდან ნიჭიერი და საყვარელი პროფესორი იოსებ ყიფშიძე, ცნობილი ენათმეცნიერი, ავტორი ფუნდამენტური ნაშრომისა მეგრული ენის შესახებ, დაუღალავი და ნაყოფიერი მკვლევარი, უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, ივანე ჯავახიშვილის „მარჯვენა ხელი", უანგარო და სპეტაკი მოქალაქე. ბევრი სამგლოვიარო წერილი დაიბეჭდა იმ დროის ჟურნალ-გაზეთებში, მათ შორის ჩემი წერილიც. „სიკვდილი ჯგუფურ ქურდია, მან ჩვენი ნორჩი უნივერსიტეტის კედლებშიც შემოიხედა და წაგვართვა ლამაზი სული ნიჭიერი მეცნიერისა", — ასე ვიწყებდი წერილს. ცნობილმა მკვლევარმა სერგო გორგაძემ შემდეგ ვრცელი შრომა გამოაქვეყნა იოსებ ყიფშიძის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ, სადაც მოყვანილია ამონაწერები ჩემი წერილიდან ი. ყიფშიძის გარშემო. დიდი იყო იოსებ ყიფშიძის უდროოდ დაკარგვით გამოწვეული დანაკლისი ახალგაზრდა ქართული უნივერსიტეტისათვის. ი. ყიფშიძე ტიფმა იმსხვერპლა.

პროფ. იოსებ ყიფშიძე შეცვალა ნიჭიერმა მკვლევარმა აკაკი შანიძემ, რომელიც პირველხანად სომხურ ფილოლოგიაში კითხულობდა ლექციებს.

4

თბილისის უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებელში (ყოფ. პირველი საქალაქო სასწავლებელი, არაგვის ქუჩაზე, სადაც სტუდენტობის დროს ვიყავი მასწავლებლად) გამგედ იყო აფრასიონ ჯაფარიძე, რაჭველი კაცი, პატიოსანი, წესიე-

ჩი, სათნო, ახოვანი, ლამაზი. 1923 წლამდე მას ნახევარი საუკუნე ემუშავა მასწავლებლის მძიმე და პასუხსაგებ პოსტზე, ემუშავა ნაყოფიერად, სახელოვნად.

გადავწყვიტეთ აფრასიონ ჯაფარიძისათვის — ვალმოხდილი პედაგოგისათვის — იუბილე გადაგვეხადა. ჩამოვაყალიბეთ ჯაფარიძის პედაგოგიურ ასპარეზზე 50 წლის მოღვაწეობის იუბილის მომწყობი კომისია. სათანადო მუშაობის ჩატარების შემდეგ 1923 წ. გაზეთ „კომუნისტში“ დავბეჭდეთ მომართვა-მოწოდება ყველა პედაგოგისადმი, რათა მათ ამა თუ იმ სახით მიეღოთ მონაწილეობა მასწავლებლის იუბილეში. მოწოდებამ სასურველი შედეგი გამოიღო. არა მარტო თბილისი, არამედ საქართველოს ბევრი რაიონიც გამოეხმაურა პედაგოგიურ სარბიელზე უანგაროდ და სახელოვნად მომუშავე ამ ადამიანის იუბილეს.

რამდენი ენერგია მქონდა იმ დროს! მასწავლებლის იუბილის მოწყობა მაშინ პირველი შემთხვევა იყო ჩვენს სინამდვილეში. ვშიშობდი: ვაითუ ცოტა ხალხი დაგვესწროს ჩუმი, წყნარი, უბრალო მასწავლებლის პატივსაცემად გამართულ საღამოზე-მეთქი! ჩემი და ჩემი ამხანაგების შიში მით უფრო დიდი იყო, რომ იუბილის ჩასატარებლად ავირჩიეთ არა რომელიმე პატარა დარბაზი, არამედ რუსთაველის თეატრი! ჩანს, ნიადაგი ისე კარგად მომზადდა, რომ თეატრი არათუ გაიჭედა იუბილარისადმი პატივისცემის აღსანიშნავად, არამედ ბევრი გულნატკენი უკანვე გაბრუნდა, რადგან ტევა არ იყო და დარბაზში ვერ მოხვდა.

მასწავლებლის ამ პირველი იუბილის დღე ჩემთვის არა მარტო იმითაა დაუვიწყარი, რომ მის ჯეროვნად მომზადებას სული და გული ჩავაქსოვე, არამედ იმით, რომ იმ საღამოს, რვა საათზე რომ იუბილე უნდა გამეხსნა და შესავალი სიტყვა მეთქვა, — 5 საათზე, ე. ი. 3 საათით ადრე, გარდამეცვალა უმცროსი ვაჟი — აჩიკო.

მხცოვანმა იუბილარმა და საიუბილეო კომიტეტის წევრებ-

მა ჯერ ჩემი მწუხარება გაიზიარეს და შემდეგ რუსთაველის თეატრს მიაშურეს.

5

რადგან იუბილეზე ჩამოვარდა ლაპარაკი, აქვე ვიტყვი შემ-დეგს.

როგორც ვიცით, 1910 წელს დაარსდა ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, მისი რედაქტორ-გამომცემელი იყო დაუღალავი მოღვაწე ლიტერატორი იოსებ იმედაშვილი. ამ ჟურნალის თანამშრომლები ძირითადად საზოგადოების დაბალი ფენებიდან იყვნენ. ჟურნალმა გულწრფელად შეიტანა თავისი წვლილი ჩვენი ხალხის გათვითცნობიერებისა და განათლების საქმეში. ასეთი ჟურნალის პატივსაცემად და მისი 15 წლის ღვაწლის აღსანიშნავად 1925 წელს შეიქმნა საიუბილეო კომიტეტი. კომიტეტის თავმჯდომარე იყო რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვასო აბაშიძე, თავმჯდომარის მოადგილედ ვიყავი მე. კომიტეტში შედიოდნენ. ვალ. გუნია, ი. გრიშაშვილი, ვ. ბარნოვი, მოსე თოიძე, შიო მღვიმელი, ნინო ჩხეიძე, მარიამ საფაროვ-აბაშიძისა, ალ. წუწუნავა, მ. ჭიაურელი, ზაქ. ჭიჭინაძე და სხვ.

იუბილე კარგად ჩატარდა 1925 წლის 1 ივნისს რუსთაველის თეატრში. ბევრი ტკბილი სიტყვა ითქვა საღამოზე, დიდი სითბო იგრძნობოდა დარბაზში.

იუბილის დღისათვის გამოვიდა ჟურნალის სპეციალური ნომერი, რომელშიც ბევრი საყურადღებო წერილი და მისალმება დაიბეჭდა. ჟურნალის უკანასკნელ გვერდზე მოთავსებულია მაშინ ცეცხლისაგან დაზარალებული (დღეს კი აღდგენილი) მათხოჯის სახალხო სახლის სურათი და დეპეშა საოურით — „სალამი პროვინციიდან“.

თბილისის მუშათა უნივერსიტეტმა, სადაც (1930 -- 1936 წწ.) სასწავლო ნაწილის გამგედ ვმუშაობდი, დიდი ზეიმით გადაუხადა 40 წლის ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობის აღსანიშნავი იუბილე ყველასთვის საყვარელ მასწავლებელს გიორგი ჭყონიას.

6

თბილისის პირველი უმაღლესი პირველდაწყებითი სკოლის უფროსი კლასების ორმოცამდე მოწაფე წავიყვანეთ საექსკურსიოდ ბათუმში. სამი თუ ოთხი მასწავლებელი ვახლდით, მაგრამ მაინც გაგვიჭირდა მათი მოვლა. მატარებელში 80 დაუდეგელი ადამიანის პატრონობა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ბათუმში სახელოსნო სასწავლებლის შენობაში დავბინავდით ხამი დღით. დავათვალიერეთ ქალაქი და ახლომახლო აგარაკები. ერთ დღეს გემით გავემგზავრეთ საქართველოს საზღვრის — სარფის სანახავად. მივადექით საზღვარს. სარფს ხევი ჩაუდის შუაში და სოფელს ორ ნაწილად ყოფს. ნახევარი სოფლისა ჩვენია, ნახევარი — თურქეთისა. გემიდან ჩამოვედით და სოფ. სარფის ჩვენს ნახევარში შევედით. დავათვალიერეთ ის და მეორე ნახევარსაც ვუცქეროდით ათასნაირ ფიქრებში გართულნი! და დისგან დაუცილებია უსამართლობას და ბიძაშვილი ბიძაშვილისაგან. ერთი ძმა რომ თავისი სოფლის ერთ ნახევარში, საბჭოთა კავშირში ცხოვრობს, მეორე ძმა დედა-საქართველოდან მოუგლეჯიათ და თურქეთის მემკვიდრედ გამოუცხადებიათ... ძმები ჩუმ-ჩუმად ესალმებოდნენ ერთმანეთს.

7

შიო მღვიმელს ხშირად ვხვდებოდი ჟურნალ „განათლების“ რედაქციაში. ლუარსაბ ბოცვაძე თავის ჟურნალში წმინდა პედაგოგიური ხასიათის სტატიებთან ერთად ფართო ადგილს უთმობდა მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებს. „განათლების“ ფურცლებზე იბეჭდებოდა აკაკის, ვაჟა-ფშაველას, იროდიონ ევდოშვილის, თედო რაზიკაშვილის, გ. ქუჩიშვილის, ნინო ნაკაშიძის, დავ. თურდოსპირელის, გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ს. შანშიაშვილისა და სხვების ქმნილებები („განათლებაში“ ხშირად ბეჭდავდა თავის ლექსებს და მინიატურებს ჩემი უმცროსი ძმა, მასწავლებელი ლავრენტი ძიძიგუ-

რი). აქვე ვთანამშრომლობდი მეც. რედაქციაში მეტად თბილი, მეგობრული და შემოქმედებითი ატმოსფერო სუფევდა. რედაქცია ცდილობდა ჟურნალში მთელი საქართველოს სასკოლო ცხოვრება აესახა, პედაგოგიური პრობლემები დაესვა და გადაეწყვიტა, გამოხმაურებოდა საზოგადოებრივ ცხოვრებას და თან ისეთი მხატვრული ნაწარმოებები ებეჭდა, რომლებსაც ასე თუ ისე დიდაქტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

შიო მღვიმელი ერთი ყველაზე აქტიური და საპატიო თანამშრომელთაგანი იყო როგორც „განათლების", ისე საბავშვო ჟურნალების რედაქციებისა. მუდამ მოღიმარი, ტკბილმოუბარი ჭაღარა შიო კეთილშობილების განსახიერება იყო.

ყველას განსაკუთრებით გვიყვარდა იგი; როცა ჩვენი (ჩემი და ა. გვახარიას) „პირველი წიგნისთვის" რაიმე დაგვჭირდებოდა, უმალ შიოს მივმართავდით. ისიც ხალისით ასრულებდა სამუშაოს და მასთან შეთანხმებით იშვიათად თუ მოგვიხდებოდა რაიმეს შეცვლა. ყოველი მისი ლექსი უბრალოდ, გასაგებად ესაუბრებოდა ბავშვებს მათთვის საინტერესო ამა თუ იმ საკითხზე.

„ბე როდი მამეწონება
სიტყვა, ნათქვამი უმადა...
იმიტომ გკოცნი პირშია,
გადმოგეხვევი ძმურადა!..

ცნობილმა ქართველმა პოეტმა ვაჟა-ფშაველამ ასეთი სტრიქონებით მიმართა შიო მღვიმელს. ჩვენი ბედნიერი ქვეყნის ბავშვები დღესაც მას მოფერებით „ძია შიოს" ეძახიან.

მოწიფულობაში შიო ბევრნაირ მოვალეობას ასრულებდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, სადაც ის მსახურობდა. სხვათა შორის, მის მოვალეობას შეადგენდა წიგნების გაყიდვაც. ბავშვებს უყვარდათ ის, მაგრამ ახლა მოწაფეებს უფრო მეტად შეუყვარდათ იგი. გაკვეთილების შემდეგ შეცვივდებოდნენ ხოლმე ბავშვები პატარა მაღაზიაში, ჟრიამულით შემოეხვეოდნენ შიოს. შიოც ალერსიანად, ღიმილით

ხვდებოდა მათ. შიოს ლექსები მეტად ხიბლავდა ნორჩ მკითხველებს, მშობლებიც გრძნობდნენ და ხედავდნენ, რომ შიო მათი ბავშვების ძვირფასი აღმზრდელი იყო.

1916 წელს ქართველმა საზოგადოებამ შიოს სალიტერატურო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე გადაუხადა. ზეიმი ჩატარდა თბილისსა და ქუთაისში.

საბჭოთა საზოგადოებრიობამ შიოს ორმოცი წლის სალიტერატურო მოღვაწეობის იუბილე გადაუხადა. საბჭოთა ხელისუფლებამ მას დამსახურებული მწერლის სახელწოდება მიანიჭა და პერსონალური პენსია დაუნიშნა.

ოპერის თეატრი ვერ იტევდა მისალოცად და სანახავად ჩამოსულ პიონერებს. შიო სცენაზე იჯდა თეთრად გამოწყობილი, წითელყელსახვევებიან, მხიარულად მომზირალ ბავშვთა შორის. ათასზე მეტმა ბავშვმა უმღერა შიოს ჰიმნი, ათასზე მეტი ბავშვი აღფრთოვანებით უკრავდა მას ქებისა და ალერსის გამომხატველ ტაშს.

ეს ზეიმი შიოს ცხოვრებაში უდიდესი დღესასწაული იყო.

1933 წლის 28 დეკემბერს ღრმად მოხუცებული შიო გარდაიცვალა.

1934 წლის 2 იანვარი მოწყენილი დღე იყო: სუსტი ქარი ქროდა, ოდნავ წვიმდა და თითქოს თოვლიც მოდიოდა.

დაღონებული და თვალცრემლიანი მივაცილებდი მწერალთა სასახლიდან დიდუბის პანთეონამდე ვალმოხდილი, საყვარელი პოეტის ცხედარს და გულნატკენი ვამბობდი ჩემთვის:

— ეჰ, ეჰ!.. დამკრძალავმა კომისიამ ვერ შეძლო მოეხდინა იმგვარი მობილიზაცია ახალგაზრდებისა, რომ ამ პროცესიის შესახებ კაცს ეთქვა: მთელი საქართველოსა და კერძოდ მისი დედაქალაქის, თბილისის თითქმის ყველა პიონერსა და ნორჩ მოსწავლეებს (შიო მღვიმელის ამ ცოცხალ ყვავილებს) ერთად მოუყრიათ თავი აქ, რათა უკანასკნელი პატივი სცენ მათებრ პატარა ტანისა და დიდი მოყვარული გულის პატრონ ძია შიოსო!..

ყოველთვის დიდი სიყვარულით ვიგონებ ჩემს უფროს

შეგობარსა და საყვარელ პოეტს, ჩემი სახელმძღვანელოების მუდმივ თანამშრომელს, ბავშვთა გულის მესაიდუმლეს შიო მღვიმელს.

8

რევოლუციის პირველ წლებში ი. გოგებაშვილის „დედა ენით“ ასწავლიდნენ წერა-კითხვას, შემდეგ ი. ზედგენიძისა და თ. კიკვაძის სახელმძღვანელოებით, ხოლო 1924—1925 წლებში დაიბადა და განვითარდა მავნებლური აზრი წერა-კითხვის უწიგნოდ სწავლების შესახებ. ვინაიდან ეს მნიშვნელოვანი მოვლენა იყო წერა-კითხვის სწავლების ისტორიაში, თავს ნებას მივცემ მოკლედ მაინც შევჩერდე მასზე. იმ ხანებში შედგა, დაიბეჭდა და სკოლებს დაურიგდა (როგორც ერთგვარი „სახელმძღვანელო“ თუ საშუალება წერა-კითხვის უწიგნოდ სწავლებისათვის) ფერებში დახატული თორმეტი პლაკატი სათანადო წარწერებით. ამ სურათების აღწერით, მათ შესახებ საუბრების მოწყობით და იქვე დაბლა მოთავსებული წარწერის მიხედვით უნდა ესწავლებინათ მასწავლებლებს ბავშვებისათვის წერა-კითხვა.

აი, ამ პლაკატების სახელწოდებანი.

1. ს კ ა (ამ პლაკატით სამი ასო-ბგერა უნდა შეესწავლათ: ა, კ, ს).

2. კ ა ლ ო (ორი ასო-ბგერა უნდა შეესწავლათ: ლ, ო).

3. ს კ ო ლ ა (ამ სიტყვაში უცნობი ასო-ბგერა სულ არაა).

4. ბ ა ღ ი (შესასწავლია ასო-ბგერები: ბ, ი, ღ).

5. ყ ა ნ ა (შესასწავლია ორი ასო-ბგერა: ყ, ნ).

6. ვ ე ნ ა ხ ი (უცნობი ასო-ბგერებია: ვ, ე, ხ).

7. ს ი ს უ ფ თ ა ვ ე ს ი ც ა ვ ე ნ! (ამ სიტყვებში ოთხი ახალი ასო-ბგერაა: უ, ფ, თ, ც).

8. შ ე ნ ა ქ რ ო გ ო რ შ ე მ ო ი პ ა რ ე? (შესასწავლია: შ, ქ, რ, გ, მ, პ).

9. რ ა თ შ ე ჭ ა მ ე, შ ე წ უ წ კ ო? (უცნობია: ჭ, წ).

10. ჰ ა ი, ჰ ა ი, ძ ე რ ა მ წ ი წ ი ლ ა მ ო ი ტ ა ც ა! (შესასწავლია: ჰ, ძ, ტ).

11. ჩ ი ტ ე ბ ი ჟ ი ვ ი.ლ ი თ გ ა დ ა ს ა ფ რ ე ნ ა დ ე მ ზ ა-
დ ე ბ ი ა ნ! (გასაცნობია: ჩ, დ, უ, ზ).

12. ჯ უ-ჯ უ-ჯ უ! (შესასწავლი იყო ასო-ბგერა ჯ).

ამ პლაკატებით ანბანისა და წერა-კითხვის სწავლება დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, კერძოდ იმასაც, რომ ამ პლაკატების სახელწოდებათა გარდა, სხვა საკითხავი ტექსტი მოსწავლეებს არ ჰქონდათ, — ხან სამი ასო-ბგერა ისწავლებოდა ერთად, ერთ დღეს, ხან — ექვსი, ხან·სულ არა! — არავითარი ნორმა არ იყო აქ დაცული, რაც პედაგოგიურად ყოვლად დაუშვებელია. დიდაქტიკის მთავარი მოთხოვნა (სწავლებისას ადვილიდან ძნელზე თანდათანობით გადასვლა) სავსებით უგულებელყოფილია. გასაკვირი არ იყო, რომ ამ პლაკატების ხმარების მოკლე პერიოდში სულ დაიბნა ჩვენი მასწავლებლობა.

განათლების სახალხო კომისარიატი დაჟინებით მოითხოვდა ამ პლაკატებით წერა-კითხვის სწავლებას. უნდა ითქვას, რომ დასახელებული პლაკატები ანბანის შესასწავლ ერთადერთ წყაროდ არ გამოდგებოდა, თორემ, როგორც სასაუბრო სურათები, ისინი ძვირფას მასალას წარმოადგენდნენ. მათი აღწერით, მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის გამართული კითხვა-პასუხით, საუბრით, თხრობით ბავშვები გავარჯიშდებოდნენ როგორც კითხვებზე პასუხის გაცემაში, ისე სურათის ამოკითხვასა და თხრობაში.

საჭირო იყო სათანადო წიგნის (სახელმძღვანელოს) მიცემაც სკოლებისათვის და მოხსენიებული პლაკატების სასაუბროდ დატოვება. ამ მიზნით მე და ა. გვახარიამ შევადგინეთ პირველი კლასის ახალი სახელმძღვანელო წიგნი სახელწოდებით: „პ ი რ ვ ე ლ ი წ ი გ ნ ი“, ნაწილი პირველი, „პ ი რ ვ ე ლ ი წ ი გ ნ ი“, ნაწილი მეორე.

„პირველი წიგნის“ პირველ ნაწილში შევიტანეთ ყველა ზემოთნახსენები თორმეტი პლაკატი, მაგრამ ამ პლაკატებით გათვალისწინებული შესასწავლი ასო-ბგერები (გარდა პირველი პლაკატისა) დავშალეთ და გავანაწილეთ დიდაქტიკური

დებულების — ადვილიდან ძნელზე თანდათან გადასვლის შეძლებისდაგვარად დაცვით.

პლაკატები წიგნში შევიტანეთ მხოლოდ სასაუბროდ, ერთმანეთს დავაშორეთ არა თანაბარი შუალედით: ზოგნი ახლოს მოვათავსეთ ერთმანეთთან და ზოგნიც დიდი დაცილებით, იმდენად, რამდენადაც მათ შუალედებში ჩვენ გავითვალისწინეთ ამა თუ იმ ასო-ბგერის ცალ-ცალკე შესწავლა (სათანადო წინადადებებით, მოთხრობით და ლექსით). ეს აადვილებდა მომდევნო პლაკატის სახელწოდების წაკითხვას და შემდეგ სათანადო საუბრის გამართვას.

„პირველი წიგნი" დაასურათეს მაშინ ახალგაზრდა, ნიჭიერმა და ცნობილმა მხატვრებმა აპოლონ ქუთათელაძემ და სამსონ ნადარეიშვილმა პროფესორ რუსუდან ნიკოლაძის რედაქტორობით.

ფერებში დასურათებული და კარგად გამოცემული ჩვენი (ა. გვახარიასი და ჩემი) „პირველი წიგნი" ახალი იყო თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით და იმ უცნაურობებითაც, რაც მის პირველ გამოცემებს ახასიათებდა, სახელდობრ:

1. საკითხავი წიგნი არა იშვიათად დაბეჭდილი იყო შპალერზე, ცისფერ და წითელ ფონზე (იხ. გვ. 26, 41, 43, 60).

2. რიგ შემთხვევაში ტექსტი დაბეჭდილი იყო მკრთალად მოცემული სათანადო სურათის ფონზე.

3. ხელნაწერები მოცემული იყო არა სანიმუშო და კალიგრაფიულად სწორად შესრულებული, არამედ განგებ ბავშვების ხელით დაწერილი (იხ. გვ. 15, 7, 11, 15, 27, 48, 49).

4. ხელნაწერზე იდო კალმისტარი და ზედ გადადიოდა ხოჭო (იხ. გვ. 15, 49).

5. ჩვენი ანბანის ოცდაცამეტ შავად დაწერილ ასოს და სასვენ ნიშნებს ლურჯი და წითელი ფეხები ჰქონდა გამობმული, ადამიანების სილუეტებს ჰგავდნენ და „დახტოდნენ", „მოძრაობდნენ" (იხ. გვ. 47, 52, 53).

6. წითლად დახატული ვაშლი და მსხალი დაჭრილი იყო

და დაბლა ნაირ-ნაირი ფიგურები ჰქონდა მოცემული სახატავ-სახაზავად (იხ. გვ. 52, 53).

7. ციფრები გათვალსაჩინოებული იყო, ისინი მათი რაოდენობის ფეხების მქონე ფრინველ-ცხოველებს ეკავათ; ციფრებსაც ფეხები ჰქონდათ და „მოძრაობდნენ“ (იხ. გვ. 54, 55, 68).

8. ბავშვების ნაირ-ნაირ ნახატებს სათანადო წარწერები ჰქონდა (იხ. გვ. 27, 56, 57).

9. დამატებაში მოცემული იყო დასაფარებელი და ამოსაჭრელი ასოები.

ასეთივე „სიახლე“, თავისებურება და ახირებულება ნაწილობრივ ახასიათებდა „პირველი წიგნის“ მეორე ნაწილსაც (შიგ სასიმღერო ნოტებიც გვქონდა — გვ. 177 და სხვ.).

„პირველი წიგნის“ პირველი ნაწილი 84 გვერდს შეიცავდა; ის ფერებში დაიბეჭდა; იმავე წიგნის მეორე ნაწილი 228-გვერდიანი იყო, ერთ ფერში დაბეჭდილი. „პირველი წიგნის“ პირველი გამოცემა განხორციელდა 1926 წელს; თითოეული ნაწილი გამოვიდა სამოც-სამოცი ათასი ტირაჟით. ექვსი თვის შემდეგ განმეორდა გამოცემა, ოღონდ ორივე ნაწილი ერთად, ერთ წიგნად გამოიცა, 40.000 ტირაჟით.

მეორე გამოცემისათვის წიგნში მცირეოდენი ცვლილებები შევიტანეთ. მაგალითად, კერძოდ იმ ადგილისათვის, სადაც „ფეხებიანი ასოები და ციფრები „კატა-თაგვობიას“ თამაშობდნენ, ლექსი დავაწერინეთ ი. გრიშაშვილს. შემდეგ და შემდეგ, როგორც ცნობილია, „პირველი წიგნი“ წლების განძილზე ცვლილებებს განიცდიდა; გზადაგზა ეცვლებოდა სახელწოდებაც: „პირველი წიგნი“, „ანბანი“, „ქართული ენა“, „დედა-ენა“.

მშობლიური ენის ჩვენი სახელმძღვანელოს როგორც პირველმა, ისე მეორე ნაწილმა მთავრობის მიერ გამოცხადებულ 1937 წლის კონკურსში გაიმარჯვა და დაწესებული პრემიაც მიიღო. 1926 წლიდან 1944 წლამდე ამ სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი ცხრამეტჯერ დაიბეჭდა, ხოლო მეორე ნა-

წილი — თვრამეტჯერ. ორივე ნაწილის საერთო ტირაჟი ორ მილიონ ეგზემპლარს გადასცილდა.

ბევრი რეცენზია დაიბეჭდა ჩვენს სახელმძღვანელოებზე, უამრავი წერილი მოგვივიდა ავტორებს რაიონებიდან, რის საფუძველზე და პირადი დაკვირვების შედეგად თანდათან ვაუმჯობესებდით წიგნს. კერძოდ, 1944 წ. დაბეჭდილ მე-19 გამოცემაში ხუთი სასაუბრო სურათი და ხუთი სხვადასხვა ნახაზია მოცემული წინასაანბანო პერიოდისათვის; მთელ საანბანო პერიოდში ყოველი ნორმალური (გასარჩევი) სიტყვის სურათის მარცხნივ კიდევ სურათია, რომლის სახელწოდება იწყება იმ დღეს შესასწავლი ასო-ბგერით; შესასწავლი ასო ნაბეჭდი სახით არის მოცემული; იმავე, ნორმალური სიტყვის სურათის მარჯვნივაც სურათია, რომლის სახელწოდებაც იმ დღეს შესასწავლი ასო-ბგერით იწყება და ის ასო ხელნაწერის სახით არის მოცემული; ყოველ გადაშლილ ორ გვერდზე ისწავლება ერთი ასო-ბგერა, რათა მხედველობის არეში ბავშვს უცნობი ასო არ შეხვდეს; ყოველი გადაშლილი ორი გვერდის პირველ გვერდზე იმ დღეს შესწავლილი ასოს ნიმუშია რვეულის ფონზე, მე-2 გვერდზე კი — სიტყვის ან სიტყვების წერის ნიმუში, იმავე ფონზე; მე-12 გვერდზე როგორც სინთეზის, ისე ანალიზის ნიმუშებია მოცემული; წიგნში წარმოდგენილია სწავლების სხვადასხვა ხერხი: სიტყვიდან პირველი ასო-ბგერის ჩამოცილებით, ან სიტყვის თავში ასო-ბგერის მომატების გზით ახალი სიტყვების მიღება; ერთი და იმავე მარცვლისათვის თავში თუ ბოლოში სხვადასხვა მარცვლების მომატებით სხვადასხვა სიტყვის მიღება; მოძრავი ასოთი სარგებლობა; რებუსები: მარცვალი და რიცხვი, მარცვალი და სურათი; სამკუთხედის ან ოთხკუთხედის კუთხეებში მოთავსებული მარცვლების ერთი მიმართულებით წაკითხვით სხვა სიტყვის მიღება, მეორე მიმართულებით წაკითხვით — სხვა სიტყვებისა; ყოველ გვერდზე არა მარტო ბეჭდურ ტექსტში ხდება იქამდე ნასწავლი ყველა ასო-ბგერის განმეორება, არამედ უეჭველად ხელნაწერ ნიმუშშიაც არის წინა დღით ნას-

წავლი ასო-ბგერა; წიგნისათვის საგანგებოდ და მიზნობრივად იყო შერჩეული ყოველი ფრაზა, ლექსი, გამოცანა, ანდაზა...

9

ბევრი რამ საინტერესო და მოსაგონებელი მაქვს ჩემს „პირველ წიგნთან“ დაკავშირებით, მაგრამ აქ მხოლოდ ერთს დავასახელებ: ასე მეჩვენება, ჩვენს სახელოვან პოეტს სოსო გრიშაშვილს საბავშვო ლექსების წერა ჩვენმა „პირველმა წიგნმა“ (პირველი კლასის სახელმძღვანელო წიგნმა) დააწყებინა. სახელმძღვანელოს მასალის გასახალისებლად ლექსი დაგვჭირდა; ლექსის დასაწერად ჩემს ძველ მეგობარს სოსო გრიშაშვილს მივმართე, თან აპოლონ ქუთათელაძისა და სამსონ ნადარეიშვილის მიერ დახატული ანბანთ თამაში ვაჩვენე. სოსომ თანხმობა მომცა და რამდენიმე დღის შემდეგ წარმომიდგინა ლექსი „ანბანის სიმღერა“. შემდეგ ამავე წიგნის მეორე ნაწილისათვის მან კიდევ ოთხი ლექსი დაგვიწერა. სიძნელე ამ ლექსების დაწერისა ის იყო, რომ მათი შინაარსი ჩვენ (სახელმძღვანელო წიგნის ავტორებს) წინასწარ გვქონდა განსაზღვრული პატარა (რვა წლის) ბავშვებისათვის. ჩვენი ჩანაფიქრის მიხედვით ჯერ ა. ქუთათელაძესა და ს. ნადარეიშვილს დავახატვინეთ წლის დროები: „შემოდგომა“, „ზამთარი“, „გაზაფხული“ და „ზაფხული“ და შემდეგ ვთხოვეთ ი. გრიშაშვილს გაელექსა ეს სურათები, რაც ბრწყინვალედ შეასრულა. ეს იყო პოეტის პირველი ცდები საბავშვო ლიტერატურაში. აქედან მოყოლებული, იოსებ გრიშაშვილი სისტემატურად წერს საბავშვო ლექსებს და ამ დარგშიაც შესანიშნავად ემსახურება ჩვენს ქვეყანას.

ისეთი ლექსის დაწერაც შევუკვეთეთ საყვარელ პოეტს, რომლის წამკითხავს ქართული ანბანის ყველა ასო-ბგერა არ ეცოდინებოდა, მაგალითად, ერთხელ ვთხოვეთ, ისეთი ლექსი დაეწერა, რომელშიც ასოები ქ, ც, ძ, წ, ჯ, და ჰ არ იქნება გამოყენებული. (ლექსი გათვალისწინებული იყო იმ პერიოდისთვის, როცა ბავშვებს ზემოთ მოტანილი ასოები ჯერ კიდევ არ ექნებოდათ შესწავლილი).

ეს ძნელი საქმე სოსომ სამ დღეში გააკეთა, დაგვიწერა ლექსი „პატარა ოსტატები“.

იოსებ გრიშაშვილის შემოქმედების ის ნაწილი, რომელიც ბავშვებს შეეხება, ცალკე შესწავლის ღირსია. პოეტის ყოველი სტრიქონი, ყოველი ტაეპი გამსჭვალულია ერთი აზრით: ელაპარაკოს მოზარდს მისთვის გასაგები ენით და ჩაუნერგოს პატრიოტიზმის გრძნობა, შრომის, სწავლის ინტერესი, აღზარდოს იგი დედასამშობლოს ღირსეულ მოქალაქედ.

სასწავლო ნაწილის გამგედ ვმუშაობდი თბილისის მუშათა უნივერსიტეტში, სადაც სწავლობდა უამრავი მუშა და კოლმეურნე საქართველოს ყოველი კუთხიდან, რის გამოც მუშათა განათლების ეს კერა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარი ცნობათა ბიუროც იყო მთელი საქართველოსთვის. „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერის შეძენის შესაძლებლობა დადგა. მე ეს გარემოება ოფიციალურად ვაცნობე განათლების კომისარიატს და ვთხოვე ამ საქმისთვის გაეგზავნა კაცი ნოქალაქევში. კომისარიატმა ამ „უმნიშვნელო“ საქმისთვის ვერ მოიცალა და „ხელნაწერიც“ გაქრა. რის გამო გაზეთში მოვათავსე ასეთი მოწოდება:

„ს პ ა რ ს უ ლ ი თ უ ს პ ა ს უ რ ი“?

რამდენიმე თვის წინათ ერთმა ნაცნობმა მოქალაქემ მითხრა: დიდი ხანი არაა, რაც მე და ჩემი ამხანაგი დავბრუნდით სამეგრელოდან. იქ ერთ ოჯახში (მგონი, ნოქალაქევის რაიონი დაასახელა) აღმოვაჩინეთ „ვეფხისტყაოსანის“ ძველთაძველი ხელნაწერი, წავიკითხეთ კიდეც ზოგიერთი ადგილი და დავრწმუნდით, რომ დიდი განსხვავებაა ცნობილ ტექსტსა და ახლად აღმოჩენილ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს შორის.

მაგალითისთვის გეტყვით: იქ, სადაც ცნობილ ტექსტში ვკითხულობთ: „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები“... და სხვა, ახლად აღმოჩენილ „ვეფხისტყაოსანში“ წერია: „ესე ამბავი ს პ ა ს უ რ ი სახალხოთ ნათარგმანები“... და სხვ.

მე ეს აღმოჩენა მნიშვნელოვნად მივიჩნიე და აღტაცებულმა ვუთხარი: იმ ხანებში „სპა“ ხომ ჯარს ნიშნავს! სპასური (სპაური) საჯარო, მხედრული! თარგმნა, ე. ი. ახსნა-განმარტება! მაშასადამე, გამოდის: „ესე ამბავი საჯარო ვპოვე და სახალხოდ განვმარტე, გავლექსე“.

ამ წერილის მიზანია: მოვაგონო, ვინაც რაიმე იცის ასეთი ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნის“ არსებობის შესახებ ახლა, როდესაც საბჭოთა ქვეყანა საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ისტორიული დადგენილებით რუსთაველის იუბილესთვის ემზადება და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენა ხდება, ხელი შეუწყოს ხსენებული „ვეფხისტყაოსნის“ წარმოდგენას (გაზ. „კომუნისტური განათლება“, 1934 წ. № 100).

10

საქართველოს სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი გახლდით (1947 — 1951 წლებში), როცა მუზეუმის მიერ შედგენილი და განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით რიგი პირები მუზეუმისთვის წერდნენ სათანადო მიმოხილვებს, ნარკვევებს, მოგონებებს. მათ შორის მეც, გეგმის თანახმად, დავწერე შრომა, სათაურით: „ორმოცი წელი პედაგოგიურ-საზოგადოებრივ ასპარეზზე“, რომლიდანაც ამოღებულ იქნა მოგონებების ნაწილი და დაიბეჭდა წინამდებარე წიგნის სახით.

1949 თუ 50 წელში გამოვიდა წიგნი „გამოჩენილი ექიმები“, რამაც მომცა იდეა ანალოგიური წიგნი შეგვედგინა მუზეუმში თვალსაჩინო მასწავლებლებზე და გამოგვეცა ოთხ ტომად. მუზეუმის მთელი კოლექტივი გაგვიტაცა ამ აზრმა და, მიუხედავად ერთგვარი დაბრკოლებებისა, ხელშეკრულებით შევეკარი მუზეუმის მეცნიერ მუშაკებს სოლომონ ციაშვილსა და მიხეილ კეკელიძეს — შეეგროვებინათ სათანადო მასალები და ძირითადად დაეწერათ ეს საჭირო წიგნები. განზრახული იყო იმთავითვე, რომ ნარკვევებს ზოგი პედაგოგის

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისგამგეობის სხდომა 1880 წლის 29 იანვარს

სხედან (მარცხნიდან მარჯვნივ): გრ. ორბელიანი, რაფ. ერისთავი (გამგეობის ხაზინადარი), იაკ. გოგებაშვილი, ნიკ. ცხვედაძე, დიმ. ყიფიანი (გამგეობის თავმჯდომარე), ივ მარაბელი, [illegible]. გაბაშვილი, ალ. სარაჯიშვილი, [illegible] (გამგეობის მდივანი), აკაკი ხერეთელი, მიხ. თუმანიშვილი.

დგანან: ი. გომყრელიძე, გიორგი წერეთელი, თეოფ. ყორდანია, ილია ჭავჭავაძე (თავმჯდომარის მოადგილე) ვ. თულაშვილი, სერგეი მესხი, გ. უთურგაური.

შესახებ დაწერდნენ პროფ. გ. თავზიშვილი, პროფ. დ. ლორთ-ქიფანიძე, დოც. ვ. ქაჯაია და სხვები. ცაიშვილმა და კეკელიძემ ეს კარგი საქმე გააკეთეს და სხვა ამხანაგების მონაწილეობით და რედაქტორობით პირველი ორი ტომი უკვე დაიბეჭდა.

ერთობ განუზომელია ღვაწლი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა. ეს საზოგადოება ქართველი ერის განათლების სამინისტრო იყო ცარიზმის ეპოქის ეროვნული გადაგვარებისა და სისხლის წვიმების პიროობებში.

სათანადო მასალებისა და სქემის მიხედვით მხატვარმა ანდრო ასტახიშვილმა გაუკეთა მუზეუმს მხატვრული რუკა, რომელზედაც აღნუსხულია ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების განყოფილებები, სკოლები და ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, როგორც საქართველოში, ისე მის გარეთ.

შევაგროვეთ და აღვადგინეთ ყველა საჭირო მასალა და დეტალი იმისათვის, რომ შეგვექმნა მართალი სურათი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის ერთ-ერთი სხდომისა. დიდი შრომა გასწიეს ამ მიმართულებით ჩემთან ერთად მუზეუმის მეცნიერ მუშაკებმა არკადი ხუნდაძემ და სოლომონ ცაიშვილმა, აგრეთვე მარო მაჭავარიანმა და ანიკო სამადაშვილმა.

ჩვენ (მე, ცაიშვილმა და ხუნდაძემ) ვიკისრეთ რედაქტორობა ამ საპასუხისმგებლო სურათისა: რიგი თვეების განმავლობაში თითქმის ყოველდღე დავდიოდით ცნობილ მხატვარ პროფ. აპოლონ ქუთათელაძის სახელოსნოში (სასტუმრო „ინტურისტის“ ერთ-ერთ დიდ ოთახში), მიგვქონდა საჭირო მასალები, ვაზუსტებდით ამა თუ იმ დეტალს, რის შედეგად მივიღეთ დიდი მხატვრული ფერადი ტილო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომისა, რომლის ასლის ლითოგრაფიული წესით დაბეჭდვა და ოჯახებსა და დაწესებულებებში გავრცელება კარგი ეროვნული საქმე იქნებოდა.

X

სახალხო სახლის მშენებლობა სოფელში

1

1921 წლის მეორე ნახევარში თუ 1922 წლის პირველ ნახევარში (კარგად არ მახსოვს) შეიკრიბნენ სოფელ მათხოჯის მოწინავე გლეხები და ინტელიგენცია, კრებას, შეიძლება ითქვას, არავინ დაჰკლებია! დღის წესრიგში იყო უკვე დაწყებული და დროებით შეჩერებული მათხოჯის სახალხო სახლის მშენებლობის განახლება.

ამ საქმისთვის აირჩიეს საბჭო, რომელშიაც შევიდნენ მოწინავე მუშები, გლეხები, მშრომელი ინტელიგენტები, როგორც კომპარტიის წევრები, ისე უპარტიო ბოლშევიკები და კომკავშირლები. საბჭოში აირჩიეს აგრეთვე მათხოჯის ახლომახლო მდებარე სოფლების რევკომის თავმჯდომარეები და პარტიული ორგანიზაციების მდივნები. კრებამ დაავალა საბჭოს გაეთვალისწინებია ისეთი სახალხო სახლის აშენება, რომელშიაც მოთავსდებოდა არა მარტო ბიბლიოთეკა-სამკითხველო და კლუბი, არამედ საშუალო სკოლა, აფთიაქი, ფოსტა-ტელეგრაფი, წიგნის მაღაზია და სხვა კულტურული დაწესებულებანი. საბჭომ თავმჯდომარედ ამირჩია მე, რის შემდეგ მათხოჯლების საერთო კრებამ დაადგინა, რომ სოფელი არა მარტო უსასყიდლოდ იმუშავებდა ამ მშენებლობაზე (სილის, ქვის, აგურის თავიანთი ურმებით მოზიდვით), არამედ ფულად თანხასაც გაიღებდა შესაძლებლობის მიხედვით, ოღონდ საბ-

ჭომ იკისროს ამ საქმის ორგანიზაცია: კირისა და აგურის დასამზადებელი ქარხნების გამართვა, სვანეთში ხე-ტყის მოჭრა და ცხენისწყლით მათხოჯში ჩამოცურება, მშენებლობის საჭარგებლოდ საღამო-წარმოდგენების გამართვა, მათხოჯის ამ მშენებლობის დამხმარე კომიტეტების ჩამოყალიბება, კეთილ პირთაგან შემოწირულებათა შეგროვება, მუშათა და გლეხთა მთავრობის წინაშე სათანადო შუამდგომლობათა აღძვრა, დახმარების მიღება, 2-3 ოჯახის ერთი ადგილიდან მეორე (საფონდო მიწებზე) გადასახლება, ამით მშენებლობისათვის საჭირო ფართობისა და ეზოს გამოყოფა, ოსტატების დაქირავება, მასალების შეძენა, მშენებლობის დაწყება-დამთავრება და მისი ექსპლოატაციაში გადაცემაო. აღსანიშნავია, რომ ფაქტიურად იმ დროისათვის არც ერთი დაწესებულება, რომელიც იმ შენობაში უნდა მოთავსებულიყო, სოფელს ჯერ კიდევ არ ჰქონდა, იგულისხმებოდა, რომ მათი გახსნის შუამდგომლობანიც მთავრობის წინაშე ხსენებულ საბჭოს უნდა აღეძრა.

მე 1918 წლიდან თბილისში ვცხოვრობდი და ვმუშაობდი, რის გამო ამ მძიმე საქმის ხელმძღვანელობა თბილისიდან უნდა გამეწია, ხშირად ჩავსულიყავი ჩემს სოფელში და ყოველი წვრილმანისათვის მიმექცია სათანადო ყურადღება. საბჭოს წევრებიდან გამოიყო პრეზიდიუმი შვიდი კაცის შემადგენლობით, მათ შორის —გიორგი ჩიმაკაძე (ჩემი პირველი მოადგილე, კაცი ფრიად პატიოსანი), მასწავლებელი ნესტორ ძიძიგური (ჩემი მეორე მოადგილე, ჩემი უფროსი ძმა), დურგალი პავლე მელაძე (მესამე მოადგილე, საზოგადო საქმის ენთუზიასტი), მასწავლებელი ელეფთერ მელაძე (მდივან-მოანგარიშე) და სხვ.

მოვიწვიეთ დროებით ხონში (ახლა წულუკიძე) ჩამოსახლებული ინჟინერი-არქიტექტორი პრეისი. შევადგინეთ ამ ვეებერთელა შენობის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა. კარგი პროექტი გაკეთდა. ხარჯთაღრიცხვის ჯამი სამ მილიარდ

(3.000.000.000) მანეთს უდრიდა (დღეს ეს შენობა ორ მილიონ მანეთზე მეტი ღირს).

მათხოჯლების საერთო კრებამ დაადგინა, რომ ის შეძლებს ხუთასი მილიონი მანეთი გაიღოს ფულად, დანარჩენი ორი მილიარდ ხუთასი მილიონი მანეთი კი მათხოჯის გარეთ უნდა გვეშოვა. ამოცანა დიდი იყო. პირველი ნაბიჯი, რომელიც გადავდგით, შემდეგი იყო: ჩვენი მდგომარეობა გავაგებინეთ თბილისში ფილიპე მახარაძის თავმჯდომარეობით არსებულ საზოგადოებას, რომელსაც ერქვა: „პომგოლა" („პომოშჩ გოლოდაიუშჩიმ"). ამ საზოგადოებაში (გამგეობაში) ოცდახუთი კაცი შედიოდა. ჩვენს თხოვნას ეს საზოგადოება დადებითად გამოეხმაურა და ორმოცდაათი მილიონი მანეთი მოგვცა. ტომრებში ჩავაწყვე ხუთიათასმანეთებიანი ბონები და ჩავიტანე მათხოჯში. მანამდე აშენებული ქვის ორი კედელი დავანგრიეთ და ახალი პროექტის მიხედვით გავთხარეთ საძირკველი.

მოსახლეობამ ქვების, ხრეშისა და სილის მოზიდვა დაიწყო ცხენისწყლიდან და მშენებლობას შეუდექით. ხალხმაც დაიწყო აგრეთვე თავისი ფულადი წვლილის შემოტანა. ხუთასი მილიონის გასანაწილებლად არჩეული იყო საგანგებო კომისია 17 კაცის შემადგენლობით. ამ კომისიამ ზოგი ოჯახი სულ გაათავისუფლა გადასახადისაგან, ზოგს სამასი, ზოგს ხუთასი, ზოგს რვაასი და ზოგსაც მილიონ ორასი ათასი მანეთი შეწერა სახალხო სახლის მშენებლობისათვის გადასახადად.

მშენებლობა გაჩაღდა. დამხმარე კომიტეტები ჩამოყალიბდა ფოთში, ბათუმში, ქუთაისში, სოხუმში, თბილისში, მოსკოვში, ხარბინში და სხვაგან. იმ ხანად ფული განმტკიცდა და საბჭოთა ჩერვონეცმა ოქროს კურსი მიიღო.

საშა გეგეჭკორის მიერ ხელმოწერილი ქაღალდი მედოუბეში, რომლის ძალითაც უფლება მქონდა, რომელ ქალაქშიაც მინდოდა, მომეწვია მათხოჯლების და მათი მოკეთეების კრება და გვემსჯელა საშუალებების გამოსანახავად. ხშირი სტუმარი ვიყავი სერგო ორჯონიკიძისა; ბევრი დახმარება გაგვიწია მან.

— კარგ დროს მოხვედი, ვარლამ! — მითხრა ერთხელ, როცა მის კაბინეტში შევდიოდი (ჯაფარიძის ქუჩაზე, „ზაკკრაიკომში“, რომლის მდივანიც ის იყო). ზარი დარეკა და თანამშრომელი მოიხმო. — მოიტანე ის ოქრო, დღეს რომ ვაჭარს ჩამოართვეს! რამდენია?

— ხუთი ათასი მანეთია, — უპასუხა თანამშრომელმა. — ამხანაგ ძიძიგურს მიეცი, — მათხოჯის სახალხო სახლისათვის!

— ამხანაგო სერგო, სახალხო სახლის ბუხჰალტერი სოფელში ამ ოქროს ვერც გადაახურდავებს, იქნებ ანგარიშიც აებნეს, ზოგში მეტი მიიღოს, ზოგში ნაკლები! ხომ არ შეიძლება უბრძანოთ ბანკს, გადაგვიცვალოს ჩერვონცებში? (ჩერვონცები მაშინ ახალი შემოსული იყო).

— ეს კარგი აზრი მოგვივიდა! — მიპასუხა ამხ. ორჯონიკიძემ, უცებ აიღო ტელეფონი და ბანკს დაურეკა: — ხუთი ათასი მანეთი ოქრო გაგვიცვალეთ ჩერვონცებშიო.

ბევრი დრო არ გასულა. ბანკის თანამშრომელი მოვიდა და ჩერვონცები მოგვიტანა. — ცხრა მანეთი და ათი შაური თითოეულ თუმანში.

— ეს რაა, ნაკლებს გვაძლევთ? — ვკითხე მე.

სერგომაც დაუმატა, თუმანში თუმანი მოგვეციოთო.

— დღევანდელი ნიხრი ასეთია. თუ თვის დასასრულამდე შეიცვალა, შეიძლება მოხერხდეს განსხვავების მოცემაო! — უპასუხა სერგოს. (თვის ბოლოს მართლაც მოგვცეს დამატებით 158 მან. და 50 კაპ.).

ამხ. სერგო ორჯონიკიძე დიდი თანაგრძნობით ეკიდებოდა მათხოჯის სახალხო სახლის მშენებლობას, ის მუდამ მშენებლობის კურსში იყო და მისი მეშვეობით ხშირ დახმარებას ვღებულობდით საქართველოსა და ამიერკავკასიის მთავრობებისაგან.

ერთსულოვნად მუშაობდა მთელი მათხოჯი. მათხოჯის გარეთ მომუშავე მათხოჯლები საჭირო პროპაგანდას ეწეოდნენ სახლის მშენებლობის სასარგებლოდ და შემოწირულებებს გზავნიდნენ. ღია ბარათებად დავბეჭდეთ მათხოჯის სახალხო

სახლის შენობის პროექტი, ზედ ასეთი წარწერა გავუკეთეთ ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე: „მათხოჯის სახალხო სახლი“. ღია ბარათის ფასი ერთი მანეთი იყო და ის არა მარტო საქართველოში, არამედ მოსკოვსა და კავშირის სხვა ქალაქებშიც საღდებოდა. მისმა შემძენმა იცოდა, რომ ერთ მანეთს იხდის მათხოჯის სახალხო სახლის მშენებლობის საჯარგებლოდ. შენობა დღითიდღე მაღლა-მაღლა მიდიოდა. 1925 წლის დასაწყისისათვის ყველა კორპუსის კედლების ამოყვანა დამთავრდა, მთელი შენობა თუნუქით დაიხურა და სახურავი შეიღება.

სერგო ორჯონიკიძეს ვთხოვეთ ჩამოფრენილიყო მათხოჯში. თანხმობა განმიცხადა, თუ ეს ტექნიკურად ჰოსახერხებელი იქნებოდა. მე წინასწარ ჩავედი მათხოჯში, სახალხო სახლის ახლოს, რატიანების ეზოს გადაღმა, ცხენიწყლის პირას ვეებერთელა მინდორი გავასუფთავებინე ხალხს; მათაც უხაროდათ, რომ „რევოლუციის რაინდი“, საყვარელი სერგო სპეციალური თვითმფრინავით ჩამოფრინდებოდა მათხოჯში და ხალხის ინიციატივითა და შრომით გაკეთებულ ვეებერთელა შენობას დაათვალიერებდა. ასეთი შენობა იმ ხანებში იშვიათი იყო სოფლად, სოფლელების ინიციატივით გაკეთებული. მათხოჯიდან დაბრუნებულმა მოვახსენე სერგოს, რომ ორი იმ ზომის მინდორი, რა ზომაც თბილისიდან წავიღე, გაწმენდილია და მზად არის სახალხო სახლის ახლო. ვუცდიდით შესაფერის დღეს და ამხანაგ სერგოს მოცლას ამ მგზავრობისათვის. იმ ხანებში თოვლიც მოვიდა და ამანაც გადადო გადაფრენის დღე.

2

1925 წლის 25 თებერვალს ნაშუადღევის 2-3 საათზე დეპეშა მივიღე მათხოჯიდან: „სახალხო სახლი იწვის. შალვა ფირცხალავა“.

ელდა მეცა. ნახევარ საათს თვალი არ მომიშორებია ამ

ხუთი სიტყვისათვის: ნუთუ მართალია ეს? იქნებ ჩემი ჩასვლა უნდათ მათხოჯში და ამ გზით მიწვევენ? იქნებ ვინმე ასე მწარედ ხუმრობს? იქნებ მატყუებს? ნუთუ მართლა ასეთი საშინელება მოხდა?!

ტელეფონით შევატყობინე დეპეშის შინაარსი ამხანაგ სერგო ორჯონიკიძეს. გასაგებია, რომ დიდად შეწუხდა და მითხრა: შედი მთავარ ტელეგრაფში, პირდაპირი მავთულით გამოიძახე ხონის რაიაღმასკომის თავმჯდომარე და დაუსვი ეს კითხვები (ექვსი კითხვა მიკარნახა). მე ახლავე მივცემ განკარგულებას მთავარ ტელეგრაფს, გალაპარაკონ ხონთანო.

იმ წუთში გავექანე ტელეგრაფისაკენ, ვინახულე უფროსი, რომელსაც ამხანაგი სერგო უკვე დალაპარაკებოდა. მან მიმიყვანა ტელეგრაფის აპარატთან; კითხვები გადავეცი; აპარატმა გადასცა ხონს და რამდენიმე წუთში პასუხები მივიღეთ რაიაღმასკომის თავმჯდომარისაგან. უკანასკნელ კითხვაზე, თუ რა მდგომარეობაშია ამჟამად ცეცხლი, გვიპასუხა: მართალია, მთელი ხონი ფეხით, ეტლებით გაექანა მათხოჯისაკენ, მაგრამ ჩვენ მილიცია, მოსამსახურეები და ჯარის ნაწილები არ გავუშვით, რადგან ვიფიქრეთ, იქნებ მენშევიკების გამოსვლას ჰქონდეს ადგილი, სურდეთ ძალები ხონიდან გაიტყუონ და ხონი ჩაიგდონ ხელშიო. ამიტომ კარგად არ ვიცი, მაგრამ ზოგი მათხოჯიდან დაბრუნებული ამბობს, — სახურავი უკვე ჩავარდაო. ხონის ცეცხლმქრობი რაზმი მათხოჯშია. ქუთაისისა და სამტრედიის რაზმებიც მათხოჯლებს გაუწვევიათო.

იმ ღამეს მატარებელში ვიჯექი და მათხოჯისაკენ მივეშურებოდი გონებადაკარგული. ამხანაგმა სერგო ორჯონიკიძემ განკარგულება მისცა ქუთაისის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეს სპეციალისტები და ინჟინრები გაეგზავნა მათხოჯში, შეემოწმებინათ ზარალი, კედლების ვარგისიანობა, შეედგინათ აქტი და გადმოეცათ ჩემთვის.

იმაზე საშინელი და ძლიერი წუხილი ხალხისა მე არასოდეს მინახავს, როგორიც მათხოჯში ვნახე. ქალი, კაცი, ბავშვი, მოხუცი გულამოსკვნით კვნესოდნენ. ყველა სახალხო სახლთან

იყო და ამ ვეებერთელა მკვდარს ტიროდა. ჩემი მანქანა რომ ჩავიდა, ისეთი საშინელი კივილი შეიქნა, რომ გული შემიწუხდა. ეზოებიდან გამორბოდნენ შინ დარჩენილი გოგო-ბიჭები; ქუთაისიდან ჩამოსული სპეციალისტებიც იქ დამხვდნენ — ნახევარი საათით ჩაესწროთ ჩემთვის. შეამოწმეს შენობა. დაადგინეს, რომ კედლები გამოდგება ზევიდან ეოთი მეტრი სიმაღლის ნაშენობის გადანგრევისა და ძის ბაგიერ ახლის აშენების შემდეგ. სახლის ხე-ტყის მასალა, კარები, ფანჯრების ჩარჩოები, დვირეები, იატაკები და ჭერები სულ დამწვარიყო. ფანჯრებში ჩასასმელად მომზადებული ოცი თუ ოცდაათი ყუთი მინა დადულებულიყო და რაღაცნაირ მასად ქცეულიყო. გადარჩენილიყო მხოლოდ საბუთები და საქმეები, რადგან ისინი, შენობის დაუმთავრებლობის გამო, საბჭოს მდივან-მოანგარიშე მელაძის ოჯახში იყო.

მიტინგი გავხსენი, მაგრამ ვერც მე ვილაპარაკე და ვერც სხვებმა. ფსიქიკურმა ტრავმამ ყველა იმგვარად დაგვიმორჩილა, რომ, რაიმეს სათქმელად გავაღებდით თუ არა პირს, ქვითინი აგვივარდებოდა და ცრემლები გვახრჩობდა.

გამოირკვა, რომ ეს დიდი უბედურება უბრალო შემთხვევის და ახალგაზრდების დაუდევრობის შედეგი იყო. 25 თებერვალს, დილით, ოთხი მათხოჯელი კომკავშირელი შესულიყო სახალხო სახლის შენობაში, სადაც დურგლები მუშაობდნენ, იატაკად დასაგებ და ჭერად გასაკეთებელ ფიცრებსა და ლამფებს აშალაშინებდნენ. ახალგაზრდებს უთქვამთ ჩემი მოადგილეებისათვის, გიორგი ჩიმაკაძისა და პავლე მელაძისათვის: დღეს საზეიმო დღეა და მუშაობა არ შეიძლება, გაათავისუფლეთ ოსტატებიო. გაუთავისუფლებიათ. ყველანი აქეთ-იქით წასულან. ახალგაზრდებს რაღაც თათბირი ჰქონიათ ბურბუშელით სავსე ერთ-ერთ ოთახში. პაპიროსს ეწეოდნენ თურმე. პაპიროსის ნამწვავი ჩავარდნილა ჯერ კიდევ დაუგებელ იატაკქვეშ. მათი იქ ყოფნის დროს ამოვარდნილა ალი დაბლიდან. ცდილან ჩაექროთ ცეცხლი. ვერ ჩაუქრიათ. სამი მათგანი ფანჯრიდან გადამხტარა, ერთი—კარებით გაპა-

რულა. ხოლო გვიან, როცა ცეცხლი ძალიან გაჩაღებულა, ერთ მათგანს თოფი გამოუტანია თავისი სახლიდან, სროლა და ყვირილი აუტეხია ხალხის შესაკრებად და ცეცხლის ჩასაქრობად, ვითომდა პირველად მაშინ შეამჩნია ცეცხლი! ხალხი შეკრებილა, მაგრამ, აბა, ცარიელი ხელით რას გახდებოდნენ უკვე გაძლიერებულ ცეცხლთან. ტელეფონით გამოუძახიათ ხონიდან, სამტრედიიდან და ქუთაისიდან ცეცხლმქრობი რაზმები. ცეცხლი ელვის სისწრაფით ვითარდებოდა თურმე. ცეცხლმა ყველაფერი შთანთქა, გარდა შიშველი კედლებისა.

მოხსენებული ოთხი ახალგაზრდა დააპატიმრეს, მაგრამ მალე, ფ. მახარაძის განკარგულებით, გაათავისუფლეს, როგორც უნებლიე დამნაშავენი.

3

თბილისში საკავშირო ცაკ-ის სესია გახსნილიყო. სხდომები ოპერის თეატრში მიმდინარეობდა დილა-საღამოობით. მთელი ჩვენი მთავრობაც სულ იქ იყო და ვერ მოვახერხე ვერც ამხ. სერგო ორჯონიკიძისა და ვერც სხვისი ნახვა, ვინც მე მაინტერესებდა. გაზეთებს მივეცი მცირე ცნობა, რის საფუძველზე ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარეს მამია ორახელაშვილს საკავშირო ცაკ-ის წინაშე გაკეთებული მოხსენების დროს, სხვათა შორის, უცნობებია სტუმრებისათვის, რომ დეპეშებმა დღეს ცუდი ამბავი მოგვიტანა, დაიწვა ვეებერთელა სახალხო სახლი, სოფელ მათხოჯის გლეხების ინიციატივითა და შრომით აგებულიო...

შეეედი ოპერის თეატრში და ვინახულე საკავშირო ცაკის თავმჯდომარე მიხეილ ივანეს ძე კალინინი. მდგომარეობის გაცნობის შემდეგ ამხანაგმა კალინინმა მოისურვა მათხოჯში წასვლა. 1925 წლის 5 მარტს ღამის პირველ საათზე მატარებელში ჩავჯექით და თბილისიდან მათხოჯისაკენ გავეშურეთ. მე მეგონა მათხოჯში მ. ი. კალინინი წამოვიდო-

და იმ ოციოდე კაცის თანხლებით, რომლებიც მის ირგვლივ ფუსფუსებდნენ. შემდეგ გამოირკვა ჩემთვის, რომ ასზე მეტი ქალი და კაცი მოდის მათხოჯში.

გარდა მთავრობის წევრებისა, კალინინს მოჰყვებიან სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებისა და ორგანოების წარმომადგენლები.

რა უბრალო, სადა, გონებამახვილი და საყვარელი კაცი იყო მიხეილ ივანეს ძე. გორამდეც არ ვიყავით მისული, უკვე გამიშინაურდა, სითბო მაგრძნობინა, დამიახლოვა, შემიჩვია. ხან ოხუნჯობდა, ხან ნაირნაირ კითხვებს მაძლევდა. მასთან ვიჯექი კუპეში, სხვადასხვა ამბებს მაყოლებდა, მაგრამ ჩემი გონებიდან მათხოჯის სახალხო სახლი არ ამოდიოდა.

დილით ჩავედით ქუთაისში. სადგურის ბაქანზე საპატიო ყარაული და ორკესტრი დახვდა საკავშირო ცაკ-ის თავმჯდომარეს მ. ი. კალინინს. სადგურის უკან ტრიბუნა იყო აღმართული და ზღვა ხალხი ელოდა. მისალმებებისა და კალინინის მოკლე სიტყვის შემდეგ საპატიო სტუმარს დაათვალიერებინეს ქალაქი. მე არ მიცილებდა გვერდიდან. აღლუმიც მიიღო. ბევრი რამ დაათვალიერა, მაინცდამაინც არ მოიწონა, როცა ახლად დანგრეულ ტაძართან მიიყვანეს: „მეტი არაფერი საქმე გქონდათ გასაკეთებელიო?" — ჰკითხა ქუთაისის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეს. ერთ-ერთი მოხუცი გლეხი სათხოვნელად მივიდა კალინინთან: გთხოვთ დატოვოთ განკარგულება, აწი არ დამიჭირონ, ცხრა დღე ვიჯექი „ნაობახტშიო".

ვინ ჩაგსვა ან რისთვისო. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ, იმისათვის რომ ღმერთი მწამსო.

— ახალთაობის ხალხს ხომ არ ებრძვი?

— არა, ისინი კარგ საქმეს აკეთებენ.

— ქუთაისის აღმასკომის თავმჯდომარეო! — მიიხმო კალინინმა ლორთქიფანიძე, — თვრამეტი დღით ჩასვი სოფსაბჭოს თავმჯდომარე (გაორკეცა მოხუცის ციხეში ჯდომის დღეები).

ნაშუადღევის 4 საათი შესრულებული იყო, როცა ქუთა-

ისის აღმასკომის თავმჯდომარემ სადილზე მიიპატიჟა სტუმრები.

4

არაფერი არ მახარებდა. მკლავდა ფიქრები: ჩემმა სოფელმა არ იცის, რომ ამდენი საპატიო პირი ესტუმრება. გუშინ საღამოს, როცა ეს გადაწყდა, დეპეშის გაგზავნაც ვერ მოვასწარი. ანდა რა უნდა მიმეწერა და რამდენი რამ უნდა მიმეწერა?! ისიც ვიფიქრე, დეპეშას უთუოდ ჩვენ ჩავუსწრებთ-მეთქი, და არც კი მოვინდომე მისი გაგზავნა. ნეტავ გამეგზავნა, იქნებ ჩაესწრო. ცოტა სარგებლობას მაინც მოიტანდა!.. რად მინდა, რომ გამოვჭიმულვარ ამ მშვენიერ სუფრაზე?!

უცებ ვკითხე კალინინს:

— მიხეილ ივანეს ძევ! როგორ ფიქრობთ, დავრჩებით ამაღამ ქუთაისში თუ დღესვე გავემგზავრებით მათხოჯში?

— თქვენი აზრი? — მკითხა მან.

— როგორც თქვენ გნებავთ! ახლა უკვე ხუთი საათია, სადილად ახლა დაბრძანდით, ორი-სამი საათი მაინც დარჩებით სუფრაზე. ახლა ადრე ღამდება, იქნებ გაგიჭირდეთ ღამით ოცდაათი კილომეტრის გავლა, ვიდრე მათხოჯში ჩავიდოდეთ? როგორც გნებავთ! გნებავთ, წავიდეთ!..

— დავრჩეთ ამაღამ ქუთაისში და დილით გავემგზავროთ! — თქვა მან. მეც ეს მინდოდა. ამის შემდეგ ვუთხარი:

— ნება მიბოძეთ, მე ახლა წავიდე მათხოჯში და დილით ისევ დავბრუნდე თქვენთან!...

— არა, არა, მე შენ არ გაგიშვებ!

გავუმეორე თხოვნა. მოვახსენე, რომ ჩემმა სოფელმა არ იცის, რომ მას საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის ცაკ-ის თავმჯდომარე ესტუმრება. მინდა წინასწარ შევატყობინო და, თუ თქვენ მიბრძანებთ, ისევ დავბრუნდები ქუთაისში და გეახლებით გზაში!..

— კარგი, გაგიშვებ! ჯერ ჩვენ შენს სადღეგრძელოს დავლევთ, შენ ე მაგ დიდი ჭიქა გააკსე და გამოცალე!..

გულზე მომეშვა. შესაძლებლობა მეძლეოდა ცოტათი მაინც შემემზადებინა სოფელი.

— დილით გეახლოთ ქუთაისში, თუ მათხოჯში დაგხვდეთ? — ვკითხე ერთი საათის შემდეგ, როცა სუფრიდან ადგომისა და გამგზავრების საშუალება მომეცა.

— არა, შენ ნუ დაბრუნდები, იქ დაგვხვდი!

— ხვალ რომელ საათზე წამობრძანდებით?

— რომელზე სჯობს?

— თერთმეტ-თორმეტ საათზე, ორი საათის შემდეგ მათხოჯში იქნებით!

— კარგი!

დროებით გამოვემშვიდობე სტუმრებს. მაზრის აღმასკომის თავმჯდომარემ მსუბუქი მანქანა გამომიყო. ჩავჯექი და გულის ფანცქალით გავსწიე მათხოჯისაკენ. ქუთაისიდან ხონამდე მიმავალ შარაგზას ქვებისაგან წმენდდა ხალხი.

ხონის აღმასკომის თავმჯდომარეს და რაიკომის მდივანს (რომლებიც დაბის დასუფთავებას ხელმძღვანელობდნენ შუაღამეში) ვუთხარი: როგორც იცით, კალინინი მათხოჯში მიდის, სურს ცეცხლისაგან დაზარალებული სოფელი ნახოს, მისი ნამოქმედარი დაათვალიეროს, დაეხმაროს და გაამხნეოს, კერძოდ, ხონში მას არაფერი საქმე არა აქვს და, ვფიქრობ, არც გაჩერდება. მათხოჯი ხონის რაიონში შედის და იგივე ხონია. ამიტომ გთხოვდით, გაგეცათ განკარგულება: მთელი ნახახულევის საზოგადოება, რომელშიაც შედის სოფ. მათხოჯი და, თუ ყველა არა, ნაწილი მაინც ხონიდან, ხვალ დღის პირველი-ორი საათისათვის მათხოჯის სახალხო სკოლასთან მოვიდეს მრავალრიცხოვან მიტინგზე, სადაც კალინინი უთუოდ სიტყვას იტყვის-მეთქი.

ასე მიპასუხეს: კარგი, ვნახოთ, თქვენ ახლა წაბრძანდით მათხოჯში და მოემზადეთო.

მეორე დღეს პირველი საათი ახლოვდებოდა და არც ნახახულევის საზოგადოებიდან და არც ხონიდან კაცი არ ჩანდა. დავურეკე ხონს, რაშია საქმე-მეთქი? მიპასუხეს: ხონელები ხონში შეხვდებიან კალინინსო. დავურეკე ნახახულევს, მიპასუხეს: ხონიდან განკარგულება მივიღეთ, ნახახულევის კანცელარიაზე მოვიყაროთ თავი და იქ დავხვდეთ მოსკოვიდან ჩამოსულ დიდ სტუმარსო! მოწაფეები მაინც გამოგზავნეთ-მეთქი. არ შეიძლება, აქ უნდა დახვდნენო! მათხოჯელი მოწაფეები მაინც გამოგზავნეთ ნახახულევის სკოლიდან-მეთქი! არც ეს შეიძლებაო.

ცეცხლი შემომეკიდა! ძალ-ღონე არა მქონდა ამ სიმახინჯესთან შესაბრძოლებლად და არც სამაგისო დრო იყო.

სწრაფად მოვიხმე ჩემთან 20-25 კაცი და ვთხოვე — ზოგი ცხენით, ზოგი ფეხით წასულიყო ცხენისწყლის გაღმა სამეგრელოს სოფლებში — ქვედა ხუნწში, ზედა ხუნწში, ლეციცხვაიეში, ბუმბუას ხიდზე, ნოღაში, დიდღვაბუნაში, გორდში... ყველგან, ყველგან შეეტყობინებინათ ხალხისათვის — კალინინი ჩამოდის მათხოჯში, დიდი მიტინგი იქნება და მოდით-მეთქი! ისიც უთხარით, კალინინს ვთხოვოთ, ცხენისწყალზე ხიდი აგვიგოს-თქო!

თვალის დახამხამებაში გაქრნენ, ვინ სად წავიდა და ვინ სად! დანარჩენები განვაგრძობდით საჭირო სამზადისს. თავიანთ სახლებს ასუფთავებდნენ დიასახლისები, საბნებსა და ლეიბებს ფერთხავდნენ და საწოლ ლოგინებს ამზადებდნენ, ვინიცობაა სტუმრებმა სადილისა და ვახშმის შემდეგ დაძინება მოისურვონ და მთელი ღამე ნადიმში არ გაატარონო. დრო ნელ-ნელა მიდიოდა. ცხენისწყლის გაღმიდან ჯგუფ-ჯგუფად გამოდიოდა ხალხი დროშებით, დაირებით, მუსიკით, ლოზუნგებით!.. მალე მთელი სოფელი აივსო ხალხით. მათხოჯში ფეხის დასადგამი ადგილი ცარიელი არ იყო. სახალხო სახლის ვეებერთელა ეზო გაივსო ხალხით. მათხოჯიდან ნახა-

ხულევამდე გზის ორივე მხარეზე, საიდანაც კალინინი უნდა ჩამოსულიყო, ზღვა ხალხი განლაგდა.

6

ოთხი საათი შესრულებული იყო, როცა მეწინავე მანქანა ჩამოვიდა მათხოჯში. მიკითხა, მითხრა, თხუთმეტ-ოც წუთში აქ იქნებიანო, და სწრაფად გაბრუნდა უკან.

ხუთის ნახევარზე მათხოჯში შემოვიდნენ მანქანები: ერთი, ორი, სამი... ოცდახუთი. სახალხო სახლის წინ, პირდაპირ მთავარ კარებთან გაჩერდა მანქანა, რომელშიაც კალინინი იჯდა. ვეახელი, ხელი მოვკიდე და ჩამოვიყვანე (შევიყვანე კარებში, გავატარე ტალანში).

ეზოში გავედით, იქ ზღვა ხალხი ელოდებოდა საპატიო სტუმარს. ტრიბუნაზე ავედით.

მიტინგი გავხსენი. მოკლე სიტყვა ვთქვი ქართულ ენაზე. ილაპარაკეს მომზადებულმა მოხუცმა გლეხებმა, ქალმა, მასწავლებელმა, მოსწავლემ. ვანო სტურუამ გადათარგმნა ყველას სიტყვა ერთად, რაც ჩვენ დაგვაკლდა — დაამატა, რაც მეტი ვთქვით — გამოტოვა და ერთი ისეთი შინაარსიანი და ლამაზი სიტყვა წარმოთქვა, რომ, როგორც იტყვიან, „წყალი არ გაუვიდოდა“.

კალინინმა მთხოვა სიტყვა. გამოვაცხადე:

— სიტყვა ეძლევა სრულიად რუსეთის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სტაროსტას და საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, დიდი რუსი ხალხის სახელოვან შვილს მიხეილ ივანეს ძე კალინინს!— (ტაშის გრიალი, უთუოდ, მეზობელ სოფლებში ისმოდა).

კალინინმა დიდხანს ილაპარაკა, დაასრულა იმით, რომ თქვა: ჩანს, მათხოჯისათვის ნაადრევია ასეთი დიდი სახლის აგება, თქვენ შენება შეგძლებიათ, მაგრამ მოვლა არაო. ასეთი დიდი შენობის აგება იქ, სადაც მძლავრი ცეცხლმქრობი რაზმი არ არის, საშიშია, თუ ამდენი ოთახი და ამ ტევადო-

ბის შენობა სჭირდება თქვენს სოფელს, ის ერთადერთ შენობად კი არ უნდა აგეგოთ, არამედ ცალ-ცალკე, ოთხ-ხუთ შენობადო. ცოტათი დაგვტუქსა, მაგრამ დახმარება აღგვითქვა და გული გაგვიხარა.

კალინინის სიტყვა ხალხს ქართულად გადაუთარგმნა ფილიპე მახარაძემ და თავისი სიტყვაც იმავე სტილით განაგრძო.

— სიტყვა ეძლევა ძველ მუშას, კალინინის ამხანაგს, ცნობილ ვანო სტურუას!..

ვანოსაც ტაშით შეეგებნენ. ვანომ იქუხა: — ამხანაგებო, მეზობლებო, თანამემამულენო!.. თქვენ გმირები ხართ! თქვენ იმათგანი ხართ, რომლებმაც გაიგეთ დიდი ოქტომბრის რევოლუციის აზრი, გადადგით პირველი აუცილებელი ნაბიჯები საკუთარი თავის გათვითცნობიერებისა და განათლებისათვის. მეფის მთავრობა ასეთ საქმეში არ დაგეხმარებოდათ, ჩვენ თქვენთანა ვართ, ამ კარგი და საშვილიშვილო საქმის კეთების დროს გვერდში ამოგიდგებით, დაგეხმარებით. ამხანაგმა კალინინმა სამართლიანად მოგიწოდათ, რომ თქვენს გმირულ შრომასთან ერთად მეტი სიფხიზლის გამოჩენა გჭირდებათ! პროდილაქტიკური ზომების მიღებაა საჭირო, რომ გაკეთებული არ გაუფუჭდეს, არ განადგურდეს, არ დაიღუპოს, უნდა მოუაროთ!.. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მარცხი ხდება ხანდახან! თქვენც მარცხი მოგსვლიათ! გული არ წაგიხდეთ, სულით არ დაეცეთ, არ დაძაბუნდეთ! კიდევ მეტი ენერგიით შეუდექით საქმეს, ამ შენობის აღდგენას! მუშათა და გლეხთა მთავრობა, თქვენი მთავრობა თქვენთან იქნება, ყოველმხრივ დაგეხმარებათ და ერთად ვიზეიმებთ თქვენი საერთო სახლის დამთავრებისა და გახსნის დღეს! გაუმარჯოს მათხოვრელებს! გაუმარჯოს ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოს! გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა მთავრობას!.. (მქუხარე ტაში).

მიტინგი დავამთავრეთ. მოკლე სიტყვით ვთქვი, რომ მარცხი მოგვივიდა, მაგრამ დღეს მაინც უფრო მდიდარი ვართ,

ვიდრე ხუთი წლის წინათ ვიყავით: მაშინ არაფერი გვქონდა, დღეს ამ ვეებერთელა შენობის კედლები მაინც გვაქვს და მისი დიდი ეზო! ხალხის კვლავინდებური მონდომება, ფართო მასების თანაგრძნობა და მთავრობის დახმარება ჩვენ ამ საქმეს სახელოვნად დაგვაგვირგვინებინებს...

— გაუმარჯოს ჩვენს სტუმრებს კალინინის მეთაურობით!

— გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა მთავრობას!

საკმაოდ შეღამებული იყო, როცა მიტინგი დაიხურა. მიხეილ ივანეს ძეს და მის მხლებლებს გავუძეხი ჩემი სახლისაკენ. საგანგებოდ შერჩეული პირები ეპატიჟებოდნენ ჩემს სახლში მეზობელი სოფლებიდან ჩამოსულ, (აგრეთვე ადგილობრივ) მოხუცებს და საპატიო პირთ. წამობრძანდნენ მოპატიჟებულები, სამასზე მეტმა კაცმა და ქალმა მოიყარა თავი. ორსართულიანი და შვიდოთახიანი ჩემი სახლის ყველა ოთახსა და აივნებზე სუფრები იყო გაშლილი. ეზოში ოცდახუთი მანქანა იდგა; მანქანებში შოფრებსა და ახალგაზრდებს გავუმართეთ პურ-მარილი. ყოველ მანქანაზე მთელი ღამის განმავლობაში ანათებდა საკუთარი სინათლე, ჭრაქი და სტეარინის სანთლები. ყოველ ოთახს საკუთარი თამადა ჰყავდა. კალინინი, მახარაძე, სტურუა, თოდრია და სხვები, 40-50 კაცი და ქალი ზედა სართულის გაშლილ დარბაზში ისხდნენ და ილხენდნენ. ოთხი თამადა გამოიცვალა იმ ღამეს დარბაზმა, რომელშიაც კალინინი იჯდა, არა მარტო იმიტომ, რომ ერთმა თამადამ ვერ შეძლო საღამოს რვა საათიდან გათენებამდე თამადობა, არამედ უფრო იმიტომ, რომ ნაირ-ნაირობა იყო საჭირო და ბევრს უნდოდა თამადობის ნიჭი გამოეჩინა კალინინის წინაშე და თავისებური სილამაზით, ლხინით წარემართა სუფრა. ჯერ კოლია წულუკიძე იყო თამადად. ის შეცვალა ბიძაჩემმა, თეთრწვერა ლამაზმა კაცმა, სპირიდონ ძიძიგურმა, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცოდა და მშვენიერი ტკბილი მომღერალი იყო. ბიძაჩემს შეეჯიბრა მოხუცი ერისტო მელაძე. გათენებისას ვანო სტურუამ აიღო ჭიქა,

თავი თამადად გამოაცხადა და თქვა: რვა მარტი უკვე გათენდა, დღეს ქალების დღეა, პირველ სადღეგრძელოს მათ ვუძღვნი. გაუმარჯოს ქალს, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამ უფლებებით მამაკაცებთან გაათანასწორაო!..

მთელმა ღამემ დიდი მხიარულებით ჩაიარა. ნაშუაღამევის პირველ საათზე მიხეილ ივანეს ძემ მითხრა: „გარმოშკა" თუ გაქვთო. იმ წუთშივე გაჩნდა. სოფლელი დედაკაცები კოხტად უკრავდნენ დაირასა და „გარმონს". პირველად კალინინმა ცეკვა. ტაშის გრიალი მთელ მათხოჯში ისმოდა. შემდეგ სხვებმაც იცეკვეს. სოფლელები ცეკვავდნენ კოხტად, სოფლურად. იყო ხმაშეწყობილი სიმღერა. ნაირნაირი სადღეგრძელოები, მოხდენილი სიტყვები. ისე გათენდა, დაღლა არავის უგრძვნია. ოთახები ოთახებს ეჯიბრებოდნენ სიმღერასა და მოლხენაში, ეზო — შენობას, შენობა — ეზოს...

დილის ექვსი საათი იქნებოდა, როცა კალინინმა მითხრა: თუ შესაძლებელია, სადმე ცოტა ხნით დავისვენო, დავიძინოო. იქვე, ჩემი სახლის გვერდით, ბიძაჩემის სახლში გადავიყვანე მისთვის მოსასვენებლად მოწყობილ ოთახში. რადგან მთავარი სტუმარი მოვასვენე და სხვები ადგილებიდან არ იძროდნენ, მეც დავწექი ბიძაჩემის მეორე ოთახში, მასპინძლობით ერთობ დაღლილი და დაქანცული, „თვალისწასადებად", ცოტა ხნით მაინც მოსასვენებლად; ჩანს, ღრმად ჩამეძინა, რადგან კალინინმა მანამ ვერ გამაღვიძა, სანამ საბანი სულ არ გადამხადა. სწრაფად დავიწყე ტანისამოსის ჩაცმა. კალინინი სახლიდან გავიდა. ჩაცმის შემდეგ მოვიკითხე დიდი სტუმარი, მითხრეს, იგი ახლა ბიძაშენის სამზარეულოში არისო. შევედი ოდა-სახლის უკან დადგმულ პატარა სამზარეულოში. შევედი — შუა ცეცხლი ანთია; მის ერთ მხარეს „ჯორკოზე" (სამზარეულოს „სკამზე") ღრმა მოხუცი ბიცოლაჩემი ზის და ქოთნიდან ყველს იყვანს, მის პირდაპირ „ჯორკოზე" კალინინი ზის და ერთმანეთს ხელებით ელაპარაკებიან (კალინინმა, გარდა ორი სიტყვისა, ქართული არ იცოდა, ბიცოლაჩემმა — რუსული). სამზად სახლში იმ დროს შევედი, როცა

ხელებით ელაპარაკებოდა ბიცოლა როგზანსა და ქოთანზე მიუთითებდა.

— ცუნცულა გინდა? — ჰკითხა ბიცოლამ კალინინს, თან თოთო ყველის ნაწყვეტი ამოუღო ქოთნიდან და მისცა. კალინინმა გამოართვა, პირში ჩაიდვა და „უჰ, უჰ“-ს ძახილით ჭამდა. ბიცოლამ იფიქრა, მოეწონაო:

— კიდევ გინდა ცუნცულა? ჰა!

— ბიცოლა, ეს პრეზიდენტია! — ვუთხარი მე.

— რაა, შვილო, „ეზიდენტი“?

— მეფის მაგიერი!

იჰ, მეფეს რა უნდა ჩემს „კუხნაში?!“

კალინინმა მთხოვა, გადამეთარგმნა დიალოგი. გადავუთარგმნე. იცინა ბევრი.

მიხეილ ივანეს ძე გადმოვიყვანე ჩემს ეზოში. ეზო სავსე იყო მთვრალი და უძინარი ხალხით. სუფრებიდან თითქმის ყველანი ამდგარიყვნენ და ეზოში გამოსულიყვნენ. მოხალისენი თავმოხდილ ჭურებთან იდგნენ და ჩვენებური „ხრიკებით“ სვამდნენ ღვინოს. ბევრს ეძინა ეზოში მდგარ მანქანებში. ზოგს სუფრებზე ჩამოსძინებოდა და იქვე დარჩენილიყო, ზოგიც ჭაზე იბანდა პირს. მათხოვრის მეზობელი სოფლებიდან ჩამოსული სტუმრები თავიანთ სახლებში წასულიყვნენ. დიასახლისები ასუფთავებდნენ ძველ სუფრებს და ახალს აწყობდნენ.

მალე საუზმეზე მივიპატიჟეთ სტუმრები.

საუზმე ერთი თუ ორი საათი გაგრძელდა. კალინინი ადგა, მადლობა თქვა, წარმატება უსურვა ჩვენს საქმეს, მოისურვა ერთხელ კიდევ ნახვა სახალხო სახლისა და ცხენისწყლის ნაპირების დათვალიერებაც. ჩავსხედით მანქანებში. ჩავუარეთ სახალხო სახლს, განვაგრძეთ გზა ჩრდილოეთისაკენ. ორისამი კილომეტრის გავლის შემდეგ, როცა სოფელი გათავდა, შემოაბრუნეს მანქანები და უკან დავბრუნდით. მანქანები შევაჩერეთ სახალხო სახლთან, კალინინი გადმოვიდა მანქანიდან,

ეზოში შევიდა, სახლს შემოუარა, ჩაჯდა მანქანაში და ხონისაკენ გასწია.

7

მიხეილ ივანეს ძემ სიტყვიერი განკარგულება მისცა საქართველოსა და ამიერკავკასიის მთავრობებს, დახმარებოდნენ მათხოჯლებს სახალხო სახლის აღდგენასა და დაწყებული მშენებლობის დამთავრებაში. თვითონ მოსკოვიდან მათხოჯს გამოუგზავნა ათი ათასი მანეთი (ჩერვონცით) რუსეთის სოციალისტური ფედერატიული რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელით და ათი ათასი მანეთი (ჩერვონცით) — საკავშირო ცაკ-ის სახელით. ამ თანხამ და მისმა განკარგულებამ საქართველოსა და ამიერკავკასიის მთავრობებისადმი ფეხზე წამოაყენა წაქცეული საქმე და მათხოჯლების მუშაობამ და ფართო საზოგადოების დახმარება-შემოწირულებამ დაგვირგვინეს ის. შენობის დაწვის შემდეგ ხუთი წლის მუშაობა შეიქნა საჭირო, რომ ცეცხლისაგან მიყენებული ზარალი (ას ოცი ათასი მანეთი ჩერვონცებით) აგვენაზღაურებინა, მშენებლობა განგვეგრძო და სახლი დაგვემთავრებინა.

8

სახალხო სახლის მშენებლობა დასასრულს უახლოვდებოდა. გრძელი და ვიწრო აივნებისათვის რკინის მოაჯირები თბილისში გავაკეთებინეთ და მათხოჯში ჩავიყვანეთ მათი ადგილზე გამმართავი ზეინკლების ბრიგადა ალექსანდრე ლონგურაშვილის მეთაურობით. მინების ჩასმის ოსტატი ოცთუ ოცდაათ ყუთ შუშასთან ერთად თბილისიდან მათხოჯს გაემგზავრა, ცნობილ მხატვარს პროფესორ ლანსერეს თეატრის ფარდის ესკიზი გავაკეთებინეთ. ამ ესკიზის ადგილზე შესრულება და თეატრის მხატვრულად გაფორმება ვთხოვეთ ჩემი

„პირველი წიგნის“ მხატვარს, ჩემს მეგობარს აპოლონ ქუთათელაძეს, მხატვარ სევერიან კეცხოველს და რეჟისორ ნიკოლოზ კახიძეს. თეატრისა და ბაღის სკამები იმ დღეებში გადავგზავნეთ თბილისიდან მათხოჯში.

თბილისიდან ჩაყვანილი ოსტატები კვირაობით და ოვეობით ცხოვრობდნენ მათხოჯში და მუშაობდნენ სახალხო სახლზე. კერძოდ, აპოლონ ქუთათელაძე, სევერიან კეცხოველი და კოლია კახიძე თვრამეტ დღეს უსასყიდლოდ მუშაობდნენ, დახატეს თეატრის ფარდა, კედლები, უხელმძღვანელეს დარბაზის მოწყობას, სკამების განლაგებას, ადგილებზე მათ დამაგრებას და სხვ.

მათხოჯის სახალხო სახლისა და მისი ეზოს მშენებლობა დამთავრდა. სახლის გახსნის დღე შევუთანხმეთ საქართველოს მთავრობას, — შევუფარდეთ ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულს: სახლის გახსნის დღედ დაინიშნა 1929 წლის 8 ნოემბერი.

9

შევუდექით სახლის გახსნისათვის საჭირო მზადებას. გახსნაზე მისაპატიჟებელი ბარათებიც დავბეჭდეთ და დავუგზავნეთ ყველას.

მიხეილ ივანეს ძე კალინინს გავუგზავნეთ მოსაპატიჟებელი დეპეშა.

გახსნის დღემდე ერთი კვირით ადრე ჩავედი მათხოჯში წინასწარი სამზადისის ჩასატარებლად. ჯერ ხონის რაიკომში შევედი და ახალდანიშნული მდივანი ვინახულე. შევატყობინე, რომ მათხოჯის სახალხო სახლის გახსნის დღედ დანიშნულია 8 ნოემბერი და ისიც ვუთხარი, რომ ეს საკითხი შეთანხმებულია საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან და მთავრობასთან. გადაირია, უჩვენოდ ვინ მოგცათ მაგის ნებაო, მაგრამ რას გახდებოდა. წინადადება მომცა, სახლის გახსნამდე მშენებელ საბჭოს და სარევიზიო კომისიას სა-

ანგარიშო მოხსენება გაეკეთებინა რაიკომის ბიუროს სხდომაზე.

დანიშნულ დროს მათხოჯის სახალხო სახლის მთელი პრეზიდიუმი ჩავიდა დილიჟნით მათხოჯიდან ხონში; დილიჟანი გვიცდიდა უკან წასაყვანად.

ვრცელი მოხსენება გავაკეთე. შემდეგ ილაპარაკა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე ბარაბაძემაც.

ნაშუადღევის პირველი თუ ორი საათი იქნებოდა, როცა მათხოჯლები ჩვენს დილიჟანში ჩავსხედით და მათხოჯში დავბრუნდით. სახლის გახსნამდე ერთი თუ ორი დღე რჩებოდა და მოსაგვარებელი ბევრი რამ გვქონდა.

10

რვა ნოემბერს დილით, ათ-თერთმეტ საათზე საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ამხანაგი ფილიპე მახარაძე, რამდენიმე სახალხო კომისარი და სხვა სტუმრები ჩამოვიდნენ.

ჯერ მათხოჯის სახალხო სახლის მშენებელი საბჭოს გაფართოებული სხდომა ჩავატარეთ სახლის კლუბის დარბაზში, შემდეგ მიტინგი, რომელსაც ზღვა ხალხი დაესწრო. მიტინგი გახსნა რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ნადარეიშვილმა. ფილიპე მახარაძემ თავისი სიტყვის დასასრულს აცნობა საზოგადოებას, რომ, მთავრობის დადგენილებით, სოფელი მათხოჯი გამოყოფილია ნახახულევის სასოფლო საბჭოდან და ამიერიდან მათხოჯს უფლება ენიჭება თავისი სასოფლო საბჭო აირჩიოს. სასულე ორკესტრი გრიალებდა. სახალხო სახლში მიკროფონები იდგა და გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე წარმოთქმული სიტყვები მთელ საქართველოს ესმოდა.

იმ დღეს ყველა მათხოჯელს თავისი სადილი, იმ ვარაუდით, რომ ორი-სამი სტუმარი თავის პურმარილზე მიეპატიჟებინა, მოტანილი ჰქონდა სახალხო სახლში. მათხოჯლე-

ბი და მათი სტუმრები სადილობდნენ და მოილხენდნენ სახლის ეზოსა და ოთახებში. დიდი სუფრა გაშლილი იყო თეატრის დარბაზში; თამადობდა ფილიპე მახარაძე.

მათხოჯის სახალხო სახლის გახსნა გადაიღო კინომ. თბილისის კინოთეატრები ქრონიკაში კარგა ხანს უჩვენებდნენ საზოგადოებას სახლის გახსნას.

დღეს მათხოჯის სახალხო სახლსა და მის წინ (ქუჩის გადაღმა) დადგმულ შენობაში მოთავსებულია: საშუალო სკოლა, თეატრი, ფოსტა-ტელეგრაფი, აფთიაქი, სამედიცინო პუნქტი, კოოპერატივი, წიგნის მაღაზია, სასოფლო საბჭო...

მათხოჯის სახალხო სახლი სოფლის კულტურულ დაწესებულებათა ერთ-ერთი ისეთი დიდი შენობაა, რომლის აგება სოფლელთა ინიციატივით შესაძლებელი გახდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდან-ვე. ასეთი ღონისძიების გატარებაზე ძველ დროს ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ამის თვალნათლივი მაგალითი, თუ გნებავთ, იმავე მათხოჯის სახალხო სახლის აშენების იდეაა, რომელიც 1912 წლიდან 1921 წლამდე მხოლოდ იდეად დარჩა და მის რეალურ საქმედ ქცევას არა ეშველა რა.

XI

ნიკო ნიკოლაძე (1843—1928)

ხონის საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარიაში ჩემი მოწაფეობის დროს (1905-1909 წწ.) რამდენიმეჯერ მინახავს ნიკო ნიკოლაძე, მისი განათლებული დები (კატო და ანიკო) და შვილები (რუსუდან, გიორგი, თამარი). ისინი სტუმრად ჩამოდიოდნენ სემინარიის დირექტორ ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძესთან, რომელსაც ცოლად ჰყავდა ნიკოს უმცროსი და, ეფროსინე იაკობის ასული, ქალი ფრიად განსწავლული, ჭკვიანი და სათნო.

სამასწავლებლო სემინარიის მოსწავლეები უბრალო ხალხის შვილები ვიყავით, თავდაპირველად საზოგადოებაში ხეირიანად თავის დაჭერისა და წესიერი ქცევის კულტურა არა გვქონდა. უბრალო ჩაის დალევა რა არის, იმასაც კი ვერ ვახერხებდით უმარცხოდ. პირველ ხანებში ერთობ ბევრი ჩაის ჭიქა გვიტყდებოდა შაქრის გასადნობად კოვზის უშნოდ მოქნევის გამო. ჩვენი აღმზრდელი ალექსი ჭიჭინაძე პირველი სამი წლის განმავლობაში შინაურულად და შინაურებში გვინერგავდა სათანადო ჩვევებს. მეოთხე წელიწადს გამოსაშვები კლასის მოსწავლეები ყოველ შაბათ საღამოს მასთან (მის ბინაზე სემინარიის შენობაშივე) იყვნენ მიწვეული „ერთ ფინჯან ჩაიზე“, სადაც (თითქოს საგანგებოდ იყო მოწყობილიო) მომავალი მასწავლებლები ხვდებოდნენ ალექსი ბესარიონის ძის სტუმრებს, რომელთა შორის, გარდა ადგილობრივ ცნობილ მასწავლებელ-აღმზრდელების და წარჩინებული პირებისა, სხვადასხვა დროს იყვნენ მგოსანი აკაკი წერეთელი და მწე-

რალი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე, მისი დისშვილი კაკი წერეთელი, ხონის მეცენატი ივანე შარაშიძე, ცნობილი ექიმი ივანე გომართელი, რუსული გაზეთის რედაქტორი პართენ გოთუა, ანარქისტი მიხაკო წერეთელი, ბოლშევიკი სერგო ქავთარაძე, კომპოზიტორი კოტე ფოცხვერაშვილი, სახელმოხვეჭილი პედაგოგები იოსებ ოცხელი, დები ნიკოლაძეები, ილარიონ ლორთქიფანიძე და სხვ.

ნაირნაირი იყო იმ შაბათების პროგრამა: კამათი, ბაასი, ცეკვა, დეკლამაცია, ბილიარდი, ნარდი, ბანქო, მუსიკა (გიტარა, ვიოლინო, როიალი), გაზეთის, ჟურნალის თუ ლიტერატურული ნაწარმოების კითხვა-გარჩევა, მოგონებანი. მსჯელობა საკითხებზე: რა პროფილის სკოლა უფრო სჭირდება ჩვენს ქვეყანას (ზოგადსაგანმანათლებლო, სასოფლო-სამეურნეო, ტექნიკური), ჩვენი ქვეყნის წარსული, აწმყო, მომავალი და სხვ. საათნახევრისა თუ ორი საათის ასე გატარების შემდეგ დიასახლისი — ეფროსინე იაკობის ასული გულთბილად ეტყოდა ყველას: „გთხოვთ ჩაიზე“! წარმოიდგინეთ, რა ერუანტელი დაუვლიდა სემინარიელებს ტანში ამ სიტყვებზე... ხომ გაწაფული იყვნენ ისინი იმ დალოცვილი ჩაის დალევაში — აქაიქ ვისიმე ჭიქა მაინც გაიბზარებოდა, ან ზოგი ჩაის უშაქროდაც კი დალევდა, რადგან დაშაქვრისათვის საჭირო წამოდგე, საშაქრე აიღო, სხვებსაც მიაწოდო, გვერდით მჯდომ მანდილოსანსაც თავაზიანად ემსახურო... ტკბილეული საკმე იყო სუფრაზე, ღვინოცა და ხილიც საკმაო, მაგრამ პირველ ხანებში ზოგი სემინარიელი მშიერ-მწყურვალი დგებოდა სუფრიდან, შემდეგ და შემდეგ კი, ცხადია, ეჩვეოდა განათლებულ საზოგადოებაში თავისუფლად მოქცევას და სათანადოდ თავის დაჭერას.

1908-1909 სასწავლო წლის შაბათობით მეც ვიყაკი საყვარელი აღმზრდელ-დირექტორის სტუმართა შორის და არაერთხელ მქონდა ბედნიერება მონაწილეობა მიმეღო ბაასსა, თხრობასა, დეკლამაციასა და კამათში, რის ნიმუშებსაც თვალნათლივ ვხედავდით და ვითვისებდით სუფრასა და სუფრის

გარეთ არა მარტო ჩვენი თანატოლი სტუდენტების: ბესიკის (დირექტორის შვილი), რუსუდანის, გიორგის (ნიკო ნიკოლაძის შვილები) და მათი ამხანაგების გამოსვლებში, არამედ დიდებიც მუდამ ცხოველ მონაწილეობას იღებდნენ ასეთ (სემინარიელებისათვის დაუვიწყარ) შეკრებებში და სანიმუშო ქცევით მაგალითს გვაძლევდნენ. აი, ამ ატმოსფეროში ვიწვრთნებოდით მომავალი მასწავლებლები, ალექსი ჭიჭინაძის აღსაზრდელები.

ნიკო ნიკოლაძის შესახებ უნდა ითქვას, რომ იმ დროს ყოველმა სემინარიელმა იცოდა, რომ ის („ნ. სკანდელი", „რიონელი", „ნ. არავინ", „ქუთაისის მეპორე"...) დიდი ფიგურა იყო; ნ. გ. ჩერნიშევსკის პირადი ნაცნობი და მეგობარი, ა. ი. გერცენის ჯგუფის თვალსაჩინო წევრი ემიგრაციაში, საზღვარგარეთ ნამყოფი, ქართული, რუსული და ევროპული პრესის თვალსაჩინო მოღვაწე, პოპულარული ჟურნალ-გაზეთების რედაქტორი, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მეგობარი და თანამებრძოლი, დიდი ლიტერატორი და პუბლიცისტი, ახოვანი, ლამაზი, ქართული სახის კაცი, ენერგიით სავსე, დაუდეგარი ადამიანი.

აი, ეს სახელოვანი, ყველა ღირსებით შემკული პიროვნება, მხცოვანი (თითოეულ ჩვენგანზე 45-50 წლით უფროსი) თავს ისე გვიტოლებდა, ისე უბრალოდ და სადად გველაპარაკებოდა, რომ იფიქრებდი: დიდსა და პატარა კაცს შორის დისტანცია არ ყოფილაო.

„ამხანაგური" საუბრებიდან და მეგობრული რჩევა-დარიგებიდან ნათლად იგრძნობოდა, თუ რაოდენ დიდად იყო დაინტერესებული ნიკო ნიკოლაძე თითოეული ჩვენგანის (მომავალი მასწავლებლის) მსოფლმხედველობით, მომზადებით, განზრახვებით, სოფლად ჩვენი მომავალი პრაქტიკული მუშაობის გეგმით.

დიდი პატივისცემით, სიყვარულითა და ნდობით სარგებლობდა ნიკო ნიკოლაძე ხონის საზოგადოებაში: ფოთის გამშვენიერებას, ნავსადგურის გაკეთებას, ცხენისწყლიდან სარ-

წყავი არხების გამოყვანას და მრავალ სხვა სიკეთეს მის სახელს უკავშირებდნენ. ყოველი ჩამოსვლისას ხონში მას ბუზივით ეხვეოდა ხალხი — სარწყავი არხების მშენებლობის რწმუნებულნი იყვნენ ისინი, მომხმარებელნი თუ ნაირნაირ საკითხებზე რჩევა-დარიგების მთხოვნელნი.

დიდი პოპულარობა და საყოველთაო პატივისცემა სახელოვანი ცოლისძმისა, ჩანს, დიდად ახარებდა ალექსი ჭიჭინაძეს.

ერთხელ, როცა ნიკო ნიკოლაძის მიერ ქვეყნის საკეთილდღეოდ გაკეთებული საქმეებით აღფრთოვანებული მის დიდკაცობაზე ვლაპარაკობდით, ალექსი ჭიჭინაძემ გვიამბო, თუ როგორ იკრიბებოდნენ ალექსის მშობლების ოჯახში სტუდენტები და უნივერსიტეტის ახალკურსდამთავრებული ახალგაზრდები, რა გატაცებითა და გაცხარებით მსჯელობდნენ და კამათობდნენ ისინი ხალხისადმი უკეთესი სამსახურის გზებისა და საშუალებების გამონახვის მიზნით; გაიხსენა ისიც, თუ როგორ ტოლებად და ღვიძლ ძმებად თვლიდნენ ახალგაზრდები ერთმანეთს წლოვანებისა და მით უფრო, წოდების განურჩევლად და, ბოლოს, ღიმილით დასძინა:

— მახსოვს, ერთხელ ნიკომ მეგობრულად გადამხვია ხელი და ისე უსმენდა ამხანაგების კამათს. დედაჩემმა შემოიხედა დარბაზში და, დაინახა თუ არა, რომ ნიკოს ცალი მკლავი ჩემს ბეჭებზე ედო, გამიხმო ჩუმად მეორე ოთახში და დედაშვილური წყრომით მითხრა: „სწორედ არ მომწონს მე ეს!.. ის რა შენი ტოლია, ამხანაგურად რომ ჩამოგწოლია მხრებზე? შენც რად უყადრებ, შვილო, თავს? რატომ ივიწყებ, რომ შენ აზნაური ხარ და ის გლეხია? სად ჭიჭინაძე და სად ნიკოლაძე?..

ალექსი ბესარიონის ძეს არ უთქვამს, რომელ წელში ჰქონდა ადგილი ამ სასაცილო ამბავს (იქნებ თქვა და მე არ მახსოვდეს), მაგრამ, ცხადია, ეს იქნებოდა 1884 წელზე ადრე (როცა ალექსიმ ცოლად შეირთო ნიკოს და, უმაღლესი სასწავლებლების ახალკურსდამთავრებული ჭკვიანი და ქეკლუცი ფროსიკო).

ხონის გარდა, სხვაგანაც ბევრჯერ მინახავს ნიკო ნიკოლაძე, ერთხელ მის საყვარელ სოფელ დიდ ჯიხაიშშიაც, სადაც მას, როგორც იტყვიან ხოლმე, „ხალხი ჭკუას ეკითხებოდა“. სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში ლონდონიდან ახლად დაბრუნებულ ნიკო ნიკოლაძეს ხშირად ვნახულობდი თბილისში.

ჩემი და ა. გვახარიას „პირველი წიგნის“ (ნაწილი I და II) რედაქტორი იყო ნიკო ნიკოლაძის ასული პროფესორი რუსუდან ნიკოლაძე.

ჩვენი წიგნის მხატვრულად გაფორმების საკითხთან დაკავშირებით წიგნის ავტორები და მხატვრები (სახვითი ხელოვნების პროფესორი აპ. ქუთათელაძე და დოცენტი სამს. ნადარეიშვილი), რომლებიც, იმ ხანებში (1925 — 1926 წწ.) ჯერ კიდევ ახალგაზრდები, ცოდნის გაღრმავების მიზნით საზღვარგარეთ წასასვლელად ემზადებოდნენ, თითქმის ყოველ დღე ვიკრიბებოდით ნიკოლაძიანთ ოჯახში (აკაკი წერეთლის ქუჩაზე, № 21), სადაც ერთად ცხოვრობდნენ ნიკო ნიკოლაძე, მისი მეუღლე ოლღა გურაშვილის ქალი, მათი შვილები (კერძოდ, ჩვენი წიგნის რედაქტორიც) — და სიძეები — პროფ. მიხეილ პოლიეექტოვი და ამჟამად აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი.

ნიკო ნიკოლაძის მრავალრიცხოვანი ოჯახი არა მარტო სალონი იყო ამ სიტყვის შესანიშნავი გაგებით, არამედ — აკადემიაც. ნიკოს ოჯახი შედგებოდა სხვადასხვა დარგის ისეთი დიდი სპეციალისტებისაგან და, უწინარეს ყოვლისა, თვითონ ნიკო იყო ისე მრავალმხრივ განვითარებული და ფრიად განათლებული ადამიანი, რომ მის ოჯახში წარმატებით მუშავდებოდა საკითხები როგორც საინჟინრო და მათემატიკური, ისე ისტორიული და პედაგოგიური ტერმინოლოგიებისა. ნიკოს ოჯახში ირჩეოდა ჩვენი ახალგაზრდა უნივერსიტეტის მრავალი საჭირბოროტო საკითხი, აგრეთვე იმართებოდა მსჯელობა გამომცემლობა „ქართული წიგნის“, ლიტერატურის, მართლმსაჯულების, მუსიკისა და სახვითი ხელოვნების საკითხებზე.

იმ ხანებში კაცი ამ ოჯახში ხშირად ნახავდა ნიკო ნიკოლაძის განუყრელ მეგობარს, თბილისის უნივერსიტეტის პირველ რექტორს პროფ. პეტრე მელიქიშვილს, აგრეთვე პროფ. ლუარსაბ ანდრონიკაშვილს, ცნობილ მხატვარ გიგო გაბაშვილს, პოეტ ი. გრიშაშვილს, გამოჩენილ მკვლევარს პავლე ინგოროყვას, პოეტ ალექსანდრე აბაშელს, კომპოზიტორ არაყიშვილს და ამა თუ იმ დარგის ბევრ სხვა დიდ სპეციალისტს, ჩვენი ახალგაზრდა რესპუბლიკის ბედით გულწრფელად დაინტერესებულ პირებს.

ნიკო ნიკოლაძესთან ჩემი უკანასკნელი შეხვედრის დროს გამართული ბაასის შინაარსთან დაკავშირებით, საჭიროა წიგნის მკითხველს მოვაგონო, რომ მე ხონის რაიონის სოფელ მათხოჯის სახალხო სახლის მშენებელი საბჭოს თავმჯდომარე ვიყავი (1922-1930 წწ.) და, ვიდრე ამ დიდი შენობის (რომელშიაც უნდა მოთავსებულიყო სკოლა, ფოსტა-ტელეგრაფი, აფთიაქი, საექიმო პუნქტი, წიგნის მაღაზია და სოფლის სხვა დაწესებულებანი) აგება არ დამთავრდა, მათხოჯს საკუთარი სასოფლო-საბჭო არ ჰყავდა (ის შედიოდა ნახახულევის სასოფლო საბჭოში); ამიტომ ფაქტობრივად სასოფლო საბჭოს ფუნქციასაც ხშირად ითავსებდა მშენებელი საბჭო, რომელშიაც 34 კაცი შედიოდა.

ჩვენი შუამდგომლობა-ინიციატივითა და პასუხისმგებელი ამხანაგების მხარდაჭერით ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ და მისმა მთავარმა სატყეო განყოფილებამ დაიყენეს საკითხი, რომ გაყვანილი ყოფილიყო რკინიგზა სამტრედიიდან სოფ. მათხოჯამდე, სადაც ცხენისწყლიდან ამოაქვთ ქვემო სვანეთის ულრან ტყეებში დამზადებული მორები (ყოველწლიურად რამდენიმე ათეული ათასი კუბური მეტრი ხე-ტყე), რომლებსაც შემდეგ ურმებითა და მანქანებით ეზიდებიან რკინიგზამდე.

საბჭოთა მთავრობამ ეს საკითხი დადებითად გადაწყვიტა და „სამტრედია-მათხოჯის“ რკინიგზის მშენებლობა პირობითად შეიტანა პირველ ხუთწლიან გეგმაში.

რკინიგზის სამმართველომ დაგეგმა სამუშაოები, შეისწავლა რკინიგზის ლიანდაგის დასაგები ხაზი სამტრედიიდან მათხოჯამდე, დაასო გზაზე სათანადო ნიშნები, დაგეგმა სადგურები და დაიწყო მუშაობის დაწყების ყოველდღიური მოლოდინი.

ნიკო ნიკოლაძეს გაეგო, რომ „სამტრედია-მათხოჯის" რკინიგზის გაყვანის საკითხთან გარკვეული კავშირი მქონდა; დამიბარა თავის ბინაზე და თითქმის ორი საათი მიმტკიცებდა და მარწმუნებდა, რომ უმჯობესია რკინიგზა მათხოჯში გაყვანილ იქნეს არა სამტრედიიდან, არამედ იანეთიდან [1].

აქ საჭირო არაა გავიხსენოთ ის დეტალები, რომლებსაც იგი იყენებდა თავისი წინადადების სისწორის ნათელსაყოფად; გამოანგარიშებული ჰქონდა რკინიგზის მანძილი სამტრედიიდან მათხოჯამდე და იანეთიდან მათხოჯამდე. რკინიგზის სიგრძე იანეთიდან მათხოჯამდე (დიდ ჯიხაიშზე გავლით) რამდენიმე კილომეტრით უფრო მოკლე იყო, ვიდრე სამტრედიიდან მათ ხოჯამდე.

— მაშასადამე, — ამტკიცებდა პატივცემული ნიკო, — გზაში მგზავრს ნაკლები დრო დასჭირდება, თუ ეს გზა გაყვანილი იქნება არა სამტრედიიდან, არამედ იანეთიდანო.

მას გამოთვლილი ჰქონდა ისიც, თუ რამდენი წუთით უფრო ადრე ჩავიდოდა სადგურ იანეთიდან რკინიგზით გასული მგზავრი მათხოჯში სამტრედიიდან რკინიგზით გასულ მგზავრთან შედარებით.

მგზავრის გზაში ყოფნის დროის ეკონომიასთან ერთად ნი-

---

1 ცნობილია, რომ ნიკო ნიკოლაძემ რკინიგზის საკითხებიც კი ჩინებულად იცოდა. 1882-1886 წწ. ნიკო პეტერბურგში ცხოვრობდა და „საპასუხისმგებლო თანამდებობა ეჭირა ლიბავა-რომენის რკინიგზის სამმართველოში. გარდა ამისა, იგი ირიცხებოდა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს წევრად და ერთ-ერთი აქტიური მუშაკთაგანი იყო. მისი მონაწილეობით იწერებოდა პროექტები და სხვ. იგი დაჯილდოებული იყო ოქროს ქეტონით და უფლება ჰქონდა უფასოდ ემოგზაურა (მთელი რუსეთის) რკინიგზის ხაზზე". (იხ. ი. გრიშაშვილი, ა. ცაგარელის წერილები ნიკო ნიკოლაძისადმი, „ლიტერატურული გაზეთი", 1956 წ. 23 მარტი).

კო ნიკოლაძეს გამოანგარიშებული ჰქონდა ისიც, თუ რამდენი კაპიკით იაფი ეღირებოდა რკინიგზის სამგზავრო ბილეთი იანეთიდან მათხოჯამდე, ვიდრე სამტრედიიდან მათხოჯამდე.

მიუხედავად იმისა, რომ მე თავიდანვე მოვახსენე პატივცემულ ნიკოს: ამ საქმისთვის ძალიან პატარა კაცი ვარ და არ შემიძლია თუნდაც ოდნავ საგრძნობი გავლენა მოვახდინო მათხოჯამდე გასაყვანი რკინიგზის მიმართულების შეცვლაზე-მეთქი, მაინც განვაგრძობდი ნიკოს აზრის საწინააღმდეგო თვალსაზრისის დაცვას და ვცდილობდი დროის ეკონომიისა და იაფად მგზავრობის საბუთების გაბათილებას. ჩემი არგუმენტები იყო: 1) სამტრედია დიდი და ცოცხალი პუნქტია და ხშირად სჭირდება სამტრედიაში ჩასვლა მათხოჯელ და მის ახლომახლო მდებარე სოფლების მცხოვრებთ; 2) მათხოჯელი და მეზობელი სოფლების მცხოვრებნი ყოველთვის თბილისში კი არ მოდიან და ან თბილისიდან კი არ მოდიან, არამედ მიდიან ფოთში, ბათუმში, ან ბრუნდებიან ამ ადგილებიდან და ეს მგზავრობა უფრო მოსახერხებელია სამტრედიაზე გავლით; 3) ხე-ტყის (რის გამოც მთავრობას გაჰყავს რკინიგზა) სახერხი მთავარი ქარხანა სამტრედიაშია (საჭილაოში) და სხვ.

ნიკო ნიკოლაძე თავის აზრს იცავდა, რისთვისაც მან მოხაზა, აწერა და ურთიერთს შეადარა ჰავა, ბუნება და ეკონომიკა, ერთი მხრივ, უკვე დამტკიცებული ხაზისა (სამტრედიიდან) და, მეორე მხრივ, მისი პროექტით (იანეთიდან) მათხოჯამდე გასაყვანი ხაზის ახლომახლო სოფლების და ადგილებისა.

ეს იყო რამდენიმე თვით თუ ერთი წლით ადრე ამ დიდი ადამიანის გარდაცვალებამდე.

გარდაიცვალა ის 1928 წელს, 85 წლის ასაკში, როდესაც ყველა კბილი თავისი ჰქონდა და უსათვალებოდ კითხულობდა. ეს შესანიშნავი ადამიანი ისეთი აგებულების იყო და ცხოვრების ისეთი რეჟიმი ჰქონდა (ვგულისხმობ: ყოველ საღამოს, როგორც წესი, თერთმეტ სათზე დაწოლას და დილით ადრე ადგომას), რომ, თუ არა წყეული კიბო, იგი კიდევ დიდხანს იცოცხლებდა.

XII

შეხვედრა ნიკო მართან

1913 თუ 1914 წლის ზაფხულის არდადეგებზე, როცა ზემო სვანეთიდან იმერეთისაკენ მოვდიოდი, ღამის გათევა მომიხდა ქვემო სვანეთის სოფელ ლენტეხში, სკოლის შენობაში. იქვე დამხვდა ცაგერიდან იმ დღეს წამოსული და ზემო სვანეთში მიმავალი აკად. ნიკო მარი, ოთარ დადეშქელიანი (მე ის სვანეთში ადრე არ მინახავს, რადგან უმთავრესად პეტერბურგში ცხოვრობდა), ოთარ დადეშქელიანის ცოლი, ფრანგის ქალი, მაღალი, არისტოკრატიული წრიდან. თან ჰყავდათ ძაღლი. იგი სან თავის კნეინას ეთამაშებოდა და ხან თავადს უქნევდა კუდს. ნიკო მარი თავის თანამგზავრებს ელაპარაკებოდა და დროგამოშვებით აბეზარ ძაღლს გადაუსვამდა თავზე ხელს, თითქოს ეუბნებოდა: გვაცალე ბაასიო. ყველაფერში ჩანდა, რომ მარი და ცოლ-ქმარი დადეშქელიანები ახლო მეგობრები იყვნენ. ეს სამეული სკოლის აივანზე იჯდა, როცა ცხენი მოვაყენე აივანს, გადმოვხტი და ავედი სკოლის დაბალ კიბეებზე. ჩემმა იმ ღამის მასპინძელმა, სკოლის გამგემ, მისი დაუპატიჟებელი სტუმრები გაგვაცნო ერთმანეთს. მარი იქამდე

არ მენახა პირადად. ერთი პატარა წერილი მქონდა იმ ხანებში დაბეჭდილი გაზეთში; წერილში ვცდილობდი დამემტკიცებინა, რომ ქვედა სვანეთიდან ლეჩხუმ-იმერეთისაკენ მიმდინარე წყლის სახელწოდება — „ცხენის წყალი“ არ უნდა იყოს სწორი, მიუხედავად იმისა, რომ აკად. მარი ერთი ლეგენდის (რომლის მიხედვითაც უცხოელებს ცხენები დახრჩობოდათ ამ მდინარის გადალახვის დროს) მოშველიებით ამტკიცებს, რომ სწორია „ცხენის“ წყალიო. მე კი, ჯერ-ერთი, იმ საბუთით, რომ ეს მდინარე ქვედა სვანეთის სოფელ „ცენიდან“ (იმ დროს ცენში მხოლოდ ორი მოსახლე იყო) იღებს სათავეს, და, მეორე, იმიტომ, რომ ქვედა სვანეთში მას „ცენის“ წყალს („ცენის ჭალაი“) ეძახიან და არა „ცხენის წყალს“ და არა „ჩაჟის ჭალაი“— ვამტკიცებდი, რომ იმერეთში და ოფიციალურ საბუთებში გავრცელებული ამ მდინარის სახელწოდება და მარის არგუმენტით განმტკიცებული ეს ყალბი სახელი არ უნდა იყოს მართალი. ახლაც მწამს, რომ სვანეთიდან მომდინარე „ცენის“ წყალს სახელწოდება დაუმახინჯდა: ცაგერის დაბლა მცხოვრებმა ლეჩხუმელებმა და იმერლებმა სიტყვა „ცენის“ გაუგებრობის გამო სიტყვა „ცხენი“ გააბატონეს და, ამგვარად, „ცენის წყლის“ მაგივრად მივიღეთ „ცხენის წყალი“. ლენტეხში მინდოდა ამ თემაზე ზეპირადაც შევკამათებოდი მარს, მაგრამ რაღაც მეუხერხულა და თან შესაფერისი მომენტი ვერ გამოვნახე. მარსა და დადეშქელიანებს აინტერესებდათ, როგორი ამინდია ზემო სვანეთში, სურსათ-სანოვაგე ადვილად იშოვება თუ არა და სხვა ასეთები.

მიუხედავად იმისა, რომ მარი დადეშქელიანების სტუმარი იყო და ისინი მას ბინას ყოველთვის უშოვიდნენ, მე მთხოვა მაინც: ვინიცობაა მულახშიც დამჭირდეს ჩასვლა და მუშაობა, წერილი გამატანეთ თქვენს მოადგილესთან: სკოლაში ბინა მომცესო. მეც სიამოვნებით შევუსრულე მას ეს თხოვნა და მივწერე ივანე გუჯეჯიანს: ჩემი ბინა გაეღო ნიკო მარისათვის და, რამდენ ხანსაც დასჭირდებოდა, ეცხოვრა მას შიგ.

ამის შემდეგ გავიდა 16-17 წელიწადი. 1930 წლის 22 აგვისტოს 10-12 მასწავლებელი (ათანასე ხარაბაძე, აკაკი კაჭახიძე, სოლომონ ლორთქიფანიძე, ევგენი დევიძე და სხვები) ვსადილობდით თბილისის ერთ-ერთ რესტორანში — „ოლიმპიაში". სასადილო გაჭედილი იყო ხალხით. აქა-იქ სუფოასთან იდგნენ სასადილოდ შემოსულნი და უცდიდნენ რიგს. რიგში მყოფთა შორის დავინახე ნიკო მარი თავისი ცოლით. იმ წამშივე წავჩურჩულე ამხანაგებს: შეხედეთ, აგერ ნიკო მარი-მეთქი. ჩვენ უკვე დანაყრებული ვიყავით. თამადა ვიყავი და ამხანაგებმა მითხრეს, თუ პირადად იცნობ მარს, ჩვენს სუფრაზე მოიპატიჟე და გაგვაცანი კიდეცო. სიამოვნებით და დაუყოვნებლივ შევასრულე ამხანაგების სურვილი: „ბატონო ნიკო, გთხოვთ გვეწვიოთ, ჩვენთან მობრძანდეთ!" მარმა ღიმილისა და მადლობის გამომეტყველებით გამომხედა. ამ დროს წამოდგნენ სუფრის მეორე თავში (სადაც მარი იდგა) ჩემი ამხანაგები, გაიწ-გამოიწიეს, მარს და მის ძეუღლეს ადგილი დაუთმეს. სწრაფად მოვატანინეთ სერვიზი მათთვის, შემწვარი სულგუნი და წიწილები შევუკვეთეთ. ნიკო მარის და მისი მეუღლის შემოსწრების სადღეგრძელოსა და მოკლე მისასალმებელ სიტყვაში გავაცანი სტუმრებს იმ სუფრაზე მსხდომნი — სახელმძღვანელო წიგნების ავტორები და სახელმოხვეჭილი მასწავლებლები.

— აკადემიკოსებად ასარჩევი ხალხი აქ ყოფილა და მე კი კანდიდატებს სხვაგან ვეძებდი, — იოხუნჯა მარმა. (იმ ხანებში საკავშირო აკადემიის თბილისის ინსტიტუტს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიად გადაკეთებას უპირებდნენ და ჩვენთვისაც კარგად იყო ცნობილი, რომ ამ საკითხის გამო ლენინგრადიდან მარი იყო ჩამოსული).

გაცხოველებული სჯა-ბაასი გამოიწვია მომავალი აკადემიისათვის კანდიდატების შერჩევის საკითხმა. ნიკო მარი ცხოველ მონაწილეობას იღებდა კამათში და დასასრულ კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ საქართველო ეგზომ დაინტე-

რესებულია აკადემიის გახსნითა და ღირსეული კანდიდატების შერჩევით.

1931 წელს ზაფხულში მოსკოვში ჩავედი. მეორე დღეს ლენინგრადში ვაპირებდი გამგზავრებას, მინდოდა მარი მენახა, პირადი საქმე მქონდა მასთან. ლენინგრადიდან ჩამოსული მატარებლიდან ერთი ჩემი ნაცნობი გადმოვიდა (ადრე თბილისში მუშაობდა), მივესალმეთ ერთმანეთს. შემდეგ ვკითხე: „ლენინგრადიდან მობრძანდებით, არა?“ „დიახ“! „მაინტერესებს, მარი თუა ლენინგრადში?“ „მარი? აი ახლა ჩამოვიდა ლენინგრადიდან“!

— ხომ არ იცით, ვისთან გაჩერდება ან სად შეიძლება მისი ნახვა?

— მას აქაც აქვს საკუთარი ბინა. შემიძლია მოგცეთ მისამართი და ტელეფონის ნომერიც.

— მადლობელი ვიქნები. — მომცა. დავურეკე ბინაზე, ჯერ კიდევ მისული არ იყო. ნახევარი საათის შემდეგ დარეკეთო, მიპასუხა ვილაც ქალმა. საღამოს რვის ნახევარზე დავრეკე. ხმა თვითონ მარმა გამცა. მე მას ჩემი სახელი დ გვარი ვუთხარი, ამ დილით ჩამოვედი თბილისიდან, თქვენი ნახვა მინდა პირადად და თუ შეიძლება განახოთ-მეთქი.

— მაპატიეთ, მაპატიეთ, — მითხრა მან, ჩვენ ერთმანეთს უკანასკნელად სად შევხვდით, რესტორანში ხომ არა, რესტორანში ხომ არა?

— დიახ, დიახ! — ვუპასუხე მე.

— სად ხართ ამჟამად, ახლავე მოდით! მოდით ახლავე!

— კურსკის ვაგზლიდან ვრეკავ, ტაქსის ავიყვან და გეახლებით-მეთქი.

მართლაც ასე მოვიქეცი. მივედი. დავრეკე. თვითონ გამიღო კარები. თავშალი მოედვა ზურგზე. წამიყვანა ოთახში.

— რა ამბავია საქართველოში? ვემდური საქართველოს! — მითხრა უცებ. — გახსოვთ, შარშან დადგენილება იყო, გაზეთებშიაც გამოცხადდა, მეცნიერებათა აკადემია უნდა გახსნილიყო! ვერ ჩამოყალიბდა, ვერ გაკეთდა ეს საქმე...

ნიკო მარი დაღლილ-დაქანცული იყო თუ ვინმეზე გულ-მოსულ-გულნატკენი, ხან ერთობ გაცხარებული და გაცხოველებული ლაპარაკობდა, თითქოს ვიღაცას რაღაცაში ედავებაემუქრებაო, ხან კი სულ დაუშვებდა ხმას და უღონოდ ლაპარაკობდა, ხან უცებ მოსვამდა გაციებულ ჩაის და იმ დროს მეც მომაგონებდა: მიირთვით, მიირთვითო! ხან მოულოდნელად მეტყოდა: კიდევ მიირთვი კონიაკი, ნამცხვარს თქვენ სულ არ მოკიდეთ ხელიო...

— სალამი გადაეცი საქართველოს, — მითხრა ღამის პირველ თუ ორ საათზე, როცა მისი ბინიდან გამოვედი.

— რა ორიგინალური კაცია! — ვფიქრობდი გულში, როცა შინ მივდიოდი.

შემდეგაც რამდენჯერმე მინახავს მარი, როცა ის ლექციას კითხულობდა. კითხვის პროცესში აბობოქრდებოდა, ცეცხლოვანი ტონი ახასიათებდა. ტრიბუნიდან რომ ჩამოვიდოდა და სკამზე დაჯდებოდა, ძალ-ღონე ისე ერთბაშად გამოეცლებოდა, ისე მოეშვებოდა, რომ ასი წლის მოხუცი გეგონებოდათ. ამ მდგომარეობაში მყოფიც, თუკი რასმე ისეთს მოკრავდა ყურს, რომ არ მოეწონებოდა, სწრაფად აენთებოდა.

XIII

ილიას მკვლელის გასამართლება

ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს ამოიშლება ის ათი დღე (1941 წლის 25 დეკემბრიდან 1942 წლის 5 იანვრამდე), როცა თბილისში, უმაღლესი სასამართლოს დახურულ კარებში ილია ჭავჭავაძის (1837 — 1907) მკვლელის — გიგოლა ბერბიჭაშვილის გასამართლება მიმდინარეობდა.

ვფიქრობ, იმ ხანებში სამამულო ომის პირველი და მწვავე თვეები რომ არ ყოფილიყო, გასამართლება ღია კარებში მოეწყობოდა და მაშინ რა დარბაზი დაიტევდა მოზღვავებულ ხალხს! ორმოციოდე საშვი იყო სულ და ერთი მათგანის მიღება მარგუნა ბედმა.

საბრალდებულო სკამზე იჯდა 64 წლის კაცი, საშუალო ტანის, გამხდარი, ფართო მხარ-ბეჭიანი, ხმელი და თხელი სახისა, ჭაღარა გიგოლა ბერბიჭაშვილი.

სასამართლოს თავმჯდომარის პირველი კითხვა იყო ბრალდებულისადმი:

— სცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?

— იმდენად, რამდენადაც... — და მოჰყვა ბერბიჭაშვილი წილადობილას.

— თქვენ სიტყვა მოგეცემათ შემდეგ (და არა ერთხელ). ახლა მიპასუხეთ: ჰო, თუ არა?

— საქმე ისაა, რომ, როცა მე პარტიზანელი ვიყავი და ტყეში ვცხოვრობდი, როცა ვებრძოდი თვითმპყრობელობას... (და განაგრძო).

— გიმეორებთ კითხვას: სცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?

— კიდევაც ვგრძნობ და კიდევაც არა...

— კარგი. ჩანს, არ გინდათ თქვათ არც კი, არც არა! გვიამბეთ თქვენი თავგადასავალი, თქვით რისი თქმაც გინდოდეთ!

— მე ადრე დამეხოცნენ მშობლები. ბიძასთან ვცხოვრობდი. ის მამადლიდა ლუკმა-პურს. ავდექ და გავიქეცი მისგან. შევეკედლე ტყეში რამდენიმე კაცს, რომლებიც ტყეს წვავდნენ, ნახშირს ამზადებდნენ და ქალაქში დაჰქონდათ გასაყიდად. ერთი ვირი ჩამაბარეს. დავტვირთავდი ვირს და ტყიდან „ხაზეინების“ ნახშირს ვზიდავდი გასაყიდად. 1901 წელს სალდათად წამიყვანეს, საიდანაც 1904 წელს დავბრუნდი და ისევ ჩემს ძველ „ხაზეინებს“ — მენახშირეებს, მივაკითხე და მათთან დავიწყე მუშაობა. კვლავაც ვირით ვეზიდებოდი ნახშირს თბილისში გასაყიდად. თბილისში „ზემელთან“ ერთი პატარა დუქანი იყო, იქ ერთი კაცი (რომელსაც ხშირად გამოვუვლიდი ხოლმე ნახშირის გაყიდვის შემდეგ) მომცემდა პროკლამაციებს, — ჩავწყობდი იმ პროკლამაციებს ნახშირის გოდელში, ზემოდან რაპე-რუმეებს დავაყრიდი და ისე მიმქონდა ტყეში; იქიდან ჩუმ-ჩუმად ვურიგებდი გლეხებს ამ პროკლამაციებს. მე პარტიზანთა რაზმის წევრი ვიყავი, წითელი პარტიზანელის მოწმობა მქონდა. 1905 წელს დამიჭირა პოლიციამ და დუშეთის სამაზრო ციხეში დამამწყვდია. ციხე გავტეხე და გამოვიქეცი. მას შემდეგ ტყეში ვიმალებოდი. ერთხელ, ეს იყო 1907 წელს, როცა ტანისამოსი დამეფლითა, ახლის შესაძენად ჩუმად მინდოდა ჩავსულიყავი თბილისში და საგურამოზე გამოვიარე. საღამო იყო. გზაში შემხვდა ერთი ჩემი ნაცნობი — ხიზანიშვილი. მან ჩემი ამბები გამოიკითხა და შემდეგ მითხრა: ამაღამ ილია ჭავჭავაძის სახლის ზემოთ, ტყეში, რამდენიმე კაცს კრება გვაქვს და დაგვესწარიო. არ მინდოდა, მაგრამ ძალით წამიყვანა. კრებაზე 10-12 კაცი იყო; თავმჯდომარეობდა ვიღაც ჯაში. როგორც იქვე გავიგე, ეს ჯაში ილია ჭავჭავაძის მოურავი ყოფილა. მან წაიკითხა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ

გაზეთში დაბეჭდილი წერილი, ილაპარაკეს ერთმა, ორმა, სამმა. ჯაშმა თქვა: მე დღეს ვარ აქ და ხვალ არა და მაინცდამაინც რა მენაღვლება, მაგრამ თქვენ აქაურები ხართ, აქედან ვერსად წახვალთ და კნიაზ ილიას წვალებას მანამ ვერ გადაურჩებით, სანამ მას არ მოკლავთო. მოკალით და მოისვენებთ, — მისი მოკვლა რა დიდი საქმეაო.

— რა დროს ამოიყვან თბილისიდან კნიაზსო? — ჰკითხა მან იქვე მყოფ ილიას მეეტლე აფციაურს.

— ნაშუადღევის 1-2 საათზე, — მიუგო მან.

— წიწამურში რა დროს იქნებით.

— დაახლოებით 12 საათზე. იქნებ უფრო ადრეც. კარგად არ ვიცი, რა დროს წამომყვება თბილისიდან კნიაზი. ეს კი ვიცი, რომ დილით უნდა წამოვიდეს და ადრე მისვლა შემოშითვალა.

გადაწყდა ილია ჭავჭავაძის მოკვლა. ხუთი კაცი აირჩიეს ამ აქტის შესასრულებლად, მათ შორის მეც. მე უარზე ვიყავი: თქვენი კნიაზია და თქვენ უნდა მოკლათ, მე რა მესაქმებამეთქი. არ დამიჯერეს და ძალად ჩამაბეს ამ საქმეში. იმ ღამეს წიწამურის ზემოთ ვივახშმეთ ერთ ოჯახში. ღამე წიწამურის ტყეში გავათიეთ. გავინაწილეთ ის არემარე, სადაც ილია უნდა მოგვეკლა, საიდანაც ილიას მეეტლე ეტლს ჯერ მძიმე-მძიმედ წამოიყვანდა და შემდეგ შეაჩერებდა. სამი კაცი მაღლა უნდა გადამდგარიყო ეტლის გაჩერების ადგილას; მე და ერთი კაციც დაბლა უნდა დავმდგარიყავით, რომ არ გაგვქცეოდა.

გათენდა. ცოტა დააგვიანდათ მგზავრებს. მგონი პირველ ოუ ორ საათზე გამოჩნდა ჭავჭავაძის ეტლი. მეეტლემ დანიშნულ ადგილას შეაჩერა ეტლი — თოფები გავარდა და კნიაზი ეტლიდან გადმოვარდა. მე ზევით ვისროლე...

— მართალი თქვი, შენგან გასროლილი ტყვია მოხვდა ილიას გულსა და შუბლში, შენმა ტყვიებმა განგმირეს ილია? ჩვენ ამის ჩვენება გვაქვს: 1907 წელს გასამართლებულმა შენმა ამხანაგებმა დაწვრილებით თქვეს ყველაფერი; ისინი არ უარ-

ყოფდნენ არც იმას, რაც თვითონ ჩაიდინეს, და არც იმას, რაც სხვებმა, მათ შორის შენ გააკეთე.

— ჭავჭავაძე რომ გადმოვარდა ეტლიდან, გადმოუვარდა სათვალე და საფულე, მე საფულე ავიღე და იქვე ივანიშვილს მივეცი. საფულეში 600 მანეთი იყო. მე ფული არ წამიღია.

— ჭავჭავაძის მეუღლეს — ოლღა ჭავჭავაძისას — ვინ ჩაუმტვრია ცხვირ-პირი თოფის კონდახით?

— ჩაუმტვრიეს კი, მაგრამ ვინ — არ დამინახავს!

— პატარა სათვალე დაინახე მიწაზე დავარდნილი და ის ვერ დაინახე? აქაც სტყუი! ხიზანიშვილისა და აფციაურის მიერ 1907 წელს მოცემული ჩვენებით, ოლღა ჭავჭავაძეს შენ დაულეწე სახე და თავი ისე, როგორც შენგან გასროლილმა ტყვიებმა განგმირეს ილია ჭავჭავაძე.

— ...

— სხვას რას იტყვი?

— შემდეგ მე გავიქეცი ჩვენი ქვეყნიდან და 1907 წლიდან 1921 წლამდე სპარსეთში ვცხოვრობდი. იქ ვიღებდი მონაწილეობას რევოლუციურ მოძრაობაში, იქაურ აჯანყებებში. 1921 წელს დავბრუნდი საქართველოში და შევედი პარტიაში.

— მაშ, სპარსული ენა გეცოდინება?

— წყალივით ვიცი!

— პარტიაში მიღების დროს თუ აღიარე შენი წარსული?

— არა, არ მითქვამს! რა საჭირო იყო?

— შემდეგ?

— შემდეგ ვმუშაობდი დუშეთში, მუხრანში, თბილისში.

— თუ იცნობდი შენს მსხვერპლს, როცა ჰკლავდი?

— არ ვიცნობდი.

— როგორც ამბობ, ქვეყნისათვის თავდადებული და პარტიზანი იყავი. ნუთუ არ გქონდა გაგონილი ილია ჭავჭავაძის სახელი, არ წაგიკითხავს მისი ნაწერები: „კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნაამბობი“ და სხვა?

— არ წამიკითხავს და არც გამიგონია მისი სახელი. აკაკი წერეთლის ლექსები კი ვიცოდი.

— ილია ჭავჭავაძე ილიაობას აწყობდა ყოველწლიურად და სხვა სტუმრებთან ერთად მეზობელი სოფლებიდანაც ჰყავდა მოპატიჟებული ხალხი. შენი სოფელი სამი-ოთხი კილომეტრით იყო დაშორებული საგურამოს და ნუთუ არავის უხსენებია ილია ჭავჭავაძის სახელი?

— მე მისი სახელი არ გამიგონია.

— კარგი! სპარსეთიდან რომ დაბრუნდი, მაშინ მაინც არ იკითხე — ვინ იყო ის კაცი, რომელიც მოჰკალი?

— არ მიკითხავს.

— შენ ორი შვილი გყავს: ვაჟი და ქალი. შენმა ვაჟმა დაამთავრა ის სკოლა, სადაც ილია ჭავჭავაძე სწავლობდა (ყოფ. პირველი გიმნაზია). ნუთუ შენმა ვაჟმა არ გითხრა, იმ სკოლაში ვსწავლობ, სადაც წინათ სწავლობდა ილია ჭავჭავაძეო?

— არ უთქვამს...

— შენი ქალიშვილი სწავლობდა და დაამთავრა თბილისის მესამე საცდელ-საჩვენებელი სკოლა ილია ჭავჭავაძის სახელობისა. იმ სკოლას ყველა ჭავჭავაძის სკოლას ეძახის. ნუთუ არ ჰკითხე შენს ქალიშვილს: რა გააკეთა ისეთი ილია ჭავჭავაძემ, რომ მისი სახელობის სკოლაც კი გახსნა ჩვენმა მთავრობამ?

— არ მიკითხავს, არ დავინტერესებულვარ!

— 1937 წელს ჩვენმა მთავრობამ შენ მიერ ჩადენილი ვერაგული მკვლელობის 30 წლისთავი და ილიას დაბადებიდან ასი წლისთავი აღნიშნა. შენ მაშინ თანამდებობის კაცი იყავი, — უთუოდ გაზეთებს კითხულობდი, ილია ჭავჭავაძის ღვაწლზე ბევრი დაიწერა ჟურნალ-გაზეთებში, მაშინ მაინც ვერ გაიგე, ვინ ყოფილა ილია ჭავჭავაძე?

— მე იმ ადგილებს არ ვკითხულობდი ჟურნალ-გაზეთებში!

— უტიფარი ხარ! კმარა! შემოიყვანეთ მოწმეები! პირველად ვიღაც მოხუცი დედაკაცი შემოიყვანეს.

— სახელი და გვარი, მამის სახელი? — ჰკითხეს მას. ჩაიწერეს.

— სად გაიცანი ეს კაცი და როდის?

— ეს კაცი ჩემი მეჯვარე იყო. ჩემი გვირგვინი ეკავა ხელში ჩემი ჯვრისწერის დროს.

— როდის მოხდა ეს?

— 1911 წელს.

— ბერბიჭაშვილო, ამტკიცებ: სპარსეთში ვიყავიო 1907 წლიდან 1921 წლამდე! 1911 წელს კი ცოლი შეგირთავს საქართველოში! რას იტყვი?

— ...

— შემოიყვანეთ შემდეგი!

შემოიყვანეს დაახლოებით ორმოცი წლის კაცი, პასუხისმგებელი მუშაკი. სულ კანკალებდა (ბერბიჭაშვილისათვის გადიდებული პენსიის დანიშვნის მიზნით რეკომენდაცია მიეცია სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში წარსადგენად, წერდა თურმე: პირადად ვიცნობდი 1904 წელს და ვადასტურებ, რომ პარტიზანი იყო).

— სახელი, გვარი, მამის სახელი!

უპასუხა. ჩაიწერეს.

როდის დაიბადეთ?

— 1901 წელს.

— მერედა 3 წლის ბავშვს გქონდა ურთიერთობა და ნაცნობობა პარტიზანებთან?! მართალი თქვით, როდის გაიცანით ბერბიჭაშვილი?

— 1918 წელს ვნახე პირველად ალექსანდროვის ბაღში, „მიტინგის დახვრეტის“ დროს.

— ბერბიჭაშვილო, აკი სპარსეთში იყავი 1918 წელს?

—

შემოვიდა საგანგებოდ გამოძახებული პროფესორი, სპარსული ენის სპეციალისტი იუსტინე აბულაძე, რომელსაც უნდა შეემოწმებინა, თუ რამდენად „წყალივით“ იცის სპარსული სპარსეთში ვითომდა 13 წელს ნაცხოვრებმა ბერბიჭაშვილმა.

— პროფესორო, გთხოვთ ებაასოთ სპარსულ (ფარსულ) ენაზე ბერბიჭაშვილს და მოგვცეთ დასკვნა, თუ რამდენად იცის მან სპარსული!

პროფესორმა იუსტინე აბულაძემ „გამოსცადა“ ბრალდებული და დასკვნაც მიიღო: არც ერთი სიტყვა არ იცის სპარსული (ფარსული), — იცის აზერბაიჯანული ენა.

მოწმეთა შორის იყო ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მონაწილე და ორგანიზატორის, ჯაშის ცოლი. მისი დაკითხვით და სხვა მასალებით გამოირკვა, რომ ჯაში ყოფილა ნაირნაირ პარტიაში—სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-რევოლუციონერების, ანარქისტების... იგი იყო პროვოკატორი, ხაზინის გაძარცვის ორგანიზატორი, ბასრი კალმის მქონე—ავტორი რუსულ-ქართულ პრესაში გამოქვეყნებული სტატიებისა... ეს ბინძური ადამიანი 1922 წელს ცოლის ძმას მოუკლავს ნაძარცვი ფულის გაუზიარებლობის და სხვა ამგვარი მიზეზების გამო...

— შემოიყვანეთ მოწმე ფაღავა! — შემოვიდა 80-82 წლის ხმელი, მაღალი, ლამაზი სახის მოხუცებული, რომელიც დუშეთის მაზრის უფროსი ყოფილა 1907 წელს, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დროს.

— მოახსენეთ სასამართლოს, რა იცით ამ საქმის გარშემო!

— როცა დუშეთის მაზრის უფროსად დამნიშნეს, ჩავიბარე მაზრა და საქმეები. გადმომცეს ერთი საიდუმლო, შიფრიანი მოწერილობა, რომლითაც მაზრის უფროსს ევალებოდა თვალყური ედევნებინა ილია ჭავჭავაძისათვის და სათანადო ცნობები ეგზავნა გუბერნატორისა და ჟანდარმთა სამმართველოსათვის. მართალია, მაზრის უფროსი ვიყავი, მაგრამ ქართველი ვიყავი და „თითო ლურსმანი ყველა ქართველს გვესო გულში!“ დიდ ილიას კარგად ვიცნობდი, დიდად ვაფასებდი მას და დროგამოშვებით ვშველოდი კიდევაც ამ საამაყო ქართველს. ერთხელ, თბილისის ჟანდარმერიის შენობასთან მიახლოების დროს, თვალი მოვკარი, რომ ჟანდარმერიის ჭიშკრიდან გამოვიდა ილიას მოურავი ჯაში. მას ხელში გახსნილი პორტფელი ეჭირა, შიგ რაღაც ქაღალდს სდებდა, პორტფელში იხედებოდა და ისე გადავიდა ქუჩის მეორე მხარეზე, რომ მე არ დავუნახივარ. გავქვავდი ერთ ადგილას!.. თითქმის იმ წუთში იმავე

ჭიშკრიდან გამოვიდა ერთი ჩემი ნაცნობი ვახმისტრი, რომელიც მცხეთაში მუშაობდა. სასწრაფოდ მივუახლოვდი ვახმისტრს, მისალმებისთანავე დავინახე გზაზე მიმავალი ჯაში და ვკითხე:

— Кто этот человек, с портфелем? Вы его не знаете?

— Знаю! Управляющий имением князя Чавчавадзе!

— Он же отсюда вышел, интересно, какое у него дело в жандармском управлении?!

— Он у нас работает! — გულუბრყვილოდ მითხრა მან. მეწყინა. ჩემი დაფარვა რას უშველის ილია ჭავჭავაძეს, როდესაც მას სახლში ჟანდარმერიის აგენტი ჰყოლია-მეთქი, — ვიფიქრე და გადავწყვიტე, როგორმე მეგრძნობინებინა ან პირდაპირ გამეფრთხილებინა ილია, რომ მისი მოურავი „ოხრანკის“ აგენტია. გული მეუბნებოდა, რაც შეიძლება მალე გამეფრთხილებინა ილია. ნუთუ ქართველი ადამიანი აბეზღებს ილიას და მის საწინააღმდეგო ცნობებს აწვდის ჟანდარმერიას?! არა, ილია უთუოდ უნდა გავაფრთხილო!!!

მეორე დღეს, როცა თბილისიდან დუშეთს მივდიოდი, ილიას გავუარე საგურამოში; განგებ „შემოვითრიე ფეხი“, რომ ილიას ეთქვა ჩემთვის: აწ გვიანაა, ამაღამ ჩემთან მოისვენეთ და დილით წაბრძანდით დუშეთშიო. მინდოდა შესაფერისი შემთხვევა გამომენახა ამ მძიმე ამბის სათქმელად. მართლაც, იმ ღამეს ილიამ არ გამიშვა. ღამით სამი კაცი ვისხედით ვახშმად: ილია, მე და კიდევ ერთი ჭავჭავაძე. უცებ სასადილო ოთახში კარი გაიღო და ჯაში შემოვიდა. რაღაც მაინცდამაინც არცთუ საჭირო კითხვა მისცა ილიას. ილიამ იგრძნო, რომ მისი შემოსვლის მიზანი ის არ იყო, რასაც ეკითხებოდა.

— დამაცადეთ, დამაცადეთ! — გაბრაზებით უთხრა თავის მოურავს და დანა-ჩანგალი გააგდო ხელიდან. ჯაში გავიდა. ვისარგებლე შემთხვევით და ილიას ვუთხარი:

— მაგ ჯაში ვერ უნდა იყოს პატიოსანი კაცი! — ილიამ ყურადღება არ მიაქცია ამ ჩემს სიტყვებს. მე განვაგრძე ჯაშის ირგვლივ ლაპარაკი. მოვახსენე პირდაპირ: გუშინ გავიგე, რომ „ოხრანკის“ აგენტი უნდა იყოს-მეთქი.

— ესეც შესაძლებელია! მისგან არაფერია გასაკვირველი! მაგრამ, ეჰ, ახლა ყველაფერი გვიანლა არის!..

ისე ცუდ ხასიათზე დადგა ერთბაშად ილია, რომ ერთ ხანს არც ერთს არ ამოგვიღია ხმა.

ამის შემდეგ ორი კვირაც არ გასულა, რომ დუშეთში, ჩემს კაბინეტში ყოფნის დროს, შემატყობინეს: ილია ჭავჭავაძე მოკლეს წიწამურშიო. თავზარდაცემული დავჯექ ცხენზე და რაზმის თანხლებით ელვის სისწრაფით მივიქერ მკვლელობის ადგილას. ვხედავ, შარაგზაზე ასვენია ტყვიით განგმირული ილია, იქვე მოკლულია მისი მზარეული; ილიას მეუღლე — ოლღა სახედაჩეჩქვილი და თავგატეხილი უგრძნობლად გდია მიწაზე. ალყა შემოვარტყი ტყეს. ბოროტმოქმედთა აღმოსაჩენად აქეთ-იქით დავგზავნე ჩემი მხლებლები. მიცვალებულები და ილიას მეუღლე ურემზე მოვათავსეთ და საგურამოსაკენ გავსწიეთ... ჯაში ფუსფუსებდა, „წუხდა“, „თავს იკლავდა“ — ეს რა უბედურება მოხდაო? ჩემმა კაცებმა უცხო ვერავინ ნახეს იმ არემარეში. ილიას მეეტლე ამბობდა: თავდამსხმელები თეთრ ხალათებში იყვნენ, სამხედრო პირებს ჰგავდნენო.

ილიას მეუღლისათვის პირველი დახმარების აღმოჩენისა და მიცვალებულების სახლში დასვენების შემდეგ შევედი სოფლის კანცელარიაში, დავიბარე სხვადასხვა პირები, დაკითხვა დავიწყე. ჩემმა „ურიადნიკმა“ მითხრა: ერთი მოხუცებული კაცია ვიღაც და მთხოვს მოგახსენოთ, რომ თქვენი ნახვა უნდაო.

— შემოიყვანეთ! — ვუპასუხე მე. შემოვიდა, ასე, 65-70 წლის მოხუცი.

— რა გინდათ? — შევეკითხე. ეტყობოდა, მოხუცს არ უნდოდა ელაპარაკა სხვისი თანდასწრებით. მდივანი დავითხოვე ოთახიდან.

— ბატონო, — დაიწყო მან,—თქვენ, მგონი, ილიას მკვლელებს ეძებთ! გეტყვით, ოღონდ, თუ გამეცით, გადამწვავენ, ცოლ-შვილს ამიწიოკებენ.

— პირობა მივეცი, არ გამეთქვა, — დასძინა ფაღავამ. — სინდისს ვფიცავ, პირობა შევუსრულე, თუმცა 1907 წელს სასამართლოში ძალიან დამჭირდა მისი დასახელება; მიცემული სიტყვის გამო თავი შევიკავე მისი სახელისა და გვარის ხსენებისაგან. ამ საიდუმლოებას ახლა ვამხელ მხოლოდ...

— მოხუცმა მითხრა, — განაგრძო ფაღავამ: — ჯაშმა მოაწყო ეს საზიზღარი საქმე. ილიას მკვლელები არიან უაჩაღი გიგოლა ბერბიჭაშვილი, ილიას მეღორე ხიზანიშვილი, ნამამასახლისარი იეანიშვილი (მგონია, არ მეშლება გვარი) და აფციაურიო. მადლობა ვუთხარი და გავისტუმრე მოხუცი. რამდენიმე კაცი ისე დავკითხე — თვალის ასახვევად და გზის ასაბნევად, თორემ მე უკვე ვიცოდი იმ პატიოსანი მოხუცის მეოხებით ნამდვილი მკვლელების სახელები და გვარები. სოფლის კანცელარია დავტოვე და ილიას სახლში შევედი. ჯაშს, ვითომდა სხვათა შორის, ვკითხე:

— ილიას რომ ერთი მეღორე ჰყავდა, მგონია, ხიზანიშვილი, სად არის ახლა ის? მოდი, ერთი დაუძახე, მინდა გავგზავნო სადღაც!

— იმან წუხელ და გაათხოვა, — მთხოვა, ორი დღით გამეთავისუფლებინა და მეც გავუშვი. მართალია, რაღა დროს ქორწილი იყო, მაგრამ ბედი მოადგა სოფლელ კაცს. კარზე და მეც არ შევუშალე ხელი...

— კარგი გიქნია, — ასეთ დროს უარს როგორ ეტყოდი! სადაურია? ჯაშმა დამისახელა მისი სოფელი; იქვე, ახლოს იყო. მე ლაპარაკი სხვა თემაზე გადავიტანე. ცოტა ხნის შემდეგ გამოვემშვიდობე მას — დუშეთში მივდივარ-მეთქი, ნამდვილად კი ხიზანიშვილის ოჯახისაკენ გავემართე. მივედი, ვხედავ, სიწყნარეა მის სახლსა და ეზოში; ხის ძირში დედაბერი იჯდა (როგორც შემდეგ გამოირკვა, ხიზანიშვილის დედა), მატყლს ართავდა; იქვე მისი ძაღლი იწვა და კუდს აქნევდა.

— რას ჩამოგიყრიათ ყურები! წუხელ ქორწილი გქონიათ და ასე მალე გაათავეთ ყველაფერი? — ვკითხე დედაბერს.

— რისი ქორწილი, დიდო ბატონო, რა ქორწილი?

— სად არის შენი შვილი?

— აგერ გადავიდა მეზობლისას! აი, აგერ, მოდის კიდეც!— ხიზანიშვილს არ ეამა ჩემი დანახვა, მაგრამ ეს არ დაიმჩნია და „მხიარულად“ მომესალმა. თოფი ჰქონდა მხარზე გადაკიდებული.

— მოიტა აქეთ ეგ თოფი! — ვუთხარი მსწრაფლ. თოფი გადმომცა. — ეს რა არის, სისხლი რომ აცხია?

— კურდღელი მოვკალი, ბატონო.

— შეჰკარით! — ვუბრძანე სტრაჟნიკებს. გაბაწრეს ხიზანიშვილი და დუშეთში ჩავიყვანეთ.

დუშეთში ჩასვლისთანავე დაშიფრული დეპეშა გავუგზავნე თბილისის გუბერნატორს, ვატყობინებდი: ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ჟანდარმერიის აგენტი ჯაში არის ჩარეული და მისი დაჭერის სანქციას გთხოვთ-მეთქი.

არ გასულა რამდენიმე დღე და თბილისში გამომიძახეს. იქ გამოირკვა, რომ ჩემს გუბერნატორს ჟანდარმთა უფროსისათვის გადაეგზავნა ჩემი დეპეშა და იქ მიბარებდნენ. გამოვცხადდი ჟანდარმერიაში. უფროსს მოახსენეს ჩემი მისვლა. შევედი კაბინეტში. შესვლისთანავე მომახალა.

— Это Вы, князь Пагава, обвиняете жандармерию в убийстве князя Чавчавадзе?

— Помилуйте, не жандармерию, а агента жандармерии — Джаши!

— А это не равносильно? Продолжайте, князь, продолжайте, потом посмотрим!

ჟანდარმთა უფროსისაგან გამოვედი იმ რწმენით, რომ მე ვემსხვერპლები ამ საქმეს. უბედურება ის იყო, რომ ლოთ ვახმისტრს შეეძლო უარი ეთქვა, რომ მე მისგან გავიგე ჯაშის აგენტობა... ამის თქმის უფლებაც არ ჰქონდა მას. მაშ საიდან ვიცი, რომ ჯაში აგენტია? მცხეთაში ჩასვლისთანავე ვინახულე ვახმისტრი. სუფრაზე მივიპატიჟე, შევათვრე და ვითომ სხვათა შორის ვკითხე:

— Помните, Вы мне сказали, что Джаши агент? Мне теперь не нужна, но если когда либо понадобится справка, не смогу ли я достать какой либо документ, удостоверяющий, что Джаши действительно агент жандармерии?

— Ерунда, князь — მითხრა მან, — он же в жандармерии ежемесячно получает жалование! Я украду старую ведомость за какой либо месяц и отдам Вам! Только не выдавайте меня... თქვა და შეასრულა... სამი დღის შემდეგ მქონდა ჟანდარმერიის უწყისი, რომელშიაც ჯამაგირის მიღებაზე ხელს აწერდა ჯაში.

პეტერბურგში იმპერატორის სასახლეში ნათლია მყავდა — „კამერდინერ დვორა ეგო იმპერატორსკოგო ველიჩესტვა კნიაზ შარვაშიძე". შევატყობინე ჩემი გაჭირვება. მიპასუხა: ილია ჭავჭავაძის მკვლელი არ დაზოგო, ვინც უნდა იყოს. პასუხს მე ვაგებო...

ამ საბუთებით შეიარაღებულმა დეპეშა გავუგზავნე თბილისის სამხედრო გუბერნატორს, რომელიც გადაკიდებული იყო სამოქალაქო გუბერნატორთან, ჩემს უშუალო უფროსთან: ი. ჭავჭავაძის მკვლელობაში გარეულია ჟანდარმერიის აგენტი ჯაში და გთხოვთ მისი დაპატიმრების სანქციას-მეთქი. მიპასუხა:

— Арестуйте убийцу Чавчавадзе Джаши и арестованного считайте за мною!

— ჯაში დავაპატიმრე. სამ თვეს ვაწარმოებდი გამოძიებას დუშეთში. დავამთავრე გამოძიება და საქმეები პატიმრებთან ერთად გადმოვგზავნე თბილისში.

აქვე უნდა ვთქვა, რომ ბერბიჭაშვილის ძებნას გადავყევი. ას მანეთზე მეტი სხვადასხვა აგენტებს მივეცი. მეტყოდნენ, ამა თუ იმ ცხვარში იმალებაო. მივდიოდი, ვერ ვნახულობდი. მაზრაში არსებული საბუთებიდან ვიცოდი, რომ რევოლუციის გარიჟრაჟზე, 1905 წელს, როცა ხალხმა ერთგვარი თავისუფლება ჩაიგდო ხელში, სასოფლო „სხდომებს" გამოჰქონდათ გადაწყვეტილებანი ამა თუ იმ მავნე პირის ციმბირში გადასახლების

შესახებ და სათანადო დადგენილებებს უგზავნიდნენ მთავრობის ადგილობრივ მოხელეებს. ეს უკანასკნელნიც იძულებული იყვნენ რიგ შემთხვევაში ანგარიში გაეწიათ ხალხის „პრიგოვორისათვის“ (დადგენილებებისათვის) ქურდებისა და ყაჩაღების გადასახლების შესახებ;ხშირად სოფლელებს, თავიანთი მამასახლისის მეშვეობით, მაზრაში მოჰყავდათ დაჭერილი ავაზაკები შორს გადასახლების ან ციხეში დამწყვდევის მიზნით. ბერბიჭაშვილიც, როგორც ხალხის შემაძრწუნებელი და ყაჩაღი, დაუჭერია სოფელს, დაუდგენია მთავრობისათვის ეთხოვა მისი გაციმბირება და სათანადოდ გაფორმებული ქაღალდებით („პრიგოვორით“) ტუსაღი გადაუციათ დუშეთის მაზრის უფროსისათვის. მაზრის უფროსს ერთ ხანს ის ციხეში ჰყოლია, შემდეგ კი ბერბიჭაშვილი თავის აგენტად გაუხდია და ციხიდან გაუშვია. მას შემდეგ მთავრობის აგენტს გიგოლა ბერბიჭაშვილს — ბევრი ცუდი საქმე ჩაუდენია, მაგალითად. ორი ოჯახი დაურბევია მხოლოდ იმის გამო, რომ ქალი არ მიუთხოვებიათ მისთვის. ბევრი საზიზღარი საქმე აქვს ჩადენილი ბერბიჭაშვილს. დიდი ილიას მოკვლა ხომ აპოთეოზია „მისი საგმირო“ საქმეებისა!..

— ბრალდებულო ბერბიჭაშვილო, თუ გაქვს რაიმე წეკითხვა მოწმე ფაღავას მიმართ? — დაარღვია ცოტაოდენი პაუზა თავმჯდომარემ.

— არა მაქვს! — არხეინად უპასუხა ბერბიჭაშვილმა.

რამდენიმე მოწმე დაკითხეს კიდევ. ყველამ აჩვენა, რომ ბერბიჭაშვილი იყო ბინძური ადამიანი, ქურდაბაცაცა, მძარცველი, აგენტი.

— ბერბიჭაშვილო, მოახსენე სასამართლოს: რა ფერისა და რა ზომის იყო წითელი პარტიზანობის მანდატი, რომელიც შენ გქონდა: წიგნაკი იყო ის თუ ჩვეულებრივი ქაღალდი? გვითხარი აგრეთვე, ვინ აწერდა ხელს შენს მანდატს?

მიედ-მოედო რაღაცეებს ბერბიჭაშვილი, რომელიც, ჩანს, არ ელოდა ასეთ კითხვას. მან „აღწერა“ მანდატი და თქვა: ჩემს მანდატს ხელს კობახიძე აწერდაო, და დაახასიათა — ვინ

იყო ის კობახიძე (თუ არ ვცდები, ეს გვარი დაასახელა).

— ბრალდებულო, ჩანს, შენ არათუ არ გქონია წითელი პარტიზანის მანდატი, თვალითაც არ გინახავს არასოდეს! იკვეხნი — წითელი პარტიზანი ვიყავიო, და ისიც კი არ გცოდნია, რომ პარტიზანის მანდატს არავინ არ აწერდა ხელს და არც შეიძლებოდა ვინმეს მოეწერა: მას ხომ დაიჭერდა მეფის მთავრობა მანდატის ხელში ჩაგდების შემთხვევაში! მანდატს ორგანიზაციის ბეჭედი ჰქონდა დასმული მხოლოდ, რაც შენ არც კი გცოდნია!

სასამართლოს რვა სხდომაზე ბევრი რამ ითქვა, საქმის ბევრი დეტალი გამოირკვა. გამოქვეყნდა სხვადასხვა საინტერესო საბუთი, ცნობა იმის დასამტკიცებლად, რომ ი. ჭავჭავაძე საშიში კაცი იყო თვითმყრობელობისათვის და მისი „თავიდან მოცილება“ უნდოდა მეფის ჟანდარმერიას. არა ერთხელ მიუწერიათ ჟანდარმებსა და ცენზორებს პეტერბურგისათვის, რომ ილია ჭავჭავაძე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერია საქართველოში, მის ბინაზე საეკვო და საშიში პირები იკრიბებიან, რომ ილია ჭავჭავაძე ცდილობს შეაპაროს ცენზორებს მთავრობის საწინააღმდეგო წერილებიო და სხვა.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობა ჟანდარმერიის აგენტებმა რომ მოაწყვეს და რომ ჟანდარმერიამ იცოდა — სად და რომელ საათზე მოკლავდნენ ილიას, — იქიდან ჩანს, რომ დანიშნულ დღესა და საათზე დეპეშა გაიგზავნა პეტერბურგში ილიას მოკვლის შესახებ, თუმცა დეპეშის გაგზავნის წუთებში ილია ჯერ კიდევ მოკლული არ იყო. (ჩანს, დეპეშის ავტორმა ვერ გაითვალისწინა ის, რომ ი. ჭავჭავაძეს გზაში დააგვიანდებოდა და მკვლელობის ადგილას ერთი თუ ორი საათით გვიან მივიდოდა). ნათელი გახდა ისიც, რომ ჟანდარმერიამ მოახერხა ისე მოეკლა ილია, რომ მისი მკვლელობა სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის დაებრალებინა. ამ მიზნით ჩაითრიეს საზიზღარ საქმეში ბრმები: ხიზანიშვილი და აფციაური. ზოგიერთ გაზეთში დაბეჭდილმა წერილმაც შეუწყო ამას ხელი.

— არ გასულა დიდი დრო მას შემდეგ, რაც პატიმრები და

საქმეები გავგზავნე დუშეთიდან თბილისში,— განაგრძო მოწმე ფაღავამ, — როცა მეფის მთავრობის მიერ განთავისუფლებული ჯაში დუშეთიდან თბილისისაკენ მიმავალს შემხვდა საგურამოში და გამომწვევი კილოთი უტიფრად მითხრა: თქვენ გინდოდათ მე დაგეღუპეთ, მაგრამ არ გამოგივიდათო!— ახლა რომ მხედავთ მოხუცებულობისაგან გაჩაჩახაკებულს, ასე კი არ ვიყავი მაშინ, — განაგრძო ფაღავამ, — მინდოდა შუაზე გამეგლიჯა, მაგრამ თავი შევიკავე... 1907 წელს სასამართლოს სკამზე იჯდა მხოლოდ ორი მკვლელი (ხიზანიშვილი და აფციაური); მკვლელობის ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი ჯაში აშკარად „გამოძვრა". ნამამასახლისარ ივანიშვილს, დაკითხვის შემდეგ ციხეში რომ მიჰყავდათ, უთხრეს — გაიქეცი, მცველები თოფს არ გესვრიანო. გაიქცა, ესროლეს, მოკლეს. მესამე აგენტს, რომლის ტყვიითაც მოკვდა ილია — გ. ბერბიჭაშვილს — ხელს არ უშლიდნენ დამალულიყო. ერთ ხანს ის მართლაც იყო ცოტა ხნით სპარსეთში, ეძდეგ ხან ბაქოს გუბერნიაში იმალებოდა და ხან მთაში, ცხვარში. მოხერხებული კაცი იყო და ვერსად მივაგენი მის კვალს. 1907 წ. სასამართლოს სხდომის დროს ხიზანიშვილის თუ აფციაურის დამცველი წამოდგა და თავმჯდომარეს მოახსენა: მთავარ დამნაშავეს ვერ ვხედავ საბრალდებულო სკამზე! ნება მიბოძეთ რამდენიმე სიტყვა მოგახსენოთ ამის შესახებო. სასამართლოს თავმჯდომარემ, აი ასე რომ იჯდა, როგორც თქვენ ახლა ბრძანდებით, თითი ასე ქნა (ფაღავამ თავი დააქნია) — ადვოკატი მიუახლოვდა თავმჯდომარეს, რომელმაც მას რაღაც უთხრა. შემდეგ დაჯდა თავისთვის და ხმა გაიკმინდა... დახვრიტეს ბრმა იარაღები — ხიზანიშვილი და აფციაური და საქმე ამით დამთავრდა.

სასამართლოს შემდგომ სხდომაზე ილაპარაკეს დამცველმა და პროკურორმა.

დამცველმა დაახასიათა ილია ჭავჭავაძე როგორც ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი მედროშე, ხაზი გაუსვა მის ღვაწლსა და დამსახურებას, წარმოგვიდგინა ბერბიჭაშვილი როგორც უტიფარი ადამიანი, რომელიც არც

ახლა ინანიებს თავის დანაშაულს; მთელს პროცესზე თავ ისე უჭირავს, თითქოს საგმირო საქმე აქვს ჩადენილი. მიკიბულ-მოკიბული, მიხვეულ-მოხვეული ლაყბობა, თავისი დანაშაულის შეუგნებლობა — აი, რა ახასიათებს მას. მაგრამ, იმედი მაქვს, — განაგრძობდა დამცველი, — ბრალდებული უკანასკნელ სიტყვაში მაინც მოინანიებს ცოდვას და სთხოვს სასამართლოს, რომ ეს მას სიბრმავით მოუვიდა და შეიწყალონ.

დამცველის შემდეგ ილაპარაკა პროკურორმა. მან მიწასთან გაასწორა ნაძირალა ბერბიჭაშვილი: ილიას საფლავზე ვარდი და იანი ამოვლენ, ქვეყანას დაამშვენებენ, შაშვნი და ბულბულნი აჭიკჭიკდებიან, ხოლო ბერბიჭაშვილის საფლავს ნაგავი დაფარავს და ჭია-ღუები დაესევიანო, — თქვა მან.

სასამართლოს დადგენილებით ბრალდებული გიორგი პეტრეს ძე ბერბიჭაშვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

ვარლამ ძიძიგურის წიგნები

1. „Четырёхлетка". III და IV კლასების რუსული ენის სახელმძღვანელო. 1926 წ. (თანაავტორი. 6 ფორმა. გამოიცა 3-ჯერ).
2. „პირველი წიგნი". ნაწილი პირველი (ანბანი), I კლასის სახელმძღვანელო. 1926 წ.
3. „პირველი წიგნი". ნაწილი მეორე (ანბანის შემდეგ საკითხავი წიგნი). I კლასის სახელმძღვანელო. 1926 წ.

სახელმძღვანელოს ორივე ნაწილი (ა. გვახარიას თანაავტორობით) — მეათე გამოცემის შემდეგ „ანბანისა" და ბოლოს „დედაენის" სახელწოდებით — სულ გამოიცა 19-ჯერ: 1926 — 1943 წ. წ.

4. „ანბანი". I კლასის სახელმძღვანელო. 1936 წ .
5. „დედაენა". ნაწილი პირველი (ანბანი). I კლასის სახელმძღვანელო. 1938 წ.
6. „დედაენა". ნაწილი მეორე (ანბანის შემდეგ საკითხავი წიგნი). I კლასის სახელმძღვანელო. 1938 წ.
7. „რამდენიმე კლასთან ერთდროულად მუშაობის ძირითადი საკითხები და გაკვეთილების კონსპექტები". 1939 წ. (3 ფორმა).
8. „ქართული ენა". ნაწილი პირველი, ნაწილი მეორე. სოფლის ახალგაზრდობის სკოლის სახელმძღვანელო. 1946 წ. (25 ფორმა).
9. „რამდენიმე კლასთან ერთდროულად მუშაობა". 1946 წ. (თანაავტორი. 16 ფორმა).
10. „ქართული ენის სწავლება დაწყებით სკოლაში". 1951 წ. (17 ფორმა. გამოიცა 3-ჯერ).
11. „კლასკომპლექტში მუშაობის ორგანიზაცია და მეთოდები". 1955 წ. (7 ფორმა).
12. „ქართული ენის სწავლების საკითხები". 1956 წ. (14 ფორმა).
13. „მასწავლებლის მოგონებები". 1957 წ. (10 ფორმა).
14. „ქართული ენის სწავლების მეთოდიკა" (იბეჭდება საქ. სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის მიერ. 25 ფორმა).

გარდა ჩამოთვლილი წიგნებისა, ვ. ძიძიგურის მიერ გამოქვეყნებულია ას ორმოცდაათზე მეტი სტატია, გამოკვლევა, რეცენზია და სხვა მეთოდური ხასიათის წერილი ამ უკანასკნელი 48 წლის მანძილზე.

ს ა რ ჩ ე ვ ი

		გვ.
თ ა ვ ი I	ბავშვობის წლები. ნახახულევის ორკლასიანი სკოლა. მასწავლებლები. ხონის სასწავლებლები . .	5
თ ა ვ ი II	ქუთაისის სამასწავლებლო სემინარიის ხონში დაფუძნების მიზეზები. სემინარიის რეჟიმი. პირველი დირექტორები	20
თ ა ვ ი III	მეფის საწინააღმდეგო მოძრაობა ხონსა და მის რაიონში	32
თ ა ვ ი IV	სემინარიის ახალი დირექტორი. რეჟიმი. მასწავლებლები	40
თ ა ვ ი V	რეაქციის წლები	67
თ ა ვ ი VI	აკაკი წერეთელთან . .	82
თ ა ვ ი VII	მასწავლებლობის პირველი წლები . .	96
თ ა ვ ი VIII	მუშაობა ზემო სვანეთში (მულახი), ლეჩხუმში (ცაგერი), იმერეთსა (ხონი, კულაში) და აჭარაში (ქალაქი ართვინი) .	123
თ ა ვ ი IX	სტუდენტობის წლები. თბილისში მუშაობა	174
თ ა ვ ი X	სახალხო სახლის მშენებლობა სოფელში	193
თ ა ვ ი XI	ნიკო ნიკოლაძე (1843 — 1928)	215
თ ა ვ ი XII	შეხვედრა ნიკო მართან	224
თ ა ვ ი XIII	ილიას მკვლელის გასამართლება	229

რედაქტორი გ. თავზიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი ქ. ქუჩუკაშვილი
მხატვარი თ. სიკორსკაია
ტექრედაქტორი შ. ლოლობერიძე
კორექტორი მ. გიორგაძე

გადაეცა წარმოებას 4-II-57 წ. ხელმოწერილია
დასაბეჭდად 20-IX-57 წ. ანაწყობის ზომა
5,5×8.5 ქაღალდის ზომა 84×108. სასტამბო
ფორმათა რაოდენობა 15,5. საღრიცხვო ფორმა-
თა რაოდენობა 10,25. ტირაჟი 18.000.
უე 00087. შეკ. № 755. ფასი 7 მან. 60 კაპ.

Варлам Давидович Дзидзигури

Воспоминания учителя

(На грузинском языке)

худ. Т. Сикорская

Министерство Просвещения ГССР

Детюниздат

Тбилиси

1957